N10 (509) 11/III-17/III-2010 ფასი 1 ლარი

1168
2010

გზა

ქართული პროზის საგანძური

ტომი №2
მიხეილ ჯავახიშვილი

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
ნოდარ დუმბაძე

ექსკლუზიური ინტერვიუ

ბადრი პატარკაციშვილის ძმასთან



„ბადრი ჩემთვის მეორე მამა იყო“

გატეხილი ფანდურით დაწყებული კარიერა

„ნიკო გომელაურთან ურთიერთობა კარგად ავაწყვე“...

აზარტული მსახიობისთვის მიძღვნილი „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“

ნადირობა მგლებთან ერთად და ცხოვრება მტაცებლების გარემოცვაში

„...ცხოველებმა სერიოზული საფრთხისგან მიხსნეს“

„მინდა, ავადმყოფ ბავშვებს დავეხმარო“

„კაუკაზა ვარსკვლავმა“ ამერიკელი ფოტოგრაფი „აცდუნა“

ISSN 1987-5029

თურქეთის „გადაყლაპვის“ რუსული გემმა

!დაიწყო!

„ქართული პროზის საგანძური“

თქვენთვის
და თქვენი შვილებისთვის!







ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან" ერთად
შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

ტომი №2 - მიხეილ ჯავახიშვილი

წიგნის ფასი 3! დიახ, სამი ლარი!

ეს ფასი, მეორე ტომისთვის,
ძალაშია მხოლოდ
11-დან - 18 მარტამდე!

გამოიწერეთ „გზა“ და საგანძურის ყველა ტომს შინ მოგართმევთ, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“ ტელ:38 26 73:38 26 74

თუ თქვენ ვერ მოასწარით შეგეძინათ ტომი №1- გურამ დოჩანაშვილი,
მალე მისი ყიდვა წიგნის მაღაზიებში შეგეძლებათ!

№10 (509)
11 - 17 მარტი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
„ვყიდი ჟირაფს“ ანუ ქართული სამინისტროების ჰიმნოგრაფი
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ ფაქტი და კომენტარი 7
■ ასეული 9
■ პროექტი 12
კაცი, რომელსაც უზომოდ უყვარდა ადამიანები, მზე, სიცოცხლე, ზღვა და... სამშობლო
■ პერსონა 15
ექსკლუზიური ინტერვიუ ბადრი პატარკაციშვილის ძმასთან
■ სამართალი 17
უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, ცოტნე გამსახურდიამ შიმშილობა შეწყვიტა
■ კარიერა 19
ზურა მანჯავიძის „ჰარი ჰარალეთი“ დაწყებული კარიერა და „ორმაგი დირექტორობა“
■ საპნის ოპერა 21
„საქმეშამოღლეტილების“ გასართობი, გამოსერიალებულები და გარყვნილების პოპულარიზაცია
■ მსახიობი 23
„ჩემს ოჯახში თითქმის ყველა მეცნიერია“
■ პრემიერა 25
სპეციალურად მსახიობისთვის დაწერილი პიესა
■ როკის ლეგენდა 27
URIAH HEEP — დიდი როკის „პირველი მერცხალი“ დამოუკიდებელ საქართველოში
■ ვარსკვლავები 29
■ მინირომანი 31
ერთხელ, აეროპორტში
■ კრიმინალი 35
საზარელი მკვლელობა ფონიჭალაში და ხუთგზის შეცვლილი ჩვენება

ქვეყანა

100 გასროლა მიზანში!

„ჩემი აზრით, „არსენალს“ არაფერი აკლია... ხშირად მამაკაცურ ჟურნალებში ბანალურ დანამატებს აკეთებენ და ქალების ფოტოებს დებენ, საბედნიეროდ, „არსენალი“ ამ მიმართულებით არ მიდის. ამ ჟურნალმა თავისი ნიშა იპოვა და ერთგული მკითხველიც ჰყავს. „არსენალი“ პოლიტიკურად აშკარად მიუკერძოებელია“.

7

სახე

მსახიობისთვის დაწერილი პიესა

„ჩემთან მუშაობისას, ნიკო გომელაურს 27 როლი აქვს შესრულებული. ხომ წარმოგიდგენია, ერთმანეთს რა კარგად ვიცნობთ! მიუხედავად იმისა, რომ მთავარ — ნიკალას როლს აპოლონ კუბლაშვილიც ასრულებს, პიესას თავიდანვე ნიკოსთვის ვწერდი — ყველა ნიუანსი მასზეა მორგებული“.

19

ცხოვრება

საზარელი მკვლელობა ფონიჭალაში

2009 წლის 17 ივლისს გამთენიისას, ძალოვნებმა გარდაბნის რაიონის სოფელ მუხრანთელეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხევში, ტომარაში გახვეული, 7 წლის გიორგი იმერლიშვილის გვამი იპოვეს. ბიჭუნა ქვემო ფონიჭალაში, საცხოვრებელი კორპუსის ეზოდან 16 ივლისს, დღის პირველ საათზე გაუჩინარდა.

31

ეგზაკვნილები

ტყუილი, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა

„პაპაჩემი სოფელში ცხოვრობს. ბებია 3 წლის წინ გარდამეცვალა და პაპამ 81 წლის ასაკში მეორე ცოლი მოიყვანა. ამის შემდეგ აირია ჩვენი ურთიერთობა. პაპამ, რომელიც ძალიან მიყვარდა და ყოველთვის კბილებით ვიცავდი, თეფშისა და ციცხვის ქურდობა დამაბრალა“.

83

■ **გამოხმაურება** 38
გულახდილი დღიური

■ **შეუცნობელი** 41
ნადირობა მგლებთან ერთად და ცხოვრება მტაცებლების გარემოცვაში

■ **გამოფენა** 43

■ **ეს სამყაროა** 44

■ **ისტორიის ლაბირინთები** 46
სამზადისი თურქეთის „გასაწითლებლად“ — სტალინური რეჟიმის უკანასკნელი ჩანაფიქრი

■ **ავტო** 49

■ **საკითხავი ქალებისათვის** 50

■ **ასპარეზი** 52

■ **ტაძარი** 54

■ **ჯანმრთელობა** 56

■ **გვიმრავლოს!** 59
„უფალს მადლობას ვწირავ, რომ მრავალშვილიანი დედობის ღირსი გამხადა, ამ საჩუქარს დიდი დაფასება და მოფრთხილება სჭირდება“

■ **ემიგრანტი** 61
ამერიკაში მოჯირითე ბაბუა, ჟორდანიას გაყოლილი ბიძა, რაიხსტაგამდე ბრძოლით მისული მამა და ყაზახური გადასახლებაგამოვლილი ქართველები

■ **თინეიჯერული პონტები** 64
ჯიუტი თაობის უცნაური ახირებები და მშობლების პრობლემა

■ **წვეთი პოეზია** 67

■ **ავტოპორტრეტი** 68
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)

■ **ქართული დეტექტივი** 72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)

■ **რომანი** 76
სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი (გაგრძელება)

■ **რეალური** 80

■ **გზავნილები** 83

■ **ყველა ერთისათვის** 88

■ **მობილი-ზაცია** 90

■ **მოდელი** 95
პატარა მოდელის ყველაზე დიდი ოცნება

■ **მოზაიკა** 97

■ **ერუდიტი** 100

■ **გასართობი** 102

■ **ასტროლოგია** 104

■ **სკანვორდი** 105

■ **საფირმო კროსვორდი** 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო

ნადირობა მგლებთან ერთად

„ხვადმა ბრძანებების გაცემა, ე.ი. ადგილებზე მგლების განაწილება დაიწყო და როცა ყველას თავისი ადგილი მიუჩინა, მერე მეც თვალებში შემომხედა“.

43

ადამიანი

საჩუქარს დიდი დაფასება და მოფრთხილება სჭირდება“

„ერთხელ, ბინის ქირის ფული ვერ გადავიხადეთ და დიასახლისმა სახლი დაგვატოვებინა. 3 შვილით ხელში, მე და ჩემი მეუღლე ქუჩაში აღმოვჩნდით. მაშინ მარიამი 11 თვის იყო. გარეთ ძალიან ციოდა, მთელ დღეებს ბავშვებთან ერთად, მეტროში ვატარებდი“.

59

ბიბლუსი

— აფხაზებმა „კრასნი კრესტი“ აიღეს და კოლხიდას შეუტიეს.
— ეგ ადრეც მომხდარა, — უდარდელად თქვა სტავრომ.
— არა, ახლა რაღაც სერიოზული ხდება. სოხუმში არავის გაუშვებენ. აქეთ ითხოვეს დახმარება. ჩვენი ბიჭები უკვე პოზიციებზე არიან. ამბობენ, კოლხიდასთან ძალიან მძიმე ბრძოლა მიმდინარეობსო, — განაგრძო ცოტნემ.

67

ტაიმ-აუტი

11 წლის ასაკში წაკითხული 450 წიგნი

ახლა VI კლასში სწავლობს, 11 წლის არის. საგნებიდან ყველაზე მეტად გეოგრაფია იზიდავს. ხშირად კი საბუნებისმეტყველო წიგნებს კითხულობს. მომავალი პროფესია ჯერ არ აურჩევია. კინორეჟისორობა მოსწონს, თან ამბობს, რომ მეცნიერული კვლევებიც იზიდავს...

95

„ვყოლით ჟირაფს"
ანუ ქართული სამინისტროების ჰიმნოგრაფი

შესავლის ნაცვლად ორშაბათს, ერთი ფრად ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო პარლამენტმა: გარემოს დაცვის სამინისტროს, სატყეო დეპარტამენტი გამოეყო და ცალკე იურიდიულ პირად დარეგისტრირდა... ბოლო დროს მოხშირებულ მეტყევეების დაჭერებზე (ისე, ეს თოფურიძეც არ ისვენებს, იჭერს და იჭერს ამ ხალხს) ჩვენს მუსიკოს მინისტრს არავითარი პასუხისმგებლობა აღარ დაეკისრება, თორემ „ტეხავდა" უკვე — „კაკ მინიმუმ" მოსახსნელი იყო, რამდენიმე ათეული თანამშრომელი დაუპატიმრეს ქრთამის აღებაზე...

რევაზ მიშველაძის ერთ ძველ ნოველაში ასეთი ამბავია აღწერილი: დგას კაცი ზაფხულის შუადღის პაპანაქებაში, უნივერმაღში შესულ ცოლს ელოდება (ახალგაზრდა მკითხველისთვის განვმარტავ: უნივერსალური მაღაზია (შემოკლებით — „უნივერმაღი", სუპერმარკეტს ერქვა „ძველ დროში") და, ცხადია, იცის, რომ კიდევ დიდხანს მოუწევს ლოდინი (ქალები მაშინაც ახლანდელივით საათობით დაბოდიალებდნენ მაღაზიებში). მოკლედ, მოსწყინდა და ასეთი გასართობი მოიგონა: მივიდა ვიღაც მასავით უსაქმოდ მდგარ კაცთან და ჟირაფის ყიდვა შესთავაზა — ფული მჭირდება და იაფად მოგცემო. კომუნისტების დროა — ჟირაფის კი არა, საკუთარ ბაღში დაკრეფილი ვაშლის გაყიდვის ნებართვისთვის სჭირდება გლეხს ათასი საბუთის წინასწარ აღება, ჟირაფი კი, სულ სამი იყო საბჭოთა კავშირში: ორი მოსკოვის და ერთი — ლენინგრადის ზოოპარკებში. მოკლედ, სთავაზობს ეს კაცი ამ „ვირტუალურ" ჟირაფს სხვადასხვა ადამიანს და იმათ რეაქციებზე „კიფობს": უმეტესობა, ცხადია, შიშით ან გაკვირვებით ხვდება მის წინადადებას; ზოგი კი ინტერესდება, ეკითხება, — რას ჭამსო? ზოგი — რამსიმაღლეაო? ერთმა — ასე იაფად რატომ ყიდი, ავადმყოფი ხომ არ არისო?! ბევრი რომ არ გავაგრძელო, სტაცეს იმ „ხუმარას" ხელი და დააპატიმრეს „ჟირაფის უკანონოდ გაყიდვისათვის", რეალურად — არარსებული ჟირაფის არშემდგარი გაყიდვისათვის.



ახლა, რატომ გამახსენდა ეს ამბავი: ეს ნოლაიდელი ხომ ისევ მოსკოვშია და ბურჯანაძე კიდევ — მოსკოვიდან იმის იქით წავიდა; დავითაშვილმაც, სამშაბათს უკვე ოფიციალურად გამოაცხადა — მოსკოვში მივდივარო და „ცოცხალ რიგში" ძიძიგური და სხვებიც დგანან... ჰოდა, მიშველაძის იმ ნოველისგან მხოლოდ იმით განსხვავდება დღევანდელი სიტუაცია, რომ იქ „გამყიდველი" ერთია და „მყიდველი" — რამდენიმე, აქ კი, პირიქით: „მყიდველია" (რუსეთი) ერთი, ხოლო „გამყიდველები" — ბლომად. მაგრამ მთავარში მაინც მსგავსებაა: როგორც იქ არავინ ჰკითხავს იმ კაცს ჟირაფის გაყიდვას, ისე ესენიც არ არიან „გასაყიდი საქართველოს" პატრონები და რუსები რატომ ისულელებენ თავს, მთლად კარგად არ მესმის...

მით უმეტეს, რომ „ჟირაფის" (რას გადავეკიდე?) ნამდვილი პატრონებიც ვერ უვლიან მას მთლად კარგად და, თუ ასე გააგრძელეს, ჩემი დაკვირვებით, ვინძლო ყიდვა სულაც არ დასჭირდეს და სულაც მუქთად ჩაუვარდეს ხელში მავანს...

მოუვლელობას მე ვამბობ, თორემ ამან კიდევ ერთი ახალი სკოლა გახსნა ბათუმში, ამჯერად — თურქული და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ჩვენ მსოფლიოში ძალიან მალე ყველაზე განათლებული ხალხი ვიქნებით. იქვე ახალი პრიორიტეტები დაგვისახა — თურქული და არაბული ენები უნდა ვისწავლოთო და... რუსულიც არ დავივიწყოთო(?!) საერთოდ, ამ სიბერეში ეჭვიანი გავხდი და ასეთი გამონათქვამების გაგონებისას სულ მავიწყდება, ჩვენი მიშიკო რომ ხშირად მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობს, რომ ილაპარაკოს. მე კი, ყოველ სიტყვაში გადაკრულ აზრს ვეძებ... აბა, ისე, იმ თურქული სკოლის გახსნისას რა რუსული ენის სიყვარული აუტყდა?!

მიშაზე გამახსენდა — გასულ კვირაში კიდევ ერთ კარგ წამოწყებას დაუჭირა მხარი: პარლამენტის ყველა წევრი და ფუნქციონერი, სახელმწიფო დაწესებულების ყველა ჩინოვნიკი, ქვედა საფეხურიდან დაწყებული და მინისტრით დამთავრებული, ნარკოტესტს გაივლის და პირველი მე თვითონ ვიქნებიო!

ეს არ არის ცუდი ამბავი. თანაც ისე კი აღარ იქნება, ორი წლის წინ რიგში რომ იდგნენ ქილაში ჩასაშარდად და ზოგიერთმა რომ გამოაცხადა: არ მეფსია და რა ვქნა, ხვალ მოვიტან სახლიდანო! და შემდეგ ზოგმა ბავშვის შარდი რომ მიიტანა და ზოგმა — ბებიამისის... როგორც ხუტა უფროსი იტყოდა — „არ გაგივა ეგ ნომერი, დურუ ხუნჭუა!" ახლა, ჩემო ბატონო, შებრძანდები ნარკოლოგიურ კაბინეტში, ამოგაცლის ექიმი ერთ ღერ თმას და თუკი რამე გიმამაძაღლია, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ყველაფერი გამოჩნდება! ოღონდ ერთი რამ არის გასარკვევი: მიშას კარგი, მაგრამ, მაგალითად, გიგი წერეთელს და ჯონდი ბაღათურიას რას ამოაცლის ექიმი? ან ლალიაშვილი როა, თარგამაძის პარტიიდან? ან პალიკო კუბლაშვილს და მაგის ძმას? კარგი, ლალიაშვილს ულვაში აქვს მოშვებული და მოგვარდება პრობლემა (უი, ახლა მივხვდი, რატომ იყო ადრე საქართველოში ულვაშის ღერს რომ იძლეოდნენ პატიოსანი სიტყვის დასტურად), მაგრამ დანარჩენებს? ალბათ, სულერთია, სხეულის რომელი ნაწილიდან ამოაცლიან, თორემ დარჩება ზოგიერთი შეუმოწმებელი... პრეზიდენტმა ხომ თქვა, ეს პროცესი „გამჭვირვალე" იქნებაო, ჰოდა, მოვითხოვ, რომ კუბლაშვილისგან „სატესტირებელი ნიმუშის" აღება პირდაპირ ეთერში გადაიცეს!

P.S. ჰიმნოგრაფი სულ სხვა რამეს ნიშნავს და არა მუსიკალური (სასიმღერო) ჰიმნების ავტორს, მაგრამ არა უშავს, ესენი მაინც დიდად არ იკლავენ თავს ტერმინების სიზუსტისთვის. მე კი, იმიტომ გამახსენდა, რომ გოგა ხაჩიძემ პოლიციის ანუ შსს-ს ჰიმნი დაწერა! თავისთავად ჰიმნიც რომ გოიმურია და თვით იდეაც, ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ მთავარი სხვა რამეა — ეს ამბავი „აიასნებს" შესავალში მონათხრობს: „ცისფერი მთების" არ იყოს, მარკშეიდერის (ამ შემთხვევაში „ჰიმნოგრაფის") შტატი არა აქვთ და, იყოს ბიჭი მინისტრად, მაგრამ საქმიდან მაქსიმალურად გავათავისუფლოთ, რომ „შემოქმედებისთვის" მეტი დრო დარჩეს, სხვა სამინისტროებსაც ხომ უნდათ „ჰიმნები"...

პროვოკატორი

ტელეფონით ლაპარაკი — ხმის ამოღების გარეშე

მეცნიერებმა შექმნეს ტექნოლოგია, რომელსაც შეუძლია, საზოგადოებრივ ადგილებში ტელეფონით ხმამაღლა ლაპარაკს წერტილი დაუსვას.

ჰანოვერში, Cebit-ის გამოფენაზე მეცნიერებმა წარმოადგინეს მოწყობილობა, რომელსაც ლაპარაკის დროს სახის კუნთების მიერ წარმოქმნილი სუსტი ელექტროსიგნალების ამოცნობა შეუძლია.

სპეციალური მოწყობილობა ამ სიგნალებს ლაპარაკად გარდაქმნის, რომელიც სხვა სატელეფონო აპარატში ისმის. ამგვარად, საუბარს ის ადამიანებიც შეძლებენ, რომლებსაც ლაპარაკი უჭირთ. ■



მფრინავი ნავი

ახალ ზელანდიაში მცხოვრებმა რუდი ჰიმანმა ახალი აპარატი, სახელწოდებით — WIG (wing in ground effective vehicle) შექმნა, რომელიც 70 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობის დროს ჩვეულებრივი მოტორიანი ნავია, ხოლო უფრო მაღალი სიჩქარით გადაადგილებისას აფრენა შეუძლია. კონსტრუქტორის თქმით, მან საფრენი აპარატის შექმნას 10 წელი მოანდომა. WIG-ს ფრთებიც ეხსნება, რაც მის ტრანსპორტირებას აიოლებს.

მსგავსი აპარატის შეძენა მსურველებს 10,5 ათას დოლარად შეუძლიათ. ■

იულია ტიმოშენკო უკრაინის ოპოზიციის ლიდერი გახდა

კიევში ჩატარებული მიტინგის მონაწილეებმა მოიწონეს რეზოლუცია გაერთიანებული დემოკრატიული ოპოზიციის შექმნის შესახებ და ოპოზიციის ლიდერად ყოფილი პრემიერი, იულია ტიმოშენკო აირჩიეს.

სამართალდამცავთა შეფასებით, მიტინგში 2 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა, რომელთა განცხადებითაც, ოპოზიციაში ეროვნული ინტერესების დამცველი სამოქალაქო და პოლიტიკური ძალები გაწევრდებიან.

ოპოზიციის დეკლარირებულ მიზნებს შორისაა უკრაინის ევროპული მიმართულებით განვითარება, სოციალურ თემებზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნა, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვა. ■

კარლა ბრუნი ოფიციალურ ვახშამზე ბიუსტჰალტერის გარეშე გამოცხადდა

საფრანგეთის პირველმა ლედიმ, კარლა ბრუნიმ რუსეთის პრეზიდენტის — დმიტრი მედვედევისა და მისი მეუღლის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე პროტოკოლს იგნორირება გაუკეთა. ბრიტანულმა პრესამ კარლა ბრუნის მიერ მიცემული „ოქროს“ შანსი ხელიდან არ გაუშვა და აღნიშნული ვახშამი დიდი განხილვის საგანი გახდა.

რუსეთის პრეზიდენტსა და მის მეუღლესთან ოფიციალურ ვახშამზე ბრუნი უმშვენიერეს ლურჯ კაბაში გამოწყობილი მივიდა. თუმცა, ჟურნალისტები ცნობილი ფრანგი სტილისტების მიერ სპეციალურად ბრუნისთვის შექმნილი კაბითა და ფეხსაცმლით არ გაოცებულან, მათი აღელვების მიზეზი ის იყო, რომ საფრანგეთის პირველმა ქალბატონმა მამაკაცების ფანტაზიას გასაქანი არ მისცა და ოფიციალურ საღამოზე ბიუსტჰალტერის გარეშე გამოცხადდა. ■

„ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონია და მაყურებელთა რეკორდული რაოდენობა

2010 წლის 7 მარტს, ამერიკის კინოაკადემიის მიერ საუკეთესო ფილმად აღიარებული სურათის დაჯილდოებას 41,3 მლნ ადამიანი ადევნებდა თვალს, მაშინ როცა, 2009 წელს მაყურებელთა რაოდენობა 36,3 მლნ-ს შეადგენდა, ხოლო 2008 წელს — 32 მლნ-ს.

ამგვარად, „ოსკარის“ აუდიტორია 14%-ით გაიზარდა. 2010 წელს „ოქროს გლობუსით“ დაჯილდოების ცერემონიის მაყურებელთა რაოდენობაც 14%-ით გაიზარდა, „გრემის“ ცერემონიის მაყურებელთა რაოდენობა კი — 36%-ით. ■

საფლავი წარწერით — „მე მოწევამ მომკლა“

ალბერტ უიტამორი ფილტვების ემფიზემით დიდი ხნის მანძილზე იტანჯებოდა. ამ დაავადების დროს ფილტვების მოცულობა მეტისმეტად იზრდება, რაც პროგრესირებად სუნთქვის უკმარისობას იწვევს. უმეტეს შემთხვევაში, ემფიზემა თამბაქოს მოწევის შედეგად ვითარდება.

სიკვდილის წინ, 85 წლის ბრიტანელმა ისურვა, რომ მისი საფლავის ქვაზე გაეკეთებინათ წარწერა: „მე მოწევამ მომკლა“. მისი აზრით, ეს ერთგვარი გაფრთხილება იქნებოდა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მოწევას იწყებენ. ■

მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

ქვეყანა

„ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს“

„დათვი რომ მოგერევა, ბაბა უნდა დაუძახო“

რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის მოგვარება და ოპოზიციონერ ლიდერთა ერთი ნაწილის მოსკოვში ვიზიტი — ეს ის თემებია, რომლებზეც ქართველები ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ყველაზე ხშირად ლაპარაკობენ. მოულოდნელი და უსიამოვნო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი — ადამიანები, რომლებიც ადრე ქართველი კაცის მებრძოლ ხასიათზე, შეუვალობასა და მამაცობაზე ლაპარაკობდნენ, დღეს მორჩილებისთვის არიან მზად. მათ არც იმის აღიარება უჭირთ, რომ გალახულები არიან და არც ის ეთაკილებათ, რომ დათვს ბაბა დაუძახონ. სამწუხაროდ, ჩემ მიერ გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ ოკუპანტთან შეურიგებელი და უკომპრომისო პოლიტიკური ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ.

ხათუნა ბახტურიძე

ვანსულ ჩარკვიანი, *პოეტი:*

— რუსეთთან დიალოგის დაწყება საჭიროა, მაგრამ ეს ოპოზიციამ კი არა, ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩვენსავით არავის უჭირს. მოსკოვთან ყველამ გამონახა საერთო ენა. რუსეთთანაც ვილაპარაკოთ და ამერიკასთანაც, მაგრამ არც ერთის ტანკში არ უნდა შევძვრეთ. ილიას თქმისა არ იყოს, — „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს“.

სოსო ვაჭვლიანი, *მსახიობი, რეჟისორი:*

— რუსებმა ფინელებს კარელია წაართვეს, იაპონელებს — კურილიის კუნძულები, მაგრამ ერთმანეთს მაინც ელაპარაკებიან; არც იაპონელებს ჩაუქნევიათ ხელი თავიანთ ტერიტორიაზე და არც — ფინელებს, ისინი უბრალოდ, შესაფერის მომენტს ელოდებიან. ჩემი აზრით, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. უკვე დავრწმუნდით, რომ ომით ვერაფერს გავხდებით და დიალოგის გარდა, სხვა რა გზა დაგვრჩა?! თუ სხვა გამოსავალიც არსებობს, ჩვენც გაგვაგებინოს ხელისუფლებამ. მე ის ვიცი, რომ უკიდურესი გაჭირვების დროს გვერდით არც ევროპა დაგვიდგა და არც — ამერიკა. რუსეთი კიდევ რომ გავაღიზიანოთ და საპასუხოდ ისევ თავს დაგვესხას, ევროპის ან ამერიკის შეშფოთება და ჰუმანიტარული დახმარება გვიშველის რამეს? მესმის, ცუდი მოსასმენია, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ — კაცი რომ მოგერევა, გაგლახავს და გეტყვის: ან ხელ-ფეხს მოგაჭრი, ან მარტო ხელებსო, საღად თუ აზროვნებ, ხომ სთხოვ, ფეხები მაინც დაგიტოვოს?..

ოთია იოსელიანი, *მწერალი:*

— გვინდა თუ არა, რუსეთთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ და დიალოგი დავიწყოთ. ხომ გაგიგიათ, — „დათვი რომ მოგერევა, ბაბა უნდა დაუძახოო“. ახლა ქართველებს სხვა გზა არა გვაქვს, რუსეთს ბაბა უნდა დავუძახოთ, მაგრამ მამად არ უნდა მოვიხსენიოთ.

ლაშა გულაძე, *მწერალი:*

— დღევანდელი რუსეთის ხელისუფლებასთან დიალოგის გამართვა შეუძლებელია! 1783 წლიდან მოყოლებული დღემდე, რაც მეტი დავთმეთ, მით მეტი დავკარგეთ. რუსი ბუნებით მტაცებელი და დამპყრობელია. დღეს პუტინი ღიად აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა მისთვის პრობლემაა და საქართველოს დამოუკიდებლობასაც ვერ ეგუება. ამ კაცმა, მედვედევთან ერთად, 2 წლის წინ თავზე დაგვაყარა ბომბები, დაგვიხოცა ხალხი და აღიარა ოსი და აფხაზი სეპარატისტების დამოუკიდებლობა. აბა, ასეთ ადამიანებთან დიალოგი რა შედეგს მოგვიტანს?!.

ირმა სოხაძე, *მომღერალი:*

— არ ვიცი, რუსეთთან ურთიერთობა როგორ უნდა დავარეგულიროთ, იმას კი ვხვდები, რომ ომით ვერაფერს გავხდებით, დანარჩენზე პოლიტიკოსებმა იფიქრონ...

ირაკლი წერეთელი, *პოლიტიკოსი:*

— კატეგორიულად გამორიცხულია და ყოვლად შეუძლებელია რუსეთთან დიალოგის გზით პრობლემების მოგვარება. ქართველებმა უფრო აქტიურად უნდა დავიწყოთ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ შეურიგებელი (ოღონდ მშვიდობიანი, შეუიარაღებელი, პოლიტიკური და დიპლომატიური) ბრძოლა და ნატოს წევრ ქვეყნებთან სამხედრო, სტრატეგიულ და პოლიტიკურ მოკავშირეობაზე ვიფიქროთ. მოსკოვში მორბენალი პოლი-

საძინებელი: 1950 ლარი

დივან-საწოლი: 560 ლარი

ტყავის სამეული: 2200 ლარი

ENZA-ს მატრასები: 175 ლარი

www.classica.com.ge

ალ. ყაზბეგის გამზ.14ბ
ვაჟა-ფშაველას გამზ. 25

38 88 11
37 11 11

ტიკოსები მოღალატეები არიან. სამწუხაროდ, ღირსეული და მებრძოლი ქართველი გმირების პარალელურად, ყოველთვის გვყავდნენ მოღალატეები და გამყიდველები.

რამაზ საყვარელიძე, *პოლიტოლოგი:*

— ჩემი აზრით, რუსეთის პრეტენზიებისა და პირობების მოსასმენად პირდაპირი დიალოგი აუცილებელია. საქართველოს ხელისუფლების ვერსიაა, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა დასავლეთის ზეწოლით მოგვარდეს. ამ დროს კი, საფრანგეთის მაგალითზე დავინახეთ, რომ ევროპას რუსეთის პარტნიორულ ურთიერთობებში შეთრევა სურს და არანაირ ზეწოლას არ აპირებს. სხვა გზა არა გვაქვს, ახლა აუცილებელია რაიმე ისეთი გეგმის შემუშავება, რომელიც ქართველ პოლიტიკოსებს საშუალებას მისცემს, რუსეთის პრეტენზიები და პირობები გაიგოს. ვფიქრობ, ეს გზა ურთიერთობის დარეგულირებასა და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების მოგვარებას შეუწყობს ხელს.

ოპოზიციის მოსკოვში ვოიაჟები ღალატად არ უნდა შეფასდეს; თუ ბურჯანაძის მიერ კრემლთან მწვავე დისკუსიებს გავიხსენებთ, მას რუსეთის ჯარისკაცად აღარ წარმოვიდგენთ.

რამაზ გურგენიძე, *ექიმი:*

— რუსეთთან დიალოგს აზრი არა აქვს, რადგანაც ამ ქვეყნის ხელისუფლებაში დღეს მკვლელების კასტაა მოსული. კრემლის სტრატეგიული ამოცანა საქართველოს დაშლა და განადგურებაა. პუტინი ნამდვილი მკვლელია, ამ კაცს ქართველი ხალხის სიძულვილი სახეზე აწერია. ქართველ პოლიტიკოსებს იმიტომ ხვდება, რომ მსოფლიო საზოგადოებას დაანახვოს, როგორი „ჰუმანურია“ და როგორ უნდა საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენა. ნინო ბურჯანაძე მისი აგენტია და მოსკოვშიც მისი ბრძანებით ჩავიდა. ეს ქალბატონი იმის ღირსია, რომ აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების მშობლებმა კომბლებით გალახონ. ბოლო დროს, ქართველები ძალიან ხშირად ამბობენ, — რუსეთი ძლიერია და ჩვენ ამ ქვეყანასთან ვერაფერს გავხდებითო. ეს ხალხი რუსულ პრესას არ კითხულობს... 25 წელია, ყველაფერს ვკითხულობ, რაც რუსულ და ქართულ ენაზე იწერება. რუსეთი დასაქცევად განწირული, გამოფიტული ქვეყანაა და უფსკრულში მიექანება. ზოგიერთი ქართველი იმასაც ამბობს, აგვისტოს ომის დროს ამერიკა არ დაგვეხმარა, ისევ რუსეთმა დაგვინდოო. აგვისტოს ომის დროს მოსკოვმა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა, მეტის უფლება ვაშინგტონმა არ მისცა. ვაშინგტონი რომ არა, რუსეთი დიდი ხნის წინ გადაგვყლაპავდა, ზვიად გამსახურდიას ჩვენც ზედ მიგვაყოლებდა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა 5 წლის წინ აღიარა: საქართველო ორ ნაწილად იყო გაყოფილი — გამსახურდიასა და შევარდნაძის მიერ. ჩვენ ამ ქვეყნის შეერთება ძალიან ძვირად დაგვიჯდა და ამის ფასი ჯერ კიდევ სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენსო. ეს სიგუამაც აღიარა, თანაც — ორჯერ. სასწაული რომ მოხდეს და რუსეთის ჯარი თბილისში შემოვიდეს, ხელში იარაღს ავიღებ და თანამოაზრეებთან ერთად, მოღალატეებს (ბურჯანაძე, ნოღაიდელი...) თავს შევაკლავ. ჩვენ ვიცით, ეგენი ვინც არიან, მაგრამ მათ არ იციან, ჩვენ ვინა ვართ.

თინიკო ვარშალომიძე, *პედაგოგი:*

— არ მსიამოვნებს ამის აღიარება, მაგრამ აგვისტოს ომის დროს გაირკვა, რომ რუსეთთან წინააღმდეგობის უნარი არ შეგვწევს. ეს ქვეყანა მაინც იმას აკეთებს, რაც თავად სურს. აფხაზეთისა და ცხინვალის შემდეგ, ახალგორი და კოდორი წაგვართვა, მერე თუშეთში მიიტაცა მიწები, ახლა კი, როგორც გავიგე, ლარსის მხრიდან აპირებს შემოტევას. რა აზრი აქვს, ცალ-ცალკე, ნაკუწ-ნაკუწ დაგვიპყრობს თუ ერთიანად? ალბათ, ჯობია, დავნებდეთ, ასე ჩვენი შვილების სიცოცხლეს მაინც აღარ ჩავაგდებთ საფრთხეში.

გივი ოჟროვირიძე, *იურისტი:*

— ფაქტია, რუსეთთან დიალოგისა და კომპრომისზე წასვლის გარდა, აღარაფერი დაგვრჩენია. ამას ხელისუფლებაც ხვდება და ამიტომაც აწარმოებს კრემლთან ფარულ გარიგებებს, ოპოზიციონერ ლიდერებს კი (რომლებიც რუსეთთან მოლაპარაკებებს ღიად აწარმოებენ) ხალხის გასაგონად ლანძღავს. თუ ეს ხელისუფლება კრემლთან გარიგებაში არ არის, მაშინ რატომ გახსნა ლარსი? რატომ დაუთმო თუშეთში მიწები? რატომ გადმოსწიეს რაჭაში საზღვარი? რატომ ჩაუგდეს რუს ბიზნესმენებს ჩვენი ენერგობერკეტები?...

მაკა ლაცაბიძე, *ფარმაცევტი:*

— გვინდა თუ არა, მოგვიწევს იმის აღიარება, რომ რუსეთი ძლიერი ქვეყანაა, მას ევროპა და ამერიკაც კი ანგარიშს უწევს. არ მესმის, რატომ უნდა მოვიკლა თავი ნატოში შესვლისთვის, თუ ეს ორგანიზაცია გაჭირვების დროს არ დაგვეხმარება? არც ევროპელობა და არც — ნატოელობა არ გვიშველის, თუ თავზე რუსეთის ბომბები დამაცვივდება.

ირაკლი ცირეკიძე, *დისტრიბუტორი:*

— ჩემი აზრით, რუსეთს არაფერი არ უნდა დავუთმოთ. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ბიჭები დაგვიხოცეს. ადამიანები, რომლებიც რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე ლაპარაკობენ და ამბობენ, — ჩვენს მოძმე ერთან ისევ უნდა ვიმეგობროთო, თავისუფლებისთვის მებრძოლი ბიჭების სულებს რა პასუხებს სცემენ? ნუთუ, მართლა პირადი კეთილდღეობის მოწყობაზეა გადასული მთელი ერი? — ამის დაჯერება არც კი მინდა.

კახა ფანცულაია, *მეწარმე:*

— ისეთი ხელისუფლება რომ გვყავდეს, რომლის ნდობაც შესაძლებელი იქნებოდა, დამიჯერეთ, რუსეთის წინააღმდეგ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებდი, მაგრამ ახლა ჩვენს თავგანწირვას რა აზრი აქვს? თანაც, არც ამერიკა და ევროპა გვიდგას მხარში. ან კიდევ, მე როგორ ვიბრძოლო, როდესაც ჩემი ქვეყნის მთავარსარდალი რუსული თვითმფრინავის დანახვაზე უკანმოუხედავად გარბის?!.

თემურ გაფრინდაშვილი, *ყოფილი სამხედრო:*

— დამიჯერეთ, რუსეთთან ბრძოლას აზრი არა აქვს. ბევრჯერ მიფიქრია ამაზე და ვხვდები, რომ ჩვენს ხელისუფლებას არანაირი სტრატეგია არა აქვს შემუშავებული. სულ გარე ძალების — ხან ამერიკის, ხანაც — ინგლისის იმედზეა. ძალიან გულუბრყვილო უნდა იყო ადამიანი, სხვისი იმედი რომ გქონდეს. ევროპა და ამერიკა, როცა დასჭირდებათ, მაშინვე გაგწირავენ, ჩვენ კი ერთი ციდა სახელმწიფო ვართ და მრავალმილიონიანი რუსეთის წინააღმდეგ რას შევძლებთ?!. ■

ჩვენი საგამომცემლო სახლის სამხედრო-ანალიტიკურმა ჟურნალმა „არსენალმა“ მეასე ნომერი მიითვალა! ამასთან დაკავშირებით, გთავაზობთ მისი რედაქტორების – ირაკლი ალადაშვილისა და გიორგი ჟორჟოლიანის სტატიას და წერილს, რომელშიც საზოგადოების წარმომადგენლები მკითხველს ამ გამოცემაზე საკუთარ შეხედულებებს უზიარებენ

საქართველო-რუსეთის საზღვარი. განწესიდან დასასვენებლად დაბრუნებული ქართველი მესაზღვრეები ფოტოს გადაღებისას ცოტა დაძაბულები იყვნენ. თუმცა, მერე, ორიოდ წუთში, არც ფოტოკამერა ახსოვდათ და არც დაღლილობა... „არსენალის“ მასალების განხილვა ძალიან ხმაურიანი და ემოციური იყო...

100 გასროლა მიზანში!

ომის ქარცეცხლში, ხელისუფლების მაღალი წრეების ზეწოლისა და კარჩაკეტილი არმიის პირობებში შექმნილი „არსენალის“ 100 ნომერი...

მკითხველო, დღეს შენ ჩვენი „არსენალის“ მე-100, საიუბილეო ნომერს კითხულობ. ასი ნომერი თითქოს არცთუ ისე ბევრია, მით უმეტეს, თითქმის ექვსი წლის განმავლობაში, მაგრამ დაგვივიწყეთ, თითოეული ნომერი მართლაც რომ დიდი შრომის ფასად იქმნებოდა.

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის შექმნის იდეა „კვირის პალიტრა-ში“ 1996 წლიდან დაწყებული რუბრიკა „არსენალის“ ბაზაზე დაიბადა.

2004 წლის 26 მაისს „არსენალის“ პირველმა ნომერმა იხილა დღის სინათლე. ჩვენ შემთხვევით არ დაგვიმთხვევია ახალი სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის — ძალიან გვინდოდა, ამ ჟურნალით პატარა წვლილი მაინც შეგვეტანა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში და საზოგადოებაში სამხედრო თემა აქტუალური და საინტერესო გაგვეხადა...

„არსენალის“ პირველი ნომრის 100 ეგზემპლარი ამ სტატიის ავტორმა (რომელიც მაშინ ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე სამხედრო აღლუმის კომენტირებას ახდენდა) რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილ სამხედროებსა და მოქალაქეებს საჩუქრად დაურიგა.

ეს იყო ჩვენი „არსენალის“ ყველაზე გამართლებული პრეზენტაცია, „არსენალის“ მეორე ნომერი კი უკვე ომის ქარცეცხლში იბადებოდა...

2004 წლის ზაფხულში ცხინვალის რეგიონში დაიწყო მორიგი შეიარაღებული დაპირისპირება, რომელიც შეიძლება, ფართომასშტაბიან ომში გადაზრდილიყო, მაგრამ მაშინ საქართველოს პრეზიდენტს ეყო გამჭრიახობა და 19 აგვისტოს ჯარები გამოიყვანა კონფლიქტის ზონიდან...

23 აგვისტოს პრეზიდენტი საკაშვილი თავისი ინიციატივით ამ სტატიის ავტორს შეხვდა. რამდენიმესაათიანი საუბრის დროს, რომელიც არ იყო განკუთვნილი გამოსაქვეყნებლად, ბევრ საინტერესო საკითხზე ვისაუბრეთ, მათ შორის რამდენიმე დღით ადრე შეჩერებულ შეიარაღებულ დაპირისპირებაზეც ცხინვალთან, რომელიც უკვე ნამდვილ ომში გადადიოდა (ჩვენდა სამწუხაროდ, 2004 წლის აგვისტოს მძიმე გამოცდილება არ იქნა გამოყენებული 2008 წლის აგვისტოს, როდესაც მორიგი შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთ-საქართველოს ომში გადაიზარდა).

ამ შეხვედრაზე პრეზიდენტმა უბრძანა თავდაცვის სამინისტროს, რომ სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ ნომრების განსაზღვრული რაოდენობა არმიაში სამხედრო მოსამსახურეებს დარიგებოდა. ეს დიდი დახმარება იყო ჩვენი, ჯერ კიდევ ფეხზე ახალდამდგარი „არსენალისთვის“, მაგრამ ეს მხოლოდ სამი თვე გაგრძელდა.

2004 წლის დამლევიდან თავდაცვის მინისტრის პოსტზე მოსულმა ირაკლი ოქრუაშვილმა პირდაპირ განუცხადა „არსენალს“, — თუ ჟურნალში კრიტიკული მასალების გამოქვეყნება გაგრძელდება, ჩვენ აღარ ვითანამშრომლებთო.

მაშინ „არსენალი“ არჩევანის წინ იდგა: ან შეეწყვიტა დასაბუთებული კრიტიკული სტატიების გამოქვეყნება შეიარაღებულ ძალებზე და გამხდარიყო არაოფიციალურად საუწყებო ჟურნალი და დაეკარგა ის მკითხველები, რომლებიც უკვე მოუთმენლად ელოდნენ ჟურნალის ყოველი მომდევნო ნომრის გამოსვლას, ან გაეგრძელებინა დამოუკიდებელი, მხოლოდ ობიექტურობაზე დაფუძნებული არსებობა.

ბუნებრივია, „არსენალმა“ მეორე გზა აირჩია, რის გამოც თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილისა და გენშტაბის უფროს ნიკოლეიშვილის პირადი მტრები გავხდით. „არსენალის“ ჟურნალისტებისთვის ჩაიკეტა ყველა სამხედრო ნაწილის კარი, რაც მართლაც დიდი დარტყმა გახლდათ, რადგან თუკი სამხედრო თემებზე მომუშავე ჟურნალისტი ოფიციალურად ვერ შევიდა სამხედრო ნაწილში და არ დაუშვეს სამხედრო სწავლებებზე, ჟურნალი და, რა თქმა უნდა, მკითხველიც ბევრს დაკარგავს.

ასე გრძელდებოდა 2007 წლამდე, მაგრამ „არსენალის“ პერსონა ნონ გრატად გამოცხადების მიუხედავად, ჟურნალში მაინც ქვეყნდებოდა ჟურნალისტური გამოძიებები მთელ რიგ დარღვევაზე (განსაკუთრებით შეიარაღების გაზრდილ ფასად და გაუმართავ მდგომარეობაში ყიდვის თაობაზე), რამაც მაშინდელი თავდაცვის მინისტრის მიწოდებით თავად პრეზიდენტიც ნეგატიურად განაწყო „არსენალის“ მიმართ. სულაც არ გვინდა ნიშნის მოგებით ვთქვათ, რომ სწორედ ის საკითხები, რაშიც „არსენალი“ ოქრუ-

აშვილს, ნიკოლეიშვილსა და მის გუნდს აკრიტიკებდა, მთავარი მიზეზი შეიქნა სააკაშვილის მიერ ოქრუაშვილის გუნდის ჩამოშორებისა.

2007 წლიდან „არსენალისთვის“ სამხედრო ნაწილები მეტ-ნაკლებად გაიღო, თუმცა შეზღუდვები კვლავ გრძელდებოდა. ბუნებრივია, თავდაცვის სამინისტროში არ უხაროდათ ჩვენი კრიტიკული დამოკიდებულება ქართული არმიის ბრძოლისუნარიანობისადმი. როდესაც გვიმტკიცებდნენ, ნახეთ, რა ლამაზი სამხედრო აღლუმი ჩავატარეთ, რით ხართ უკმაყოფილოო, ვპასუხობდით, რომ აღლუმსა და რეალურ ბრძოლას შორის უდიდესი განსხვავებაა და პიარარმიის შექმნა მხოლოდ და მხოლოდ თავის მოტყუებაა.

სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ომმა დაადასტურა „არსენალის“ შიში — სულ რაღაც ოთხდღიან ომში გამოჩნდა ქართული არმიის ყველა ის დამალული პრობლემა, რომელიც აღლუმებზე არ ჩანდა, პირველ რიგში კი მართვის უსუსტესი ორგანიზაცია, აუწყობელი კავშირგაბმულობა, დაზვერვის არარსებობა და ყველა დონის მეთაურის მომზადების ძალიან დაბალი დონე.

მარტო ტანკებისა თუ სხვა შეიარაღების შესყიდვით ზემოთ ჩამოთვლილ ძირითად პრობლემებს ვერ გადავწყვეტდით, მით უმეტეს, რომ ამ საბრძოლო ტექნიკის შესაძლებლობების უდიდესი ნაწილი არმიამ უცოდინარობის გამო ვერ გამოიყენა, ზოგჯერ კი გაბერილ ფასად ნაყიდი იარაღი მწყობრიდან გამოსული და არაბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა.

„არსენალმა“ 2008 წლის ომისა და მის შემდგომ პერიოდში მაქსიმალური დაძაბვით იმუშავა. სწორედ ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნდა პირველად ქართული არტილერიისა და ავიაციის მოქმედების დეტალები და სხვა ექსკლუზიური მასალები, რომლებიც მაშინვე გადაბეჭდეს უცხოურმა ჟურნალ-გაზეთებმა და ინტერნეტგამცემებმა.

დღესაც „არსენალის“ ურთიერთობა მთავარ სამხედრო უწყებასთან არ არის მარტივი, თუმცა ანალოგიური პრობლემები სხვა საინფორმაციო საშუალებებსაც ექმნებათ, სახელმწიფოსთან დაახლოებული ტელევიზიების გარდა.

სახელისუფლებო სტრუქტურებში ბევრი ვერ ხვდება, რომ „არსენალი“ საქართველოში ერთადერთი სპეციალიზებული სამხედრო ჟურნალია და მასში კაპრალმაც და ოფიცერმაც შეიძლება ამოიკითხოს ის ინფორმაცია, რომელსაც დღეს არც თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ასწავლიან და სამწუხაროდ, არც მათმა მეთაურებმა იციან...

რედაქციამ ძალიან კარგად იცის, რომ „არსენალი“ უნიკალური არ არის, ჩვენც მოგვდის შეცდომები და, ალბათ, მომავალშიც მოგვივა, მაგრამ ფაქტია, რომ უფრო ვიხვეწებით და მეტად პროფესიონალური ვხდებით. მათ კი, ვინც ობიექტურად (ზოგჯერ კი სუბიექტურად და დაუსაბუთებლად) გვაკრიტიკებს, კიდევ ერთხელ შევთავაზებთ: ითანამშრომლეთ „არსენალთან“, მობრძანდით რედაქციაში, გამოგვიგზავნეთ სტატიები, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები.

რაც უფრო მეტი ავტორი გამოჩნდება „არსენალის“ ფურცლებზე, მით მოიგებს მკითხველი, რადგან ჩვენ, ყველანი, საერთო საქმეს გავაკეთებთ: საქართველოში საბრძოლო სულისკვეთებისა და სამხედრო ცოდნის დონეს ავამაღლებთ, რაც ნამდვილად დიდი მამულიშვილური საქმეა!

რედაქტორები:
ირაკლი ალადაშვილი
გიორგი ჟორჟოლიანი

„თავიდან პესიმისტურად ვიყავი განწყობილი... მალევე დაიხურება-მეთქი“

მეექვსე წელია, ჟურნალი „არსენალი“ თავის ერთგულ მკითხველს პროფესიონალურ ინფორმაციას აწვდის. საზოგადოების დიდი ნაწილი აღიარებს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ყვითელი პრესის მიმართ დიდი ინტერესია, ჟურნალმა „არსენალმა“ მაინც შეძლო ღირსეული ადგილის დამკვიდრება, რაც ნამდვილად მისასალმებელია. ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, რას ფიქრობენ „არსენალზე“ ჩვენი ერთგული მკითხველები.

ლალი პაპასქირი

ნიკა ლალიაშვილი, *„ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი:* — ვულოცავ „არსენალს“, რომ ასე წარმატებით არომევს თავს მოვალეობას და ბევრ გამოცემასავით იმედი არ გაუცრუებია. ძალიან მნიშვნელოვანია, რა საქმესაც თქვენი ჟურნალი აკეთებს. მით უმეტეს მაშინ, როცა ბეჭდვითი ბაზარი წალეკა არაკომპეტენტურმა ყვითელმა გამოცემებმა...

„არსენალი“ განკუთვნილია სპეციალისტებისთვის, სამხედრო ექსპერტებისა და მათთვის, ვისაც ხარისხიანი და კვალიფიციური მასალების წაკითხვა სიამოვნებს. ამ მხრივ თქვენს ჟურნალს საქართველოს ბაზარზე კონკურენტი არ ჰყავს. კიდევ ერთხელ გილოცავთ მეასე ნომრის გამოცემას, ჟურნალის ყველა თანამშრომელს და მკითხველს ვუსურვებ, თავდაცვის სფეროში არსებული პროფესიული პრობლემა, რაზეც „არსენალში“ მუდმივად იწერება, აღარ არსებობდეს.

ანდრო ბარნოვი, *პოლიტიკური ექსპერტი:* — „არსენალი“ ქართულ ბეჭდვით ბაზარზე ყველაზე მაღალპროფესიული და კვალიფიციური ჟურნალია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი გამოსვლის დღიდან ყველა ნომერი წაკითხული მაქვს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს თავდაცვის სისტემაში არსებული ხარვეზები ან პროგრესი არ გამომრჩეს, არამედ უცხოეთის ქვეყნის სამხედრო პრობლემებსა და სიახლეებსაც სიამოვნებით ვეცნობი... ნამდვილად საჭირო და სასარგებლო ჟურნალია არა მხოლოდ სპეციალისტებისთვის, არამედ საზოგადოების იმ ნაწილისთვისაც, ვისაც სამოქალაქო და სამხედრო თავდაცვა აინტერესებს. კარგი იქნება, თუ „არსენალს“ ის ახალგაზრდები წაიკითხავენ, ვისაც კარიერის სამხედრო ხაზით გაგრძელება აქვს გადაწყვეტილი.

ნოდარ ნათაძე, *პოლიტიკოსი:* — ამ ჟურნალის აქტიური მკითხველი ვარ. კარგია, რომ ქვეყანაში არსებობს ერთადერთი, მაგრამ მაინც პროფესიონალური ჟურნალი, რომელიც არსებულ სამხედრო ვითარებას რეალურად აღწერს და აანალიზებს კიდეც. არ ვიცი, ამ სიტყვებს ამოიღებთ თუ დატოვებთ, მაგრამ კარგი იქნება, თუ ჩემს უფლებებს დაიცავთ და არაფერს ამოაკლებთ: თავდაცვის უწყებაში და საზოგადოდ, ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობაში მყოფი მაღალჩინოსნები „არსენალის“ აქტიური მკითხველები რომ ყოფილიყვნენ, რუსეთთან ომს სამარცხვინოდ არ წავაგებდით. ვიღაც მაინც ეტყოდა ან ურჩევდა თავდაცვის მინისტრს, ეს

გადაწყვეტილება არ მიიღო, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვსო... რაც შეეხება იმას, თუ რას ვურჩევდი თქვენს ჟურნალს, მე, როგორც ამ ჟურნალის აქტიურ მკითხველს, მაინტერესებს, სეპარატისტულ რეჟიმებს რა შეიარაღება ჰქონდათ ომამდე და ომის დროს და რა ვითარებაა ამჟამად, რომელი დასახელებისა და რა რაოდენობის ტექნიკას აწვდის რუსეთი მათ ე.წ. სამხედრო წვრთნების დროს და რა დონის სამხედრო პირები მონაწილეობენ რუსულ-აფხაზურ სწავლებებში. ასე რომ, ამ მასალებს ინტერესით ვეცნობი, მაგრამ სასურველია, უფრო მეტი ინფორმაცია გვქონდეს. ეს საქართველოს უახლეს ისტორიაში მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნება, რომელსაც დასკვნის სახით საერთაშორისო სამხედრო ორგანიზაციებს მიაწვდიან.

ალეკო ელისაშვილი, *ჟურნალისტი:* — იმდენად მიყვარს ეს ჟურნალი, რომ ერთხანს დიდი სიამოვნებით ვთანამშრომლობდი მასთან. მიმაჩნია, რომ საქართველოში №1 ჟურნალია. პირველი ნომრიდან ბოლო ნომრის ჩათვლით ყველა მაქვს და მე და ჩემი შვილები ინტერესით ვკითხულობთ და ვინახავთ...

— თავიდან რატომ დაინტერესდით ამ ჟურნალით?

— საქმე ის არის, რომ ბავშვობიდან სამხედრო ოფიცრობაზე ვოცნებობდი. მართალია, ოცნება ვერ ავისრულე, მაგრამ გულის სიღრმეში ახლაც ოფიცერი ვარ და იმ ცოდნას, რის მიღებასაც ვოცნებობდი, ამ ჟურნალის საშუალებით თეორიულად ვიღებ... რაც შეეხება ჩემს აზრს იმ საქმეზე, რომელიც ძალიან მიყვარს, მაქსიმალურს ვითხოვ, საკუთარი თავის მიმართაც ძალიან კრიტიკული ვარ და „არსენალისგანაც“ უფრო მეტს ვითხოვ.

— მაინც რომელი რუბრიკის ხილვას ისურვებდით?

— ალბათ, უფრო სიღრმისეული ანალიზი არ აწყენდა როგორც საქართველოს თავდაცვის სფეროში, ისე მსოფლიო სტანდარტების დონეზე... ასევე ვისურვებდი უფრო მეტი ავტორი ჰყავდეს, გნებავთ, უცხოელი, რომელიც საქართველოს თავდაცვის სისტემის მანკიერებებზე კვალიფიციურად და დეტალურად ისაუბრებს. მართალია, ეს რუბრიკა არის „არსენალში“, მაგრამ გამოცდილი უცხოელის თვალით დანახული პრობლემა უფრო საინტერესო იქნება. აღიარებული და გამოცდილი ქართველი სამხედრო ექსპერტების აზრსაც სიამოვნებით გავეცნობი, თუმცა ასეთები ძალიან ცოტა გვყავს. გამოდის, მაინც კრიტიკაზე მალაპარაკებთ, არადა, მართლა ძალიან მიყვარს ეს ჟურნალი. ამ გაუფასურებულ ყვითელ პრესაში „არსენალს“ კონკურენტი არ ჰყავს. შეიძლება სამხედრო თემით დაინტერესებული ადამიანის კვალობაზე ცოტა სახალისოდაც კი იკითხებოდეს, მაგრამ მაინც უნდა ვაღიარო, ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას ბავშვივით ველოდები. ყოველ თვეში ორჯერ, პარასკეობით, ჩემს სახლში რომ მოხვიდეთ, ასეთი სცენა დაგვხდებათ: მე და ჩემი მეგობრები „არსენალის“ ახალ ნომერს მიმოვიხილავთ, მის ფურცლებზე წარმოდგენილ ახალ იარაღს დავახასიათებთ, შევაფასებთ და მერე მიდის მსჯელობა...

დავით საგანელიძე, *„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:*

— მიუხედავად იმისა, რომ იარაღის მოყვარული არა ვარ, მაინც სიამოვნებით ვკითხულობ „არსენალს“, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სისტემის შესახებ სანდო ინფორმაციას ვეცნობი. ეს მხოლოდ პოლიტიკოსისთვის კი არა, ნებისმიერი ადამიანისთვის სასარგებლო ინფორმაციაა. დასამალი არავისთვის არის, რომ ტელევიზიებში ერთს ამბობენ და მეორე ხდება, აქ კი ვიცი, რომ ჟურნალ „არსენალის“ ავტორები ზღაპრებს არ მომიყვებიან. კარგი იქნებოდა, ამ ჟურნალის პროფესიონალიზმს სხვა გამოცემის ავტორებიც მიჰბაძავდნენ. წარმატებასა და ბევრ მკითხველს გისურვებთ.

თენგო გოგოტიშვილი, *ჟურნალისტი:* — დიდი მადლობა მათ, ვინც ამ საქმეს აკეთებს. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა კიდევაც, რომ ასეთი მიმართულების ჟურნალმა პოპულარობა მოიპოვა, არ მეგონა, თუ საქართველოში ამდენ ადამიანს აინტერესებდა ეს თემა. თავდაპირველად საკმაოდ პესიმისტურად ვიყავი განწყობილი და ვშიშობდი, მალევე დაიხურება-მეთქი. გამიხარდა, რომ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა... ვიზიარებ „არსენალის“ რედაქტორების გასაჭირს ავტორების სიმცირის გამო, რადგან ამ პრობლემას მეც კარგად ვიცნობ — თავდაცვის სფეროში ექსპერტები არ გვყავს, ამ საქმისა არავინ არაფერი იცის. რამდენიმე კაცი კი ერკვევა ამ საკითხში, მაგრამ ისეთი სამსახური აქვთ, ჟურნალთან თანამშრომლობისთვის დრო არ რჩებათ. ამიტომ ამ პირობებში ასეთი ჟურნალის გამოცემა თვეში ორჯერ მართლა დიდი საქმეა.

— რომელი რუბრიკის დამატებას ისურვებდით?

— ჩემი აზრით, „არსენალს“ არაფერი აკლია... ხშირად მამაკაცურ ჟურნალებში ბანალურ დანამატებს აკეთებენ და ქალების ფოტოებს დებენ, საბედნიეროდ, „არსენალი“ ამ მიმართულებით არ მიდის. ამ ჟურნალმა თავისი ნიშა იპოვა და ერთგული მკითხველიც ჰყავს. „არსენალი“ პოლიტიკურად აშკარად მიუკერძოებელია. ავტორი ფრთოსანი რაკეტის ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლების შეფასებისას ტენდენციური ვერ იქნება. მით უმეტეს, ინფორმაციულობას ვერ დაუწუნებ, ყველა მასალას, ოპერატიული იქნება თუ ისტორიული, ეტყობა, რომ პროფესიული თვალით არის დამუშავებული, დიდხანს ნაქექი და დეტალურად მოძიებული. სასურველი იქნებოდა, ასეთი კვალიფიციური გამოცემა მეტი არსებობდეს, მაგრამ ეტყობა, საზოგადოება ამისთვის ჯერ არ არის მზად. ჯანმრთელობას, ბევრ ფულს, ბევრ მკითხველსა და ავტორს გისურვებთ.

P.S. ეს პუბლიკაცია წინადღით უკვე გადაცემული მქონდა რედაქციაში, როდესაც სამსახურში მიმავალი, „არსენალის“ კიდევ ერთ მკითხველს გადავაწყდი. ბოლო გაჩერებაზე მდგარ №145 „მარშრუტკის“ მძღოლს მგზავრების მოლოდინში ჟურნალის ერთ-ერთი ნომერი გადაეშალა და ინტერესით კითხულობდა. ახლად ჩაწერილი მასალის გაგრძელების იმედით გამოვეცნაურე და გავიგე, რომ ეს მიკროავტობუსი „არსენალის“ „ფანკლუბის“ თავშეყრის ადგილი და ჟურნალის ნომრების საკმაოდ სოლიდური კოლექციის შესანახავი ადგილი ყოფილა. როგორც გაირკვა, ამ ხაზის თითქმის ყველა მძღოლი „არსენალის“ მკითხველია. ჩემმა მასპინძელმა მრავალჯერ გადაკითხული „არსენალებით“ სავსე „ბარდაჩოკი“-ც მაჩვენა და რედაქციაში გულითადი მოკითხვაც დამაბარა. ■

კაცი, რომელსაც უზომოდ უყვარდა ადამიანები, მზე, სიცოცხლე, ზღვა და... სამშობლო

„რაც თავი მახსოვს, მახსოვს ეს ადამიანიც საოცრად საყვარელი და მზიანი ლექსებით, მერე — წიგნებით. რომ ვკითხულობ, ჩემი ფიქრები მგონია, უფრო დახვეწილი და გალამაზებული... ბევრ მწერალს ვაფასებ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი სულს ასე ღრმად ვერ სწვდება. რაც მთავარია, არ ხუნდება და მისაღებია ნებისმიერ ასაკში ნებისმიერი ადამიანისთვის“, — ეს სიტყვები ინტერნეტში, ნოდარ დუმბაძის ვებგვერდზე ამოვიკითხე, მწერლის შემოქმედებაზე შეყვარებულ ჩემთვის უცნობ ადამიანს — თეოს ეკუთვნის...



საბედნიეროდ, ამქვეყნად წიგნზე, ქართულ მწერლობასა და ნოდარ დუმბაძეზე შეყვარებული კიდევ ბევრი „თეო“ დადის, ბევრი ახლა „ეპარება“, „უშინაურდება“ წიგნს, ზოგიერთი კი ჯერ შორიდან ზვერავს. ნებისმიერ მათგანს კი აუცილებლად წაადგება „პალიტრა L“-ისა და ჟურნალ „გზის“ ახალი პროექტი „ქართული პროზის საგანძური“, რომლის თითო წიგნის ფასი მხოლოდ 3 ლარია და შესაბამისად, ყველასთვის ხელმისაწვდომია.



„ქართული პროზის საგანძურის“ პრეზენტაციაზე

ირმა ხარშილაძე

პირველი წიგნის გამოსვლამ გასულ ხუთშაბათს, ქართველ მწერალთა, კრიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის აღფრთოვანება, ზოგადად საზოგადოებაში კი ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, იმავე დღეს სანთლითაც რომ გეძებნათ, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობების კრებულს ვერსად იპოვიდით.

მას შემდეგ, მედიასახლ „პალიტრაში“ სატელეფონო ზარები არ შეწყვეტილა, შინ თუ გარეთ ერთსა და იმავეს გვეკითხებოდნენ: სად შეეძინათ „საგანძურის“ პირველი ტომი? ეს უკვე პროექტის გამარჯვებაა. „საგანძური“ არც ქრონოლოგიის პრინციპითაა შედგენილი და არც ქართველი მწერლების სიდიადისა და სიმცირის პრინციპით: დაიწყო წიგნთან დამეგობრების მსურველთათვის, ასე ვთქვათ, სახელმძღვანელო ნაწარმოებით, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობით — „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“. ერთი წლის შემდეგ კი თქვენს ოჯახებს ყველა ცნობილი თანამედროვე თუ კლასიკოსი მწერალი „ეწვევა“...

ერთ კვირაში თქვენი წიგნის თაროს კიდევ ერთი უსაყვარლესი მწერლის — ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები შეემატება: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „კუკარაჩა“ და „Hellados“. დღეს ნოდარ დუმბაძეზე გიამბობთ და ამ საოცარი და უნიჭიერესი ადამიანის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდს მისი უმცროსი ქალიშვილის, ქეთინოს მოგონებებით გავაცოცხლებთ.

1928 წლის 14 ივლისს თბილისში, ღირსეულ ქართულ ოჯახში დაბადებულა. 9 წლისა ობლად დარჩენილა: მამა — ვლადიმერ დუმბაძე 1937 წელს დაუხვრეტიათ, დედა — ანა ბახტაძე კი გადაუსახლებიათ. ჯერ ხონში წაუყვანიათ ბებიასთან, შემდეგ სოხუმში — დეიდებთან, ბოლოს კი მეორე ბებია — ოლღა ხინთიბიძე და ბაბუა — ქიშვარდ დუმბაძე ზრდიდნენ სოფელ ხიდისთავში. ჩოხატაურის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დედაქალაქში ჩამოსულა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაუბარებია. რამდენიმე წლის შემდეგ ნანული გუგუნავაზე დაქორწინებულა, მერე კი... მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, ჟურნალ „ცისკარში“, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად, მოგვიანებით კი — 1980 წლიდან გარდაცვალებამდე — მის თავმჯდომარედ... ორი ქალიშვილი დარჩა — მანანა და ქეთინო; ვაჟი — ზაზა გარდაცვლილია... დღეს მისი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები გამრავლდნენ ამ „დუნიაზე“ და სიამაყით ამბობენ, რომ მათ წინაპარს ნოდარ დუმბაძე ერქვა.

„საქართველოში კაცი არ მეგულება, რომელსაც ასეთი მძიმე ბავშვობის შემდეგ ამხელა, უკიდეგანო სიყვარულისა და იუმორის გაცემა შესძლებოდეს. დამეთანხმებით ალბათ, რომ მის იუმორს სამკურნალო თვისება აქვს. დილით, როგორ ცუდ ხასიათზეც უნდა გაიღვიძოს კაცმა, საკმარისია მისი რომელიმე იუმორისტული ფრაზის ამოკითხვა და მთელ დღეს კარგი განწყობილება საგზლად გარანტირებულია... ქედს ვიხრი მისი დაუვიწყარი ხსოვნის წინაშე“, — *ეს სიტყვებიც ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაზე შეყვარებულ კაცს ეკუთვნის. ამ სიყვარულის შემოქმედი კი თავად მწერალი იყო... მწერალი და კაცი, რომელსაც უზომოდ უყვარდა ადამიანები, მზე, სიცოცხლე, ზღვა და... სამშობლო.*

ქეთი დუმბაძე:

— მახსოვს გურიიდან გამოგზავნილი მუყაოს პატარა ყავისფერი ჩემოდანი, რომელშიც ჩალაგებული იყო



საგურამოში

ნოდარის მამიდა დარეჯანი – ქეთო მამიდას პროტოტიპი რომანიდან „მე ვხედავ მზეს“

შემწვარი გოჭი, ტყემალი, გურული კვერები, ორი ბოთლი ადესა და მამის მამიდის, დარეჯანის ან ილარიონის ქალიშვილის, ციალას გამომცხვარი მჭადები. გაიხსნებოდა თუ არა ჩემოდანი, სამზარეულოში გასაოცარი გურული არომატი დატრიალდებოდა ხოლმე. სანამ გურიას ვნახავდი, ჩემთვის ეს ყავისფერი ჩემოდანი იყო გურია. მამა გიუდებოდა ამ ყველაფერზე, მთელი ზენობნის ნოსტალგიას ამ სადილში ინელებდა.

მასთან, თურმე მუდამ მხიარულება იყო. სამეგობროც ასეთივე ჰყოლია — მოლხენისა და ქეიფის მოყვარული.

— დედაჩემის, ნანულის ხრაშუნა „ნაპოლეონი“, ღომი და ნიგვზიანი ხარჩო იყო ჩვენი ოჯახის სავიზიტო ბარათი. მამას ძალიან უყვარდა ნიგვზიანი ხარჩო. დედაჩემი აკეთებდა ისე, როგორც ნამდვილ მეგრელ ქალს შეეფერებოდა. მართალია, მამა ხშირად ქეიფობდა, „გადამთვრალი“ არასდროს მახსოვს. მოვიდოდა ნასვამი, დაგვაგორებდა მე და მანანას ნოხზე და იყო ბალიშებითა და მუთაქებით „ჩხუბი“ — ჭიდაობა, ბღლარძუნი, კივილი და კისკისი. მამას ყოველთვის მხიარულება შემოჰქონდა შინ... მაისში ჩაგვყრიდა ხოლმე მანქანაში და მივდიოდით გულრიფშში... სამი თვით. მამა იქ ძალიან კარგად მუშაობდა. გზად ერთ რიტუალს აუცილებლად ვასრულებდით: ვჩერდებოდით ან „წევაში“, ან „ჭიშურაში“. ოფიციანტები უკვე გველოდებოდნენ: ოოო, ბატონო ნოდარ, მობრძანდით, ბედნიერ მგზავრობას გისურვებთო. წინასწარ იცოდნენ, რომ აუცილებლად იმერულ ხარჩოს შეუკვეთდა... ასე მეორდებოდა ყოველ წელს და ბოლოს დიდი ლურჯი ზღვით სრულდებოდა. იცი, როგორი სახლი გვქონდა გულრიფშში? ყველა, ვინც სოხუმში ჩამოდიოდა, აუცილებლად ჩვენ გვსტუმრობდა. ვინც კელასურში ისვენებდა, უეჭველად შემოგვივლიდა ხოლმე. გაგრისკენ მიმავალნიც ჩვენთან ჩერდებოდნენ ორი ღამით მაინც. პოეტ კარლო კალაძის სახლშიც ასეთივე ხალხმრავლობა და სტუმრიანობა იყო. მამა მას „ძია კარლოს“, ჩვენ კი, როგორც „ბურატინოშია“, — „პაპა კარლოს“ ვეძახდით. მისი შვილი ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო. ჩვენს აგარაკებს შორის აფხაზი პოეტის, ვანო თარბას ოჯახი ცხოვრობდა. მათ ფაცხაშიც მუდამ ცეცხლი ენთო და უგემრიელესი კერძები მზადდებოდა. მამა არაჩვეულებრივად წვავდა მწვადებს. მეც მასწავლა ცეცხლის დანთება და მწვადის შეწვა... ზღვაშიც სათევზაოდ ხშირად გადიოდა. ჩვენს ნავს „აჯიკა“ ერქვა — ბათუმელმა ძმაკაცებმა აჩუქეს. დიდი ნავი იყო, 12 კაცი ეტეოდა... ძალიან მინდოდა, მეც გავყოლოდი მამასა და მის „ბიჭებს“, მაგრამ დედას ვერ ვითანხმებდით. შემდეგ მამა დამპირდა, ზღვაში არა, მაგრამ ცოტა მოიცადე და მდინარე ქეთვანზე ბადის სროლას გასწავლიო... გახსოვთ მამის საბავშვო ლექსი? — „მზეო, დაბრუნდი, დაბრუნდი, ნუ ჩაეშვები ზღვაში, ზღვას ცეცხლი წაეკიდება, ჩემი მამა ზის ნავში, იმას რომ რამე შეემთხვეს, რა მეშველება მაშინ?“ — ეს ჩემზე დაწერა. ასეც ხდებოდა: დილიდან დაღამებამდე ველოდი ზღვის პირას, როდის გამოჩნდებოდა მამის ნავი ჰორიზონტზე. მარტო კი არ ვიყავი — მთელი გულრიფშის სანაპირო — წერეთლები, მერჟანოვები, კარლო კალაძისა და ვანო თარბას ოჯახები მოუთმენლად ელოდნენ „აჯიკის“ დაბრუნებას. „მეთევზეები“ გარუჯულები, დამწვრები ბრუნდებოდნენ შინ და ხელს შორიდანვე გვიქნევდნენ — ყველაფერი კარგად არისო. მათ შორის

დეიდაშვილ კოკა ღვინჯილიასთან ერთად – პროტოტიპი „ჰელადოსიდან“

მამას იოლად ამოვიცნობდი ხოლმე განუყრელი მეზღვაურის მაისურით. ნაპირთან მოაყენებდნენ ხოლმე ნავს, რომლის ფსკერიც სავსე იყო კეფალითა და სტავრიდით. მერე ნაპირზე ყრიდნენ იმ თევზს და მამა სანაპიროზე მყოფ ნაცნობებსა და უცნობებს — ყველას ურიგებდა. მთელმა გულრიფშმა იცოდა, რომ იმ ღამეს დუმბაძეებში ქეიფი იყო და მამა აუცილებლად უხას დაამზადებდა... ერთ მშვენიერ საღამოს კი მამამ გამოაცხადა: ხვალ ქეთვანზე მივდივართო. სიხარულისგან ის ღამე თეთრად გავათენე. უთენია წამოვხტი ფეხზე, მამას სათევზაო მოწყობილობის ჩალაგებაშიც მივეხმარე, მისი მოსკოველი მეგობარი კი გაუთავებლად აჩხაკუნებდა ფოტოაპარატს, მეც ვუცინოდი და ვუცინოდი ობიექტივს. ბოლოს და ბოლოს, მანქანაც გამოჩნდა. ბარგი ჩააწყვეს და... დედამ წამსვლელები რომ გადათვალა, აღმოჩნდა, რომ ჩემი ადგილი აღარ იყო. ლამის გული გამისკდა. დაღონებული დიდ ლოდზე ჩამოვჯექი, ჩაფიქრებული მამაც გვერდით მომიჯდა. მოსკოველმა სტუმარმა — „ოგონიოკის“ ცნობილმა ფოტოკორესპონდენტმა ბალტერმანცმა არ დაახანა და კვლავ ჩააჩხაკუნა აპარატი, თუმცა მისკენ არც გამიხედავს. მაინც ვერ მაწყენინა მამამ და ბოლოს სადღაც, „ბაგაჟნიკში“ ჩამტენეს. ვიწრო დაფოთლილ ხეივანს გავუყევით და ულამაზეს ადგილებში ვიარეთ: ჩანჩქერები, ღრუბლები და მზე ერთმანეთს ენაცვლებოდა... მამისა და მისი მეგობრების, კარლო კალაძის, გიგლა ფირცხალავას, გულდა კალაძის, რეზო ლაღიძის და საერთოდ, იქ მყოფების „თევზაობები“ არაჩვეულებრივი სანახაობა იყო: იქვე ცეცხლს ანთებდნენ, ასუფთავებდნენ წვერასა და ხალებიან კალმახს და მოსახარშად დიდ ქვაბში ყრიდნენ. შემდეგ კი სვამდნენ. ძია რეზო — რეზო ლაღიძე ღვინოს მაგრად სვამდა... მამას ლუდიც ძალიან უყვარდა. თბილისში, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა გოგი თოფაძე, რომელიც მამაზე ბევრად ახალგაზრდა იყო, მაგრამ მაინც მეგობრობდნენ. ერთხელ მამა ეხუმრა: სტუმრად ჩეხი მწერალი მყავდა, ჩვენებური ლუდი დავალევინე და ასე მითხრა: ეტო პივო უჟე კტოტო პილო. ჩაისთან დაკავშირებითაც მახსოვს მისი ხუმრობა: სტუმარი გვყავდა, ქაფქაფა ჩაის სმა უყვარდა. რამდენიმე ჭიქა რომ დალია, მამამ მასზე თქვა, — ამას შარდის ბუშტი რომ გაუსკდეს, ფეხებს დაიმდუღრავსო... ინფარქტების შემდეგ მამას ღვინის სმა აუკრძალეს. მხოლოდ ერთი ჭიქის დალევის უფლება ჰქონდა. რადგან ვეღარ სვამდა, სუფრასთან გაცილებით მეტს საუბრობდა და ათას საინტერესო ამბავს ჰყვებოდა...

გულრიფშსა და საგურამოში საკუთარი ხელით გაუკეთებია ბუხრები. საკმაოდ რთული საქმე ყოფილა, მაგრამ რაღაც წესი სცოდნია. ხელოსანიც დაუხმარებია, მაგრამ ძირითადად, თვითონ აუწყვია.

— საგურამოს ბუხარს მიაჭედა ლურსმნები, რომელზეც ნივრისა და წიწაკის აცმები დაკიდა. ინტერიერიც თვითონ მოაწყო — შამფურები, გურული კვახისგან დამზადებული ხაპი, დოქი და კეცებიც იქვე დაალაგა... შემდეგ იმ გადახურულში მერცხლებმა ბუდე გაიკეთეს და მამამ ჯოხიც მიუჭედა. მერცხლები ბუდიდან რომ გამოვიდოდნენ, იმ ჯოხზე ჩამოსხდებოდნენ ხოლმე. საღამოობით მამაც იქვე იჯდა, ბუხართან „ტელეგრეიკით“ და ელაპარაკებოდა ხოლმე იმ მერცხლებს. ისინიც ჭიკჭიკით პასუხობდნენ რაღაცას. დღეს ჩვენი გულრიფშის სახლი დანგრეულია. ჩემი მოსკოველი მეგობარი ჩადის ხოლმე იქ, ფოტოები გადაუღო ნანგრევებს და გამომიგზავნა. არაფერი აღარ არის, მხოლოდ ორი კედელი და მამას გაკეთებული ბუხარი დგას ეზოში. მარტო ეს კედლები და ჯვარი დარჩა, რომელიც თეთრი აგურით ააგო. ყველაფერი დაინგრა აფხაზეთის ომის დროს, არ დაინგრა ის, რაც მამას ხელითაა გაკეთებული...

ნოდარ დუმბაძე 1984 წლის 14 სექტემბერს გარდაიცვალა და მისსავე დაარსებულ საბავშვო ქალაქ „მზიურში“ დაკრძალეს, 2009 წლის 14 სექტემბერს კი მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

„მე სიყვარულით გარდაცვლილ ადამიანთა აალებული და მოგიზგიზე სული ვარ. ჩემი სიცოცხლე სიყვარულით გარდაცვლილ ადამიანთა სულით საზრდოობს... უკვე რამდენი ხანია, დედამიწაზე სიძულვილით მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე სიყვარულით, დედამიწაზე დაიშრიტა წყარო ჩემი მაცოცხლებელი, დადგა ჟამი ჩემი გარდაცვალებისა. გააცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე როგორმე, თუ შეგიძლიათ და მე აღვსდგები მკვდრეთით. მე გევედრებით თქვენ, ადამიანებს, მე — მზე. დამიბრუნეთ სიცოცხლე ჩემი, დედამიწაზე სიყვარულად აღმოცენებული და მე კვლავ დაგიბრუნდებით თქვენ“ — ნოდარ დუმბაძე.

18 მარტს მკითხველი ამ საოცარი ადამიანისა და შემოქმედის ნაწარმოებთა კრებულს მიიღებს, რომელშიც უდიდესი სიყვარულით ნასაზრდოები ნაწარმოებები — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „კუკარაჩა“ და „Hellados“ შედის. ■

„მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ ბადრი ჩემთვის მეორე მამა იყო“...

ექსკლუზიური ინტერვიუ ბადრი პატარკაციშვილის ძმასთან

კობა პატარკაციშვილს პირველად 7 წლის წინ შემთხვევით, ერთ-ერთ კლუბში შევხვდი, მაშინ ის ამერიკაში სწავლობდა და ზაფხულში თბილისში არდადეგებზე იყო ჩამოსული. მახსოვს, გატაცებით ჰყვებო-და თავის ამერიკულ ცხოვრებაზე; ამაყობდა, რომ ჰყავდა ძმა — ცნობილი ბიზნესმენი — ბადრი პატარკაციშვილი. კობა ახლაც ამაყია იმით, რომ ბადრი პატარკაციშვილის ძმაა, ოღონდ სამწუხარო ის არის, რომ ბატონი ბადრი ცოცხალი აღარ არის და მის მონატრებას ჩემს რესპონდენტს ვერაფერი უცვლის...

ვეცადე, მკითხველისთვის გამეცნო ადამიანი, რომლის შესახებაც საზოგადოებისთის თითქმის არაფერია ცნობილი. ამის ერთადერთი მიზეზი კი ის არის, რომ მას საკუთარი თავის აფიშირება არ უყვარს. სიკეთესაც უჩუმრად აკეთებს.

ლალი ფაცია

— ვარ 24 წლის. ცოტა ხნის წინ ამერიკაში, მარკეტინგისა და საერთა-შორისო ბიზნესის განხრით „ემბიაი“ (ამერიკის მენეჯმენტისა და ბიზნესის ადმინ-ისტრირების ინსტიტუტი) დავამთავრე. ამჟამად კი თბილისში ვცხოვრობ.

— და რა გეგმები გაქვს?

— ჯერჯერობით მკაფიოდ არა მაქვს ჩამოყალიბებული, რას გავაკეთებ, მაგრამ ის ცოდნა, რომელიც ბიზნესის სფეროში მივიღე, მინდა, კარგად გამოვიყენო.

— თვითონ აირჩიე ეს სფერო თუ ვინმე დაგეხმარა?

— ეს დარგი თავიდანვე მიზიდავდა, რად-განაც ჩემს ოჯახს ბიზნესმენობა რამდენიმე თაობაა სისხლში აქვს გამჯდარი. სანამ უშუ-ალოდ ბიზნესსაქმიანობას დავიწყებდი, სურ-ვილი მქონდა, უფრო დასავლური ბიზნე-სის საფუძვლები შემესწავლა, რაც დამეხ-მარებოდა იმაში, რომ ჩემი წვლილი შემეტ-ანა საქართველოში არსებული ბიზნესგარე-მოს დახვეწაში. თუ ეს აქ არ მოხდებოდა, თუნდაც სხვა ქვეყანაში ვყოფილიყავი შესა-ბამისი დონის ბიზნესმენი.

— სკოლა თბილისში გაქვს დამთავრებული?

— დიახ, 24-ე სკოლაში ვსწავლობდი. შემდეგ 7 წელი ამერიკაში ვცხოვრობდი, ბოლო 3 წელი კი კონკრეტულად ნიუ-იორკ-ში ვიყავი.

— მერე როგორია ნიუ-იორკში ცხოვრება ადამიანისთვის, რომელიც თბილისში დაიბადა და გაიზარდა?

— ნიუ-იორკი ძალიან მაგარი ქალაქია, მისი მსგავსი მსოფლიოში მეორე არ არსე-ბობს. მით უმეტეს, ახალგაზრდა ადამიან-ისთვის, რომელიც მომავალს შეჰყურებს და ჯერ საკუთარი ოჯახი არა აქვს. იქ საუკეთე-სო გარემოა იმისთვის, რომ დადებითი ენერგიით დაიმუხტო. ყველაზე დიდი და გამორჩეული ქალაქია, რომელზეც დაუს-რულებლად შემიძლია ვილაპარაკო. ნიუ-იორკს საოცარი ხიბლი აქვს. იქაურობას როცა ეჩვევი, შემდეგ მის გარეშე ცხოვრე-ბა გიჭირს.

— გინდა თქვა, რომ ახლა თბი-ლისში ცხოვრება გიჭირს?

— კი.

— თბილისსაც რომ თავისი ხიბ-ლი აქვს?!

— თბილისს ის ხიბლი, რაც ჩემს ბავშ-ვობაში ჰქონდა, აღარ აქვს...

— კონკრეტულად რას გულისხ-მობ?

— საკითხი ეხება თუნდაც ადამიანების ურთიერთობებს, ქალაქის იერს... თბილისი ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, სრულიად უცხო გახდა. აქ ბევრი არათბილისური ცვ-ლილება მოხდა. მართალია, ბევრი რამ უფრო ლამაზია, ვიდრე მანამდე იყო, მაგრამ როგორც იტყვიან, — ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ხომ იცით, რომ ოქრო არ არის?! მაგალითად, შუშის ნაგებობები, რომლებიც დღეს აქ მასობრივად შენდება, თავისთავად, ცუდი არ არის, მაგრამ ისინი ზოგჯერ ისეთ შეუფერებელ ადგილებზეა გამოჭიმული, რომ არანაირად არ ჯდება გარემოში. თუ ვაშენებთ ასეთ თანამედროვე შენობებს, მაშინ ავი-ღოთ ერთი ადგილი და იქ გავაშენოთ ახალი ქალაქი ან დასახლება (უმეტეს ქვეყანაში ასე ხდება). მიმაჩნია, რომ ცათამბ-ჯენების აგება ძველ თბილისში, ისტორიულ უბნებში არ შეი-ძლება, ელემენტარულად, არ უხდება... მტკივნეული კიდევ ის გახლავთ, რომ ბევრი ნამდვილი თბილისელი აქ აღარ ცხოვრობს. უმრავლესობა ცოცხალიც აღარ არის. ამიტომ, სამწუხაროდ, ახ-ალგაზრდა თაობაში იკარგება თბილისელობის შეგრძნება, ძვე-ლი კულტურა, ურთიერთობებ-ი. ეს კი არც მთლად ამერიკულ-ია, არც დასავლური და აღარც თბილისური. ასე რომ, პირადად ჩემთვის გამორჩეული და უნი-კალური ქალაქი დღესდღეობით, სამწუ-ხაროდ, აღარ არსებობს...

— მოდი, შენს ოჯახზეც მოგვიყევი.

— მამა — შალვა პატარკაციშვილი ცოცხ-ალი აღარ არის. ის 1994 წელს გარდაიცვ-ალა. მე მაშინ 9 წლის ვიყავი. მყავს დედა — ელზა, რომელიც დიასახლისია...

— როგორი ურთიერთობა გქონ-და ძმასთან — ბატონ ბადრისთან? დღეს, როდესაც ის ცოცხალი აღარ არის, რას გრძნობ და განიცდი?..

— უდიდესი ტრაგედია, რაც კი ცხ-ოვრებაში მქონია, ბადრის დაღუპვა გახ-ლდათ. არც მეგონა, თუ შესაძლებელი იყო, ასეთი რამ მომხდარიყო... მამაჩემის გარ-დაცვალების შემდეგ ბადრი ჩემთვის მე-ორე მამა იყო... მას იმდენად გადატვირთული ცხოვრება ჰქონდა, რომ ერთმანეთს ხშირ-ად ვერ ვნახულობდით... ბადრისთვის მნიშ-ვნელოვანი იყო, რომ განათლება მიმეღო — განათლება ხომ ერთადერთი რამაა, რაც შეიძლება, ბავშვს მშობელმა მისცეს, რომელ-საც მას ვერავინ წაართმევს. სხვა დანარჩე-ნი — იგივე ფულიც ხომ წარმავალია?!. ასე რომ, ადამიანს სჭირდება სათანადო გა-ნათლება, ჭკუა და უნარი, რომ ფული თვითონ იშოვოს. ერთ ძველ ამბავს გავიხ-სენებ: საკმაოდ შეძლებული კაცი მთელ თავის ფულს დაუზოგავად ფლანგავდა.

ბადრისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ განათლება მიმეღო

ჰკითხეს, — რატომ არ უფრთხილდები ქონებას, რომელიც შვილებს უნდა დაუტოვოო? მან მიუგო: თუ ჩემს შვილებს ექნებათ სათანადო ჭკუა, ფულს ისედაც იშოვიან და თუ — არა, მაშინ ისინი ამ ფულს ჩემზე სწრაფად გაფლანგავენ, რადგანაც ის მათი ნაშოვნი არ არისო...

— მოკლედ, დაგეხმარა, ხომ, ბატონი ბადრი განათლების მიღებაში და იმაში, რომ პროფესიული არჩევანი სწორად გაგეკეთებინა?

— რომელ ფაკულტეტზე ვისწავლიდი ან რა სპეციალობას ავირჩევდი, მისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მიაჩნდა, რომ ადამიანს რაც შეუძლია, ის უნდა აკეთოს.

— მასზე ბევრად უმცროსი იყავი. თუ გაძლევდა შენიშვნებს, თუ გეუბნებოდა საყვედურებს?

— ასეთი შემთხვევა არ მახსოვს. ალბათ მეც არ ვიძლეოდი საბაბს, რომ მისგან შენიშვნა დამემსახურებინა...

— რამდენად ჰგავხარ შენს ძმას?

— ხშირად მამსგავსებენ, რაც არც არის გასაკვირი...

— თუ ხარ მსაავით მიზანსწრაფული, შრომისმოყვარე, ქველმოქმედი?

— კი, ჩემშიც არის ეს თვისებები. ამასთანავე, ძალიან გამძაფრებული მაქვს სამართლიანობის განცდა. გული მტკივა, როდესაც უსამართლობას ვეჯახები, რასაც სამწუხაროდ, ადამიანი ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდება... სიმართლისათვის ბრძოლა, როგორც ვიცი, მამაჩემის დამახასიათებელი თვისებაც იყო. ამიტომ, ჩვენი გვარისთვის ძნელია იმის გაკეთება, რაც არ გვიყვარს, რაც ჩვენს ხასიათს, პრინციპებს ეწინააღმდეგება... ბევრი რამ არის, რასაც ვერ გადააბიჯებ, უპირველესად კი — ღირსებას! ღირსება არ იყიდება! ჩემთვის უღირსი ცხოვრება მიუღებელია. იმიტომ არა, რომ პატარკაციშვილი ვარ. არა, ეს ჩემი ცხოვრებისეული პოზიციაა! ჩვენს ოჯახში ყველას ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა და აქვს...

— კობა, დღეს მის მონატრებას რაიმე თუ ავსებს?

— არაფერი...

— საუბრისას რამდენჯერმე ახსენე ოჯახი. როგორი ურთიერთობა გაქვს შენს დებთან, ქალბატონებთან — მზია და ნანა პატარკაციშვილებთან?

— ჩემს დებთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს. ისინი ძალიან მიყვარს და ჩვენ ერთმანეთისთვის ვცხოვრობთ, ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტად ვასიამოვნოთ, ყურადღება, სიყვარული და სითბო არ მოვაკლოთ ერთმანეთს.

— არ გიფიქრია იმაზე, რომ პოლიტიკაში მოსინჯო ძალები?

— ჯერ ძალიან ადრეა ჩემთვის ამაზე ფიქრიც კი და არც მაქვს ამის სურვილი. ამ ეტაპზე, ბევრი, უფრო სასიამოვნო რამ მაქვს საკეთებელი, ვიდრე ამ ასაკში პოლიტიკაში ჩართვაა...

— მომავალშიც არ შეიძლება, რომ ეს მოხდეს?

— იცით, როგორ არის? არასდროს ვგეგმავ მომდევნო დღესაც კი და ამიტომ, ჩემთვის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია...

— მოგვიყევი, როგორ ცხოვრობ, დროს ძირითადად რას უთმობ?

— სტუდენტობისას სრულიად სხვა გრაფიკი, ცხოვრების წესი და სტილი მქონდა. ბევრ დროს სწავლას, ლექციებს, გამოცდებს ვუთმობდი... ახლა ერთნაირი ცხოვრების რიტმი არა მაქვს: არის პერიოდები, როცა მიჩნდება სურვილი, ვიყო სპორტული ცხოვრებით დაკავებული. ხანდახან თავს მოდუნებისა და მოშვების უფლებას ვაძლევ და ვერთობი... ხან ბევრ დროს თვითგანათლებას ვუთმობ, ვკითხულობ...

— ამერიკაში დამოუკიდებლად ცხოვრება არ გიჭირდა?

— 17 წლიდან დამოუკიდებლად ვცხოვრობდი. მიმაჩნია, რომ ეს პერიოდი ჩემთვის ძალიან სასარგებლო იყო. ასეთმა ყოფამ ცხოვრების უფრო რეალური აღქმა მასწავლა. როდესაც მუდმივად მშობლების მფარველობის ქვეშ იმყოფები, ბევრ ცხოვრებისეულ ნიუანსს ვერ ამჩნევ... მაგრამ როდესაც გეძლევა საშუალება, ოჯახისგან შორს იცხოვრო, საკუთარ თავზე დამოკიდებული ხდები, მეტი შინაგანი ძალა გეძლევა. შემდეგ, ასეთ ცხოვრებას რომ ეჩვევი, უფრო სხვანაირად უყურებ ყველაფერს, მათ შორის — ადამიანებს, მათ ქცევებს... მეტად ეცნობი ადამიანების ტიპებს; ხშირად, უსამართლობასთან, ტყუილთან, ღალატთან პირისპირ მარტო რჩები და თავს ცდი. მოკლედ, ცხოვრების ცუდ მხარეებს მეტად ხედავ, რაც ბევრ რამეს გასწავლის. ხანდახან ძნელიც ხდება, რომ საერთოდ, ვინმეს ენდო. ხოლო თუ აღმოაჩენ ისეთ ადამიანს, რომელშიც დარწმუნდები, რომ სანდოა, მას ძალიან უნდა გაუფრთხილდე, რადგანაც ეს იშვიათობაა; სამწუხაროდ, დღეს ხომ ყველა და ყველაფერი იყიდება, ოღონდ — თანხას გააჩნია...

— რა მეთოდი გაქვს ამ ყველაფერთან გასამკლავებლად?

— ღალატს ღალატითვე ვერ ვუპასუხებ, რადგანაც ვერ გავხდები ისეთი ადამიანი, როგორიც ჩემთვის მიუღებელია. რაც სხვაში არ მოგწონს, ის თვითონ არ უნდა გააკეთო. მახსოვს, ბადრის ჰქონდა ნათქვამი: „მეგობარმა თუ გიღალატა, ის შენი მეგობარი არც ყოფილა. ესე იგი, შეცდი, როდესაც მას მეგობარი დაარქვი“... რაც უფრო ნაკლებად გაღიზიანდები ამ ყველაფრით, უფრო მოიგებ, რადგანაც ამ ყველაფრის საბოლოო მიზანი ხომ — შენი დამარცხებაა?! თუ დამარცხდი და ეს ყველამ დაინახა, ესე იგი, სხვამ გაიმარჯვა... გულგასატეხია, როდესაც ადამიანი, რომელსაც ახლობლად მიიჩნევ, გიღალატებს, უსამართლობას და უღირსობას ჩაიდენს, მაგრამ სამაგიეროს გადახდა ალბათ იმით შეიძლება, რომ იყო მეტად ძლიერი და ბევრის ამტანი. ისე, არც არავისგან უნდა ელოდე ღირსეულ საქციელს, რადგანაც რაც მეტს მოელი, მეტად გაწბილდები და გული გეტკინება... თუმცა ღმერთი სამაგიეროს ყველას თვითონ უხდის.

— ბევრი მეგობარი გყავს?

— არა... არადა, შემიძლია, რომ მყავდეს ძალიან ბევრი მეგობარი, მაგრამ უბრალოდ, ამის სურვილიც არა მაქვს... ბევრი ცუდი რამ ვნახე, არა მარტო ჩემს თავთან მიმართებაში, არამედ ბადრის შემთხვევაშიც, რაც ჩემთვის უდიდესი მაგალითია. ამის შემდეგ ძნელია, ვინმეს ენდო ამ დედამიწაზე...

— კობა, რა გატაცება გაქვს?

— ვერ ვიტყვი, რომ არ მიყვარს მაგარი მანქანები, კარგი საათები... მაგრამ ეს არ არის ისეთი რამ, რის გარეშეც შეუძლებელია ცხოვრება. ჩემთვის მნიშვნელოვანი — სიკეთის კეთებაა, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. მიყვარს სიკეთის ქმნა და ქველმოქმედება უხმაუროდ, ჩუმად.

— რატომ? არ გინდა, რომ გამეღავნდეს შენი ასეთი საქციელი?

— არ მინდა, რადგანაც ამას არავის დასანახავად არ ვაკეთებ. ისე, არც იმას აქვს მნიშვნელობა, სად და ვის გავუკეთებ სიკეთეს. სულაც, რომელიღაც აფრიკულ ქვეყანაში რომ ჩავიდე და ადამიანებს დავეხმარო, ის უფრო მირჩევნია, რადგანაც იქ არავინ მიცნობს და ვერც გამიცნობს. მიყვარს გახარებული, დამშვიდებული სახეების ხილვა...

— კობა, ამბობ, რომ სამართლიანი ადამიანი ხარ. შენი ძმა უსამართლობას შეეწირა. ამის გამო არ გაგიჩნდა იმედგაცრუება?

— ძალიან დიდი იმედგაცრუება გამიჩნდა... როდესაც ეს საშინელი ამბავი გავიგე, მახსოვს, გავიფიქრე — საერთოდ, რა აზრი აქვს ცხოვრებას? ან როგორ უნდა იცხოვრო კაცმა-მეთქი?! ისეთი ადამიანი, როგორიც ბადრი იყო, უეცრად, 52 წლის ასაკში მოკლეს... გაუგებარი გახდა ყველაფერი...

— ჰოდა, რა იძლევა ასეთ დროს სტიმულს, რომ არ დაეცეს ადამიანი?

— იმის გაცნობიერება, რომ მამაჩემმა, ბადრიმ, ერთი პრინციპებით იცხოვრეს, მე არ მაქვს უფლება, დავნებდე ცხოვრებას და ფარ-ხმალი დავყარო, დავმარცხდე. ამასთან, საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია — უნდა გავაგრძელო ჩვენი ოჯახის საქმეები და ვაქციო ჩვენი გვარი მარადიულად და საამაყოდ...

— შენი ხნის კაცს, ალბათ გიფიქრია იმაზე, თუ რა არის ბედნიერება...

— ბედნიერება არ არსებობს აწმყოში, ის შეიძლება, მხოლოდ წარსულში იყოს. აწმყოში მას ვერ ვგრძნობთ, ვერ ვხედავთ და ვერც ვაფასებთ. მომავალში რა იქნება, არც ის ვიცით. ამიტომ, შეგვიძლია, მხოლოდ წარსულს გადავხედოთ და ვთქვათ, — რა ბედნიერები ვყოფილვართ ამა და ამ დროს!.. ალბათ ბედნიერება ის არის, როცა ხარ ცოცხალი, ჯანმრთელი და შენი საყვარელი ხალხი გვერდით გყავს...

— კობა, მაინც რატომ არ გიცნობს საზოგადოება მაშინ, როცა შენი ოჯახის ყველა წევრი საზოგადოებისთვის, ასე თუ ისე, ცნობილია...

— ამ ქალაქში ბევრი მიცნობს, მაგრამ მართალია — საზოგადოება მასობრივად არ მიცნობს, იმიტომ, რომ 7 წელი საქართველოში არ ვიყავი. აქ იშვიათად ჩამოვდიოდი; მანამდე პატარა ვიყავი. არასდროს ჩავრეულვარ არანაირ საქმეში და არც მიზიდავს საკუთარი თავის აფიშირება...

— დიდი მადლობა ინტერვიუსთვის!

— მადლობა თქვენ!

დაზარალებულმა პროცესზე სკანდალური განცხადება გააკეთა

უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, ცოტნე გამსახურდიამ შიმშილობა შეწყვიტა

თბილისის საქალაქო სასამართლო (მოსამართლე მერაბ ჯორბენაძე) ცოტნე გამსახურდიას ბრალდების საქმეს იხილავს. ცნობილია, რომ ბრალდებული თავს უდანაშაულოდ ახცადებს და პროტესტის ნიშნად, შიმშილობდა. ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად დაუმძიმდა და მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. საბედნიეროდ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ცოტნეს გადაწყვეტილება შეაცვლევინა. პატრიარქმა ცოტნე ციხის სამკურნალო დაწესებულებაში მოინახულა. სწორედ მისი ლოცვა-კურთხევით, 62-ე დღეს გამსახურდიამ შიმშილობა შეწყვიტა. პატრიარქმა მოშიმშილე პატიმარი სეფისკვერით, თაფლით და ხილით სავსე კალათით დაასაჩუქრა. ერის სულიერი მამისგან ნაბოძები ხილი ცოტნე გამსახურდიამ ციხეში მყოფ ავადმყოფ პატიმრებს გაუნაწილა; თვითონ სეფისკვერი მიირთვა და ამჟამად თაფლიან წყალს სვამს...

თეა ხურცილავა

პირველივე სასამართლო სხდომა განსასჯელის განცხადებით დაიწყო. ის მზადაა, საქმის განხილვაში აქტიურად მიიღოს მონაწილეობა და თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს. სასამართლოზე ადვოკატმა გიორგი ქოიავამ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პირების შუამდგომლობები წარადგინა. 12 პირი მზადაა, თავდებად დაუდგეს ცოტნე გამსახურდიას და აღმკვეთი ღონისძიება — პატიმრობა არასაპატიმრო ღონისძიებით შეიცვალოს. მათ შორის, ქორეპისკოპოსი, მიტროპოლიტი თეოდორე ჭუაძეა. ეს შუამდგომლობა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

სასამართლო სხდომებს დაზარალებულად ცნობილი დავით ბაჯელიძე ესწრება. მას მოსამართლემ ფარული ვიდეო-აუდიოჩანაწერის მოსასმენად დრო მისცა. სხდომა 2 საათით გადაიდო. დარბაზში დაბრუნებულმა დაზარალებულმა სკანდალური განცხადება გააკეთა: ბაჯელიძე ამბობს, რომ გამომძიებელი მას დაჭერით ემუქრება. „მასალებს ვეცნობოდი ოთახში, იქ იყო სასამართლოს თანამშრომელიც; ამ დროს ტელეფონზე გამომძიებელმა დამირეკა და დამემუქრა, — იცოდე, თუ არ ამხელ მას, სასამართლოდან ვერ გამოხვალ და სახლში ვერ მიხვალ ან თუ მიხვალ, ჯიბეში ნარკოტიკითო“, — *საჯაროდ განაცხადა დაზარალებულმა. ამის შემდეგ სხდომა გადაიდო, რადგან ბაჯელიძე თავს ცუდად გრძნობდა და აღელვებული იყო. მან მთავარი პროკურორის, მურთაზ ზოდელავას სახელზე უკვე შეიტანა განცხადება: კონკრეტულ პირს — საქმის გამომძიებელ ზურაბ სხირტლაძეს ზეწოლაში ადანაშაულებს და ფაქტზე რეაგირებას ითხოვს. ამ მუქარის შემდეგ ადვოკატის აყვანა გადაწყვიტა. დავით ბაჯელიძე სასამართლო განხილვაში ადვოკატთან ერთად მიიღებს მონაწილეობას. მოწმეებზე ზეწოლაში ადვოკატი ქეთი ბექაური აგრეთვე, ძველი თბილისის პოლიციის მესამე განყოფილების უფროსს, გოგიაშვილსაც ამხელს.*

„ის სისტემატურად იბარებს პოლიციაში მოწმეებს და ემუქრება, არ თქვან პროცესზე ის, რაც მიუთითეს ჩვენი გამოკითხვის დროს. ჩვენ ვითხოვთ, დაცული იყოს მოწმეთა უსაფრთხოება და დაცვის უფლება“, — *აცხადებს ადვოკატი ბექაური.*

როგორც ცნობილია, თბილისის საქალაქო სასამართლოში ცოტნე გამსახურდიას წინააღმდეგ კიდევ ერთი ბრალდების საქმეა, რომელიც სხვა მოსამართლეს აწერია. როგორც წესი, ასეთი საქმეები სასამართლოში ერთიანდება და ერთად იხილება, რაც ცოტნე გამსახურდიას საქმის შემთხვევაში არ მომხდარა. როგორც გაირკვა, საქმის გაერთიანების მოთხოვნა პროკურატურას უნდა დაეყენებინა, მაგრამ პროკურორებმა — მანანა მოსურიშვილმა და ზურაბ კუპატაძემ ასეთი შუამდგომლობა არ დააყენეს, თუ რა მიზეზით — ეს უცნობია. სავარაუდოდ, მომავალში გამსახურდიას კიდევ ერთხელ მოუწევს, წარდგეს სასამართლოს წინაშე. მისი ადვოკატები აცხადებენ, რომ ეს კანონის დარღვევაა და საქმეების გაერთიანება უნდა მომხდარიყო.

4 მარტს გამართული სხდომა კი დეპუტატ ბიძინა გუჯაბიძის დარბაზიდან გაძევებით და სასამართლოს უპატივცემულობისთვის, 200 ლარით მისი დაჯარიმებით დაიწყო. ყველაფერი ბიძინა გუჯაბიძის პროტესტს მოჰყვა. სხდომის მდივნის განმარტებას, — სასამართლო მოდის და ფეხზე ადექითო, — გუჯაბიძემ ასე უპასუხა, — არ ხართ ღირსი, ფეხზე რომ წამოვდგეთო. სწორედ ამ რეპლიკისთვის დაჯარიმეს დეპუტატი. გუჯაბიძე აცხადებს, რომ ჯარიმის გადახდას არ აპირებს.

სასამართლო სხდომაზე ცოტნე გამსახურდიამ დაკავების დღე გაიხსენა. ამბობს, რომ სახლში დაბრუნებულმა ქუჩაში პოლიციის მანქანები რომ დაინახა, იკითხა, რა ხდებოდა? მათგან შეიტყო, რომ მეზობელი დავით ბაჯელიძე იყო დაჭრილი. ძალოვნებს ისიც განუმარტა, რომ მასაც უცხო პირები დაესხნენ თავს და რაღაც საგანი ჩაარტყეს. ამის შემდეგ იგი პოლიციელებმა მანქანაში ჩასვეს, ტელეფონი ჩამოართვეს; მერე სხვა მანქანაში გადასვეს და ვერის სასაფლაოზე წაიყვანეს:

„საზოგადოების წინაშე ვერ გავიმეორებ იმ სიტყვებს, რასაც ისინი მიწოდებდნენ და როგორ მომმართავდნენ, როგორ მამცირებდნენ. „ზონდერბრიგადებმა“ შავი ჯიპით ამიყვანეს ვერის სასაფლაოზე, მეუბნებოდნენ, საფლავს შენი ხელით გაგათხრევინებთ, უნდა აღიარო, რომ ბაჯელიძე შენ დაჭერიო. ამის შემდეგ ისევ უკან წამომიყვანეს და პოლიციის განყოფილებაში მიმიყვანეს. თავიდან სისხლი მდიოდა, სისხლდენა არ შეჩერდა და ამიტომ საავადმყოფოში გადამიყვანეს. ყიფშიძის ცენტრში ჭრილობა დამიმუშავეს და მერე ისევ პოლიციის განყოფილებაში დამაბრუნეს. იქ მოვიდა ჩემი ძმა გიორგი. მოვუყევი, რაც მოხდა, მაგრამ გულგრილად შეხვდა ამ ამბავს. პოლიციაში ვერ ვიტყვი, რომ ცუდად მექცეოდნენ, ვითხოვდი ადვოკატთან შეხვედრას“, — *განაცხადა ცოტნე გამსახურდიამ. მან საუბრის დასრულება ვეღარ შეძლო, რადგან ჯანმრთელობის პრობლემა ისევ შეექმნა — ცუდად გახდა და „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება ითხოვა. ექიმებმა დახმარება აღმოუჩინეს. გაირკვა, რომ არტერიული წნევა მომატებული ჰქონდა, სხდომაზე დაბრუნება ვეღარ მოახერხა და ამ მოტივით, სასამართლო პროცესი რამდენიმე დღით გადაიდო.*

ცოტნე გამსახურდიას 2 ადვოკატი იცავს: ქეთი ბექაური და გიორგი ქოიავა. ბატონი გიორგი უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეა და საზოგადოებას კარგად ახსოვს მისი სკანდალური სასამართლო გადაწყვეტილებები; დარბაზიდან არაერთი პატიმარი გაუთავისუფლებია. ის საქმის განხილვაში სასამართლო ეტაპზე ჩაერთო და ამ საქმის ირგვლივ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

გიორგი ქოიავა, ადვოკატი:

— გვიან ჩავერთვე საქმეში. ქეთი ბექაური საქმისადმი ერთგული ადამიანია. მას ურჩევია ქალბატონი მანანასთვის, საქმეში ჩემი ჩართვა. ეს საქმე იმდენად გახმაურებული იყო და ისეთ დარღვევებზე ამახვილებდა მასმედია ყურადღებას, რომ მაკვირვებდა. ვფიქრობდი, ნუთუ მართლა შეიძლებოდა, ეს სიმართლე ყოფილიყო?.. როცა მასალებს გავეცანი, მართლაც, გაოცებული დავრჩი. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება. დავით ბაჯელიძის სახლი კოლხური კოშკის წინ მდებარეობს. იმის მიუხედავად, რომ ეს ადამიანი საავადმყოფოდან გამოეწერა და სახლში იყო, არავის შეუწუხებია თავი მისი დაკითხვით. ქეთი ბექაურს რამდენიმე შუამდგომლობა აქვს შეტანილი, ბაჯელიძის დაკითხვას ითხოვდა, მაგრამ ამას ვერ მიაღწია. ეს ინერტულობა ჩემთვის გასაოცარია. საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, ბექაურმა თავად გამოჰკითხა დავით ბაჯელიძე; ეს უფლება ადვოკატს მხოლოდ მაშინ აქვს, როცა პირი ჯერ კიდევ დაკითხული არ არის. ბაჯელიძე აცხადებს, რომ იმ დღეს ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. „იტალიური“ სტილის ეზოში ცხოვრობს. მან კარი გაუღო და ამ დროს ესროლა უცნობმა პიროვნებამ. ის აცხადებს, რომ ეს პიროვნება არ იყო ცოტნე გამსახურდია, რადგან მას ბავშვობიდან იცნობს. დანაშაულის დღეს დაკითხულია დაჭრილი ბაჯელიძის ძმა, სწორედ მაშინ, როცა მის ძმას ოპერაცია უტარდებოდა. როგორ წარმოგიდგენიათ — ძმა სიკვდილ-სიცოცხლის პირას იყო და რომ სცოდნოდა, ეს ცოტნე გამსახურდიამ გააკეთა ან ვინ იყო დამნაშავე, ამას არ იტყოდა?! ხომ ამხელდა, რატომ უნდა დაეფარებინა ხელი?! არც მას დაუსახელებია ცოტნე გამსახურდია.

— დაჭრილის ძმაც იმ დროს სახლში იყო?

— სახლში იყო და სროლის ხმაზე გამოვიდა, ძმა დაჭრილი ნახა. დავით ბაჯელიძე ხომ ეტყოდა, ცოტნემ დამჭრაო?! მას გონება არ დაუკარგავს.

— საქმეში მთავარი მტკიცებულება — მოწმე რაისა საიადოვას ჩვენებაა, რასაც თქვენ სადავოდ ხდით; კონკრეტულად, რას ამბობს ის?

— ერთადერთი მოწმე — ხანდაზმული ქალბატონი რაისა საიადოვაა, რომელიც ამხელს ცოტნეს და ამბობს, რომ მან დაინახა, როგორ გამოვიდა ცოტნე კოლხური კოშკიდან, ხელში ეჭირა მოშავომოყავისფრო პისტოლეტი... მაპატიეთ, ძალიან ბევრი მამაკაცი ვერ არჩევს პისტოლეტს რევოლვერისგან, ეს ქალი კი ფერსაც კი ასახელებს. საინტერესოა, როგორ დაინახა ფერი?!. ვთქვათ, პირდაპირ უყურებდა; როგორ გაარჩია ფერი იმ მანძილზე?! თან, ცნობილია, რომ სათვალეს ხმარობს ის ქალბატონი. ასაკსაც აქვს მნიშვნელობა... დაინიშნა ალტერნატიული ექსპერტიზა და მიღებული დასკვნა უკვე სასამართლოს ჩაჰბარდა იმ ქალის მდგომარეობის შესახებ. ის ოფიციალურად, მკურნალობს და აქვს მხედველობის პრობლემა. თან, წარმოუდგენელია, იმ ადგილიდან დაენახა დამნაშავე. ისიც ცნობილია, რომ ამ ქალს უთანხმოება ჰქონდა გამსახურდიებთან. ყველაფერი პროცესზე გამოჩნდება, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ერთს გეტყვით: საქმეში უტყუარი მტკიცებულება არ მოიპოვება. ცოტნე გამსახურდია არც ერთ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. დაკავებას პოლიტიკას უკავშირებს.

— ცნობილია, რომ მასაც ჰქონდა მიღებული დაზიანება; ეს უბრალო დამთხვევაა?

— იმ დღეს ცოტნე თავად იყო დაზარალებული. სასამართლოზე გააკეთა განცხადება, რომ თავში უცნობმა მაშინ ჩაარტყა, როცა სახლში მიდიოდა. მას მართლაც აქვს სხეულის დაზიანება, არ იცის, ეს ვინ გააკეთა. პოლიციელებისგან გაიგო, ბაჯელიძეს რაც შეემთხვა. ამის შემდეგ დააკავეს. ჯერ პოლიციამდე არ იყო მისული, როცა ჯიპში გადასვეს და სასაფლაოს ბოლოში წაიყვანეს. ერთ-ერთს სათვალე ეკეთა, ჩასკვნილი იყო. ემუქრებოდნენ და ითხოვდნენ, დაჭრა ეღიარებინა. ცოტნეს გატეხა ადვილი არ არის — ის ძლიერი პიროვნებაა.

— ცოტნე გამსახურდიას თავდებობა საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა პირებმა ითავეს; ამ დროს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც უკიდურესად მძიმე იყო; როგორ ფიქრობთ — რატომ გეთქვათ უარი ამ შუამდგომლობაზე?

— დიახ, პარლამენტარები, პარტიების ლიდერები, საზოგადოებისთვის ცნობილი, პატივსაცემი პირები უდგებოდნენ თავდებად, მათ შორის — ქორეპისკოპოსი; ეს მთელი საპატრიარქოს პოზიცია იყო. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეს მართლა უჭირს მტკიცებულების თვალსაზრისით, რომ ცოტნე არსად გამქცევი არ არის, კანონმორჩილია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესი იყო და ფატალური შედეგი მართლა იყო მოსალოდნელი, რისგანაც ღმერთმა დაგვიფარა, — სიმართლე გითხრათ, გულის სიღრმეში მჯეროდა, რომ დააკმაყოფილებდნენ შუამდგომლობას. გავოცდი, როცა უარი ითქვა.

— დაზარალებული ზეწოლაზე ლაპარაკობს; მისი ჩვენება მნიშვნელოვანია გამსახურდიასთვის. ბაჯელიძე შეძლებს, ამ ზეწოლას გაუძლოს?

— სხვა მოწმეებზეც ხორციელდება ზეწოლა, ეს ჩვენთვისაც გახდა ცნობილი. ჩვენც მივმართეთ პროკურატურას, მაგრამ არავითარი რეაგირება არ არის. ბაჯელიძემ სიმართლე უნდა თქვას. როგორც ჩანს, პოლიციის უფროსს ფარულად ჰქონდა დამონტაჟებული კამერა, როცა დაზარალებულთან, მის ძმასთან, რაისა საიადოვასთან და ცოტნე გამსახურდიასთან შეხვედრები ჰქონდა და ეს ჩანაწერი საიდუმლო მასალად შეფასდა. ეს ჩანაწერი გამოქვეყნდება პროცესზე. რატომ ჩათვალეს საიდუმლო მტკიცებულებად, უცნობია. ჩვენ ამით მოკლებული ვიყავით მასალების გაცნობას, წინასწარი გამოძიების დროს. საიდუმლო მასალას წარმოადგენს ის, რაც სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავს; რა იყო აქ საიდუმლო, ვერ გამიგია.

— თქვენ მოითხოვეთ საქმეების გაერთიანება, რაც პროკურატურის პრეროგატივაა და ამ მოტივითაც უარი გეთქვათ. რატომ არ სურს პროკურატურას ამ საქმეების გაერთიანება?

— ერთი პირის მიმართ ორი საქმეა სასამართლოში. სხვა საკითხია, არის თუ არა ის დამნაშავე, — რა უდგას წინ ამ საქმეების გაერთიანებას?! არც არაფერი. პირიქით — ასეც უნდა მოხდეს. ამას პროკურატურა, იცით, რატომ არ აკეთებს?.. ეშინიათ, რადგან მტკიცებულებები არა აქვთ, არც ერთ და არც მეორე საქმეში. დაცვის მხარე იმედიანად ვართ, რადგან არ არის მტკიცებულება ცოტნე გამსახურდიას წინააღმდეგ, ამას ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით.

— ცოტნე გამსახურდიას იარაღის შეძენა-ტარებაშიც ედება ბრალი; რა იარაღია ამოღებული?

— მართალია, მას 236 მუხლით აქვს ბრალი წარდგენილი, მაგრამ იარაღი, როგორც ნივთმტკიცება, არ არის აღმოჩენილი. როცა ადამიანს იარაღის ტარება-შენახვაში სდებ ბრალს, ეს იარაღი ექსპერტიზის მიერ უნდა იყოს შესწავლილი და დასკვნა უნდა არსებობდეს — არის თუ არა ის ვარგისი. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ტყვიის გულა და მასრა. ექსპერტმა ვერ დაადგინა, ეს ერთი ვაზნა იყო თუ არა; შეიძლება, სულაც სხვადასხვა ვაზნის შემადგენელი ნაწილები. არ იფიქროთ, ამას რაიმე კავშირი ჰქონდეს ცოტნესთან; ის უბრალოდ, ამოღებულია ბაჯელიძის დაჭრის ადგილიდან. ასეთ ვითარებაში პირის ბრალდება იარაღის შეძენა-შენახვა-ტარებაში აბსოლუტური უაზრობა და ნონსენსია.

— ამჟამად როგორია გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა?

— ცოტნე ძალიან მორწმუნე ადამიანი, უსაზღვროდ განათლებული პიროვნებაა; არის ენათმეცნიერი, ლინგვისტი, ფილოსოფოსი. პატრიარქთან პირადი ნაცნობობაც აკავშირებს. უწმინდესმა შეაწყვეტინა შიმშილობა. სეფისკვერი მიირთვა და გადავიდა თაფლიან წყალზე. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია. შიმშილობიდან გამოსვლა ადვილი არ არის. როგორც ექიმები ამბობენ, ამას ხანგრძლივი დრო სჭირდება. ცოტნე უკიდურეს მდგომარეობაში იყო, პროტესტის ამ ფორმით, თვალსა და ხელს შუა ილეოდა. მას ძლიერი ნებისყოფა აქვს და ამ გამოცდას გაუძლო... ■

სახე

ზურა მანჯავიძის „ჰარი ჰარალეთი“ დაწყებული კარიერა და „ორმაგი დირექტორობა“

ბევრისთვის საყვარელი მომღერალი და ხალისიანი ტელეწამყვანი ზურა მანჯავიძე კარგა ხანია, მაყურებელს ეკრანზე ან კონცერტებზე აღარ უნახავს. ჩვენ მისი ამჟამინდელი საქმიანობით დავინტერესდით და წინა წლების წარმატებულ ეტაპებზეც ვისაუბრეთ.

თამთა დადეშელი

— პატარ-პატარა გამონათებებს თუ არ ჩავთვლით, დიდი ხანია, არ გამიგია, კონცერტები ტარდებოდეს. არჩევნების პერიოდი რომ დაიწყება, ალბათ მერე დაიგეგმება (*იცინის*)...

— როგორ გგონიათ — მიგიწვევენ?

— არა მგონია (*იცინის*). საერთოდ, კარგი იქნება, თუ შემოქმედებითი ცხოვრება გამოცოცხლდება ანუ ის, რასაც ხელოვნება ჰქვია. კორპორაციულ საღამოებზე, ფირმების ღონისძიებებზე, პრეზენტაციებზე ხშირად ვმღერით; მასშტაბურ კონცერტზე ბოლოს როდის ვიმღერე, აღარც მახსოვს, — მგონი, ფილარმონიაში თუ ოპერაში, საქველმოქმედო საღამოზე.

— ახალ სიმღერებზე არ მუშაობთ?

— რაღაც-რაღაცებს ვაკეთებთ. 2-3 სიმღერა ჩავწერეთ. გოგი ცაბაძის ძველი სიმღერა გავაცოცხლეთ. ოპერეტიდანაა: „სიყვარულის ქარიშხალი“ დავარქვით და ტექსტში მცირედი კორექტივებიც შევიტანეთ — კარგი სამხიარულო სიმღერა გამოვიდა... კიდევ, კორპორაციული საღამოებისთვის, უცხოენოვანი ძველი ჰიტების პოპური გავაკეთეთ.

— რომელიმე რადიოს ეთერში თუ შედგა უკვე ამ სიმღერის პრემიერა?

— დიახ, „არ დაიდარდოს“ ეთერში ჟღერს ხოლმე. მიწვეულიც ვიყავი პრეზენტაციაზე.

— როგორც ვიცი, რესტორანშიც მღერით...

— რესტორან „ნაცნობის“ დირექტორი და არტ-მენეჯერი ვარ. თუ კარგ განწყობილებაზე ვარ და კარგი საღამოა, სტუმრებთან ერთად მეც ვმღერი ხოლმე. საერთოდ, იქ ნებისმიერს აქვს საშუალება, გამოვიდეს და თავისი ნიჭი გამოავლინოს, ჰოდა, ხანდახან მეც ვერთვები ამ „მარათონში“ და კარგი საღამოები გამოდის.

— სიმღერებს ვისი რეპერტუარიდან ასრულებთ ხოლმე?

— რადიო „ნაცნობში“ აუღერებულ სიმღერებს ვმღერით ცოცხლად — გიტარის, პიანინოს, სალამურის თანხლებით. კოლორიტული შემსრულებლები გვყვანან — ვისაც ნამდვილი ქალაქური სიმღერა უყვარს, ის ხალხი მოდის. მოკლედ, ძალიან ვხალისობ ხოლმე.

— ღვინის მაღაზიაში რას აკეთებთ?

— გაგეცინებათ და, იქაც დირექტორი ვარ. „ორმაგი“ დირექტორი ვარ (*იცინის*). 2 წელია, რაც აქ ვმუშაობ, რესტორანში კი შარშანდელი ოქტომბრიდან...

— მოკლედ, ძალიან მხიარული და აქტიური ადამიანი ხართ. ბავშვობაში როგორი იყავით?

— როგორც ყველა ბავშვი, ცელქი და მოუსვენარი ვიყავი. ძალიან მიყვარდა სიმღერა და წკრიალა ხმაც მქონდა, რობერტინიოს მეძახდნენ (*იცინის*). დავჯდებოდი სამბორბლიან ველოსიპედზე და „ჰარალი ჰარალალოს“ მთელი ხმით გავკიოდი უბანში და ჩემს სოფელ ლაშეში, საიდანაც წარმოშობით ვარ. ერთი გატეხილი ფანდური მქონდა, სადაც ტკბილეულობას, ჩირს, ჩურჩხელებს, ხილს მიყრიდნენ და ეს იყო ჩემი პირველი „შრომის ანაზღაურება“. ჩემს პროფესიონალურ შემოქმედებას აქედან ჩაეყარა საფუძველი (*იცინის*). ზურიკელასი არ იყოს, „საარტისტოზე“ მინდოდა ჩაბარება. პრინციპში, ნაწილობრივ ამიხდა კიდეც — „საესტრადო თეატრალურში“ ჩავაბარე, მუსიკისა და ინსტრუმენტის განხრით, მეორადი — მსახიობის პროფესია იყო. სამსახიობო ოსტატობის ძალიან კარგი პედაგოგი მყავდა — ლია თევზაძე და ბევრი რამ მასწავლა.

— სპექტაკლებში მონაწილეობდით?

— პატარ-პატარა სპექტაკლები იდგმებოდა და ხშირად, „კოსტაიას“ როლი მქონდა, რაც ყველაზე კარგად გამომდიოდა. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ეგ პერსონაჟი და სულ ვბაძავდი.

— მუსიკალური განხრით თქვენი დებიუტი სად და როდის შედგა?

— ბავშვობაში, ჩემმა ძმამ ოთარ რამიშვილთან მიმიყვანა და გიტარაზე დაკვრასა და სიმღერას ვსწავლობდი. გიტარაზე დაკვრა ჩემით ვისწავლე. შევიდოდი ხოლმე საპირფარეშოში, რომ ოჯახის წევრები და მეზობლები არ შემეწუხებინა, იქ ვხვეწდი ოსტატობას. გიტარით ძალიან გატაცებული ვიყავი. შემდეგ დავმეგობრდით, ბატონი ოთარი ჩვენთან ოჯახშიც ხშირად მოდიოდა. გიტარით პირველი გამოსვლა ჩემს დედულეთში, ზესტაფონში მქონდა, შემდეგ — თერჯოლაში, ოთარ რამიშვილის კონცერტზე; როგორც თავისი მოსწავლე, ისე გამომიყვანა. ჩემთვის ძალიან ამაღელვებელი იყო ის საღამო და ტაშიც დავიმსახურე... მოკლედ, გამათამამეს. შემდეგ, აღმოვჩნდი ანსამბლ „თაიგულში“, რომლის ხელმძღვანელიც მზია ღომინაძე იყო, შემდეგ კი დამოუკიდებლად გავაგრძელეთ საქმიანობა და

გავხდით „ფორტე“. 1995 წლიდან ერთად მოვდივართ.

— როდის მიხვდით, რომ პოპულარული გახდით?

— ავტოგრაფი რომ მთხოვეს და თქვენმა კოლეგებმა ინტერვიუებზე შეთანხმება დამიწყეს, მაშინ მივხვდით, რომ ნელ-ნელა წინ მივიწევდით. ჩვენი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი — გოგი ცაბაძის სიმღერების ფესტივალი იყო, რომელიც საქართველოს მასშტაბით ტარდებოდა და ამ „კრუიზში“ დიდი გამოცდილება შევიძინეთ. პოპულარობამაც არ დააყოვნა. როდესაც პირველი ჰიტი — „ალიონზე გამიღიმა თბილისმა“ — გამოვუშვით (კახა ცაბაძისა და ზურა გოშაძის ერთობლივი ნამუშევარი), პირველი ხმამაღალი განაცხადი იყო პოპულარობის ეკლიან და რთულ გზაზე (*იცინის*). შემდეგ წამოვიდა ქართული კინოფილმებიდან სიმღერებზე შექმნილი „პოპური“, თავისი კლიპით, რომელსაც იმ პერიოდში მართლაც, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. არ დამავიწყდება, მის პრეზენტაციაზე საოცარი სიცილი ისმოდა... შემდეგ იყო გია ჯოხაძის ტექსტზე შექმნილი ლილიკო ნემსაძის სიმღერა „თბილისის მზე“, რომელმაც ასევე დიდი პოპულარობა მოგვიტანა. „არტ-იმედის“ პერიოდში მომზადებული დუეტი დათო გომართელთან, ერთი შეხედვით, საკმაოდ არასერიოზული სიმღერა იყო და უცებ ძალიან პოპულარულად გადაიქცა. ბევრი კარგი მოგონება მაქვს ამ კლიპის

შემდეგ იყო გია ჯოხაძის ტექსტზე შექმნილი ლილიკო ნემსაძის სიმღერა „თბილისის მზე“, რომელმაც ასევე დიდი პოპულარობა მოგვიტანა

გადაღებებთან დაკავშირებით — აქაც და ბაქოშიც.

— თქვენც ფიქრობთ, რომ პოპულარობისთვის მასაზე გათვლილი სიმღერებია საჭირო?

— სამწუხაროდ, ბევრი ეგრეთ წოდებული ვარსკვლავი ასეთი სიმღერების შესრულებაზეა ორიენტირებული, მაგრამ ისეთი ნიშა უნდა დაიჭირო, რომ ერთიც მოახერხო და მეორეც. მსმენელი შენს ჭკუაზე უნდა გადმოიყვანო, კარგი გაგები. იაფფასიანი პოპულარობა მალე მთავრდება. უნდა ეცადო, რაიმე ღირებული შექმნა. ჩვენს სფეროში ძალიან რთულია თან ხარისხიანი პროდუქცია შექმნა, თან პოპულარული გახდე. მგონია, რომ „ფორტემ“ ეს, რაღაც დოზით, მოახერხა.

— როგორ ფიქრობთ — რა არის წარმატების ფორმულა?

— შრომა და ნიჭი ერთად. მაინც გული მწყდება, რომ უფრო პროდუქტიულად ვერ გამოვიყენეთ ის წლები და საშუალებები, რაც „არტ-იმედში“ ყოფნის დროს გვქონდა. კარგი იქნებოდა, უფრო აქტიურად გვემუშავა, კიდევ 3 კლიპს მაინც მოვასწრებდით, მეტად რომ მოგვენდომებინა.

— რამ შეგიშალათ ხელი?

— სიზარმაცემ და დღემდე ვსაყვედურობ ნუცასაც, გოგოებსაც და, რა თქმა უნდა, საკუთარ თავსაც.

— წინა წლებში თუ მუშაობდით პარალელურად სხვაგან?

— მთელი ცხოვრება ყოველთვის ვმუშაობდი: დიდი ოჯახი მაქვს!.. თავიდან, მსახიობობაზე ვოცნებობდი, მაგრამ ჩემი მიზანი პრაგმატულმა აზრმა შეცვალა და ექიმობა გადავწვიტე. მართლა, ზურიკელასავით გამომივიდა, ოლღა ბებია რომ ამბობს — ჩემი შვილიშვილი დოხტური უნდა გამევიდესო (*იცინის*)... სამედიცინოზე ჩაბარებას ვაპირებდი და სტაჟის დასაგროვებლად სანიტრად დავიწყე მუშაობა, თან, ოჯახის დასახმარებლად ორი წელი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გავატარე. მისაღები გამოცდების ჩაბარების დრომ რომ მომიწია, იმ წელს დაამატეს მათემატიკა, რაც წარმოუდგენელი და აუღებელი ბარიერი იყო ჩემთვის, ამიტომ ჩემდა სასიკეთოდ, სხვა მიმართულებით წავედი. შემდეგ, ქამრების კერძო საამქროში ვმუშაობდი, პარალელურად — რკინიგზაში ოსტატად. ამავე დროს ვსწავლობდი, „საესტრადო თეატრალურში“, დავოჯახდი კიდეც და შვილიც შეგვეძინა. ახლა რომ გადავავლებ თვალს ჩემს ცხოვრებას, მიკვირს, ამდენ რამეს როგორ ვახერხებდი, თან, მანქანაც არ მქონდა. 15-16 წლის ასაკში ეროვნულ მოძრაობაშიც ვიყავი ჩაბმული. ასე რომ, ნოემბრის შიმშილობები და 9 აპრილის წინა პერიოდი ჩემს აბიტურიენტობას დაემთხვა...

— ცოლი რა ასაკში მოიყვანეთ?

— 19 წლის ვიყავი. მე და ჩემი მომავალი მეუღლე ერთად ვსწავლობდით. პირველ წელს შეყვარებულები ვიყავით, მომდევნო წელს დავქორწინდით, იმის შემდგომ წელს კი პირველ სექტემბერს ბავშვით მივედით ინსტიტუტში (*იცინის*). ასე პროდუქტიულად ვიღვაწეთ. ამასთან, იმ რთულ პერიოდში, სამოქალაქო ომის დროს — სოლოლაკში ვცხოვრობდით და „ტყვიების წვიმა“ ჩვენს თავზე გადადიოდა.

— მოდი, „იმედის ტალღის“ პერიოდიც გავიხსენოთ...

— კეთილი, გავიხსენოთ. ეს ჩემი ტკბილმწარე მოგონებებია... ამან უკვე ჩემს არაანსამბლურ პოპულარობაზე იმოქმედა: წამყვანად მეძახდნენ ხოლმე საღამოებზე. „იმედის ტალღის“ შემდეგ ბევრად გაიზარდა ჩემდამი ყურადღება. ჩემს თავში წამყვანის მონაცემები აღმოვაჩინე. „იმედში“ საკმაოდ დიდი სკოლა გავიარე და გული მწყდება იმ პერიოდზე — ძალიან საინტერესო და სახალისო დრო იყო; იქ ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი — მსახიობები, მომღერლები, ტელევიზიის თანამშრომლები...

— როგორ ფიქრობთ — წამყვანობამ მეტი წარმატება მოგიტანათ თუ მომღერლობამ?

— ვერ შევადარებ, მაგრამ გამიორმაგა და საკმაოდ მომეხმარა... თუ ადრე როგორც ანსამბლს გვეძახდნენ საღამოებზე, შემდეგ წამყვანობასაც მთხოვდნენ. ასე რომ, ჩემს კარიერაში ყველაზე პროდუქტიული პერიოდები „იმედის ტალღაში“ და „არტ-იმედში“ მუშაობისას მქონდა.

— რა თვისებები უნდა ჰქონდეს კარგ მომღერალს, კარგი წამყვანი რომ გახდეს?

— კარგი მეტყველება უნდა ჰქონდეს, ენაბრგვილი, ბლუ არ უნდა იყოს (*იცინის*). არ უნდა ჰქონდეს კომპლექსები და თავისუფალი, კომუნიკაბელური იყოს, უხერხული სიტუაციებიდან გამოძრომა შეეძლოს, რომელიც მაყურებელთან კონტაქტისას შეიძლება, ძალაუნებურად მოხდეს. სხვათა შორის, თავიდან მეც მქონდა რაღაც კომპლექსები, მაგრამ დავძლიე. დანარჩენი, თავისით მოდის. ხელოვნური არ უნდა იყო, არ უნდა ითამაშო, თორემ მაყურებელი და მსმენელი იმწუთას ხვდება...

— რომელი უფრო საინტერესო და სახალისოა — წამყვანობა თუ მომღერლობა?

— ორივეს განსხვავებული სპეციფიკა აქვს. სიმართლე გითხრათ, წამყვანობისას დასაწყისში უფრო ვნერვიულობ ხოლმე — შინაგანად, რა თქმა უნდა, სხვები ამას ვერ ამჩნევდნენ... მომღერლის ამპლუაში კი უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს: შენს საქმეს აკეთებ... თუმცა მეტ-ნაკლები მღელვარება მაინც ახლავს ამ საქმეს და ეს ბუნებრივიცაა...

— თუ მიაღწიეთ დასახულ მიზნებს, ისე, როგორც თავად გინდოდათ?

— რამდენიმე მიზანს მივაღწიე, მაგრამ 1, 2, 3, 4, 5 კიდევ დამრჩა მისაღწევი (*იცინის*). არის ერთი დიდი მიზანი, მაგრამ ეს ინტერვიუში არ არის სათქმელი... ერთი ჯერჯერობით აუხდენელი ოცნება გვაქვს ანსამბლს — დიდი ხანია, მიუზიკლის გადაღება გვინდა და თუ რამენაირად მოვახერხეთ, ბედნიერები ვიქნებით და ჩავთვლით, რომ ტყუილად არ გვიცხოვრია. ■

„საქმეშამოღლეტილების“ გასართობი, გამოსერიალებულები და გარყვნილების პოპულარიზაცია

თუ ქართულ ტელესივრცეს გადავხედავთ, საეთერო დროის დაახლოებით 60% ტელესერიალებს უკავია, შესაბამისად, ალბათ იშვიათია ადამიანი, რომელიც სერიალს არ უყურებს. თუმცა რესპონდენტებთან საუბრისას, იმასაც მივხვდი, რომ ზოგიერთი სერიალის ყურება სირცხვილადაც მიიჩნევა. თუმცა არსებობენ ისეთებიც, რომლებიც ამ ჟანრის ნებისმიერ ნამუშევარს უყურებენ... რატომ სიამოვნებთ ადამიანებს სხვათა ცხოვრების ჭვრეტა და შეიძლება თუ არა სერიალებიდან რამის სწავლა? ეს კითხვები, სხვადასხვა ასაკის რამდენიმე ადამიანს დავუსვი და მათთან საუბრისას აღმოვაჩინე, რომ ხშირად გადახდენიათ სახალისო თავგადასავალი, რომლებიც ისევ და ისევ სერიალებს უკავშირდება.

ელენე გასილიძე

ლაშა, *22 წლის:*

— სერიალებს არ ვუყურებ-მეთქი, რომ ვთქვა, მოგატყუებ, მაგრამ დედაჩემი რომ იმ „ჩხავანა კატას“ (თუ არც კი ვიცი, რა ერქვა, აღარ მახსოვს იმ სერიალს) უყურებდა, ისეთებს არ ვუყურებ! მსგავსი პრიმიტიული სცენარის სერიალები რატომ მოსწონთ, ვერ ვხვდები. როცა ვიცი, წინასწარ რა მოხდება, ინტერესი მეკარგება და დრო ტყუილად რატომ დავკარგო?!

— შენ რომელ სერიალს უყურებ?

— სერიალს — „შუა ქალაქში“! საქართველოში არ მეგულება ადამიანი, ამ სერიალს არ უყურებდეს! მართლა გემოვნებით გაკეთებული პროექტია და მაყურებელიც ჰყავს. სადარბაზოში დები ღლონტების პროტოტიპებიც მყვანან, ოღონდ „ჩემი“ ღლონტებიდან ორივე გაუთხოვარია (*იცინის*). ახლა დედაჩემზე გიყვებოდი, მაგრამ დედას რას ვერჩი, ჩემი მეზობელი 6 წლის გოგონა ყველა სერიალს უყურებს! სკოლიდან მოვა თუ არა, მაშინვე გაკვეთილებს ამზადებს, რომ მერე სერიალის ყურებისას არ მოცდეს! მათი პერსონაჟების ფრაზებით ლაპარაკობს... მშობლებს იმის პრობლემა კი არა აქვთ, რომ ბავშვი უხარისხო და უგემოვნო ფილმებს უყურებს, რომელიც მის გემოვნებაზე გავლენას ახდენს, — მთავარია, წყნარად იჯდეს! უკვე 2 წელია, რაც ნინუცა სერიალებმა გაიტაცა და ტელევიზორს ვერ „ააგლეჯ“! ბოლო დროს შევნიშნე, რომ გარშემო მყოფებს მხოლოდ სერიალის ფრაზებით ესაუბრება! გუშინ მამამისთან საქმეზე შევედი და, — ნინუც, როგორ ხარ-მეთქი? — მოვიკითხე... ჰოდა, მომიბრუნდა და მეუბნება, — მე ნინუცა კი არა, ესმერალდა მქვია და ნინუცა აღარასოდეს დამიძახოო. ამას, მარტო მე კი არა, მშობლებსა და მასწავლებლებსაც სთხოვს თურმე...

ქეთევანი, *20 წლის:*

— ჩვენს ოჯახში სერიალებზე გადარეული ერთადერთი ადამიანი ცხოვრობს — ბებოს, საყვარელი სერიალის გარეშე სიცოცხლეც კი ვეღარ წარმოუდგენია. ის ნებისმიერი ჟანრის სერიალს უყურებს. არც ერთს არ „მაზავს“, რომელიც ღამის 10 საათამდე გადის. 10 საათზე კი უკვე სძინავს და მაგ დროისთვის მთელი ოჯახი ანხელასა და ხორხეს პრობლემებისგან ვისვენებთ (*იცინის*)! ერთი საპნის ოპერა რომ მთავრდება, მთელი ოჯახი შვებით ამოვისუნთქავთ ხოლმე, — არიქა, ეშველა ვენერას და აღარ დაგვაჭამს თავ-პირს სერიალის დროს ხმამაღალი საუბრისთვის-თქო. თან ამ ტელევიზიებში ახალი, უპრიმიტიულესი სცენარების მქონე სერიალების გაშვებაც რომ არ წყდება?!.

— დიდი ხანია, რაც ბებო სერიალებმა გაიტაცა?

— საკმაოდ დიდი ხანია... ადრე გახსოვს, დენი 6 თვეში ერთხელ რომ „გვენახვებოდა“? ერთხელაც, როდესაც მთელი ოჯახი ჩვეულებისამებრ, ლამპის შუქზე ვისხედით, შუქი მოვიდა. იმ დროს, სრულიად შემთხვევით, ტელევიზორში თვალი ერთ-ერთ სერიალს მოვკარით... მეორე დღეს შუქს სერიალის დაწყებისთვის ვინღა „გამოუშვებდა“?! ამიტომ მამაჩემმა, დედაჩემისა და ბებიის თხოვნით, მანქანიდან აკუმულატორი ამოიღო და მას ტელევიზორი შეუერთა... სიმართლე გითხრა, მაშინ „ველურ გულს“ მეც დიდი სიამოვნებით ვუყურებდი (*იცინის*). იმ დღის შემდეგ, მეზობლებმა რომ გაიგეს, ჩვენთან ტელევიზორის „ჰონტი იჩითებოდა“, მთელი უბანი ჩვენთან იყრიდა თავს. სახლში პატარა „კინოთეატრი“ გვქონდა მოწყობილი. ბებოს სერიალები მას შემდეგ შეუყვარდა და ძროხასაც ზუსტად მათი გავლენით დაარქვა — მონიკა, კატას კი — ხორხე, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ კატა მამალი კი არა, დედალი იყო და ბებომაც სასწრაფოდ გადაარქვა სახელი.

— და რა დაარქვა?

— იზაბელა (*იცინის*)! დღეს შევამჩნიე, რომ ამხელა სახელის დაძახება ეზარება და ხან იზას ეძახის საცოდავ კატას, ხანაც — ბელას. ამას წინათ, ნახირიდან ძროხა სახლში რომ დაბრუნდა, ბებო სერიალში იყო „შემძვრალი“ და ძროხა გომურში მე დავაბი... სერიალის გადამკიდე ბებოს, ძროხა სულ გადაავიწყდა და არც მოუწველია... არადა, დილით ძროხამ 10 ლიტრი რძე მოინწველა და ბებია აღფრთოვანებული უყვებოდა მამას, შუა ზამთარში თუ როგორ სასწაულებრივად მოემატა ძროხას რძე (*იცინის*)!

— ქეთი, შენ არ უყურებ სერიალებს?

— კი, როგორ არა?! სერიალებს — „ექიმი ჰაუსი“ და „შუა ქალაქში“ ვუყურებ, მაგრამ ბებოს საყვარელ სერიალებს იმდენად იდიოტური შინაარსი აქვს, რომ დაინტერესების ნაცვლად — გაგეცინება!

მანანა, *43 წლის:*

— სერიალებს მეც ვუყურებ, თანაც, თითქმის ყველას. მართალია, ამის გამო მე და ჩემს მეუღლეს სახლში ხშირად გვაქვს კონფლიქტი, მაგრამ სიტუაციას როგორღაც ვარეგულირებ და ხან მე გამაქვს ჩემი, ხანაც — ჩემი მეუღლე მაყურებინებს ფეხბურთს...

— ალბათ დიდი ხიბლი აქვს სერიალებს, რაკი თქვენი ყურადღება მიიპყრო...

— ჩემი მეუღლე ამბობს, — სერიალებს იმიტომ უყურებ, რომ მეტი საქმე არ გაქვსო! რადგან დიასახლისი გახლავართ და მთელი დღის განმავლობაში სახლში ვარ, ფიქრობს, რომ დრო სერიალების საშუალებით გამყავს, მაგრამ ასე არაა. ბევრი მეგობარი მყავს, რომელიც მუშაობს და სამსახურიდან დაბრუნებული ინტერესით უყურებს სერიალებს. ასე რომ, ტელესერიალები მხოლოდ უსაქმურების გასართობი არ გახლავთ. საპნის ოპერებში ცხოვრებისეული სცენებია; ყველა სერიალში არის ისეთი რამ, რაც შეიძლება, ნებისმიერი ჩვენგანის ცხოვრებაშიც მოხდეს.

— ანუ შეიძლება, სერიალის გმირების მაგალითზე რაიმე ვისწავლოთ?

— არ ვიცი, გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ მათი მაგალითით შეიძლება ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენა, მაგრამ ხშირად დავუფიქრებივარ მათ მოქმედებებს. სერიალები ადამიანების გამოცნობას გვასწავლის. იოლია სხვის ცხოვრებაში კარგისა და ცუდის გარჩევა, ტელესერიალების მაგალითზე ჭკუასაც სწავლობ.

— კონკრეტულად თქვენ თუ ისწავლეთ რამე?

— კი. ხშირად მეგობრები სერიალის გმირების ქმედებებს ვაანალიზებთ, ვმსჯელობთ მათზე და დასკვნებიც გამოგვაქვს. თან, მოგვწონს ლათინურამერიკული ქვეყნების ცხოვრების სტილი, ლამაზი ამბები და „ჰეფი ენდი“.

— ალბათ გულს უფრო აყოლებთ...

— რა თქმა უნდა! როცა ამ ცხოვრებაზე გამწარებული დაჯდები და უცხო ადამიანის ლამაზ ცხოვრებას უყურებ, მშვიდდები და ფიქრობ, რომ მოვა დრო და შენც ასევე იცხოვრებ... ღმერთმა ქნას, ეს მხოლოდ ოცნება არ იყოს!

ხატია, *19 წლის:*

— სერიალებს ვუყურებ, მაგრამ ყველას — არა. „ექიმი ჰაუსი“ ისე მომწონს, ლამისაა, ტელევიზორში შევძვრე (*იცინის*)... დანარჩენებზე კი რა გითხრა. საპნის ოპერებით იშვიათად ვინტერესდები, რასაც ჩემს ბებია-ბაბუაზე ვერ ვიტყვი... ერთი სერიალი იყო, „განრისხებული ანგელოზი“; არც კი ვიცი, რამდენ ხანს გრძელდებოდა, სცენარი და შინაარსი ხომ საერთოდ სასწაული იყო, მაგრამ ხალხს ის სერიალი უფრო მოსწონს, რომელიც იოლი აღსაქმელი და იდიოტურია... ამას წინათ ჩემს ოთახში ვიყავი, ბაბუას გინების ხმა რომ მომესმა... გავიკვირვე, რა დაემართა, „ასეთები“ არ იცოდა-მეთქი?! ცოტა ხანში ბაბუამ გინება ისევ დაიწყო, რასაც ბებიას წყევლაც დაემატა... ვიფიქრე, აშკარად რაღაც უჭირთ-მეთქი! დასახმარებლად გავვარდი და რას ვხედავ?! ბებია და ბაბუა მისხდომიან ტელევიზორს, საყვარელ სერიალს უყურებენ... იმ საღამოს იმდენი ვიცინე, მუცელი ხელით მეჭირა... ბოლოს გავბედე და ვუთხარი, — ბაბუ, თუ ასეთი ცუდი სერიალია, რას აჭმევინებთ ნერვებს, დაანებეთ თავი, ნუ უყურებთ-მეთქი... ისეთი თვალებით შემომხედა... რას ამბობ, მშვენიერი სერიალია, ერთი ეს დებილი ბიჭია, საკუთარი თავის რომ ვერაფერი გაუგია და რას ჩაჩხერენ ხოლმე საინტერესო მომენტებშიო?!. სიმართლე გითხრა, მე ამ ხალხის ვერაფერი გავიგე (*მხრებს იჩეჩს*)...

ლუკა, *18 წლის:*

— სერიალები ჩემი ერთი ძმაკაცისთვისაა მოგონილი! იცი, როგორ უყვარს?! საღამოს 7 საათიდან სახლში რომ ჩაიკეტება, თუ გოგირდი არ დაუხრჩოლე, გარეთ ცხვირსაც არ გამოყოფს (*იცინის*)! სულ „გამოსერიალდა“ ეგ გამოშტერებული!

— და იცი, რომელ სერიალებს უყურებს?

— ყველას! მისთვის ჟანრს მნიშვნელობა არა აქვს... ამას წინათ მსახიობებზე ვლაპარაკობდით. ჩვენს სამძაკაცოში ანჯელინა მაგარ „ცვეტშია“... ჰოდა, ანჯელინას ღირსებებს მიმოვიხილავდით, ლაშამ რომ წამოაყრანტალა, — ანჯელინა რა ქალია, მაგას დონა ბარბარა სჯობიაო... ჯერ დონა ბარბარაზე ვიცინეთ მაგრად, მერე ჩემს — ძმაკაცზე...

— რატომ? თუ ეგ სერიალი არასოდეს გინახავს, იქნებ მართლა სჯობს ანჯელინას ის მსახიობი?

— არ არსებობს! ანჯელინას რომ სჯობდეს, ბანძ სერიალში არ ითამაშებდა!.. ჰოდა, ლაშას „დონა ბარბარა“ შევარქვით და ისეთ დღეში ვაგდებთ, სისხლს ვუშრობთ (*იცინის*).

— დავიჯერო, არ დაგაინტერესა იმ მსახიობმა, რომელიც ლაშამ ანჯელინას არჩია?

— (*იცინის*) ჰოდა, რომ დამაინტერესა, იმიტომაც მივედი სახლში ერთ დღეს ადრე. ბებიაჩემმა 9 საათზე სახლში რომ დამინახა, პირჯვარი გადაიწერა, მაგრამ სერიალის ყურება რომ დავიწყე, აი, მაშინ კი გადაირია: ვაიმე, ნანული, მგონი, ბავშვი გამოგვიცვალესო! — დედაჩემს ეძახდა (*ხარხარებს*).

— მაგრად კი დაგიშინებია...

— უჰ, კი! ასე ვნახე ბარბარიტა, მაგრამ დამიჯერე, ანჯელინას მართლა არ სჯობია!

„გამოსერიალებული“ ადამიანების ძებნისას, სერიალების მტრებსაც გადავაწყდი. კახეთის ერთ-ერთ სოფელში, გამწარებული შაქრო პაპა აღმოვაჩინე, რომელიც უკვე დიდი ხანია, მეუღლეს ტელევიზორის გადაგდებით ემუქრება, მაგრამ ვერ გაუმეტებია, — მერე „შუა ქალაქში“ სადღა ვუყუროო?! — შემომჩივლა.

შაქრო პაპა, 67 წლის:

— ე ჩემი დედაკაცი, რაც ეს დედააფეთქებული სერიალები შამოიდა, ყურადღებას აღარ მაქცევს, სულ მიმაგდო და მოუწევს იმ ტელევიზორის დატირება, „შიფანერკის“ თავზე რომ ჰყავს „წამოჭიმული“!

— რატომ, შაქრო პაპა, მეუღლის უყურადღებობა ტელევიზორის ბრალია?

— მა ვისი ბრალია?! სახლში მისიკვდილებული რომ დავბრუნდე და ჭიქა წყალი მენატრებოდეს, საჭმელ მინამ არ მაჭმევს, სანამ ი თავისი ბოზების სერიალი არ დამთავრდება. ვხედავ და გამკვირვებია, რამ გადამირია ამ სიბერეში ე დედაკაცი, 24 საათი მტლაშამტლაშს რას შასცქერის?! რამე საინტერესო და სახალისო მაინც იყოს, კაცოოო! ვის რამდენი შვილი ჰყავს, ვინ ვისი საყვარელია, ვინ ვისთან დადის და ვინ ვის შვილ აჩენს, — სანამ ბოლო სერიაი არ უყურებ, მანამდინ ვერ გაარკვევ!

— ვერ დავიჯერებ, რომ რომელიმე სერიალს არ უყურებთ...

— ნუ დაიჯერებ, რა! არა, გატყუებ... „შუა ქალაქში“ ამ პროექტს ვუყურებ. მაზალოები არიან, მაგათ შემოვველე, რა! იგრე, სიმართლეს გაგიმხელ და, ახალგაზრდობაში „კოსტუმას“ მეც მეძახდნენ (*იცინის*)! აი, სანახავი ეგ სერიალია, თორემ დანარჩენები „საქმეშამოღლეტილი“ ხალხისაა, მაგათ საყურებლად დროი როგო დავკარგავ?! უყუროს მარუსამ, სერია არ გამორჩეი — ემანდ, ცინკი მედალი არ დაჰკიდონ! ვაი, მაგის პატრონს!

გურამი, *56 წლის:*

— სერიალებს როგორ არ ვუყურებ, შვილო, მაგრამ ჩვენი სატელევიზიო ეთერი ისეთი სერიალებითაა გადატვირთული, რომ შეხედვაც არ მოგინდება. იშვიათია ისეთი სერიალი, რომელიც რამეს გასწავლის, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ მსგავსი სერიალები ახალგაზრდობაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს... რატომღაც, ახალგაზრდებს ჰგონიათ, რომ რასაც ტელევიზიით ხედავენ, ის დასაშვები და მისაღებია. სამწუხაროდ, ბოლო დროს ნათესაური ქორწინების ფაქტი გახშირდა, რაც ასევე სერიალების ბრალია...

— თუ შეიძლება, სერიალებით რაიმე კარგი ისწავლოს ადამიანმა?

— ასეთი ფაქტი იშვიათია, ეს სერიალები მხოლოდ გარყვნილებასა და ამორალური სიყვარულის პოპულარიზაციას ახდენს. ერის დეგრადირება სწორედ აქედან იწყება, ბოლო დროს უკვე ველარ გაგვირჩევია, რა არის კარგი და რა — ცუდი, ან — უარესი... გინახავთ, რომელიმე სერიალში რომ განათლების პოპულარიზაცია ხდებოდეს? სერიალის ძირითად „ლერძს“ ის ადამიანები წარმოადგენენ, რომელნიც არც განათლებით გამოირჩევიან და არც ჭკუით, მაგრამ სულ უმართლებთ, ჩვენი ახალგაზრდობა ამას რომ უყურებს, როგორ გგონიათ, ცხოვრებაზე ჯანსაღი წარმოდგენა ექმნებათ? მაგრამ თავს იმითღა ვიმშვიდებ, რომ შეგნებული და განათლებული ახალგაზრდა, ამ საზიზღრობას არასოდეს უყურებს... ■

„ჩემს ოჯახში თითქმის ყველა მეცნიერია“

„ჩემი აზრით, მსახიობს ყველანაირი როლის თამაში უნდა შეეძლოს — კომედიურისაც და ტრაგიკულისაც. ჩემთვის ყველა სპექტაკლი ძვირფასია, რომელშიც მითამაშია, რადგან თითოეულ მათგანში ჩემი სულიერი სამყაროსა და ცხოვრების დიდ ნაწილს ვდებ“, — ამბობს მსახიობი მარიამ ჯოლოგუა, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი ალბათ ყველაზე უკეთ სერიალიდან — „შუა ქალაქში“ ანანოს როლით იცნობს. ამჯერად გვინდა, რომ ის ოდნავ განსხვავებული კუთხით დაგანახვოთ...

22 წლის ასაკში შეცვლილი პროფესია და ახდენილი ოცნება

სოფო მინაშვილი

— 22 წლამდე მსახიობობასთან „შეხება“ საერთოდ არ მქონია. მხოლოდ ის მახსენდება, რომ ბავშვობაში, სხვა პატარების მსგავსად, მეც ვთამაშობდი ექიმობანას, მასწავლებლობანას... მაგრამ ახლა რომ ვაანალიზებ, მაშინ ექიმობა ან მასწავლებლობა კი არ მინდოდა — უბრალოდ, თამაში მიზიდავდა. მახსოვს, რომ ხშირად უცნაურად ვიცვამდი — ოთახებში ჩანთაგადაკიდებული დავდიოდი, თითქოს ქუჩაში ვიყავი... ჩემს ოჯახში თითქმის ყველა მეცნიერია — მამაც, დედაც, ბაბუაც... გადმოცემით ვიცი, რომ ხელოვნებით იყო გატაცებული ბაბუაჩემის დედა, რომელიც მოყვარულის დონეზე სპექტაკლებსა და კონცერტებს დგამდა და მათში თავადაც მონაწილეობდა. სხვა ჩვენს სანათესაოში მსახიობი არავინ ყოფილა...

— მშობლები როგორ შეხვდნენ შენს არჩევანს?

— მძიმედ. სწორედ ამიტომ, მას შემდეგ, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი დავამთავრე, თეატრალურ უნივერსიტეტში, 22 წლის ასაკში ჩავაბარე. ჩემი მშობლები საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ფიქრობდნენ, რომ ჩემგან კარგი მეცნიერი ან ისეთი ადამიანი გამოვიდოდა, რომელიც შემდეგ განათლების სფეროში გააგრძელებდა მუშაობას, მაგრამ ადამიანი ყველაზე უკეთ თავად გრძნობს საკუთარ შესაძლებლობებს... სტუდენტობის დროს, ჯგუფში ყველაზე უფროსი ვიყავი, თუმცა ამას სხვები ნამდვილად ვერ გრძნობდნენ. ამაში ალბათ ჩემი ხასიათიც მიწყობდა ხელს. ერთი მეგობარი მყავდა — ნატა ზარნაძე; ძალიან ბავშვური და ხალისიანი გოგო იყო, ერთად ბევრს ვცელქობდით. ჩვენი პედაგოგი, ლილი

პირველად, „მარიამ სტიუარტ-ში“, ელისაბედ დედოფალი განვასახიერე

იოსელიანი ხშირად მეუბნებოდა, — მარიამ, ნატა, გასაგებია, რომ 17 წლისაა და ასაკი თავისას შვრება, მაგრამ 22 წლის ასაკში რამ გაგაგიჟაო?!. კარგი დრო იყო...

— პირველ როლს ხომ არ გაიხსენებ? როგორ დაიწყო შენი სამსახიობო კარიერა?

— პირველად, „მარიამ სტიუარტ-ში“, ელისაბედ დედოფალი განვასახიერე. ჩემმა პედაგოგმა — ლილი იოსელიანმა ამ ნაწარმოებიდან ნაწყვეტი დადგა. მაშინ მეორე კურსზე ვიყავი. თეატრალურ უნივერსიტეტში ვითამაშე „მეთორმეტე ღამეში“. შემდეგ, მანანა ბერიკაშვილმა თავის ჯგუფთან ერთად დადგა სპექტაკლი სახელწოდებით „მგზავრები“, სადაც დავით კლდიაშვილის რამდენიმე მოთხრობა გაერთიანდა. მე „დარისპანის გასაჭირიდან“ მართას ვთამაშობდი. ჩვენი სადიპლომო სპექტაკლი ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ იყო, რომელშიც მზევინარის როლი მერგო... როდესაც ჩემდა გასაოცრად, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე აღმოვჩნდი. ნინო ბურდულმა ჩეხოვისა და აკუნინის პიესების მიხედვით „თოლია“ დადგა და ნინას როლი შემომთავაზა. შემდეგ გარკვეული პერიოდი მთლიანად გადავერთე ყველასთვის კარგად ნაცნობ სერიალზე... ახლა კი ვამბობ, რომ თეატრში აქტიური მუშაობის პერიოდი მაქვს...

— ძირითადად რა გეხმარება როლის ათავისებაში?

— ამ კითხვაზე ზოგადად ვერ გიპასუხებ, რადგან თითოეული მსახიობი თავისებურად უდგება როლს. თავიდან ყოველთვის ვცდილობ, პერსონაჟთან რაიმე საერთო ვიპოვო, მაგრამ თუ ის ჩემგან რადიკალურად განსხვავებულია, მაშინ რეალურ ცხოვრებაში მისი მსგავსი ადამიანების ძებნას ვიწყებ, ვაკვირდები და მათგან ვსწავლობ რაღაცებს...

— მესმის, რომ ყველა როლი ძვირფასია შენთვის, მაგრამ თუ გითამაშია ისეთი პერსონაჟი, რომელიც ყველაზე მეტად გგავს?

— შარშან ზაფხულში რეჟისორმა ზურაბ კანდელაკმა რადიოსპექტაკლი დადგა რემარკის „ნასესხები სიცოცხლის“ მიხედვით; 10 სერია გამოვიდა... 15-16 წლის ვიყავი, როდესაც ეს ნაწარმოები პირველად წავიკითხე და განსაკუთრებულად ჩამრჩა მეხსიერებაში. როცა რეჟისორმა დამირეკა და ამ რადიოსპექტაკლში მონაწილეობა შემომთავაზა, ძალიან გამიხარდა. ეს ის სპექტაკლი იყო, რომელზე მუშაობისას გარდასახვაზე არ მიფიქრია, მივყვებოდი ემოციას, რომელიც ჩემში ნაწარმოებმა გამოიწვია და ვთამაშობდი იმ პერსონაჟს, ვინც იმ პერიოდში და იმავე ცხოვრებისეულ ვითარებაში შეიძლებოდა ვყოფილიყავი...

— როგორ აღმოჩნდი ტელესერიალ „შუა ქალაქში“? რამდენიმე სიტყვით მომიყევი მისი გადაღების პროცესზეც...

— სერიალის შემოქმედებითი ჯგუფიდან დამირეკეს და კასტინგზე მიმიწვიეს. მივედი. ჯერ ერთი ტური გავიარე, შემდეგ — მეორე და ბოლოს ამიყვანეს. სცენარი ყველა ორშაბათს, 12 საათზე გვირიგდება და ოთხშაბათს უკვე გადაღება გვაქვს. სიმართლე რომ ვთქვა, არც ვიცი, ტექსტის სწავლას როდის ვასწრებ. თავიდან უფრო მიჭირდა, მაგრამ თანდათან ისე მივეჩვიე, ახლა უკვე ერთხელ გადავიკითხავ და მამახსოვრდება.

— რეპეტიციის დროს ხანდახან თქვენს სიტყვებს, ფრაზებს თუ უმატებთ დაწერილ ტექსტს?

— არა, ჩვენი სიტყვების დამატება არ შეიძლება, რადგან ტექსტში თითოეული წინადადების წყობას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ერთ სიტყვას გადააადგილებ, შეიძლება, ამას ტაში მოჰყვეს, წინადადების დანარჩენი ნაწილი მოიჭრას და ხუმრობა გაფუჭდეს. რეპეტიციაზე, რა თქმა უნდა, იმპროვიზაციასაც მივმართავთ, მაგრამ ზოგჯერ იმგვარი ფრაზები გვხვდება ტექსტში, რომელთა შეცვლაც არ შეიძლება...

— შენი აზრით, რატომ გახდა ეს სერიალი ასეთი პოპულარული?

— გარშემო უამრავი ცხოვრებისეული პრობლემაა, ადამიანები მუდმივად დაძაბულები არიან. ამ პერიოდში, ვფიქრობ, „შუა ქალაქში“ ერთგვარ მიკროსამყაროდ იქცა, რომლის ყურებისას ყველა ბედნიერია, რადგანაც მისი ყველა პერსონაჟი კეთილი, გახსნილი, ხალისიანია. ეს ყველაფერი კი ადამიანებს ცხოვრებისეულ პრობლემებს დროებით ავიწყებს. მაყურებელს ერთი საათის განმავლობაში ამ სამყაროში გადასვლა და საკუთარი პრობლემების დავიწყება სჭირდება.

— „თავისუფალი თეატრისა“ და თუმანიშვილის სახელობის თეატრის გარდა, კიდევ რომელ სცენაზე გითამაშია?

— „თეატრალურ სარდაფში“... ამჟამად მარჯანიშვილის სახელობის თეატრსა და „თავისუფალ თეატრში“ ვარ. თუმცა არც ერთი დასის წევრი არა ვარ. მარჯანიშვილის თეატრში მიწვევით ვთამაშობ; „თავისუფალ თეატრში“ კი მუდმივი დასი არ ჰყავთ, თუმცა არიან მსახიობები, ვისთვისაც ეს თეატრი მეორე სახლია. ყველა მათგანი ჩემი მეგობარია და იქ შინაურად ვგრძნობ თავს. ეს კი ბატონი ავთო ვარსიმაშვილის დამსახურებაა.

— რამდენადაც ვიცი, ერთი ვაჟიშვილი გყავს. მას დედისგან თუ გამოჰყვა სამსახიობო მონაცემები?

— ჩემი შვილი პირველად 6 წლის იყო, როცა ჩემთან ერთად სპექტაკლში ითამაშა. მას ასევე უთამაშია თეატრალურ უნივერსიტეტში დადგმულ სპექტაკლში, „ვაკის სარდაფშიც“, გადაღებულია რამდენიმე კლიპსა და სტუდენტურ ფილმში. „შუა ქალაქში“ ერთ-ერთ სერიაშიც მონაწილეობდა. ახლა უკვე 9 წლის არის...

— საყვარელი მსახიობი თუ გყავს, რომლის ოსტატობასაც განსაკუთრებულ პატივს სცემ?

— ჩემი საყვარელი მსახიობი ქალი ჟულიეტ ბინოშია, ხოლო მამაკაცებს შორის თანამედროვე კინოში სრულიად შეუდარებელ მოვლენად რობერტ დე ნირო მიმაჩნია.

■

რეპეტიციაზე, რა თქმა უნდა, იმპროვიზაციასაც მივმართავთ

39 წლის ნიკო გომელაური 20 წლის ბიჭის როლში — სპეციალურად მსახიობისთვის დაწერილი პიესა

ეთო ყორღანაშვილი

რეჟისორმა — ავთო ვარსიმაშვილმა „თავისუფალი თეატრის“ სცენაზე ახალი სპექტაკლი — „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“ დადგა. წარმოდგენა 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ასახავს. მართალია, პიესას საფუძვლად ნამდვილი ამბავი არ უდევს, მაგრამ რეალობისგან შორს ნამდვილად არ არის: სპექტაკლში მოთხრობილია ახალგაზრდა წყვილის — თამთასა (მარიამ ჯოლოგუა) და ნიკალას (ნიკო გომელაური, აპოლონ კუბლაშვილი) სიყვარულის ამბავი, რომელიც ომმა შეიწირა...

„ნამდვილი გრძნობით ნათქვამი „მიყვარხარ“ არასდროს გაუფასურდება“...

ნიკო გომელაური:

— ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ქვეყანაზე ბოროტებისთვის კი არა, სიყვარულისთვის ვართ გაჩენილები. ნამდვილი გრძნობით ნათქვამი „მიყვარხარ“ არასოდეს გაუფასურდება. სპექტაკლში ომის თემა მთავარი არაა: ომი პიესის ერთ-ერთი „ხედია“, მთავარი კი — სიყვარულია!

— როგორ ფიქრობთ, რეალურ ცხოვრებაშიც შესაძლებელია, ქალმა საკუთარი ცხოვრება საყვარელი ქმრის მკვლელს დაუკავშიროს?

— ამ სპექტაკლში მკვლელი ტრაგიკული პიროვნებაა — ჩადენილის გამო, ბედნიერი ნამდვილად არაა. ასე რომ, 2 ადამიანს საერთო ტრაგედია აერთიანებს... ყველაფერი შესაძლებელია — ასეთია ცხოვრება, რას ვიზამთ? მთავარი ისევ და ისევ, სიყვარულია. ეს გრძნობა ყველაფრის დასაბამი უნდა იყოს.

— ნიკალას როლზე მუშაობა თქვენთვის რამდენად საინტერესო იყო?

— საერთოდ, მსახიობები აზარტული ადამიანები ვართ: რთულად შესასრულებელი როლი ყოველთვის საინტერესოა, სირთულის გადალახვის პროცესი ერთგვარი აზარტია! მსახიობს ყოველთვის უნდა ისეთი როლის თამაში, როგორიც მანამდე არ შეუსრულებია. 39 წლის ასაკში, ჩემთვის 20 წლის ბიჭის როლის თამაში რთული — არა, მაგრამ საინტერესო ნამდვილადაა. თან, ბიჭი დახვრეტილია და ამბავს საიქიოდან ჰყვება. შეიძლება ითქვას, რომ ორ-


მარიამის სახით, ჩვენს დასს 1 ახალი წევრი შეემატა

მაგი ინტრიგაა! ამ როლზე ორნი — მე და აპოლონ კუბლაშვილი ვართ დაკავებული. პირადად მე, რეპეტიცია მხოლოდ 7-ჯერ გავიარე. ამიტომ სპექტაკლზე „მორგება“ ჩემთვის, ცოტა არ იყოს, რთული იყო. ამ სირთულის გადალახვა მოვახერხე თუ არა, მაყურებელი გადაწყვეტს.

— **მაყურებელთა ემოციებით თუ ვიმსჯელებთ, თქვენს საქმეს ამჯერადაც ძალიან კარგად გაართვით თავი. მსახიობ მარიამ ჯოლოგუაზე რას იტყვით? როგორც ვიცი, ის სცენაზე პარტნიორობას პირველად გიწევდათ.**

— მარიამის სახით, ჩვენს დასს 1 ახალი წევრი შეემატა. საერთოდ, უკვე ჩამოყალიბებულ გუნდში მისვლა და საკუთარი ადგილის უპრობლემოდ დამკვიდრება ძნელია. მარიამმა ეს მშვენივრად მოახერხა — საერთოდ არ იგრძნობა, რომ ის ჩვენი გუნდის ახალი წევრია...

მარიამ ჯოლოგუა:

— „თავისუფალი თეატრის“ სცენაზე პირველად ვითამაშე — ყველანი ძალიან დამეხმარნენ. სპექტაკლში ისეთი როლები გვაქვს, რომ მსახიობებს შორის „ძაფები თუ არ გაიბა“, ვერ ითამაშებ. საბედნიეროდ, მთავარი როლის ორივე შემსრულებელთან — ნიკო გომელაურთან და აპოლონ კუბლაშვილთან ურთიერთობა კარგად ავაწყვე. რაც შეეხება ჩემს როლს, მასზე მუშაობა საკმაოდ საინტერესო იყო: ჩემი პერსონაჟი დიდ ტრანსფორმაციას განიცდის — მისი ცხოვრება სხვანაირად იწყება და აბსოლუტურად სხვაგვარად ვითარდება... ძალიან შრომატევადი, ემოციური სამუშაო იყო. პირველი რეპეტიცია საახალწლო დღესასწაულების შემდეგ გვქონდა, მგონი — 8 იანვარს.

— **საახალწლო დღესასწაულების შემდეგ, მტკივნეულ თემაზე დაწერილ პიესაზე მუშაობა არ გაგიჭირდა?**

— ომის თემა ყველა ქართველისთვის მტკივნეულია, მაგრამ ამ სპექტაკლში სევდაც კი ლამაზია...

— **სამომავლოდ რას აპირებ, რომელ სპექტაკლში გიხილავთ?**

— ისეთი დაღლილი, „დაცლილი“ ვარ, რომ ჯერჯერობით, „რეაბილიტაცია“ მჭირდება. ამჟამად, ისევ სერიალზე ვმუშაობ.

— **სხვათა შორის, დარბაზში სერიალ „შუა ქალაქის“ მსახიობებიც შევნიშნე. სცენაზე შენი თამაში მათ როგორ შეაფასეს?**

— ჯერჯერობით, მხოლოდ მომილოცეს, მერე კი შენ „მომიტაცე“ და რა ვიცი, აბა (*იცინის*)?

არა მარტო მარიამ ჯოლოგუას, არამედ სპექტაკლში მონაწილე სხვა მსახიობების თამაშითაც მაყურებლებიც და თავად სპექტაკლის რეჟისორი და პიესის ავტორი — ავთო ვარსიმაშვილიც კმაყოფილები იყვნენ:

ავთო ვარსიმაშვილი:

— მსახიობების შერჩევისას დიდხანს არ ვფიქრობ — სპექტაკლში იმ ადამიანებს ვაკავებ, ვისთანაც ვმუშაობ, ვინც ჩვენი დასის წევრები არიან, რადგან „თავისუფალი თეატრი“ ყველაზე ვარსკვლავური თეატრია, შესაბამისად, ყველაზე კარგი, პოპულარული მსახიობები ჩვენთან მუშაობენ. მარიამ ჯოლოგუას რაც შეეხება, ის „თავისუფალ თეატრში“ ხშირად დადიოდა და სპექტაკლებს ესწრებოდა. გვინდოდა, რომ ერთხელ როლზე მარიამიც „მოგვესინჯა“ და აი, ის უკვე ჩვენს დასში ჩაეწერა კიდეც. მისი ფოტო „თავისუფალი თეატრის“ კედელსაც ამშვენებს. მარიამის გარდა, სპექტაკლში მონაწილე სხვა მსახიობებს ჩემთან მუშაობის გამოცდილება მანამდეც ჰქონდათ. მაგალითად, ჩემთან მუშაობისას, ნიკო გომელაურს 27 როლი აქვს შესრულებული. ხომ წარმოგიდგენია, ერთმანეთს რა კარგად ვიცნობთ! მიუხედავად იმისა, რომ მთავარ — ნიკალას როლს აპოლონ კუბლაშვილიც ასრულებს, პიესას თავიდანვე ნიკოსთვის ვწერდი — ყველა ნიუანსი მასზეა მორგებული. პიესაში მოგონილი ამბავია აღწერილი, მაგრამ ვფიქრობ, შესაძლოა, ასეთი რამ მართლაც მომხდარიყო — რეალობისგან შორს არაა. ძალიან მინდოდა, ისეთი სპექტაკლი დამედგა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ასახავდა და თან, ისეთ დიდ გრძნობასთან დამეკავშირებინა, როგორიც სიყვარულია. სპექტაკლი სიყვარულსა და ომზეა. სიყვარული უფრო მაღლა დგას, ვიდრე სიკვდილი, ომი, უბედურება... ხშირად დროს და ენერგიას ათას სისულელეზე ვხარჯავთ, იმის ნაცვლად, რომ ჩვენ გვერდით მყოფ ახლობელ ადამიანს ვუთხრათ: მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!.. ღმერთმა სიყვარულისთვის გაგვაჩინა, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ვერ ვაცნობიერებთ ხოლმე.

ტატო ჭოხონელიძე, *მაყურებელი:*

— „თავისუფალი თეატრის“ დიდი ხნის „მეგობარი“ ვარ — შეიძლება ითქვას, რომ აქ „ვცხოვრობ“. ავთო ვარსიმაშვილის შემოქმედებას კარგად ვიცნობ — კარგი მაყურებელი ვარ და რეჟისორის ახალ სპექტაკლს — „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“ უმაღლესი დონის ნამუშევრად მივიჩნევ!

თემურ ნიკოლავა, *მაყურებელი:*

— სპექტაკლში პროფესიონალი მსახიობები თამაშობენ: პირველ რიგში, ნიკო გომელაურს დავაყენებ — ის ჩემი ფავორიტია! თავისი როლი სანდრო მარგალიტაშვილმაც არაჩვეულებრივად შეასრულა. სპექტაკლი ძალიან აქტუალურ თემაზეა — ქართველებმა ომი ახლახან გამოვიარეთ. ვფიქრობ, რეჟისორმა თავისი სათქმელი კარგად თქვა და გამგები გაიგებს...

თამუნა კამლაძე, *ხელოვნებათმცოდნე:*

— ყველა მსახიობმა კარგად ითამაშა, მაგრამ ნიკო გომელაური შეუდარებელია! სხვა სპექტაკლებისგან განსხვავებით (რომლებიც ნანახი მაქვს), მისი პერსონაჟი ძალიან რომანტიკული ადამიანია. ნიკო ცხოვრებაშიც ასეთია და ნიკალას როლი კარგად მოირგო. განსაკუთრებით მომეწონა ქორწილის სცენა... აღბათ, სპექტაკლი სწორედ ისეთი გამოვიდა, როგორიც რეჟისორს ჰქონდა ჩაფიქრებული: საინტერესო, ლამაზი, აქტუალური... ■

ყველა მსახიობმა კარგად ითამაშა, მაგრამ ნიკო გომელაური შეუდარებელია!

დიდი როკის „პირველი მერცხალი“ დამოუკიდებელ საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უკვე ყოფილი იმპერიის შემადგენელი რესპუბლიკების საზოგადოებისთვის ბევრი ისეთი რამ გახდა ხელმისაწვდომი, რაც კომუნიზმის მშენებელთა იდეოლოგიისთვის მიუღებელ სფეროებად მიიჩნეოდა და შესაბამისად, ცენზურისთვის იყო განწირული. გამონაკლისი არც როკკულტურა ყოფილა. თანამედროვე მუსიკის ეს ფორმა, რომლის საფუძველშიც ტოტალიტარიზმისა და ადამიანის თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვისადმი შეურიგებლობა იგრძნობოდა, ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, განსაკუთრებულად კი საბჭოთა კავშირში, კომკავშირელი ახალგაზრდობის ცნობიერებისთვის მავნე ბურჟუაზიულ პროდუქტად მიიჩნეოდა. ასე გრძელდებოდა გორბაჩოვისეულ „პერესტროიკამდე“.

ალექსი რეხვიაშვილი

სწორედ ამ პერიოდიდან როკ-მოძრაობას ქვეყანაში „მწვანე შუქი“ აენთო. ამ მოვლენათა მიღმა არც ჩვენი რესპუბლიკა დარჩენილა, რომელსაც გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ლეგენდარული DEEP PURPLE-ის ვოკალისტი იან გილანი (საკუთარ ბენდთან და მეუღლესთან ერთად) და ასევე ცნობილი შოტლანდიური ჯგუფი NAZARETH ეწვივნენ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ უკვე დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოს როკის სამყაროში ერთ-ერთი აქტიური ქვეყნის სტატუსი უნდა დაემკვიდრებინა (რის საფუძველსაც დასავლური კულტურისა და ღირებულებებისადმი ჩვენი სწრაფვაც იძლეოდა), თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო ეს არ მომხდარა (განსხვავებით ჩვენი მეზობელი ქვეყნებისგან, რომლებიც როკკულტურის აქტიურ მომხმარებლებად იქცნენ). ასე გრძელდებოდა 2 ათეული წლის განმავლობაში — არადა, ამ მუსიკალური მიმდინარეობისადმი ქართველი ახალგაზრდობის ინტერესი თანდათან იზრდებოდა. ისინი უკრავდნენ სარდაფებში და შიგადაშიგ კონცერტების მოწყობასაც ახერხებდნენ, ჰბაძავდნენ უცხოელ ლეგენდებს, საკუთარი თავის დამკვიდრებას ცდილობდნენ და ამავე დროს მოუთმენლად ელოდნენ საქართველოში მათ სტუმრობას. საკმარისია გავიხსენოთ, შარშან ზაფხულს თურქეთში DEEP PURPLE-ის შოუზე ქართული წარმომადგენლობის ხმაურიანი გამგზავრება, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ როკს მალე ჩვენს ქვეყანაშიც უნდა შემოებიჯებინა. მოლოდინმა გაამართლა: თბილისს გასული საუკუნის 70-იანი წლების ერთ-ერთი პოპულარული ჯგუფი — „ურაია ჰიპი“ ეწვევა და კომპანია Locomotive Promotion-ის ორგანიზებით, 19 მარტს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში ქართველი მსმენელის წინაშე წარდგება.

სწორედ ამ ფაქტისა და საქართველოში როკკულტურის განვითარების პერსპექტივაზე ორგანიზატორი კომპანიის წარმომადგენლები გვესაუბრებიან:

მინიდოსიე:

URIAH HEEP

დაარსდა: 1969 წელს ლონდონში

ჟანრი: მელოდიური ჰარდ-როკი, „პროგრესივისა“ და არტ-როკის ელემენტებით

დისკოგრაფია: გამოშვებული აქვს 22 სტუდიური და 12 საკონცერტო ალბომი

ამჟამინდელი შემადგენლობა: მიკ ბოქსი (სოლო გიტარა), ფილ ლენზონი (კლავიშებიანი საკრავები), ტრევორ ბოლდერი (ბასი), რასელ გილბრუკი (დრამი), ბერნი შოუ (ვოკალი)

— ვიდრე უშუალოდ „ურაია ჰიპის“ შოუსა და საქართველოში როკის მდგომარეობის შესახებ გავამახვილებდეთ ყურადღებას, მთელ მსოფლიოში პოპულარული ტელეარხის — National Geographic-ის გადამღები ჯგუფის თბილისში სტუმრობაზე გვიამბეთ. ამის შესახებ შემთხვევით თქვენი, ვებგვერდის ნახვისას შევიტყვე...

ლევან კაპანაძე:

— „ნეშნლ ჯიოგრაფიკის“ გადამღები ჯგუფი 2009 წლის აგვისტოში იმყოფებოდა საქართველოში. ინტერნეტით დაგვიკავშირდნენ როკჯგუფებს — „მძიმე ჯვარსა“ (*ლევან კაპანაძე ამ ჯგუფის წევრია. — ავტ.*) და Angel of Disiase-ს, რის შემდეგაც ჩამოვიდნენ კიდეც.

— *უკაცრავად, რომ გაწყვეტინებთ. სწორედ „ნეშნლ ჯიოგრაფიკის“ ეთერში ნანახი მაქვს ერთი გადაცემა, რომელსაც, თუ არ ვცდები, ჰქვია: „დედაჩემს ნუ ეტყვით, სად ვარ“. ამ პროექტის წამყვანი, მსოფლიოს ისეთ კუთხეებს სტუმრობს, სადაც ჩასვლაც სარისკოდ მიიჩნევა. ერთ-ერთ ფილმში, იგი ირანში იმყოფებოდა და ტელემაყურებელს იატაკქვეშეთში მოღვაწე სპარს ახალგაზრდა როკმუსიკოსებზე მოუთხრობდა. ამ დოკუმენტური კადრების ხილვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა: „შეხედეთ, ასეთ ისლამურ-ფუნდამენტალისტურ ქვეყანაშიც კი იციან როკმუსიკის შესახებ, სადაც ხალხი ბნელითაა მოცული“... როგორ ფიქრობთ — „ნეშნლ ჯიოგრაფიკის“ გადამღები ჯგუფი ჩვენს ქვეყანასაც ასეთი განწყობილებით ხომ არ ესტუმრა?*

გივი მაჭავარიანი:

— არა. საერთოდ, ამ არხის გადამღები ჯგუფის საქართველოში ჩამოსვლა მხოლოდ აქაური როკმოძრაობისადმი ინტერესით არ ყოფილა განპირობებული. მათ ზოგადად ქართული კულტურის გაცნობა სურდათ

— მათ შორის, როკკულტურისაც. გადახედეს კულტურის ამა თუ იმ სფეროში ჩვენს მიღწევებს და ქართული როკითაც დაინტერესდნენ. ჩავატარეთ დახურული კონცერტი, რომლის მსვლელობის დროსაც უცხოელ ჟურნალისტებს სხვადასხვა თაობისა და ჟანრის ქართულ როკჯგუფებთან გაცნობის საშუალება მიეცათ.

ლევან კაპანაძე:

— მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეიტყვეს, რომ ქართული როკმოძრაობა სათავეს გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა პერიოდიდან იღებს (*თვით დასავლეთის ქვეყნებშიც სწორედ ამ ეპოქაში იკრებდა ძალას როკმუსიკა. — ავტ.*) და ქართველი გიტარისტი, ბაჩი ქიტიაშვილი 1964 წლიდან უკრავს. უფრო მასშტაბური ფესტივალის ჩატარება გვსურდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი იდეით ვერც სახელმწიფო და ვერც კერძო სტრუქტურები ვერ დავაინტერესეთ. ამ სფეროს მიმართ კვლავაც გულგრილი და არაპროფესიონალური დამოკიდებულებაა. არადა, წარმოგიდგენიათ, საქართველოს შესახებ გადაღებული ფილმი 2010 წლიდან რამდენიმე წლის განმავლობაში „ნეშნლ ჯიოგრაფიკზე“ იტრიალებს და მისი ხილვა ცივილიზებული სამყაროს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ ადამიანს შეეძლება.

გიორგი კიკონიშვილი:

— ერთ-ერთ ტელეკომპანიას მივმართეთ ამ ღონისძიებაზე სიუჟეტის მოსამზადებლად. მოვიდა ჟურნალისტი, რომელიც იმით უფრო იყო აღფრთოვანებული, რომ „ნეშნლ ჯიოგრაფიკის“ გადამღებ ჯგუფთან კონტაქტის შესაძლებლობა მიეცა, ვიდრე იმით, რაც იქ ხდებოდა. აი, ასეთი დამოკიდებულებაა საქართველოში ამ და ბევრი სხვა სფეროს მიმართ. შარშან, ზაფხულში თურქეთში DEEP PURPLE-ის კონცერტზე ქართული წარმომადგენლობის წასვლას გავუკეთე ორგანიზება. იქ ჟურნალისტიც გვახლდა, რომლის მიერ დასმულმა შეკითხვამ შოკში ჩამაგდო: იან გილანს ინგლისური ეცოდინება თუ თარჯიმანი დაგვჭირდებაო?..

ლევან კაპანაძე:

— „ურაია ჰიპის“ ჩამოყვანაზე მუშაობისას სპონსორების ძებნის პროცესში ერთ-ერთ სოლიდურ კომპანიაში ვიმყოფებოდით. კომპანიის პიარმენეჯერს ინტერნეტში ამ ჯგუფის საკონცერტო გამოსვლა ვანახვეთ. მან ასეთი პასუხი გაგვცა, — ჰო, ეს როკს ბევრად სჯობს, მაგრამ მაინც ვერ დაგასპონსორებთო... ახლა თავად განსაჯეთ, ჩვენი პროექტების განხორციელებისას რამხელა სირთულეების გადალახვა გვიხდება.

— გასაგებია, მაგრამ ისიც მიკვირს, რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ისეთი ჟანრი, რომლის მიმართაც ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს დღესაც ასეთი დამოკიდებულება აქვს? რატომ არ გააკეთეთ აქცენტი, მაგალითად, პოპმუსიკაზე, რომელსაც უფრო ფართო მასა უსმენს და შესაბამისად, ამ მუსიკალური ჟანრის წარმომადგენელთა კონცერტების მოწყობაც ხელსაყრელი იქნებოდა?

გივი მაჭავარიანი:

— საქმე ასე მარტივად არ არის. შეიძლება, ამა თუ იმ პოპშემსრულებლის რამდენიმე ჰიტი მუსიკალური რეიტინგების სათავეში მოექცეს, მაგრამ დადგება მომენტი, როდესაც სხვა შემსრულებელი უფრო პოპულარული გახდება. იმის თქმა მსურს, რომ პოპულარულ მუსიკაში ყველაფერი დროებითია, როკი კი დროს უძლებს. ამ ჟანრს გაცილებით ერთგული მსმენელი ჰყავს, რომელსაც საყვარელი ჯგუფის ან შემსრულებლის შემოქმედება არასოდეს მოჰბეზრდება და მოდის გამო, სხვაზე არ გადაერთვება. ჩვენი გეგმებიც დროზეა გათვლილი. გარდა ამისა, ნუ იფიქრებთ, რომ მხოლოდ კომერციული ინტერესი გვამოძრავებს. ჩვენ ავირჩიეთ სფერო, რომელიც გვიყვარს და კარგად ვიცით.

ლევან კაპანაძე:

— ჩვენი საქმიანობა მხოლოდ უცხოელი ვარსკვლავების ჩამოყვანით არ შემოიფარგლება. გვსურს, ხელი შევუწყოთ ქართული როკკულტურის განვითარებას, დავეხმაროთ პერსპექტიულ ჯგუფებს, ჩავატაროთ კონცერტები და ფესტივალები, რომლებშიც არა მარტო უცხოელები, არამედ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. თქვენ წარმოიდგინეთ, ქართულ როკს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. მაგალითად, 2008 წლის აგვისტოში ჩემს ჯგუფთან, „მძიმე ჯვართან“ ერთად, თურქეთში ფესტივალზე ვიმყოფებოდი. ჩვენმა გამოსვლამ წარმატებით ჩაიარა. ღონისძიების „ჰედლაინერად“ გაგვიყვანეს სცენაზე. იმ წელს „ჰედლაინერი“ თურქული როკჯგუფი უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, იგი მანამდე „ევროვიზიაზე“ მონაწილეობდა, მაგრამ მაინც, უპირატესობა ჩვენ მოგვანიჭეს. საოცარი გრძნობა დამეუფლა, როდესაც ხალხის მრავალათასიანი მასა აგვყვა. არადა, მათ ამჟამად მოღვაწე არაერთი როკგრანდი ცოცხლად ჰყავდათ მოსმენილი. ჩვენი თურქეთში გამოსვლა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებები დაიწყო. უსმენდნენ იმ ქვეყნის წარმომადგენელ ჯგუფს, რომლის ქალაქები და სოფლები იბომბებოდა!.. ცხადია, ამის გამო ბევრი ადამიანი თანადგომას გვიცხადებდა. ის ფესტივალი, რომელიც თავისი არსით, ომისა და ძალადობის წინააღმდეგია, არაერთმა უცხოურმა ტელეკომპანიამ გადაიღო, მათ შორის CNN-მაც.

— საინტერესოა, რა პრინციპით შეარჩიეთ „ურაია ჰიპი“?

გივი მაჭავარიანი:

— ბევრი ფაქტორი გავითვალისწინეთ — კომერციული მოსაზრებებით დაწყებული, ამ კოლექტივის შემოქმედებით დამთავრებული. „ურაია ჰიპი“ — პირველი ლეგენდარული ჯგუფია, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ესტუმრება. ამავე დროს ეს ჩვენი პირველი ნაბიჯია და დარწმუნებული ვართ, წარმატებულად დასრულდება.

ლევან კაპანაძე:

— „ურაია ჰიპის“ მხარემ სურვილი გამოთქვა, რომ თბილისური კონცერტის გადაღება მოხდეს, რის შემდეგაც ეს მასალა ინგლისში გაიგზავნება, დამუშავდება და DVD-ფორმატზე გამოიცემა სახელწოდებით — Live in Tbilisi. ხომ ხვდებით, ჩვენი ქვეყნის რამხელა პოპულარიზაცია მოხდება ამ დისკის მთელ მსოფლიოში გაყიდვით?! ამისთვის 10 ათასი ევრო და შესაბამისი სატელევიზიო გადამღები ჯგუფია საჭირო, მაგრამ ქართული რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ეს საკითხიც მოუგვარებელია.

— როკკულტურა ძალიან მრავალფეროვანია, რომლის ზოგიერთი მიმდინარეობაც საზოგადოების ნაწილის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს. გსურთ, რომ თქვენი საქმიანობით როკმუსიკის მთლიანი სპექტრი მოიცვათ?

— ნამდვილად ასეა. გვსურს, როკმუსიკის ყველა მიმართულება მოვიცვათ — „მსუბუქი“, მელოდიური როკ-ენ-როლით დაწყებული — ყველაზე ექსტრემალური „მეტალით“ დამთავრებული.

— თუ საიდუმლო არ არის, წელს კიდევ რას აპირებთ?

— ზოგიერთ საკითხს ამ ეტაპზე მართლაც, საიდუმლოდ დავიტოვებთ, რადგან წინასწარ ლაპარაკი არ გვსურს, თუმცა მაინც გეტყვით, რომ გეგმაში გვაქვს იან გილანის ჩამოყვანა...

P.S. საუბრის ბოლოს გიორგი კიკონიშვილმა სიცილით, მადლობა გადამიხადა, რომ „კურიოზების“ შესახებ არაფერი მიკითხავს, თუმცა ალბათ მკითხველიც დამეთანხმება, რომ მათი მონათხრობი მაინც კურიოზებით სავსე გამოვიდა. ■

„შავი ავაზის“ დარტყმა

სკანდალური ინციდენტი შუაგულ მანჰეტენზე მოხდა. 39 წლის მოდელი ჯერ-ჯერობით დაუდგენელი მიზეზების გამო სასტიკად გაცხარდა და სულ რაღაც ერთი დღით დაქირავებულ Cadillac Escalade-ს მძღოლს უკანა სავარძლიდან თავში ჩაარტყა. მძღოლი თავით საჭეს მიენარცხა და სისხლჩაქცევა განუვითარდა. დაზარალებულმა პოლიცია გამოიძახა, ნაომი ავტომობილიდან გადავიდა და პოლიციის მისვლამდე მიმალვა მოასწრო.

მძღოლმა და მოდელის წარმომადგენელმა პოლიციის განყოფილებაში ახსნა-განმარტება უკვე მისცეს. პოლიცია თავდამსხმელის წინააღმდეგ სანქციების გატარებას არ აპირებს, რადგან ინციდენტს კანონდამცველები არ შესწრებიან. ნაომის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მათ „დასკვნების გამოტანა არ უნდა იჩქარონ“, რადგან საქმე გაცილებით უფრო რთულადაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, ხოლო ტოპმოდელი მზადაა, ჭეშმარიტების დასადგენად პოლიციასთან ითანამშრომლოს.

ნაომი კემპბელის მღელვარე ხასიათი საყოველთაოდ ცნობილია. მოდელს ამის გამო კანონთან პრობლემა არაერთხელ შეჰქმნია. გასულ წელს ლონდონის ჰიტროუს აეროპორტში British Airways-ის ავიალაინერის ბორტზე მოწყობილი სკანდალის გამო, რომელიც პოლიციასთან ხელჩართული ჩხუბით დასრულდა, ნაომის საზოგადოების სასარგებლოდ 200-საათიანი შრომა ჰქონდა მისჯილი. ერთი წლით ადრე კი ნაგავსაზიდი ავტომანქანების სადგომზე 5 დღე იატაკს ხეხავდა... ეს სასჯელი მანჰეტენის საოლქო სასამართლომ კემპბელს მოახლეზე თავდასხმის გამო მიუსაჯა და სიბრაზის შეტევებით დაავადებულთათვის სპეციალურ მეცადინეობაზე დასწრებაც დაავალა, რადგან ეს ფაქტი მომსახურე პერსონალის მიმართ განხორციელებული ძალადობის პირველი შემთხვევა არ იყო, მსგავსი მიზეზების გამო ნაომი პოლიციას ადრეც არაერთხელ დაუკავებია. სამაგიეროდ, „მსოფლიოში ყველაზე შმაგი მოდელის“ პოპულარობა სკანდალების წყალობით არათუ იკლებს, წლიდან წლამდე იზრდება! შესაძლოა, ნაომი კემპბელისა და რუსი მილიარდერის ვლადიმირ დორონინის გასული წლის აგვისტოსთვის მოსალოდნელი ქორწილიც მორიგი PR-აქცია იყო, რადგან მოდელის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ახლახან ბრიტანული გაზეთისთვის Daily Mail მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ნაომი დანიშნული არ არის და გათხოვებას არ აპირებს“. მოდელმა და რუსმა მილიარდერმა წლინახევრის წინ კანის კინოფესტივალზე გაიცნეს ერთმანეთი და მას შემდეგ ერთად არიან. ამჟამად ნაომი მოსკოვში ბოიფრენდის აპარტამენტებში ცხოვრობს და რუსულ ენას სწავლობს.



გაზეთისთვის La Stampa მიცემულ ინტერვიუში ნაომი ამბობს, რომ რუსეთში თავს ბედნიერად გრძნობს, გატაცებულია ტანვარჯიშით, იოგასა და კარატეშიც ვარჯიშობს, რუსულ აბანოში დადის და მუშაობს. მისი ძირითადი საქმიანობა ქველმოქმედებაა — ვივიენ ვესტვუდის მაისურებს წარმოადგენს და მიწისძვრით განადგურებული ჰაიტის მცხოვრებთათვის მილიონობით გირვანქა სტერლინგს აგროვებს. ხოლო კარიერის 25 წლისთავის აღსანიშნავად საკუთარი ფოტოსურათების გამოფენის მოწყობა სურს. ■

მილა იოვოვიჩმა Tommy Hilfiger–ისთვის შექმნილი ჩანთების ახალი კოლექცია წარმოადგინა

მილანში ჩატარებულ მოდის კვირეულზე ჰოლივუდის ვარსკვლავმა მილა იოვოვიჩმა ჩვენებაშიც მიიღო მონაწილეობა და ამერიკული ბრენდისთვის Tommy Hilfiger შექმნილი საკუთარი კოლექციაც წარმოადგინა. ლალისფერი ტყავისგან შექმნილი აქსესუარების ლიმიტირებული კოლექცია Tommy Hilfiger-ის მაღაზიებსა და ბრენდის საიტზე მალე გაიყიდება, შემოსავალი კი საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება. მილა იოვოვიჩის მიერ შექმნილი ხელჩანთების გაყიდვით მიღებული თანხის ნაწილი მკერდის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ფონდის Breast Health International ანგარიშზე ჩაირიცხება. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, ბრენდისთვის Tommy Hilfiger ანალოგიური საქველმოქმედო კოლექცია სუპერმოდელმა ჰელენა კრისტეანსენმა წარმოადგინა. ■

ბიზნესმენმა ВИА ГРА–სთან გატარებულ ღამეში 40.000 ევრო გადაიხადა

ჯგუფი ВИА ГРА ბიზნესმენ კამო აკოპიანის 35 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო წვეულებაზე გამოვიდა. უნდა ითქვას, რომ ჯგუფის სოლისტები კორპორატიულ საღამოებზე გამოსვლას ძალზე ფრთხილად ეკიდებიან და ყველას როდი თანხმდებიან. თანაც ფონოგრამის გარეშე თითქმის არ მღერიან, მაგრამ ის საღამო გამონაკლისი აღმოჩნდა და გოგონები ბოლომდე დაიხარჯნენ. სცენაზე აკოპიანი ჯგუფის სოლისტებთან (ალბინა ჯანაბაევა, ნადეჟდა გრანოვსკაია და ტატიანა კოტოვა) ერთად ცეცხლოვან ცეკვას თავდავიწყებით მიეცა, რასაც პირადი დაცვა დიდი ხნის განმავლობაში უზრუნველყოფდა. 35 წლის იუბილარი ნახევრად შიშველი ლამაზმანების გრძელმა ფეხებმა აღაფრთოვანა, გოგონებმაც თავი არ დაზოგეს და 40.000-ევროიანი ჰონორარი პატიოსნად გამოიმუშავეს. „გოგონებო, ამ საღამოს შემდეგ, როდესაც სხვა წვეულებაზე მიგიწვევენ, მეც თან წამიყვანეთ“, — ითხოვა იუბილარმა და ამ განცხადებით ჯგუფი ВИА ГРА პირადი დაცვით უზრუნველყო. საღამოს პოპულარული წამყვანები — ივან ურგანტი და მომხიბვლელი თინა კანდელაკი ჰყავდა. ■

ვარსკვლავები

მარტინ სკორსეზე და რობერტ დე ნირო ახალი ერთობლივი ფილმის გადაღებას აპირებენ

ჰოლივუდის ვარსკვლავმა რობერტ დე ნირომ საუკეთესო როლები რეჟისორ მარტინ სკორსეზეს ფილმებში ითამაშა. მათი ერთობლივი შემოქმედებითი კავშირის შედეგად ისეთი კინოშედევრები შეიქმნა, როგორებიცაა: „ცოფიანი ხარი“, „ტაქსისტი“, „შიშის კონცხი“. ამ სურათებმა არაერთი ჯილდო მოიპოვა, მაგრამ 1995 წელს ეკრანებზე გამოსული დრამის („კაზინო“) შემდეგ მსახიობსა და რეჟისორს ერთად აღარ უმუშავიათ. ახლა მდგომარეობა შესაძლოა, გამოსწორდეს. რეჟისორმა ამის შესახებ ბერლინის კინოფესტივალზე განაცხადა, სადაც 67 წლის სახელგანთქმულმა სკორსეზემ ახალი ფილმი — „დაწყევლილთა კუნძული“ წარადგინა. სკორსეზე ფიქრობს, რომ ახლა შესაფერისი მომენტი დადგა იმისათვის, რომ ძველ მეგობართან და პარტნიორთან ერთად, მაყურებელს დრამატული ამბავი მოუთხროს. რეჟისორის ვარაუდით, მომავალი ფილმის მთავარი გმირები უკვე ხანდაზმული ადამიანები იქნებიან, რომლებიც განვლილ ცხოვრებას და განგსტერულ წარსულს იხსენებენ. ■

ალ პაჩინო ტრილერში ითამაშებს

ალ პაჩინოს ტრილერში — „არავის შვილი“ (Son of No One) მონაწილეობა შესთავაზეს. ახალ ფილმში მას პარტნიორობას ახალგაზრდა მსახიობი — ჩანინგ ტატუმი გაუწევს, რომელმაც მაყურებელს ბოევიკში — „კობრას ნახტომი“ ნათამაშები როლით დაამახსოვრა თავი. როგორც ცნობილია, ფილმში მონაწილეობის შესახებ მოლაპარაკებები ტერნეს ჰოვარდთან, რეი ლიოტასთან და კეტი ჰოლმსთანაც მიმდინარეობს. ■

მოდელი კეიტ მოსი ბალერინა გახდება

Daily Mail-ის ცნობით, კეიტ მოსი მსოფლიოში საუკეთესო ბალერონ მიხეილ ბარიშნიკოვთან ერთად მუშაობს. დიდი მოცეკვავე და ცნობილი სუპერმოდელი ერთად ითამაშებენ მცირემეტრაჟიან ფილმში, რომლის სამუშაო დასახელებაა Baryshnimoss. 36 წლის მოდელმა ბალეტის რამდენიმე კერძო გაკვეთილი უკვე გაიარა, მაგრამ წინ კიდევ სამი თვის დამქანცველი შრომა ელოდება.

გადაღებები მარსელში, ივლისში დაიწყება. ამბობენ, რომ თავდაპირველად კლიპს საქველმოქმედო მიზნით აჩვენებენ, შემდეგ კი ერთ-ერთ გალერეაში განათავსებენ, რათა მისი ხილვა ნებისმიერმა მსურველმა შეძლოს. ■

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

ცხოვრება

ერთხელ, აეროპორტში

მარი ჯაფარიძე

მოსაცდელ დარბაზში დიქტორმა თვითმფრინავში ჩასხდომის შესახებ ინფორმაცია თითქოს სხვანაირად, სხვა ტონალობაში, მოულოდნელად, განაჩენივით გამოაცხადა. ეს ზოგისთვის მწარე სინამდვილის პირისპირ აღმოჩენა იყო, ზოგისთვის — ახალი ცხოვრების დასაწყისი. ცირა პირველ კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ის არსად მიფრინავდა. მხოლოდ აცილებდა...

ბევრჯერ გაუცილებია ახლობელი აეროპორტიდან, მაგრამ ასე მტკივნეული არასოდეს ყოფილა. მისი მეგობარი, მანანა მიემგზავრებოდა და ცირას გული უგრძნობდა, რომ — სამუდამოდ.

ის 1 წლის წინ დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც ახალგაზრდა ესპანელი მამაკაცი გაიცნო, 3 თვის წინ დაქორწინდნენ და ესპანელმა მისი ბავშვები იშვილა... ახლა კი ცირა მეგობარსა და მის შვილებს აცილებდა და იმის გაფიქრებისაც კი ეშინოდა, რომ სულ მარტო რჩებოდა.

ეგონა, მანანა უკან მოიხედავდა, გამომშვიდობებისას ხელს დაუქნევდა, გაამხნევებდა, მაგრამ ის თავდაჯერებული ნაბიჯებით შორდებოდა, მარჯვენა ხელი მჭიდროდ ჰქონდა ჩაკიდებული თავისი უმცროსი შვილისთვის, რომელიც ცირას ნათლული იყო. უფროსი ბიჭუნა კი კუნტრუშით მისდევდა დედასა და მამობილს.

ამ მოვლენამ ცირას ცხოვრება 2 ნაწილად გაყო. „მანანას გამგზავრებამდე“ და „გამგზავრების შემდეგ“...

ცირამ ნათლად წარმოიდგინა, როგორ შედის მანანა თვითმფრინავის სალონში, ბავშვებს სავარძელში დასვამს და ქმარს ესპანურად რაღაცას ეტყვის. მანანამ 6 თვის განმავლობაში ესპანური კარგად აითვისა და ფაქტობრივად, უაქცენტოდ ლაპარაკობდა. ბავშვებმა მასზე უკეთ შეისწავლეს, ვინაიდან დედამ მათ პედაგოგი აუყვანა, როცა ახალი ცხოვრების დასაწყებად ამზადებდა...

„აი, ყველაფერი დამთავრდა... დღეს მათ ვაცილებ... მზიანი ამინდია, მაგრამ მე ყველაფერი შავად მეჩვენება“, — ფიქრობდა ცირა.

უცნაური სიზმარი ნახა წინაღამეს ცირამ. ჭაღარა, წელში მოხრილი მოხუცი ქალი შემოხვდა გზაზე და ლამაზი, წითელი ვაშლებით სავსე კალათი მიაწოდა. ცირამ კალათი ჩამოართვა და შენიშნა, რომ ყველა ვაშლი შუაზე იყო გაჭრილი. „ეძებე!“ — უთხრა მოხუცმა და გაქრა. ცირა ცდილობდა, ვაშლების ნახევრები შეეერთებინა, მაგრამ ნაწილები ერთმანეთს არ ერგებოდა. შემდეგ, როგორც იქნა მიაგნო იმ ნახევრებს, რომლებიც ერთმანეთს მოერგო, მაგრამ გამთელებული ვაშლი უეცრად, ხელიდან გაუვარდა და მაგიდის ქვეშ შეგორდა. ცირა ასაღებად დაიხარა, ვაშლს შეეხო თუ არა, ის გაშავდა და „დაიჭმუჭნა“.

ცირა დაელოდა, როდის მიეფარებოდნენ მისი ახლობლები თვალს და აეროპორტის ბარისკენ წავიდა. ვინაიდან მანქანით არ იყო, გადაწყვიტა, რაიმე ალკოჰოლური სასმელი აეღო, რათა ცოტა მოშვებულიყო ან უბრალოდ, მეგობრის დაკარგვა აღენიშნა. ვიპ-გასასვლელთან ჟურნალისტები ირეოდნენ. როგორც ჩანს, ვიღაც მნიშვნელოვან პერსონას ელოდნენ. ცირა ახლოს მივიდა და ჟურნალისტებში გაერია. გასასვლელში ჯერ დაცვის თანამშრომლები გამოჩნდნენ. შემდეგ — მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი.

ჟურნალისტები მიესივნენ. ხალხის ტალღამ ცირა წინ გააგდო. ჩანთა ხელიდან გაუვარდა და ის იყო, ასაღებად დაიხარა, რომ მასთან ერთად ჩანთის ასაღებად ჟურნალისტების სამიზნე, მნიშვნელოვანი პერსონაც დაიხარა...

უეცრად...

ამდენი წლის შემდეგ...

ცირამ უცებ ვერ გააცნობიერა, რა მოხდა. ვინაა ეს ადამიანი... რატომ მოდიოდა მისგან რაღაც დავიწყებულის, წყენის, ტკივილის სუნი... ასეთი ახლობელი და ძვირფასი... რატომ დაეხვა თავბრუ, მოეწურა გული და ოფლმაც დაასხა? მამაკაცმა დაასწრო ჩანთის აღება...

მის თვალებში ძალიან ნაცნობი და წარსულის ბურუსით მოცული რაღაც ჩანდა...

შუბლზე ხელი გადაისვა. თითქოს მეხსიერებაზე მტვრის სქელი ფენა გადაწმინდა და ჰკითხა:

— კი, მაგრამ... თქვენ... — სიტყვებს არჩევდა, შემდეგ კი სახე გაუნათდა, — თქვენ ცირა ხართ?... ცირა, შენ ხარ?

— კი...

ცირას მუხლები მოეკვეთა. თვალები დახუჭა და მოეჩვენა, რომ გონს კარგავდა. ხმები ისე შორიდან ესმოდა, თითქოს ვიღაცამ ხმის სარეგულირებელი ღილაკი მოაბრუნაო...

რა თქმა უნდა, მან მაშინვე იცნო მამაკაცი... 100 წელიც რომ გასულიყო, მაინც იცნობდა სუნით... და დღეს ათასიდან ერთი შანსი სწორედ მისი ხვედრი გახლდათ. როგორც ჩანს, თავისი მოთმინებითა და მოლოდინით დაიმსახურა.

ის უკვე სრულიად შეეგუა მის არყოფნას და უკვე ამდენი წელი მის გარეშე იცხოვრა. დღესასწაულებიც და ჩვეულებრივი დღეებიც მის გარეშე გაატარა... მისი მოგონება ზაფხულობით მხოლოდ იასამნის ყვავილი იყო, მთელი წლის კი — კედელზე მიკრული ტილო, რომელზეც ულამაზესი იასამნების თაიგულია დახატული. მუდამ ეჩვენებოდა, რომ ნახატიდან იასამნის სურნელი იღვრებოდა და პირველი სიყვარულის არომატს ახსენებდა. მართლაც შეყვარებული უნდა იყო, ამას მხოლოდ ნახატი კი არა, გულიც რომ გახსენებდეს. ალბათ სწორედ ამის გადმოცემას ცდილობდა ცირა, როცა ამ ტილოზე მუშაობდა... ნახატი რამდენიმე გამოფენაზეც იყო წარდგენილი და მასში საკმაოდ დიდ თანხასაც სთავაზობდნენ, მაგრამ არ გაყიდა, — გულის გაყიდვა არ შეიძლებაო, ამბობდა.

და აი, ეს ადამიანი ისევ გადაეღობა გზაზე... მის შიგნით რაღაც ცხოველური ინსტინქტი შეირხა...

ცირამ თავი დააქნია. სცადა უეცრად მოვარდნილი ეს უცნაური შეგრძნება სხეულიდან განედევნა. თავი

მარტოხელა, ძუ მგლად წარმოიდგინა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაწანწალებდა ტყეში მარტო და როგორც იქნა, სუნით საჭირო ბილიკს მიაგნო...

სუნი... ეს ის სუნი იყო, რომელიც ღამღამობით ესიზმრებოდა, რომელიც ყველა სუნამოს ერჩია... არა, ამის დაჯერება შეუძლებელი იყო...

მაშინ მათ შორის რაიმე სიახლოვე რომ ყოფილიყო, შესაძლოა, მიმხვდარიყვნენ, რომ ერთმანეთისთვის არ არიან გაჩენილი...

ნუ, ცოტას იტირებდა, შემდეგ ჩაშავებულ უპეებზე ჩაის საფენებს დაიდებდა, ამის შემდეგ „ფრთებს“ გაისწორებდა და ახალი სიყვარულის საძებნელად გაფრინდებოდა...

იქნებ პირიქით, ერთმანეთს ვეღარც კი მოსწყვეტოდნენ და მაშინ მათი ცხოვრება სულ სხვაგვარად წავიდოდა... ერთმანეთის სიხარულსა და მწუხარებას გაიზიარებდნენ... შვილებს გააჩენდნენ. ახლა ისინი უკვე დიდები იქნებოდნენ... ალბათ უფროსი 20 წლის იქნებოდა... ალბათ უამრავჯერ ჩხუბსა და შერიგებასაც მოასწრებდნენ...

მამაკაცმა ხელი შეაშველა.

— თქვენი ნახვა სად შეიძლება? ცირა, სად გნახო? ახლა ვერ გავჩერდები, მაპატიე... „ვიზიტკა“ არ გაქვს? აუცილებლად მოგძებნი...

ცირამ უარის ნიშნად თავი გააქნია...

მამაკაცი ძალზე შეცვლილიყო... საიდან მოვიდა მისი ასეთი თავდაჯერება? ის მამაკაცს ასეთს არ იცნობდა... თან თქვენობით მიმართა. ნეტავ რატომ? მოწიწების ნიშნად? თუ მოერიდა? არა, როგორც ჩანს, ცხოვრებამ ის მორიდებას გადააჩვია. უბრალოდ, მისი სახელი დაავიწყდა...

ამ დროს ახოვანმა მამაკაცმა შეახსენა, რომ პრესკონფერენციაზე აგვიანდებოდათ...

მამაკაცმა ხელი ნაზად მოუჭირა, შემდეგ თითებზე ტუჩებით ფრთხილად შეეხო და გასასვლელისკენ წავიდა. უკან რამდენჯერმე მოიხედა. რაღაცას ფეხი წამოჰკრა და თავზე დამაგრებული სათვალე დაუვარდა... გარეთ გასულმა იქვე მომლოდინე ჯიპში შერგო თავი.

ეჰ, არ უნდა ეთქვა, რომ ის სწორედ ის ცირაა... გამოართმევდა ჩანთას და თავისი გზით წავიდოდა. იმ გზით, რომლითაც სიარულს უკვე დიდი ხანია, მიეჩვია... მან ხომ ეს გზა შეგნებულად აირჩია და არც ისე დამღლელი და საშიში აღმოჩნდა...

ის ალბათ ცოლიანია და შესაძლოა, უკვე მეორე ან მესამე ცოლი ჰყავდეს... საფულეში ცოლისა და შვილების სურათები ექნება, რომელსაც ყველას აჩვენებს და ამაყობს მათით ან უბრალოდ, აბეზარ თაყვანისმცემლებს იშორებს...

იქნებ სულაც არაა დაქორწინებული? საქორწილო რგოლი არ ეკეთა... ან იქნებ ვერ დაინახა? მომხდარმა ისე დაუბინდა მზერა, შესაძლოა, ვერ შენიშნა... უბრალოდ, მისი სუნი იგრძნო...

ეს კი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ეგრძნო, არაფერი დავიწყნია... უბრალოდ, თავის მოგონებებთან ერთად ცხოვრობდა და ამას მიეჩვია. ცხოვრება კი უინტერესო ეჩვენებოდა და მის გარეშე არაფერი სურდა... თავის გარშემო მაგიური წრე შეკრა, რომლის გადალახვას ვერავინ ახერხებდა... რისი დამტკიცება სურდა თავისი ერთგულებით? ან ვისთვის? ის ცხოვრების პარალელურად მექანიკურად მიაბიჯებდა...

მაშინ, დიდი ხნის წინათ, გაუჭირდა მომხდართან შეგუება. მას არც უცდია სიმართლის გაგება... დედის გულახდილობამ შოკში ჩააგდო. გარეგნულად სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მაგრამ ამ წლების განმავლობაში შიგნით ყველაფერი სიმივით ჰქონდა დაჭიმული.

— დეპრესიული სინდრომი, — ასეთი დიაგნოზი დაუსვა ექიმმა, რომელსაც შინაგანი დისკომფორტის გამო მიმართა. მან წამლებიც გამოუწერა, მაგრამ ცირას აბები არ დაულევია — შეეშინდა, მთლად არ გაგიჟებულიყო.

ისე ცხოვრობდა, რომ დაჭიმულ სიმს სულში ვიბრაცია არ განეცადა. მართალია, ერთხელ მანანამ უთხრა, რომ ცირა სარგადაყლაპულ ადამიანს დაემსგავსა, მაგრამ არ სწყენია... დაემსგავსა და დაემსგავსა... მან იცოდა, რომ ამ სარისიმის შეხება არ შეიძლებოდა... ის გაწყდებოდა და რა შედეგს მოიტანდა, არავინ იცოდა.

რეალობაში დაბრუნება მტკივნეული იყო. თითქოს ეს 20 წელი ანაბიოზში გაატარა. ხელები, ფეხები, მთელი სხეული გაბუჟებული ჰქონდა... წარმოიდგინეთ, საკუთარ ფეხზე რომ დაჯდები და დაგიბუჟდება. შემდეგ, როცა ფეხს გამართავ, ნემსივით გჩხვლეტს რაღაც... სისხლი მოძრაობას იწყებს და ტკივილმა შესაძლოა, ძაღლივით აგაყმუვლოს... ისრეს დაბუჟებულ ადგილს მანამ, სანამ ყველაფერი თავის ადგილზე არ დადგება.

„ღამაზი ქმარი შენი არაა“, — ოდესღაც თქვა დედამ და ცირას ცნობიერებაში ეს სიტყვები სამუდამოდ დარჩა.

„ჩემი სიცოცხლე, ჩემი სიხარული“, — ამ სიტყვებით იძინებდა და მის ძველ მაისურს ლოყის ქვეშ იდებდა ხოლმე. ეს მაისური იმ გიჟურ ზაფხულს მის აგარაკზე დარჩა და ცირას ეჩვენებოდა, რომ მას მისი სუნი დღემდე ჰქონდა შემორჩენილი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მაისური არასოდეს გაურეცხავს, პატრონის სუნი კარგა ხნის წინ დაკარგა... ამას ყველა მიხვდებოდა, ცირას გარდა.

— ნუ შექმნი მისგან კერპს, — ეუბნებოდა დედა, — შენ ფეტიშისტს დაემსგავსე და მტკივნეულია ჩემთვის ამის ყურება. ამ ჩვრისგან (მაისურს გულისხმობდა) დროშა გააკეთე და გამოფინე გარეთ.

მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო.

ცირამ თავი გააქნია. თითქოს არსასურველი მოგონებების გაფანტვას ცდილობდა...

* * *

ცირა ბარში შევიდა... ხომ არ დათვრეს? არა, ეს მის საქციელს არ ჰგავს... ცრემლიც კი არ მოსდის... ღალატის წვრილი ძაფი დაიჭიმა, შუბლზე ცივი ოფლი მოადგა და შემცივნულივით გააჟრჟოლა იმის მიუხედავად, რომ ზაფხულის სიცხე იდგა. ბარში კი სასიამოვნო მუსიკა ჟღერდა და მკრთალი სინათლე იღვრებოდა. ის ბართან დაჯდა და ორმაგი მარტინი, ფორთოხლით შეუკვეთა. ჭიქა ახლოს მიიდგა, ამოიოხრა და თვალები დახუჭა. შემდეგ ჯიბიდან მუყაოს პატარა, ოთხკუთხა ნაჭერი ამოიღო და დასუნა... ეს სუნამოს ტესტერი იყო, რომელიც ასევე მის სუნს ინახავდა... მას კიდევ სულ სხვა, განსხვავებული სუნი ჰქონდა — იმ ცხოვრების სუნი, სადაც მისი ადგილი არ მოიძებნა... ეს იმ ცხოვრების სურნელი იყო, რომელიც „იმან“ ცირას გარეშე განვლო. უბრალოდ, ამ ცხოვრების ზღურბლს ერთხელ გადაბიჯა და წავიდა, მაგრამ ხომ არ მომკვდარა?

ცოცხალია და თავსაც არც ისე ცუდად გრძნობს... ძველებურად ლამაზია და წარმოსადეგი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 40 წელს გადააბიჯა.

ცირამ ბარის სარკეში თავის გამოსახულებას შეხედა. ჰო, მათგან მართლაც კარგი წყვილი გამოვიდოდა. მაგრამ ახლა მას რაღაში სჭირდება? მისი ცხოვრება შედგა... ყველაფრის თავიდან დაწყების სურვილი კი არ ექნება.

ცირა შიშმა შეიპყრო...

არა, არა! ყველაფერი ასე არაა! მართალია, ეშინოდა, მაგრამ ელოდა, რომ ერთხელ კვლავ შეხვდებოდნენ... ახლა, როცა შეხვდნენ, უეცრად, მიხვდა, რომ არ იცოდა, რა ეთქვა... მაშინ, დიდი ხნის წინათ, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ ესწავლა მის გარეშე ცხოვრება... მასზე ფიქრით და მის გარეშე... არაფერსაც არ ეტყვის... ვერ გაუბედავს.

როგორ ცხოვრობდა ამ წლების მანძილზე? სამსახური, ნახატები, ავტომანქანა და აგარაკზე იასამნების საყვარელი ბაღი.

ნუ, მთელი ევროპა მოიარა... მარტო ევროპა? სად აღარ იყო?.. სეიშელის კუნძულებზეც კი გაირუჯა... პარიზს ეიფელის კოშკიდან გადმოხედა, ნიუიორკი დაათვალიერა... მანჰეტენზე გა-

იარა... როგორ უწოდებენ ისინი ქალაქს? „დიდი ვაშლი“...

ვაშლი... ისინიც შუაზე გაჭრილი ვაშლივით არიან... ვიღაცის მძლავრმა და უხილავმა ხელმა გაყო ეს ვაშლი შუაზე... დასცინა თუ გრძნობის გამოცდა სურდა? ეს სასტიკი და უსამართლო საქციელი იყო.

ცირასთან ბარმენი მივიდა.

— აცილებ თუ ხვდები ვინმეს? — რატომღაც მაშინვე „შენობით“ მიმართა.

— გასაცილებლად მოვედი და აღმოჩნდა, რომ დავხვდი...

ცირამ მასთან ლაპარაკს თავი აარიდა...

* * *

თეთრი ლაკის, მაღალქუსლიანმა ფეხსაცმელმა გამოსაშვები საღამოს ბოლოს ფეხები მაინც ატკინა... ქუსლთან სისხლმაც კი იწყო დენა და სველ ადგილზე წინდა მიეკრო. დედა ტყუილად არ ურჩევდა, ახალი ფეხსაცმელი ჯერ სახლში ჩაეცვა და შესჩვეოდა. ცირა შუა ქუჩაში, ბორდიურზე ჩამოჯდა და ნატკენ ადგილზე ცხვირსახოცის ნახევი დაიდო. ტკივილი უფრო გაუძლიერდა. მიმოიხედა და თანაკლასელები ველარც კი დაინახა. ისინი წინ წასულიყვნენ. მოედანზე იმდენი ახალგაზრდა ტრიალებდა, მათ შორის თანაკლასელების ძებნას აზრი არ ჰქონდა. უკვე თენდებოდა კიდეც. აღმოსავლეთით ცა წითლად შეიღება... შემდეგ მზეც გამოჩნდა, მაგრამ უეცრად წვიმამ დასცხო. ცირამ ძლივს მოასწრო ცენტრალური უნივერმაღისთვის თავის შეფარება...

თავსხმა ისევე უცებ შეწყდა, როგორც დაიწყო. ცირამ ფეხზე გაიხადა და რუსთაველის ქუჩას ფეხშიშველი გაუყვა. წვიმამ მტვერი გადარეცხა და ასფალტი გააგრილა... გოგონა ქუჩას ნელა მიუყვებოდა. ხელებში თითო-თითო ფეხსაცმელი ეჭირა და მიიქნევდა.

მის წინ ახალგაზრდა მამაკაცი აისვეტა. თითქოს ჯადოქარმა ჯოხის აქნევით გააჩინაო.

— ვაა, როგორი გოგონაა და დაცვის გარეშე?!

ცირამ გაიღიმა.

— ვისგან მჭირდება დაცვა? შენგან? — გულუბრყვილოდ თქვა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ სიმართლესთან ასე ახლოს იყო.

— მე ნიკა მქვია. შენ საით გაგიწევია?

ცირამ უპასუხა, მამაკაცმა გაიღიმა.

— რომ გაგაცილო, წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

— უკვე მაცილებ და ეგაა...

გაიცინეს და ქუჩას ერთად გაუყვნენ.

მათ იღბალი კვალდაკვალ მიჰყვებოდა და იქედნურად იცინოდა. ის იმდენი ხნის განმავლობაში ცდილობდა ძაფის აბურდვას, რომ როგორც იქნა, მათი გზები გადაკვეთა.

ცირას სახლთან, სკვერში, სკამზე ჩამოსხდნენ. გოგონას ფეხის გულები ეტკინა ქვებზე სიარულით და გრილი ბალახი ესიამოვნა. ნიკამ ჩანთიდან შამპანურის ბოთლი ამოაძვრინა და ამ მოულოდნელი გაცნობის აღნიშვნა შესთავაზა. ხომ ვერ ეტყოდა, რომ დალევა უნდოდა, სახლამდე კი საკმაოდ დიდი მანძილი ჰქონდა გასავლელი? ამ დროს ნიავმა დაუბერა და იასამნის ბუჩქიდან, რომლის ძირშიც ისხდნენ, წვეთები ჩამოცვივდა.

ცირას თმაზე დაყრილი წვეთები მარგალიტებივით ბრწყინავდა და მათში იასამნის ყვავილები ირეკლებოდა. მზე უკვე მთელი სიმძლავრით აცხუნებდა და ცირას წამწამებზე შერჩენილი წვიმის წვეთებში ცისარტყელას ფერებს წარმოქმნიდა. ნიკას სიტყვა პირზე შეაშრა. გოგონას მონუსხულივით უყურებდა.

მის თვალებში ეშმაკუნები აცეკვდნენ. წამოხტა და იასამნის ტოტები მოტეხა. გოგონამ თაიგულს მკლავები ძლივს შემოაწვდინა და ყვავილებში ჩაიძირა.

ბიჭს შამპანურის გახსნის საშუალება არ მისცა და შესთავაზა, საახალწლოდ დაელიათ ერთად. ნიკა დათანხმდა...

მას გოგონა ძალიან მოეწონა. ასეთ ლამაზ და კარგ გოგოს ჯერ არ შეხვედროდა. შენიშნა, რომ ძალზე სუფთა შინაგანი სამყარო და სული ჰქონდა. ის არ ჰგავდა იმ გოგონებს, რომლებიც მამაკაცებს კალთებს ახევენ და პირველსავე შეხვედრაზე საკოცნელად იწევენ. მას ასეთი გოგონების სიკვდილივით ეშინოდა.

ისინი ერთმანეთს მალე დაშორდნენ და ტელეფონის ნომრები გაცვალეს. ცირა ასე, იასამნების დედოფალივით გამოცხადდა შინ. დედამ არაფერი თქვა. მხოლოდ ამოიოხრა და იასამნები ლარნაკებში გადაანაწილა. სახლი გამოცოცხლდა.

— ამდენი რად გინდოდა? — დედამ კითხვით სავსე მზერა მიაპყრო გოგონას.

— ნიკამ მითხრა, რომ იასამანს ტოტები აუცილებლად უნდა მოამტვრიო, რომ მომავალ წელს ისევ აყვავდეს. მისთვის ბებიას უსწავლებია.

— ნიკა? ნიკა ვინაა და ფეხებზე რა გჭირს, ცირა? — დედას ხმაში სიმკაცრე შეეპარა.

— მერე მოგიყვები ყველაფერს, დე, ახლა დაღლილი ვარ და ძალიან მეძინება.

ცირამ ფეხები გრილ წყალში ჩააწყო და ტკივილისგან დაიმანჭა. შემდეგ ფრთხილად შეიმშრალა და მალამო წაისვა.

დაწოლამდე იასამანის ყველაზე ლამაზი ყვავილი მოტეხა და „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ ჩადო. ამ მიზნისთვის (ყვავილების გასახმობად) წიგნებს ჯერ კიდევ V კლასიდან იყენებდა. ის საწოლზე კნუტივით გაწვა და მაშინვე ჩაეძინა.

ივნისის ცხელი დღე იდგა. ქარი ფარდას აფრიალებდა და მოლბერტზე დადებულ ქაღალდს აშრიალებდა. იასამანმა მხოლოდ ცირას ოთახი კი არა, მთელი სახლი გამოაცოცხლა.

დედამ ყვავილებით სავსე ერთი ლარნაკი თავის ოთახში გაიტანა. ის ღელავდა და ამ დროს დასამშვიდებლად ხატვა საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა. მან მოლბერტზე სუფთა ფურცელი დაამაგრა და ხატვა დაიწყო. დედა მიხვდა, რომ მისი შვილის ცხოვრებაში რაღაც ისეთი მოხდა, რაც მის გოგონას მუდმივად თუ არა, დროებით მაინც დაურღვევდა სიმშვიდეს. მისაღები გამოცდები კარზე ჰქონდა მომდგარი და ეს ვიღაც ნიკა რაღა ახლა გამოჩნდა? დედას გული უგრძნობდა, რომ ამ ადამიანის გამოჩენას კეთილი ბოლო არ ექნებოდა.

მისი გოგონა ჭკვიანი, ნიჭიერი და ბეჯითი იყო. ამას კედელზე გაკრული უამრავი სიგელი მოწმობდა. მას ბიჭებისკენ გული არ მიუწევდა. შინ მოვიდოდა თუ არა, წიგნებს ჩაუჯდებოდა... ახლა კი... ეს სიმშვიდე დაირღვევა... ნიკა... უყურე შენ?! მის შესახებ კი ცირ-

ასგან ალბათ ვერაფერს შეიტყობს, რადგან გოგონას ლაპარაკი ისედაც არ უყვარდა და პირად საკითხებზე — მით უმეტეს.

დედას ცირასთან თავისებური ურთიერთობა ჰქონდა. გოგონა ისეთი გულჩათხრობილი იყო, დედას მისი განწყობილების გამოცნობაც კი უჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ დედის ნიჭი გამოჰყვა, ქალს ეს მაინცდამაინც არ ახარებდა.

დედა მხატვარი გახლდათ და მით უფრო უცნაური იყო, რომ შვილის პროფესიონალ მხატვრად ჩამოყალიბებას ეწინააღმდეგებოდა. მას სურდა მისი შვილი ექიმი, მასწავლებელი ან ბოლოს და ბოლოს, ინჟინერი მაინც გამოსულიყო და ამას იმით ხსნიდა, რომ თავისუფალი პროფესია ცხოვრებაში ბევრ დაბრკოლებას შეუქმნიდა. მას თამამად შეეძლო ეთქვა, რომ თავადაც ნანობდა, როცა პროფესიად მხატვრობა აირჩია, მიუხედავად იმისა, რომ მთელ ოჯახს სწორედ თავისი პროფესიის წყალობით ინახავდა და საკმაოდ „მსუყედაც“ ცხოვრობდნენ. ის ქმარზე მეტსაც კი გამოიმუშავებდა. მამა მფრინავი იყო და უცხოეთში დაფრინავდა. ეს საქმე კი იმ დროს ძალზე ფასობდა.

მამა ცოლის აზრს არ იზიარებდა, მაგრამ არც ეწინააღმდეგებოდა. ის ცოლის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, მაგრამ დედა-შვილს შორის ოსტატურად დგებოდა, რომ მათ შორის კონფლიქტი არ გაღვივებულიყო.

ცირა კი გასულ დღეზე ფიქრობდა. გამოსაშვები საღამო არც ისე კარგი გამოვიდა. ფაციფუცი, ყვავილები, ცრემლი... თითქოს გასვენება იყო. შესაძლოა, მართლაც დაკრძალვა იყო? უზრუნველი, ბავშვური ცხოვრების დაკრძალვა და უკანასკნელ გზაზე გაცილება...

დღეს პირველად გაუსინჯა გემო შამპანურს. წინათ დედა ახალ წელსაც კი არ აძლევდა დალევის საშუალებას. მხოლოდ ლიმონათს ასმევდა.

თავბრუ დაეხვა და ბავშვებს ჩამორჩა. როცა გონს მოვიდა, ის უკვე ფეხშიშველი რუსთაველის ქუჩას მიუყვებოდა. რაღაც სიმღერაც აეკვიატა... ამ დროს კი უეცრად, ვილაც ტიპი დაეჩითა... უცხო? რაღაც მომენტში მოეჩვენა, რომ ამ ბიჭს დიდი ხანია, იცნობდა. იქნებ შამპანურის ბრალი იყო?

ნიკა...

ნიკოლოზი...

ნიკუშა...

* * *

— კიდევ დალევ? — ბარმენი მხარზე ხელით შეეხო ქალს და მარტინით სავსე ახალი ჭიქა ჩამოდგა, — მეგონა, ჩაგეძინა.

ცირა წამოდგა, ცარიელი ჭიქა ბარზე დადგა, სასმლის ახალ ულუფაზე უარი თქვა და ფულიც დახლზე დადო.

— იცი, დღეს თბილისში ვინ ჩამოვიდა? — ჰკითხა ბარმენმა, მაგრამ ცირა უკვე გადიოდა და კარი ზურგს უკან მიიხურა.

— უცნაური ადამიანია, — დაასკვნა ბარმენმა.

ცირა ტაქსის გაჩერებისკენ წავიდა და ძალიან ნანობდა, მანქანა შინ რომ დატოვა. კარგი ამინდი იყო და ქალი ნელი ნაბიჯით მიდიოდა... რამდენიმე მანქანამ გაუჩერა და ქალაქში გაყვანა შესთავაზა. მან კი დიდი ხნის წინ ისწავლა, როგორ უნდა დაეღწია თავი აბეზარი თაყვანისმცემლებისგან. უხამსი სიტყვებით აგინებდა ხოლმე მათ და პასუხად იღებდა:

— უკაცრავად, ყველაფერი გასაგებია...

ის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას გადაჩვეული იყო, რადგან 15 წელია, რაც საკუთარი ავტომობილი ჰყავდა.

ერთ მანქანას მიუახლოვდა, რომელსაც კაპოტი ჰქონდა ახდილი და პატრონი შიგ „იქექებოდა“.

— გნებავთ, ქალაქში წაგიყვანთ, — მიმართა მამაკაცმა.

— არა, გმადლობ, — თავი გააქნია ქალმა.

— როგორც გენებოთ, — მამაკაცმა მხრები აიწურა და მანქანის ძრავაში „ქექვა“ განაგრძო.

ცირამ კი ტაქსიში ჩაჯდომაზეც უარი თქვა და თბილისისკენ მიმავალ გზას ფეხით დაადგა...

მამაკაცმა, რომელიც თავისი მანქანის კაპოტის ქვეშ იყო შემძვრალი, რაღაც უთხრა, მაგრამ ქალმა ვერ გაიგონა. მისი გონება მოგონებებით იყო დატვირთული. თვითონაც ვერ შენიშნა, როგორ ჩამოჯდა ბორდიურზე და ფიქრებში გაერთო.

— ცუდად ხომ არ ხართ? — მხარზე ხელი დაადო ვიღაცამ. ეს ის კაცი იყო, ვინც ცოტა ხნის წინ მომსახურება შესთავაზა. ის თურმე მთელი საათი მანქანის შეკეთებას ცდილობდა, ქალი კი ბორდიურზე იჯდა და გაქვავებული, ქანდაკებას ჰგავდა. მამაკაცმა შენიშნა, რომ ქალს ძვირფასი ფეხსაცმელი და ტანისამოსი ეცვა... ტაქსიმაც გაუჩერა, ავტობუსმაც, მაგრამ ის იჯდა და ერთ წერტილს მიშტერებოდა.

— არა, ცუდად არ ვარ. უბრალოდ, ფიქრებში ჩავიძირე, — ცირა გონს მოეგო მამაკაცის შეკითხვაზე.

— იცით, აქ თქვენი დარჩენა არ შეიძლება... აეროპორტს უკვე გამოცდით, ქალაქამდე კი შორია... გარშემო მოსახლეობაც არაა... გამომყევით და სახლამდე მიგიყვანთ.

— არა, არა, დიდი მადლობა, — ისევ იუარა ქალმა.

— მეჩვენება, რომ ჩემი გეშინიათ, — თქვა მამაკაცმა, — არადა, სულ ტყუილად, მე თქვენ გიცანით. პრაღაში, გამოფენაზე გნახეთ. როცა საკუთარი ნახატის გაყიდვაზე უარი განაცხადეთ, მაშინ დამამახსოვრდით.

ცირამ წარბები აზიდა.

— დაბრძანდით და შუბლს ნუ იჭმუხნით, მაინც ვერ გამიხსენებთ. არადა, მოწყენა არ გიხდებათ.

ცირამ თავის პრინციპს უღალატა და მანქანაში ჩაჯდა.

მანქანის სალონს პატრონზე ბევრი რამის თქმა შეუძლია... ამ მანქანაში ყველაფერი წესრიგში იყო... მძღოლის სავარძლის ქვემოდან არ ჩანდა ზეთიანი ჩვრები, არც პლასტმასის ბოთლი დაგორავდა... უკანა სავარძელზე სპორტული ჩანთა იდო...

მამაკაცმა ცირას მზერა დაიჭირა...

— ქუთაისიდან ჩამოვედი მეგობრების გასაცილებლად... სად მიგიყვანოთ?

მანქანა ნელა დაიძრა ადგილიდან. ცირამ ფეხები სიამოვნებით გაჭიმა და თანამგზავრის რჩევით, ფეხზე გაიხადა. მოეშვა და ისე მოითენთა, ჩათვლიმა კიდეც. თუმცა, კი არ ჩათვლიმა, ისევ მოგონებებში ჩაიძირა.

„ბედმა ისევ უცნაურად შემახვედრა ნიკას... თითქოს ფორას გვაძლევს და პასუხისმგებლობას კი იხსნის... რამდენჯერ დაუტრიალებია გონებაში ფირივით მოგონებები. მას ზუსტად შეეძლო ეთქვა, რომელ რიცხვში რა მოხდა, რა ეცვა, როგორი ამინდი იყო... „საზიზღარი მეხსიერება ჩემს წინააღმდეგაა მომართული... ეს დაცინვაა... ახლა რას შემომთავაზებს იღბალი? იქნებ მაშველ რგოლს? ან მორევთან მიმიყვანს და შემდეგ ხელს მკრავს? ამ მორევიდან კი გამოსვლას ვერასოდეს მოვახერხებ“, — ფიქრობდა ის.

თანამგზავრს მასთან დალაპარაკება სურდა, მაგრამ როცა ქალს სახეზე დააკვირდა, მიხვდა, რომ ის ახლა ძალზე შორს იყო მისგან...

ქალი მაშინ გამოერკვა, როდესაც მანქანა დაამუხრუჭა.

— მოვედით, მადამ.

— მადმუაზელი, — შეუსწორა ცირამ და შენიშნა, როგორ აზიდა წარბები მისმა „მძღოლმა“.

ქალმა მადლობა გადაუხადა და ფულიც შესთავაზა. მამაკაცმა ფულის ხსენებაზე ზიზღით ასწია ტუჩის კუთხეები. ქალი შებრუნდა და აგარაკის ჭიშკარი გააღო.

მას ახლა მანანაც დავიწყებული ჰყავდა, მისი შვილებიც და ესპანელი ქმარიც. რაზეც ახლა ფიქრობდა, რამაც მისი გონება დაიკავა, ამ ყველაფერს ერთი სახელი ერქვა — ნიკა.

ეზოში შევიდა. ყურადღება არ მიუ-

გაგრძელება იხ. გვ. 40

ᲡᲐᲖᲐᲠᲔᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲤᲝᲜᲘᲭᲐᲚᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲣᲗᲑᲖᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ

„ᲢᲧᲣᲘᲚᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲘᲗᲥᲕᲐ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ“...

თბილისის საქალაქო სასამართლოში (მოსამართლე ლელა შკუბულიანი) შარშან თბილისში მომხდარი იმ შემზარავი ბოროტმოქმედების დეტალები განიხილება, რომელმაც საზოგადოება შესძრა. 2009 წლის 17 ივლისს გამთენიისას, ძალოვნებმა გარდაბნის რაიონის სოფელ მუხრანთელეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხევში, ტომარაში გახვეული, 7 წლის გიორგი იმერლიშვილის გვამი იპოვეს. ბიჭუნა ქვემო ფონიჭალაში, საცხოვრებელი კორპუსის ეზოდან 16 ივლისს, დღის პირველ საათზე გაუჩინარდა.

ᲗᲔᲐ ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ

გიორგი დედის თვალწინ ტრიალებდა — დედა საცხოვრებელ კორპუსში მდებარე პოლიკლინიკაში ექთნად მუშაობდა. ბავშვის დაკარგვიდან ერთ საათში მამამ მობილურზე შეტყობინება მიიღო, რომ მისი შვილი გატაცებული ჰყავდათ; შეტყობინებაში გაფრთხილებაც იყო — პოლიციას არ აცნობოთ, თორემ ბავშვს საფრთხე შეექმნებაო. ცოტა ხანში სატელეფონო ზარიც განხორციელდა... მშობლებმა ერთადერთი შვილის ძებნა დაიწყეს და ამაში მათ მთელი უბანი ეხმარებოდა. გაფრთხილების მიუხედავად, ოჯახმა მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობა. ძალოვნებმა სწორედ მესიჯის მეშვეობით მიაგნეს დამნაშავის კვალს. საუბედუროდ, ბიჭუნა ცოცხალი აღარ იყო. დაკავებულმა პოლიცია სწორედ იმ ადგილას მიიყვანა, სადაც ცხედარი გადააგდო...

პატარა ბიჭუნას გატაცებასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილის სახით, იმერლიშვილების მეზობელი, გვერდით სადარბაზოში მცხოვრები ჯემალ სამადაშვილი დააკავეს; მასთან ერთად, მისი 17 წლის შვილი, კახაც დაპატიმრებულია. ამ ფაქტმა მთელი ფონიჭალა ფეხზე დააყენა. იმ დღეს ჯემალ სამადაშვილი ეზოში ტრიალებდა და საღამოს მეზობლებს ისიც ჰკითხა, — ბავშვი ხომ არ უპოვიათო? — არადა, ამ დროს ბიჭი ცოცხალი აღარ იყო... მოსახლეობა დამნაშავეთა დასჯას ლინჩის წესით ითხოვდა. სამადაშვილების საცხოვრებელი ბინის ფანჯრები ხალხმა ქვებით ჩაამტვრია. მაშინ, დეტალების გასარკვევად, მეც გახლდით მისული იმერლიშვილების ბინაში და იქ ნანახი სურათი დღემდე თვალწინ მიდგას: ოთახში პატარა ბიჭუნას გაშავებული ცხედარი ესვენა, ბავშვს თავი უსაშველოდ გადიდებული ჰქონდა, ტანზე სისხლჩაქცევები და ნაჭდევები ეტყობოდა... გვამი იმდენად იყო დაზიანებული, რომ შვილმოკლული დედა ერთადერთი შვილის ცხედრის მოფერებასაც ვერ ახერხებდა...

ეჭვმიტანილი ჯემალ სამადაშვილი წლების მანძილზე პოლიციაში მსახურობდა, იმ პერიოდში მეცნიერებათა აკადემიის დაცვაში მუშაობდა. ბავშვის გატაცების მიზეზად ფულის გამოძალვას ასახელებდნენ; მეორე ვერსიით, ის თურქეთში გასაყიდად უნდა გაეყვანათ... უბანში ყველა ამბობდა, რომ იმერლიშვილებს ფული არ ჰქონდათ. ჭირისუფალი ოჯახის წევრები აღნიშნავენ, რომ ტრაგედიამდე, კარგა ხნის მანძილზე, მათ ტელეფონებზე იმავე ნომრიდან არაერთხელ დაურეკავთ...

ჯემალ სამადაშვილი და მოკლულის მამა, გელა ერთად გაზრდილები არიან. ორივე მხარე ამბობს, რომ მათ შორის რაიმე უთანხმოება და კონფლიქტი არ ყოფილა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, მამა-შვილი სამადაშვილი შეთანხმდა, რომ ბავშვი გამოსასყიდის მიღების მიზნით ხელში ჩაეგდოთ. ის სოფელ მუხრანთელეთში, სამადაშვილების საცხოვრებელ ბინაში უნდა დაემალათ; მეთვალყურეობას კახა სამადაშვილი იკისრებდა. 16 ივლისს, დაახლოებით 12 საათზე, მამის დავალებით, კახა სამალავის მოსამზადებლად სოფელში წავიდა. 13 საათზე ჯემალმა ეზოდან პატარა გიორგი თავის ბინაში აიყვანა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რომ მძევალი სოფელში გადაეყვანა. გიორგის რომ არ ეტირა და ეხმაურა, ჯემალმა მას ალკოჰოლური სასმელი მიაღებინა... იმის გასარკვევად, თუ რა ზომას იღებდა ბავშვის ოჯახი, დაახლოებით 14 საათზე თავისი ტელეფონიდან გიორგის მამას, გელა იმერლიშვილს დაურეკა და მოკლე ტექსტური შეტყობინებაც გაუგზავნა... მალე ჯემალ სამადაშვილმა შეიტყო, რომ იმერლიშვილებმა მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინეს. ისე, რომ ამის შესახებ მისმა შვილმა კახამ არაფერი იცოდა, ჯემალ სამადაშვილმა, გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, კვალის დაფარვის მიზნით, ბავშვის მოკვლა განიზრახა. განსაკუთრებული სისასტიკით სცემა, რა დროსაც, მარცხენა ყურის არეში ნაკვეთი ჭრილობა მიაყენა, ასევე, ნაჭდევები და სისხლჩაქცევები სხეულის სხვადასხვა მიდამოში; შემდეგ გიორგი, ბლაგვი საგნის თავში ჩარტყმით მოკლეს. მკვლელობის შემდეგ, გამოძიებით დაუდგენელი პირი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ჯემალმა შვილს მომხდარი აცნობა და თბილისში დაბრუნება სთხოვა. ბინაში დაბრუნებული კახა მამას, ხელჩანთაში გვამის მოთავსებაში, ავტომანქანაში გადატანასა და შემდეგ, მუხრანთელეთში, სახლის ეზოს ორმოში ბავშვის გადამალვაში დაეხმარა...

ამ უმძიმეს ბრალდებასთან ერთად, ჯემალ სამადაშვილს საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენაშიც ედება ბრალი. რაც შეეხება მის ვაჟს, — კახა სამადაშვილს ანგარებით, ჯგუფურად პირის მძევლად ხელში ჩაგდება და აგრეთვე, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა ედება ბრალად. გამოძიების მტკიცებით, როცა კახამ მამის დაკავების შესახებ შეიტყო, გვამის თავიდან მოცილების მიზნით, ტომარაში ჩადებული ცხედარი ხევში გადააგდო.

ამ ბრალდების ირგვლივ სასამართლო განხილვა კარგა ხანია, მიმდინარეობს. პროცესზე მოწმეების დაკითხვა დასრულდა. მარტის ბოლოს მამა-შვილს განაჩენს გამოუტანენ. საქმის ირგვლივ უამრავი მოწმე დაიკითხა, მათ შორის, ის პოლიციელები, რომლებმაც ბინაში ჩხრეკა ჩაატარეს. ძალოვანთა მტკიცებით, კახა სამადაშვილის საძინებელი ოთახიდან ნარკოტიკი ამოიღეს, თავად ბრალდებულის მხარე აცხადებს, რომ წამალი „ჩაუდეს“. პოლიციელთა მტკიცებით, ჯემალ სამადაშვილმა მათ წინააღმდეგობა გაუწია და საფერფლეც კი ესროლა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მან პოლიცია შეცდომაში შეიყვანა — მკვლელობაში თავისი თანამშრომელი იოსებ მოხევიშვილი ამხილა; უდანაშაულო კაცი 24-საათიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს. ჯემალ სამადაშვილმა ჩვენება 5-ჯერ შეცვალა; ყველა დაკითხვაზე მომხდარს სხვადასხვანაირად აღწერდა, სასამართლოზე კი სრულიად განსხვავებული ჩვენება მისცა.

პროცესზე ექსპერტებიც დაიკითხნენ. სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა გიორგი ცინცაძემ ბავშვის გარდაცვალების მიზეზად ქალა-

ტვინის ბლაგვი დახურული ტრავმა დაასახელა და განმარტა, რომ პატარას დაზიანება ბლაგვი საგნით ჰქონდა მიყენებული. სხეულზე არაერთი დაზიანება იყო: ტანზე, გულმკერდზე, ფეხზე, რომლებიც სიცოცხლის დროინდელია; ნაკვეთი ჭრილობები თავის და ტანის მიდამოში, მარცხენა ყურის ნიჟარაზეც. ისიც გაირკვა, რომ ბავშვს ალკოჰოლი დაალევინეს, მის სხეულში დიდი ოდენობით ალკოჰოლი აღმოჩნდა...

ერთადერთი მოწმე, რომელმაც მამა-შვილი ამხილა, მათი მეზობელი ქეთევან ხმალაძე იყო. ქალი ირწმუნებოდა, რომ დაინახა, გვიან ღამით დიდი ჩანთით სახლიდან როგორ ჩამოჰქონდა მამა-შვილს რაღაც და როგორ ჩადო მანქანაში.

„ჯემალმა უნამუსოდ იკითხა, — ბავშვზე ხომ არაფერი გაგიგიათო? უკან ედგა კახა; გაიგეს, რომ სოდში იყვნენ იმერლიშვილები... ამ დროს თურმე ბავშვი მოკლული ჰყავდათ. ღამის 4-ის ნახევარზე დავინახე, ჩანთით ხელში მამა-შვილი როგორ გამოვიდა. ჩემს მეუღლესთან და მეზობელთან ერთად, ეზოში ვიდექით და ველოდებოდით, იქნებ ვინმეს ბავშვზე ინფორმაცია მოეტანა. მათ ჩვენ არ დავუნახავვართ“, — *თქვა მოწმე ხმალაძემ.*

სასამართლო პროცესზე, მოკლულის ბებია თავს ვეღარ იკავებს და რეპლიკების გამო მოსამართლისგან შენიშვნასაც იღებს. „მითხარით, რატომ მომიკალით ჩემი ულამაზესი შვილიშვილი, რა დაგიშავათ?! თქვენ ცოცხლები არ უნდა დადიოდეთ!.. ბავშვი დაკრძალვამდე 40 წლის კაცს დაემსგავსა, დასივდა და თმა მთლიანად გაუთეთრდა... რატომ მოკალით?!“ — ემოციებს ვერ იკავებს ქალბატონი ციალა.

დაზარალებული გელა იმერლიშვილი მოთმინებით ელოდება განაჩენს, თუმცა საოცრად მწველია მისი მზერა, როდესაც დამნაშავეებს მიაპყრობს.

„წისქვილკომბინატში ვმუშაობდი. გიორგი 2001 წლის 6 სექტემბერს დაიბადა. ძირითადად დედა აქცევდა ყურადღებას, იქვე მუშაობდა. ამ ფაქტამდე, ჩემი მეუღლის ტელეფონზე დიდციფრიანი ნომრიდან დარეკეს... ამბობდა, — ვალები გაქვთ და უნდა გადაიხადოთო. ორჯერ დარეკეს. ამის გამო ვაგინე... მე და ჯემალი ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით, ერთი წლით უფროსია ჩემზე. უკონტაქტო ადამიანი იყო, მასთან კონფლიქტი და უთანხმოება არასდროს მქონია. მეტწილად თავის ავტოფარეხში ვხედავდი, ბავშვებთან და ცხოველებთან ერთად. 16 ივლისს, დილის 9 საათზე სახლიდან გავედი. გიორგი გაღვიძებული იყო, მაგრამ საწოლში იწვა... მარნეულიდან ვბრუნდებოდი, უცხო ნომრიდან ზარი რომ შემოვიდა; ორჯერ გაითიშა, მერე მკითხა ვიღაცამ, გელა ხარო? — და ისევ გათიშა. 15-20 წუთში შეტყობინება მივიღე: თქვენი შვილი ჩვენთან არის, არავის შეატყობინოთ, 2 დღეში დაგიკავშირდებითო... ეს რომ წავიკითხე, პირდაპირ სახლში მივედი და ვიკითხე, გიორგი სად იყო? მითხრეს, ეზოში თამაშობსო. პოლიკლინიკაში, ჩემს ცოლთან შევედი; მანაც იგივე მითხრა. ვუთხარი, ასეთი მესიჯია შემოსული-მეთქი. ძებნა დავიწყეთ. ვერ ვიპოვეთ. ჩემს დას დავურეკე და ვუთხარი, რაც მოხდა. მარტო ვერ ვწყვეტდი, მეცნობებინა თუ არა პოლიციისთვის; არ მინდოდა, ჩემი შვილისთვის რაიმე დაეშავებინათ. ცოლმაც მირჩია, მეთქვა და პოლიციაში წავედით. იმ ნომერზე ვრეკავდი, საიდანაც მესიჯი მივიღე, მაგრამ გათიშული იყო. გიორგი ენერგიული ბავშვი იყო, მოძრავი. ყველას უყვარდა... ყველაფერს ვიზამდი, სახლსაც გავყიდდი, ოღონდ ჩემი შვილი გადარჩენილიყო... ასეთი ადამიანები კანონის მთელი სიმკაცრით უნდა ისჯებოდნენ. ცუდია, სიკვდილით დასჯა რომ გაუქმდა. გთხოვთ, მოსამართლევ, გაითვალისწინოთ ეს შემთხვევები და მაქსიმალურად მკაცრად დასაჯოთ“, — *ასე მიმართა სასამართლოს დაზარალებულმა გელა იმერლიშვილმა.*

პროცესზე ექსპერტი-ოდოროლოგი დაიკითხა. მან დაადასტურა, მსხვერპლი მართლაც ჰყავდათ მიყვანილი სამადაშვილების ბინაში: საძინებელ ოთახში ბავშვის სუნი დაფიქსირეს; ასევე — მუხრანთელეთში, დამხმარე სათავსოსა და ავტოფარეხშიც. ექსპერტმა ისიც დაადასტურა, რომ ბავშვი მანქანით ჰყავდათ გადაყვანილი და სუნი იქაც დარჩა.

პროცესზე ჩვენება განსასჯელ ჯემალ სამადაშვილის მეუღლემაც მისცა:

„ჯემალი დიდი კონტაქტურობით არ გამოირჩეოდა, ბევრი მეგობარი არ ჰყავდა. მშვიდი ცხოვრებით ვცხოვრობდით, გვქონდა ჩვენი საქმე. ვალების გამო თურქეთში წავედი; 3 თვეში ერთხელ ჩამოვდიოდი. ჩემი მეუღლე მაწვდიდა შვილებზე ინფორმაციას. ბავშვებთან ძირითადად, მესიჯებით ვკონტაქტობდი. ისინი ყურადღებიან მამას დავუტოვე, ძალიან მზრუნველი მამა იყო... მულისგან გავიგე, რომ დაჭერილები იყვნენ და წამოვედი. ფულიც არ მქონდა, ნაცნობი მამაკაცი დამეხმარა. საზღვარზე ღამის 12-1-ელ საათზე ვიყავი. პოლიციელებმა მითხრეს, ჩვენ წაგიყვანთო და მიმიყვანეს სოდ-ის შენობაში. სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდნენ. იქ ჰყავდათ ჩემი ქალიშვილი სოფოც; მასთან საუბრის საშუალებაც არ მომეცა — ბავშვი 5 წუთით ვნახე; გაოგნებული იყო და ტიროდა. სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და დაჭერით ემუქრებოდნენ. თურქეთში წელიწადი და 5 თვე ვიყავი, ვალები თითქმის გასტუმრებული მქონდა...“

ჩვენება არასრულწლოვანმა სოფო სამადაშვილმაც მისცა:

„მამა კახასთან უფრო მკაცრი იყო... 16 ივლისს, დილის 10 საათზე გავიღვიძე და მამაჩემის ხმა გავიგონე. მითხრა, ჩემი ოთახიდან არ გამოვსულიყავი. მერე დამიკაკუნა და მითხრა, — გამოდი და სახლი დაალაგეო, — თვითონ კი წავიდა. კახას საძინებელ ოთახში სითხე ესხა, წყალს ჰგავდა. ხსნარით მოვწმინდე. სხვა ოთახებში არეული არაფერი მინახავს. 12 საათი იქნებოდა, მამამ დამირეკა და მითხრა, ქვევით ჩავსულიყავი, და ჯიხურთან მელოდა. მანქანაში მითხრა, რომ კახა თელეთში იყო. ნავთლუღამდე წავედით. მამამ მომცა ტელეფონი და დამარეკვინა ნომერზე, მაკითხვინა: გელა ხომ არ ხარო? — და ტელეფონიც გავთიშე. იქიდან რუსთაველზე გავედით, მამას სამსახურში, მეცნიერებათა აკადემიაში. იქ მეგობარი ნახა, ტელეფონი გადასცა, ისაუბრეს და მერე თელეთში წავედით. სახლში ჩემი ძმა, ბებია და მამიდა იყვნენ. ერთ საათში ისევ ფონიჭალაში დავბრუნდით. მამას ეზოში უთხრეს, — გიორგია დაკარგული და ხომ არ გინახავსო? ჩამეძინა. დილას მოვიდნენ კახა და მამა; მითხრა, კარი არავის გაუღოო, შემდეგ დამირეკა და მითხრა, ახლა ჩემი თანამშრომლები მოვლენ და კარი გაუღეო. 3-4 კაცი მოვიდა, სახლი გაჩხრიკეს და წავიდნენ... მერე მეც წამიყვანეს პოლიციაში. სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდნენ, ღამის ცემაზე გადავიდნენ“, — *ირწმუნება არასრულწლოვანი სოფო სამადაშვილი.*

ძალოვნები იმასაც იკვლევდნენ, ჩადენილი ჰქონდა თუ არა სოფოს დანაშაულებრივი ქმედება. ფაქტია და სასამართლოზე სოფოს დაკითხვამაც დაადასტურა, რომ შესაძლებელი იყო, მამამისის ქმედებების გამო, სოფოც საბრალდებო სკამზე მოხვედრილიყო...

პროცესზე გამომძიებელი და პროკურორი დაიკითხნენ. უმძიმესი მოსასმენი აღმოჩნდა პროკურორის დაკითხვა დაზარალებული მხარისთვის. ჯემალ სამადაშვილს, სახაზინო წესით, ადვოკატი დიმიტრი ნოზაძე იცავს. განსასჯელმა ერთ-ერთ შეხვედრაზე კატეგორიულად მოითხოვა პროკურორთან განმარტოება. სასამართლოზე სწორედ ამ კონფიდენციალური შეხვედრის დეტალებზე ისაუბრა პროკურორმა და მოუთხრო სასამართლოს, თუ როგორ დეტალურად აღწერა სამადაშვილმა მკვლელობა და ის, თუ როგორ მოგუდა ბავშვი. ამ ჩვენების

მოსმენის შემდეგ, ბადრაგმა ძლივს შეძლო დარბაზის შეკავება და მანდატურებმა სასწრაფოდ გაიყვანეს განსასჯელები.

სასამართლოზე განსასჯელებიც დაიკითხნენ.

ᲙᲐᲮᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ *ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ:*

„იმ დილით სახლში მე, მამა და ჩემი და ვიყავით. მამამ მითხრა, ძაღლი გაასეირნეო. ეზოში ჩავედი... ცოტა ხანში მამაჩემი ჩამოვიდა და მითხრა, სოფელში წავიდეთო. არ მინდა წამოსვლა-მეთქი. — არა, წამოდიო. გავყევი. აღელვებული იყო. ვკითხე, — რა მოხდა-მეთქი?.. მითხრა, ბავშვი შემომაკვდაო. მიზეზი რომ ვკითხე, მიყვირა, — შენ ჩუმად იყავი, ხმა არ ამოიღოო!.. სოფელში ავედით. მამაჩემი სახლში არ შემოსულა. 20-25 წუთის შემდეგ შემოვიდა და მალევე მანქანით წავიდა. დაახლოებით 3 საათში ჩემს დასთან ერთად დაბრუნდა. ცოტა ხანი ვიყავით და მერე სამივენი ფონიჭალაში დავბრუნდით. რომ დაბნელდა, მითხრა, სოფელში წამოდიო. ისევ წამიყვანა. მამა სახლში არ შემოსულა. უკვე ღამე იყო. რომ არ შემოვიდა, ეზოში გავედი. დავინახე, სახლის გარეთ მიწას თხრიდა; მივხვდი ყველაფერს. დამიყვირა, სახლში შედიო!.. მანქანები შეამჩნია. 10 წუთში დამიძახა: ძალიან ბევრს მირეკავენ ტელეფონზე სამსახურიდან და უნდა წავიდე, შენ ბავშვი ზემოთ მიასვენეო. — არ შემიძლია-მეთქი, — ვუთხარი. მიყვირა და მეჩხუბა, მლანძღავდა. მითხრა, — მანქანა უკან გამომყვებაო, — და წავიდა. მართლაც, ის მანქანა გაყვა. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. მიცვალებული ღობის გარეთ იყო, რამემ არ გააფუჭოს-მეთქი... ბავშვი ჯერ ცელოფანში მოვათავსე (გაკოჭილი არ იყო), მერე — ტომარაში და ალბათ 200 მეტრი წავიღე და ბუჩქებთან მივასვენე... სახლში დავბრუნდი. ცოტა ხანში მოვიდნენ და მითხრეს, გაქცეულს ვეძებთო; სახლი დაათვალიერეს. მეორე დილით, 10-11 საათი იქნებოდა, სოდ-ში რომ წამიყვანეს... პოლიციელებს ნებაყოფლობით გავყევი და ვაჩვენე ის ადგილი, სადაც ბავშვი ესვენა, ისიც ვთქვი, მამაჩემმა რაც ჩაიდინა“.

კახა სამადაშვილს ამ დანაშაულთან ერთად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვაში ადანაშაულებენ. ამბობს, რომ წამალთან შეხება არ ჰქონია. ექსპერტიზის დასკვნით კი მის სხეულში ნარკოტიკი აღმოჩნდა. ამაზე განსასჯელს ასეთი პასუხი აქვს:

„სოდ-ის თანამშრომლებმა „კოკა-კოლას“ ბოთლით, ძალით რაღაც სითხე დამალევინეს. მათი მიზანი იყო, რასაც მეტყოდნენ, იმისთვის ხელი მომეწერა

მოკლული გიორგი იმერლიშვილი

და მეღიარებინა თანამონაწილეობა“.

ამბობს, რომ მამას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. გიორგი იმერლიშვილი თანხის გამოძალვის მიზნით რომ ჰყავდათ გატაცებული, ეს ზეწოლის შედეგად თქვა; ისიც დასძინა, — ვერ გავბედე, ვინმესთვის მეთქვაო. მან კატეგორიულად უარყო და არ დაეთანხმა მოწმე ხმალაძეს, რომელიც ირწმუნება, რომ სახლიდან მამა-შვილმა ერთად ჩამოიტანა დიდი ჩანთა.

ჩვენება განსასჯელმა ჯემალ სამადაშვილმაც მისცა და ბავშვის სიკვდილის მიზეზად სრულიად განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა:

„იმ დღეებში დედასთან უსიამოვნება მომიხდა, სოფელში წავიდა და თავისი ნივთებიც წაიღო. გაბრაზებული ვიყავი ამის გამო, მინდოდა, სოფელში ავსულიყავი და წყალი ამეტანა. დილის 11 საათი იქნებოდა, ავარია რომ მომიხდა: მანქანა ცოტა სწრაფად მივატრიალე და მივხვდი, რაღაცას დავეჯახე; გადმოვედი და დავინახე, რომ ბავშვს დავეჯახე. ძირს ეგდო. ვეღარ ვაზროვნებდი, ვეღარაფერს ვხედავდი. ბავშვი ხელში ავიყვანე და ჩემს ბინაში ავიყვანე, იქ ვეცადე, წყლით მომესულიერებინა. სახეს ვუსრესდი, მაგრამ მივხვდი, ბავშვი მკვდარი იყო. ამის შემდეგ ერთადერთი, რაც გავიფიქრე და თავში მომივიდა, — ბავშვი გადამემალა. იმწუთას ვერ ვაზროვნებდი; ბავშვი ოთახში რომ შევიყვანე, ვიცოდი, სოფო სახლში რომ იყო და ვუთხარი, თავისი ოთახიდან არ გამოსულიყო. არ მინდოდა, გახმაურებულიყო; ვიცოდი, რაღაც მოხდებოდა; მანამდე მინდოდა, ჩემი შვილები გადამემალა და ამიტომ ვცდილობდი, დრო ასე გამეწელა. სახლში დიდი ჩემოდანი მქონდა, ერთი მეტრა სიგრძის; ბავშვი იმ ჩემოდანში ჩავდე, მარტო ჩამოვიტანე და მანქანის უკანა საბარგულში ჩავდე. არავის დავუნახავავარ, ეზოში არავინ იყო. მერე კახა ვნახე და წავიყვანე. გზაში კახა რაღაცებს მელაპარაკებოდა. არაფერი მითქვამს, საკუთარ თავს ველაპარაკებოდი... მანქანით მოვუარე სახლს და ბავშვი სათავსოში შევიტანე. არ მიწამებია... მერე უკან დავბრუნდი და სოფოს ვუთხარი, გამომყოლოდა. მესიჯი გელასთან გავაგზავნე; ერთხელ დაველაპარაკე და ვუთხარი, ბავშვი ჩემთანაა და დაგიკავშირდებითმეთქი. მერე სოფოსაც დავარეკვინე გელასთან... ისევ სოფელში ავედით. სამსახურიდან დამირეკეს. ბევრჯერ დაირეკა ტელეფონზე და მივხვდი, განგაში ატყდა. ღამის 4 საათზე მე და კახა ავედით. ვფიქრობდი, ბავშვი დამემალა, ან მიწა მიმეყარა. ორმო ცოტა ამოთხრილი იყო და იმის თხრა დავიწყე. შევამჩნიე, კახა მითვალთვალებდა და ვუყვირე, მომშორებოდა, შემდეგ, ბავშვი გამოვიყვანე, ორმოში ჩავაწვინე და მიწა მივაყარე, მაგრამ შევამჩნიე, მანქანა მოძრაობდა. ამან უფრო არ მომცა საშუალება, რომ დამემარხა ან უკან წამეყვანა და სადმე სხვაგან გადამემალა. ჩემოდანი სოფელში დავწვი და მალევე ჩაიფერფლა. კახას დაველაპარაკე, ვუთხარი, რომ სასწრაფოდ სამსახურში მიბარებდნენ, იქ მივდიოდი და თუ შეძლებდა, ბავშვის გვამი მოეცილებინა. ბენზინს ვასხამდი, სოდ-ის თანამშრომლებმა რომ წამიყვანეს. ვალები არ მქონდა, თითქმის გავისტუმრეთ“.

კითხვაზე, — რა მოტივით გაუგზავნა შეტყობინება მოკლულის მშობლებს, როცა ბავშვი მკვდარი იყო? — ***ᲯᲔᲛᲐᲚ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ*** *ასე უპასუხა:*

„უბრალოდ, დროის გაწელვა მინდოდა და ასე იმიტომ მოვიქეცი. ისე, ამ ხალხისგან არანაირი ცუდი არ მახსოვს. მათ მხოლოდ ვესალმებოდი... შვილი მოვუკალი, მკვდარს რაღას ვემართლებოდი?! უნდა გამეგებინებინა მათთვის, მაგრამ — რა ფორმით, არ ვიცოდი; ვერ ვაზროვნებდი, მხოლოდ ჩემი შვილების უსაფრთხოებაზე ვიფიქრე“.

მოსამართლე დაინტერესდა, — რატომ ჰქონდა მიცემული აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის ჩვენებები განსასჯელს, მან უპასუხა, რომ ეს — ზეწოლის შედეგია: „მეუბნებოდნენ, — თუ არ დავიჯერებდი და არ დავწერდი იმას, რასაც მეტყოდნენ, კახას შეექმნებოდა პრობლემები... ტყუილია, რაც ითქვა, თითქოს ბავშვის ორგანოებით ვაჭრობა მინდოდა. ახლა გადავწყვიტე, სიმართლე მეთქვა“, — *დასძინა განსასჯელმა ჯემალ სამადაშვილმა.*

■

გულახდილი დღიური

...როცა დღიურზე — „მე ფსიქოლოგი“ მუშაობა დავიწყე, თავიდანვე მივხვდი, რომ ის მკითხველთა ფართო მასის ყურადღებას მიიპყრობდა; ჟურნალის ყოველი ახალი ნომრის გამოსვლის შემდეგ ჩემი ტელეფონი გაუთავებლად წკრიალებდა — ათობით სატელეფონო ზარი და მესიჯი შემოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვევით ეწერა, ის ავტორის, ანუ ინგა ჯაყელის ნომერია, ბევრი მკითხველი (ძირითადად მამაკაცები) ფსიქოლოგ ეკას კითხულობდა და თავისებური იმედგაცრუება ემართებოდა, როცა ეკას კოორდინატების მიცემაზე უარს ვეუბნებოდი და ამას იმით ხსნიდნენ, რომ ეკა არ არსებობს და მხოლოდ ჟურნალისტის ფანტაზიის ნაყოფია.

ინგა ჯაყელი

— რატომ გინდათ ეკას პირადად ნახვა?

— *ვეკითხებოდი მათ.*

— რადგან ის სწორედ ისეთი ჩანს, როგორ ქალზეც მამაკაცთა უმრავლესობა ოცნებობს. იქნებ ჩვენც გვაპოვნინოს ბედნიერება?!.

„ბედნიერებაში“ რას გულისხმობდნენ, არ აკონკრეტებდნენ: „მაგას ეკას ვეტყვით“ — მიჭრიდნენ. მათთვის პასუხის გაცემაში ჩემი მეგობარი, ფსიქოლოგი, ხატია ხომერიკი დამეხმარა. ზოგ გზავნილს კი თავად ეკამ უპასუხა...

ხატია ხომერიკი:

— ფსიქოლოგია თანამედროვე სამყაროში მომგებიანი თემაა, რადგან ისეთ სტრესულ დროში ვცხოვრობთ, ადამიანებს სულის ტკივილი მეტად აწუხებთ, ვიდრე ფიზიკური. ადამიანს სულიერი შიმშილი და სიცარიელე აწუხებს, რომელიც უნდა შეივსოს სიყვარულით, თანადგომით, სიმშვიდით და ა.შ. ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებს ძიების პროცესს, თან ამას ხმამაღლა ვერ ამბობს იმის შიშით, რომ ვერ გაუგებენ, რადგან გაცილებით უკეთეს რეალობას იმსახურებს, ვიდრე აქვს.

— და რატომ ვერ ამბობენ?

— როგორი სათქმელია მეუღლისთვის, რომ სიყვარული გაქრა, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებმა დიდი ხანია, დაადგინეს მეუღლეებს შორის „გიჟური“ ურთიერთლტოლვა მაქსიმუმ ოთხი წელიწადი შეიძლება გაგრძელდეს. მით უმეტეს, მშობლებს ან შვილებს ვერ ეტყვი, რომ თავი მოგაბეზრეს და მათგანაც გჭირდება დასვენება...

— სხვათა შორის, ბევრს ისიც შეშურდა ეკასი, რომ მან მშობლების სახლიდან წამოსვლა შეძლო და საკმაოდ ახალგაზრდამ ისე იცხოვრა, როგორც თავად ჩათვალა საჭიროდ...

— ვიცი, უფროსი თაობა არ მომიწონებს, მაგრამ ახალგაზრდებს მართლა სჭირდებათ მეტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა... არც მე მინდა ჩემს შვილს, მით უმეტეს, გოგონას ქორწინებამდე ჰქონდეს პარტნიორთან სქესობრივი ურთიერთობა. არც ის მინდა, მარტოხელა დედა იყოს და ოჯახური ურთიერთობა ვერ ააწყოს, მაგრამ თუ ეს მოხდება, არ ვაიძულებ მობეზრებულ პიროვნებასთან დარჩენას იმის შიშით, თუ რას იტყვის ხალხი?!. სხვათა შორის, რაც მეტი თავისუფლება აქვთ ახალგაზრდებს, მით ნაკლებ შეცდომას უშვებენ... საქართველოში არსებული სიდუხჭირისა და უმუშევრობის ფონზე, ახალგაზრდებს კიდევ კარგა ხანს არ ექნებათ დამოუკიდებელი შემოსავალი და ცალკე ცხოვრების საშუალება, თორემ მერწმუნეთ, ისინი უფროსების გარეშეც მშვენივრად მოუვლიან პრობლემებს და აიწყობენ ცხოვრებას...

— კარგი ანდაზა გვაქვს ქართველებს, — „ქალმა თუ გაიწიაო“... — ყველას ექნება გაგონილი... ჰოდა, ნუ შეუქმნით ქალს ისეთ პირობას, რომ „გაიწიოს“, თორემ მას სუსტი კაცი ვერ შეაჩერებს...

— ამიტომ მამაკაცმა ქალს ყოველთვის უნდა გაუწიოს ანგარიში, ყურადღებასა და სიყვარულში უნდა აცხოვროს, რომ „ეშმაკობის“ სურვილი არ გაუჩნდეს. სხვათა შორის, საქართველოში ღალატისთვის მხოლოდ ქალს იმეტებენ ჩასაქოლად, თორემ კაცს, რაც მეტი პარტნიორი ეყოლება ცოლის გარდა, ვაუკაცობად ეთვლება. როცა კაცი სხვის ცოლთან, დედასთან, დასთან მრუშობს, მას ყოველთვის უნდა აწუხებდეს კითხვა — სად არიან ამ დროს მისი ოჯახის ქალები?!. რაოდენ მწარეც უნდა იყოს სიმართლე, მაინც უნდა შეიგნონ კაცებმა, რომ ორივე სქესის წარმომადგენელი თანაბრად ეძებს გარე კავშირებს — შეიძლება, ეს უბრალო ფლირტის დონეზე იყოს, მაგრამ საოცნებო პარტნიორს სიცოცხლის ბოლომდე ეძებს ქვეცნობიერად, ქალიც და კაციც...

როგორც გითხარით, რამდენიმე კითხვას თავად ეკამაც უპასუხა.

უცნობი:

„საინტერესოა, მიიღებს თუ არა ეკა თავის ახალ პაციენტებად მათ, ვინც მასთან საუბრის სურვილი „გულახდილი დღიურის“ წაკითხვის შემდეგ გამოთქვეს?“

ეკა:

— ახალ პაციენტებს, რა თქმა უნდა, ვიღებ, რადგან ეს ჩემი სამუშაო და საარსებო წყაროა, მაგრამ ჟურნალში ჩემს კოორდინატებს ვერ გამოვაქვეყნებ და არ უნდა გაგიკვირდეთ — ბევრი შეკითხვა იმდენად უცნაურია, ვაღიარებ, მეშინია მის ავტორთან პირისპირ შეხვედრა, თუნდაც იმის გამო, რომ ვგრძნობ, ჩემში ფსიქოლოგზე მეტად ქალს ხედავს. თანაც ადვილად ხელმისაწვდომს, რომელიც სექსუალური პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება... სხვაა, თუ მათ მართლა ფსიქოლოგის დახმარება სჭირდებათ. საბედნიეროდ, ჩემზე ბევრად ნიჭიერი ფსიქოლოგები მუშაობენ ჩვენს ქალაქში, რომლებიც პროფესიულ დახმარებას გაუწევენ...

ვაჟა, როგორც მეგობარი და ნიკა, როგორც საყვარელი...

ნიკა, 31 წლის:

„ეკა, შენ როგორც გინდა, ის მოიქეცი, მაგრამ სხვა ქალებს რას ურევ ტვინს?! შენი გულახდილობის შემდეგ, ცოლმა რომ მითხრას — ფსიქოლოგთან გამიშვიო, შეიძლება შემომაკვდეს!..“

ეკა:

— იმედია, ხუმრობთ... ფსიქოლოგი ცუდისკენ არავის უბიძგებს, ის მხოლოდ ეხმარება ადამიანებს იმ გამოსავლის პოვნაში, რაც სიცოცხლის სურვილს დაუბრუნებს. თუ შენს ცოლს სურვილი გაუჩნდება, სხვა კაცზე გაგცვალოს, ამ შემთხვევაში თავი უფრო გექნება მოსაკლავი, რადგან „კარგ კაცს ცოლი არ გ...ა“ — ამაზე „ფსიქოლოგშიც“ ვწერდით...

ავთანდილი, 25 წლის:

„ვიცი, არ გამომეხმაურები, მაგრამ მინდა იცოდე, თუ ნიკა არ ისურვებს შენ გვერდით ყოფნას, დამიკავშირდი და უბედნიერეს ქალად გაქცევ...“

ეკა:

— გმადლობთ, თუმცა ალბათ ამ მიზნით არასოდეს გამოგეხმაურები. შენც გირჩევ, ირგვლივმყოფებში ეძებო სასურველი გოგო... წიგნებში მხოლოდ ოცნებების პოვნა შეიძლება, რეალობა კი შეიძლება ბევრად უფრო მიმზიდველი აღმოჩნდეს...

დაბოლოს, იმ კითხვებს ვუპასუხებ, რომლებიც „გზის“ მკითხველებმა პირადად დამისვეს:

მაია, 42 წლის: „მადლობა მინდა გითხრა, ინგა. „ფსიქოლოგით“ თვალი ამიხილე — 22 წელიწადი ვითმინე ქმრის ღალატი, დამცირება და უხეშობა. ახლა გადავწყვიტე, დავშორდე. შვილები უკვე დიდები არიან და იმედია, მაპატიებენ. იმათ თავიანთი ცხოვრება აქვთ და მეც ხომ უნდა მივხედო ჩემსას?

ი.ჯ. — ნამდვილად ვერ ვიამაყებ იმით, თუ თქვენი ოჯახური ცხოვრების დანგრევა ჩემი „დამსახურებაა“, მაგრამ საკუთარ თავზეც ხომ უნდა იფიქროთ? ეს სწორი გადაწყვეტილებაა — თუ შეიცვლებით, იქნებ მეუღლემაც სხვა თვალით შემოგხედოთ და მასაც გაუჩნდეს შეცვლის სურვილი?

ნინო, 38 წლის: „მინდა შეგხვდეთ და ჩემი ცხოვრების შესახებ მოგიყვეთ. მერწმუნეთ, არ წააგებთ და კიდევ ერთ კარგ ნაწარმოებს შექმნით“...

ი.ჯ. — პირველ რიგში, დიდი მადლობა ნდობისთვის. შეგხვდებით, მოგისმენთ... მსგავსი სურვილი სხვა მკითხველებმაც გამოთქვეს, მათ შორის პატიმრებმაც, რომლებსაც სურთ, ის სიმართლე თქვან, რაც თავის დროზე სასამართლოსაც დაუმალეს... მთავარია, მართლაც უჩვეულო და სხვებისგან განსხვავებული იყოს თქვენი თავგადასავალი. ■

არც მე მინდა ჩემს შვილს, მით უმეტეს, გოგონას ქორწინებამდე ჰქონდეს პარტნიორთან სქესობრივი ურთიერთობა

ნათია, 20 წლის:

„არ გეშინია, ნიკამ გაიგოს, ვაჟასთანაც რომ გქონდა ურთიერთობა და მიგატოვოს?!“

ეკა:

— რა თქმა უნდა, მეშინია, მაგრამ მაინც დავწერე ამის შესახებ ჟურნალში, რადგან მირჩევნია, ჩემგან გაიგოს სიმართლე და ასე „გამომიტანოს განაჩენი“, ვიდრე სხვამ წამოაძახოს და ორმაგ ღალატში ჩამითვალოს. სხვათა შორის, ჩემი ოჯახის რეაქციის უფრო მეშინია, მაგრამ აღარც მათი მოტყუება მინდოდა — ან უნდა მიმიღონ ისეთი, როგორიც ვარ, ან უარმყონ საბოლოოდ და ტყუილად ნუ შეეცდებიან ჩემი ცხოვრების საკუთარი ნებით მართვას. მე 30 წლის ვარ და ამ ასაკში ყველას აქვს უფლება ისე იცხოვროს, როგორც თავად მიაჩნია საჭიროდ. სხვათა შორის, ჩემს ბევრ პაციენტს მხოლოდ იმიტომ დაენგრა ცხოვრება, რომ იცხოვრა ისე, როგორც მის ახლობლებს სურდათ...

მადუცა, 20 წლის:

„ვაჟას რომ ხელი ჰკარი და ოფიციანტზე „გადაირიე“ — ეგრე სადაა?.. თუ არ გიყვარდა, რა გინდოდა ვაჟასთან და თუ გიყვარდა, რატომ არ უერთგულე?..“

ეკა:

— ოფიციანტმა მიმახვედრა, რომ ვაჟა როგორც მამაკაცი, არ მყვარებია. გეთანხმებით, არც ისე „პატიოსნად“ მოვიქეცი, მაგრამ იმასაც ვაღიარებ, რომ არ ვნანობ მომხდარს — თუნდაც ორივე მამაკაცი დავკარგო ჩემი შეცდომისთვის —

დასაწყისი იხ. გვ. 31

ქცევია მამაკაცისთვის, რომელიც მანქანიდან მის ქცევას აკვირდებოდა. ის ცოტა ხანს კიდევ გაჩერდა... აშკარა იყო, რომ გაცილებით მეტს ელოდა ქალისგან, ვიდრე წუთიერი ნაცნობობა გახლდათ.

ღობის შიგნით აშკარად ჩანდა ახალთახალი, წითელი ფერის „ფიატიუნო“. ის გზაშივე მიხვდა, რომ ქალი არც ისე მარტივი ამოსაცნობი იყო, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა.

მამაკაცმა ხელი ჩაიქნია და მანქანა დაქოქა. მას დიდი გზა ჰქონდა გასავლელი. ქალაქი უნდა გაევლო და იცოდა, რომ შესაძლოა, საცობებს დაეყოვნებინა...

აგარაკის ეზოში აქა-იქ ნახერხი ეყარა. ცირა ახალ სახლს აშენებდა. მშობლების სიკვდილის შემდეგ სახლისა და ეზოს განახლება გადაწყვიტა... გაახსენდა, როგორი სიამოვნებით მიადგა ეზოში აგებულ პატარა ქოხს. ისე გამეტებით ურტყამდა ურო, თითქოს ნიკას კლავდა... ახლა მის ადგილზე აუზი გაჩნდა...

* * *

ბოლოს ცირამ აგარაკის გაყიდვა გადაწყვიტა...

დიდხანს იდგა ღობესთან და ტყისკენ მიმავალი გზას გაჰყურებდა. ამ გზით ის და ნიკა სოკოზე მიდიოდნენ ხოლმე... ბაღის ბოლოში, ღობეში გაკეთებულ ნახვრეტში გაძვრებოდნენ და ხელჩაკიდებულნი მინდორს გადაკვეთდნენ... ერთმანეთს ბალახის ღერით უღიტინებდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ...

იქნებ სწორედ ამ სიცილით დააფრთხეს ბედნიერება?

მან იცოდა, რომ აგარაკის გაყიდვის შემდეგ აქ ვერასოდეს დაბრუნდებოდა. ვერც ამ მინდორს დაინახავდა, ვერც იმ ბილიკს... ვერც ტყისპირს, სადაც მზის ჩასვლამდე ისხდნენ ხოლმე ის და ნიკა. შემდეგ, დაღამებულზე ვარსკვლავებს ითვლიდნენ და ამბობდნენ, რომ ეს მილეული მთვარე მათი ბედნიერების ნალს ჰგავდა. საღამოს ნიავი მათ თმას ელამუნებოდა და ამ სილამაზეში კოცნაც ძალზე ტკბილი ეჩვენებოდა. ცირა ბალახზე წვებოდა, ნიკა კი ზემოდან დაჰყურებდა... სიკვდილამდე არ დაავიწყდება, როგორი ტკბილი იყო მისი ტუჩების შეხება.

ახლა მის ბაღში სხვა ადამიანები დადიოდნენ, მის ყვავილებს უვლიდნენ და ბოსტანსაც ხელახლა გააშენებდნენ.

მან კი ახალი სახლი იყიდა, პატარა, კოხტა ეზოთი... სახლი ისე ძველი იყო, რომ მისი დაშლა გადაწყვიტა... მშენებლები კარგი ხალხი აღმოჩნდნენ. ერთ კვირაში სახლი ააშენეს და გადახურვაც დაიწყეს. ამ

სახლის ყიდვა ქალს იასამნის ბუჩქებმა გადააწყვეტინა, რომელიც სახლსა და ეზოს გარს ერტყა.

მუშები გააფრთხილა, იასამნის ბუჩქები არ გაეფუჭებინათ.

— ყველა მხატვარი უცნაურია, — უთხრა ბრიგადირმა თავის ხელოსნებს, — ეს ქალი ზედმეტს იხდის იმაში, რომ იასამნის ბუჩქები არ დავაზიანოთ და სახლი მათ შორის ჩავდგათ.

* * *

ფეხით სიარულისა და ნიკასთან შეხვედრის გამო დაღლილი კიბეზე ჩამოჯდა. კარგა ხანს იჯდა... ღამის ჩაეძინა. რა ემართებოდა იმ დღეს? სადაც დაჯდებოდა, თვლემდა... როგორც ჩანს, ორგანიზმი ზედმეტი ემოციებისგან ასე იცავდა. საღამოს ამოვარდნილმა ქარმა კარი მიაჯახუნა, ქალი გონს მოიყვანა და რეალობაში დააბრუნა. მან ჯერ კიდევ შეუმინავფანჯრებიან სამზარეულოში ყავა ააღუღა და იქვე ჩამოჯდა. ნიავი მის თმას ეთამაშებოდა და არემარეს ნაძვის სურნელით ავსებდა, რომელიც ტყიდან ასე უხვად მოჰყვებოდა.

იასამანი ჯერ ახლა იწყებდა ყვავილობას და ცირა დიდი ამბით ელოდა ამ დროს.

ყავამ დაღლილობა მოუხსნა, მაგრამ მოგონებებისგან ვერ გაათავისუფლა. სულ უფრო და უფრო ითრევდა თავის მორევში. ეს მოგონებები წლების განმავლობაში მასთან ერთად ცხოვრობდა და წარსულს აცოცხლებდა. დღეს უეცრად გაახსენდა ის სურნელი, რომელიც ვერ დაივიწყა — საყვარელი ადამიანის სურნელი და მან თავი მშიერ მგლად წარმოიდგინა.

ცირამ ყავა მოსვა და თვალები დახუჭა. თუმცა, არ ეძინა. უბრალოდ, იმას იხსენებდა, რისი დავიწყებაც ასე ძალიან სურდა.

* * *

ნიკასთან განშორების შემდეგ მთლიანად სწავლაში ჩაეფლო. ამან შედეგი გამოიღო და სამხატვრო აკადემია, შემდეგ კი ფილოლოგიის ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 5 წლის განმავლობაში „კომუნისტში“ მუშაობდა, ტექნიკურ განყოფილებაში. შემდეგ ჟურნალისტიკაშიც მოსინჯა კალამი. შემდეგ მხატვარ-გამფორმებლად იმუშავა საბავშვო გამოცემაში. ხელმძღვანელობა მისი მადლიერი იყო. ოჯახი არ ჰყავდა და არც შვილების გამო უწევდა ბიულეტენში გასვლა და სამსახურის გაცდენა, საღამოობითაც, გვიანობამდე რჩებოდა და თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. მალე საკმაოდ სოლიდურ გამოცემაში პოლიტიკური განყოფილება ჩააბარეს. პარალელურად, ხატავდა კიდეც. კარგი შემოსავალი ჰქონდა, მშობლებსაც ეხმარებოდა და საკუთარ თავს საუკეთესო პირობებს უქმნიდა, შინ თუ გარეთ.

მისი პირადი ცხოვრების შესახებ კი მხოლოდ ერთგულმა მეგობარმა, მანანამ იცოდა. მას არ მოსწონდა ცირას მონაზონივით ცხოვრება, მაგრამ რჩევებით თავს არასოდეს აბეზრებდა. არც ზედმეტ კითხვებს უსვამდა, რადგან იცოდა, თუ ცირას სურვილი ექნებოდა, თავად მოუყვებოდა ყველაფერს თუ არადა მისი კითხვები მაინც ჰაერში დარჩებოდა გამოკიდებული.

* * *

„ახლა მანანასთან ლაპარაკი გამომიყვანდა მდგომარეობიდან, — გაიფიქრა მან. ამ 6 თვის განმავლობაში მეგობარს რამდენჯერმე ახლდა ბარსელონაში, ახალი ნათესავების გასაცნობად, — არც ახლა მაწყენდა. იქნებ მართლაც გავქუსლო?“

მზე დასავლეთისკენ გადაიხარა. აგრილდა და სუნთქვა აღარ ჭირდა. სახლს თვითმფრინავმა გადაუფრინა და ცირამ გაიფიქრა, რომ ამ თვითმფრინავში უამრავი ადამიანი ზის, რომელიც დაჯდომასა და ახლობლებთან შეხვედრას მოუთმენლად ელის. იქნებ, ბარგის აღების შემდეგ უბრალოდ, ქალაქში გამოვლენ და მასავით უაზროდ იხეტიალებენ და ისეთიც არავინ ეყოლებათ გვერდით, ვისაც დაელაპარაკებიან?

ცარიელ სახლში ექო ყოველ ნაბიჯს გაიმეორებს... ტელეფონი დადუმებული იქნება...

და ცირა მიხვდა, რა ამძიმებდა მის განწყობილებას... დუმილი... რაღა თქმა უნდა, დუმილი... დიახ, ახლა მას ნამდვილად შეუძლია თქვას, რომ დუმილი ოქროა, რადგან ზუსტად იცის მისი ფასი.

იქნებ სულაც ის მამაკაცი უნდა დაეპატიჟებინა შინ, რომელმაც აეროპორტიდან მოიყვანა? მოეჩვენა, თითქოს კაცი მატარებელში დამგზავრებული, შემთხვევითი ადამიანი იყო, რომელიც მომდევნო გაჩერებაზე ჩავიდოდა და დავიწყებას მიეცემოდა... თუმცა, მისი მობრუნება უკვე შეუძლებელი იყო. მან არჩევანი ისევ მარტოხელობის სასარგებლოდ გააკეთა და ისევ შეიყვარა მარტოობა და ცრემლი... მაინც ვერავინ დაინახავდა... მაგრამ წლიდან წლამდე ცრემლი უფრო და უფრო ცოტავდებოდა...

— სევდისგან ვხმები, — ჩაიცინა ქალმა.

დასასრული შემდეგ ნომერში.



სამყარო

ნადირობა მგლებთან ერთად და ცხოვრება მტაცებლების გარემოცვაში

ის, რასაც მოგითხრობთ, ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ ამბავს. მისი მთავარი მოქმედი პირი იასონ ბადრიძეა — ადამიანი, რომელმაც მტაცებელი ცხოველები მიიჩვია, დაიმეგობრა და 3 თვის მანძილზე ტყეში, მგლებთან ერთად იცხოვრა, ინადირა...

„ცხოველებმა სერიოზული საფრთხისგან მიხსნეს"

თამუნა ქვინიკაძე



მგლებთან სიახლოვე ჩემთვის, როგორც მკვლევრისათვის, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა

— განათლებით ფიზიოლოგი ვარ, ცხოველთა ქცევის მექანიზმებს ვსწავლობდი. ძაღლები ყოველთვის მაინტერესებდა, მაგრამ მათი ქცევების შესწავლა არაპროდუქტიულად მეჩვენებოდა. ადამიანებთან ურთიერთობის გამო, მათ ბევრი რამ აქვთ დაკარგული, როგორც ქცევის, ისე აზროვნების თვალსაზრისით. თუ ძაღლი — არა, აბა, რომელი ცხოველი უნდა შემესწავლა? არჩევანი მგელზე შევაჩერე.

თავდაპირველად, მგლების შესახებ ინფორმაცია მოიძია, მერე ტყეში წავიდა. ამ ცხოველებთან უეცრად რომ გამოჩენილიყო, არ შეიძლებოდა: როგორც წესი, ვიდრე ნადირს თავად შეამჩნევ, ის გხედავს და სუნით გრძნობს, რომ იქ ხარ. მგლებისთვის ადამიანის სუნი უცხო რომ არ ყოფილიყო, მანამდე ტანზე შემოხვეული ქსოვილის ნაჭრები იმ ბილიკებზე დაალაგა, სადაც მტაცებლები დადიოდნენ. მგლებმა ჯერ შორიდან შემოუარეს, მერე დახიეს, ფეხებით გადაუარეს — ამ ყველაფერს ბატონი იასონი მათი ნაკვალევის მიხედვით ხვდებოდა. ასე რამდენიმე დღე გრძელდებოდა, მერე ქსოვილზე ხორციც დაალაგა. მგლები ამ ყველაფერს თანდათან მიეჩვივნენ და ხორცის ჭამა დაიწყეს. მეორე დღეს ბატონი იასონი ძუ და ხვად მგელს ბილიკთან დახვდა, მათგან სულ რაღაც, 20-30 მეტრი აშორებდა. მტაცებლები „უცხო მეგობარს" დააკვირდნენ, მერე ერთ-ერთმა მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შეულრინა და უკან გაბრუნდა.

მგლებს ფოტოაპარატი დიდად არ უყვართ

— შიშისგან ენა დამიბუჟდა. მარტო ვიყავი, ამ საქმის რამდენიმე ადამიანთან ერთად გაკეთება არ

შენმა ერთმა მოძრაობამ შესაძლოა, მგლების აგრესია გამოიწვიოს

შეიძლება. შენმა ერთმა მოძრაობამ შესაძლოა, მგლების აგრესია გამოიწვიოს.

— იარაღიც არ გქონდათ?

— არა, თოფი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გქონდეს — მგელი მას ცნობს.

მგელი უშიშარი ცხოველია. ნებისმიერ შერკინებაში ყოველთვის ბოლომდე იბრძვის — ან იმარჯვებს, ან კვდება.

იგი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოა. ცხოველთა სამყაროს მეფედ მგელი უნდა მიიჩნიოდეს და არა — ლომი, რომელიც წვრთნას ექვემდებარება და საცირკო ნომრებში გამოდის.

ხვადი ოჯახის ერთგულია, უვლის ძუ მგელსა და ლეკვებს (რასაც ვერ ვიტყვით სხვა ცხოველებზე), მაგრამ ზოგიერთი მათგანი, საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, შეიძლება, ბუნაგიდან გაიქცეს, ძუ კი შვილებს არავის დაანებებს. ამიტომაც, ლეკვების ხელში ჩასაგდებად, მონადირეებს დედა-მგლის მოკვლა უხდებათ.

სამართლიანია — არასდროს ჩაგრავს თავისზე სუსტს.

— აბა, თქვენკენ რომ გამოეწია?

— ყველა ცხოველი, რომელსაც ნორმალური ფსიქიკა აქვს, ადამიანს გაურბის. მგლებთან პირველი შეხვედრის შემდეგ მომეცა საშუალება, ჩვენ შორის დისტანცია თანდათან შემემცირებინა, მათ თვალწინ მეტრიალა...

მგლებთან პირველი შეხვედრიდან ერთი თვის შემდეგ, მტაცებლის ოჯახთან ერთად სიარულიც შეძლო და დიდი ინტერესით აკვირდებოდა, თუ როგორ ნადირობდნენ, როგორი ქცევები ჰქონდათ, როგორ ზრდიდნენ შვილებს, როგორ ეპყრობოდნენ ერთმანეთს და ა.შ. მგლების ოჯახი საშუალოდ, 6 ინდივიდისგან შედგება. ძუ მგელი 4-დან 8 ლეკვს აჩენს და მათ 45 დღის განმავლობაში აწოვებს ძუძუს; ნაყარიდან 1 წლის ასაკს 25% აღწევს, დანარჩენი იხოცება. როცა ოჯახის გადარჩევა ხდება, სუსტებს აგდებენ, ძლიერები — რჩებიან. სუსტი ან ბებერია, ან ახალგაზრდა, რომელსაც დამოუკიდებლად ნადირობა არ შეუძლია. მათ ტყეში აქვთ საკუთარი ტერიტორია, რომელსაც „რანდევუს საიტი“ ჰქვია. იქ მთელი ოჯახი იკრიბება და ღამეს ერთად ათენებს. ძუ მგელი მშობიარობამდე 1 კვირით ადრე სანადიროდ აღარ დადის, მის გამოკვებაზე ხვადი ზრუნავს. ისინი სამშობიაროდ ბუნაგსაც ერთად ეძებენ, შემდეგ კი ლეკვები სხვა ბუნაგში გადაჰყავთ და მთელი ოჯახის გამოკვებას ხვადი კისრულობს ანუ — კაცის ფუნქციებს ასრულებს. ასე რომ, მისთვის გამრავლების პერიოდი ძალიან რთულია. თავად შეიძლება, საკვები მოიკლოს, მაგრამ შვილებს არ მოაშივებს. თუ დიდი ხნის მანძილზე მგლის ლეკვი საჭირო საკვების 50%-ზე მეტს ვერ მიიღებს, ფსიქიკა ერღვევა.

— ბატონო იასონ, მგლებთან თქვენი პირველი შეხვედრა სად მოხდა?

— ბორჯომ-ხარაგაულის პარკის ტერიტორიაზე, იმ ადგილს ზორეთი ჰქვია. 1974-76 წლები იყო.

— მგლებთან ერთად სანადიროდაც დადიოდით, არა?

— რა თქმა უნდა! მტაცებელ ცხოველთან ერთად ნადირობა ძალიან რთულია — დღეში 20-30 კილომეტრი ძუნძულით უნდა მერბინა. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ეს სირთულე დავძლიე. მგლებთან სიახლოვე ჩემთვის, როგორც მკვლევრისათვის, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ბევრი ისეთი რამ ვნახე, რაც არავის უნახავს — მაგალითად, როგორ ზრდიან ლეკვებს, რა სახის კომუნიკაცია აქვთ და ა.შ. ნადირობის პროცესში ყველა მგელს საკუთარი ფუნქცია აქვს. ოპერაციას ხვადი მეთაურობს, ბრძანებებს ის იძლევა.

— როგორ? რა ფორმით?

— არ ვიცი, ამას რა დავარქვა, ტელეპათია თუ „მესამე თვალი“: მზერის ფიქსირება ხდება, თვალის თვალში გაყრით; ყველა იქ დგება, სადაც საჭიროა. რასაც ახლა გეტყვით, უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ერთხელ ასეთი რამ მოხდა: ერთ-ერთი ნადირობის დროს, მათგან 5 მეტრის მანძილზე ვტრიალებდი. ხვადმა ბრძანებების გაცემა, ე.ი. ადგილებზე მგლების განაწილება დაიწყო და როცა ყველას თავისი ადგილი მიუჩინა, მერე მეც თვალებში შემომხედა. გაუცნობიერებლად ერთ-ერთი ბილიკისკენ გადავინაცვლე, რამდენიმე წუთში კი იმ ბილიკზე ტყიდან ირემი გამოვარდა. გამოდის, რომ ხვადმა იქ გზის ჩამკეტად დამაყენა. როგორც წესი, გამოცდილი ცხოველები ყოველთვის აღმართში გარბიან, დაღმართზე რბენის დროს წონასწორობის დაცვა უჭირთ. ამ შემთხვევაში, ყველა სხვა გზა ჩაკეტილი ჰქონდა. არადა, ტყიდან მგელი მოსდევდა და იძულებული გახდა, დაღმართზე დაშვებულიყო.

— მგლებისგან საფრთხე თავად არასდროს დაგმუქრებიათ?

— პირიქით, სერიოზული საფრთხისგან მგლებმა მიხსნეს. ერთხელ მეც და მგლებსაც ძალიან მძიმე დღე დაგვიდგა: მათთან ერთად დაახლოებით, 11 საათი ვირბინე. ვერაფერი მოინადირეს. უკან, ოჯახის ტერიტორიაზე ვბრუნდებოდით, სიარულის თავი აღარ მქონდა, ვბანცალებდი, არადა „რანდევუს საიტამდე“ 5 კილომეტრი იყო დარჩენილი. გზად უზარმაზარი ლოდი ეგდო. მასზე რომ ჩამოვმჯდარიყავი, ვეღარ ავდგებოდი, ამიტომ ვიფიქრე, მივეყრდნობი, ცოტა ხანს დავისვენებ-მეთქი. ლოდთან მივედი თუ არა, უკანა მხრიდან ვეებერთელა დათვი გამოვარდა, ყალყზე დადგა და ის-ის იყო, უნდა შემომხტომოდა (ზუსტად არ მახსოვს — ალბათ, შიშისგან ვიყვირე), რომ ძუ და ხვადი მგლები მოცვივდნენ... როგორც წესი, მგელი დათვს გაურბის, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩემ გამო თავი გაწირეს — დათვს ორივემ ერთად შეუტია, ხვადმა ფეხზეც უკბინა, დათვმა მათ აგრესიას ვეღარ გაუძლო და გაგვეცალა. აი, ასე გადამარჩინეს მგლებმა.

— ეი. თავისანად მიგიჩნიეს.

— ასე გამოდის.

ბატონი იასონის მონათხრობმა რომის დამაარსებელი ძმების —

რემუსის და რომულუსის გადამრჩენი მგელი გამახსენა. ჩემი რესპონდენტი ამბობს, რომ მგელზე ბევრი მსგავსი ლეგენდა გაუგონია. მათ მშობლის ინსტინქტი წარმოუდგენლად ძლიერად აქვთ განვითარებული. მაგალითად, ერთი წლის მგელს ლეკვს თუ მიუსვამ (ამ დროს ის სქესობრივად მომწიფებული არ არის), შეიძლება, რძე ჩაუდგეს და გამოკვებოს; თუ 1 წლის ცხოველს მგლის ნაშიერს მიუყვან, იშვილებს, თუ კატის კნუტს მიუსვამ, მასაც იშვილებს და ძაღლის ლეკვსაც მიიღებს, მაგრამ თუ სამივეს ერთდროულად მიუყვან და არჩევანის საშუალებას მისცემ, თავის სახეობას აირჩევს, დანარჩენებს კი დახოცავს. ეს იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ როცა ლეკვებს დედა ელუპებათ, მათი აღზრდა 1 წლის დამაც შეიძლება იკისროს. ასეთი რამ თურმე, ჯეირანსაც ახასიათებს, ოღონდ ის ზრდასრული უნდა იყოს. ჯეირანის შვილს ლიკლიკა ჰქვია. მშობიარობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, დედა საბალახოდ გადის. თან ამ დროს, მტაცებელმა ცხოველმა რომ არ მიაგნოს, სუნსაც იშორებს. თუ ამ დროს ლიკლიკასთან სხვა ჯეირანი ჩაივლის, აუცილებლად გამოკვებავს.

— ბატონო იასონ, კედლებზე მგლების სურათები გაქვთ. თქვენი გადაღებულია?

— დიახ, მაგრამ იშვიათად ვიღებ: ძნელია, ერთდროულად დაკვირვებაც მოახდინო და გადაღებაც. მგლებს ფოტოაპარატი დიდად არ უყვართ.

— ცეცხლის მართლა ეშინიათ?

— მათთვის ცეცხლი ძალიან უცხო რამ არის, ამიტომ არ სიამოვნებთ, ერიდებიან. ის მგლები, რომლებსაც დამწვრობის გამოცდილება აქვთ, ცეცხლს გაურბიან. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: ჩემს უცხოელ კოლეგასთან და ბორჯომის ნაკრძალის მაშინდელი დირექტორის მოადგილესთან ერთად, ზორეთში ვიყავი. ლეკვები მყავდა ნაყიდი და მათი უკან მიბრუნება მინდოდა — ის, თუ რომელი ბუნაგიდან იყვნენ აყვანილი, ეგერებმა იცოდნენ. ღამე ველზე გავათიეთ, კოცონი გვენთო, ჩვენგან 15 მეტრში ლეკვების მშობლები ტრიალებდნენ და გვაკვირდებოდნენ.

მშვიდ ვითარებაში მგელს კუდი დაწეული აქვს, საფრთხის მოახლოებისას კი მას მაღლა სწევს. ის ადამიანს არ ესხმის თავს, პირიქით — მისი ეშინია და გაურბის კიდეც.

ტყეში მრავალ ცხოველზე ნადირობს: ტუნდრაში — ჩრდილოეთ ირემზე, ტაიგაში — ხარ-ირემზე, სტეპებში — ჯეირანზე, ხოლო მთაში — ცხვრებსა და თხებზე. უარს არც მელიაზე, ღორზე, კურდღელზე, ენოტისმაგვარ ძაღლსა და იხვზე ამბობს. ზამთარში სოფლის მახლობლად დაძრწის და შინაურ ცხოველებს ემტერება. ხშირად, იმაზე მეტ საქონელს კლავს, ვიდრე სჭირდება.

მგელი რამდენიმე მეტრის გარბენის შემდეგ ხვდება, ღირს თუ არა საკბილოს დევნა გააგრძელოს. თუ მსხვერპლი ძლიერია, მგელი მასზე ძალას აღარ დახარჯავს.

— რა იცოდით, რომ იმ ლეკვების მშობლები იყვნენ, რომლებიც თქვენ გყავდათ?

— ჩვენ მათი ოჯახის ტერიტორიაზე ვიყავით, იქ სხვა მგლები ვერ მოხვდებოდნენ. ისინი ლეკვების წკმუტუნზე მოვიდნენ. მგლის ფსიქოლოგიას კარგად ვიცნობ, 3 თვე მათთან ერთად, ტყეში ვცხოვრობდი, მერე პატარა არდადეგები მოვიწყვე და ისევ ტყეში დავბრუნდი.

— იქ როგორ გაგქონდათ თავი?

— ექსპედიციებში სიარული ჩემი საქმეა. საკვები მიმქონდა...

— ოჯახის წევრები თქვენი ცხოვრების წესს როგორ ეგუებოდნენ?

— რა თქმა უნდა, ღელავდნენ, მაგრამ ანგარიშს მიწევდნენ. იცოდნენ, ეს ჩემი საქმე იყო. სახლშიც არაერთი მგლის ლეკვი გამიზრდია. 5 შვილიშვილი მყავს და ბავშვები ცხოველებს იმდენად ეჩვეოდნენ, რომ პატარა მგლებთან ერთად თამაშობდნენ. რამდენიმე თვის მანძილზე ვეფხვი, ჯიქი, ტურა და მელაც მყავდა, მერე ზოოპარკში მივიყვანე.

— მგელი რა ფერებში ხედავს?

— ამაზე მეცნიერები დიდი ხნის მანძილზე დაობდნენ. რუსეთში ჩატარებულ ექსპერიმენტზე დაყრდნობით, შემიძლია გითხრათ, რომ მგელი ყვითელს, შავს, თეთრს, ლურჯს და მის გრადაციებს კარგად ხედავს, წითელს — ვერა: ეს ფერი ხან შავში, ხან ნაცრისფერში ერევა.

— მგელი ოჯახებშიც ჰყავთ. ამაზე რას გვეტყვით?

— ჰო, ამ ბოლო დროს ეს მოდაში შემოვიდა. სახლში მგლის ყოლა რომ შეიძლებოდეს, მე არ მეყოლებოდა?! ტყვეობაში ცხოველს ის ქცევები არ უყალიბდება, რომელიც ველურ ბუნებაში აქვს. თანაც, გარკვეული ასაკიდან ის სახიფათო ხდება. ვიდრე სქესობრივ სიმწიფეს მიაღწევს, ძალიან თბილი და ალერსიანია, ძაღლზე მეტადაც კი. პატრონი მისთვის ლიდერია, მაგრამ როგორც კი წამოიზრდება, მაშინვე ძალის მოსინჯვას იწყებს — ლიდერობის სურვილი უჩნდება და ამ დროს კონფლიქტი გარდაუვალია... ■

მოთვინიერებას ძირითადად, უპატრონოდ დარჩენილი ლეკვები ექვემდებარებიან, ზრდასრული მგლის მოთვინიერება კი თითქმის შეუძლებელია. ადამიანი ცხოველზე ძლიერი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად მგელი შეეცდება, ლიდერობა მოიპოვოს — ცხოველი პირველობისთვის ბოლომდე იბრძოლებს და თუ მიხვდება, რომ ადამიანი მასზე ძლიერია, დაემორჩილება.

სიბრძნისა და ეშმაკობის სიმბოლო

დედამიწაზე სულ 160 ჯიშის მაიმუნია და ისინი დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე ბინადრობენ. ყველაზე პატარა 15 სმ-იანია და მას ბრაზილიის ტყეებში იხილავთ, ხოლო ყველაზე დიდი — ორანგუტანგის (ორანგუტანგი მალაიზიურად „ტყის ადამიანს“ ნიშნავს) ჯიშის მაიმუნი 200-250 კგ-ს იწონის. ამ ცხოველს ორ ჯგუფად ყოფენ: ახალი (ღამის მაიმუნები, მხტუნავები, კაპუცინები და ა.შ.) და ძველი სამყაროს (მაკაკა, პავიანი, ლანგური და სხვა) მაიმუნები. ძველი სამყაროს მაიმუნებს 32 კბილი აქვთ, ახლისას — 36; ძველის ფეხმძიმობა 149-დან 270 დღემდე გრძელდება, ახლისა — საშუალოდ 139 დღეს.

მცდარია აზრი, თითქოს მაიმუნების საყვარელი კერძი ბანანია. სინამდვილეში, ზოგიერთი ჯიშის მაიმუნს ბანანი არც კი გაუსინჯავს. ისინი მწერებით, ფრინველთა კვერცხებით, ხეების ნაყოფით, ფოთლებითა და ბალახებით იკვებებიან, ხოლო შიმპანზე ცხოველებსაც მიირთმევს. აფრიკული სამეფო მაიმუნი მთელ ცხოვრებას ხეზე ატარებს და ფოთლებით იკვებება, პავიანები კი მთელ დროს მიწაზე ატარებენ და ხეზე არც ადიან; დურუკულებიც ხეზე, უფრო სწორად, ხის ფუღუროებში ბინადრობენ და მხოლოდ ტყუპ მაიმუნს შობენ. მაიმუნები ერთმანეთთან ღრიალით „საუბრობენ“. ცნობილია, რომ ახალი სამყაროს მსხვილი მაიმუნების ხმა 5 კმ-ზე ისმის. სავსემთვარეობისას, მაიმუნს შეუძლია, მთელი ღამე იღრიალოს, ჩვეულებრივ დღეს კი მისი აყვირება შესაძლოა, თვითმფრინავის ხმამაც გამოიწვიოს და ჩიტების ჭიკჭიკმაც.

ზოგიერთი ჯიშის მაიმუნი ოჯახებად იყოფა, ზოგი კი ჯგუფებად, სადაც შესაძლოა, 200-300 ცხოველი იყოს გაერთიანებული. თუ ჯგუფის წევრს ველური ცხოველი დაესხა თავს, მას ამ ჯგუფის ყველა წევრი ეხმარება. მათ შორის კონფლიქტი უმეტესად, მდედრი მაიმუნის გამო ხდება.

ყველაზე ადვილი კაპუცინის ჯიშის მაიმუნების გაწვრთნაა და ამიტომაც, ადამიანებს ისინი შინ მიჰყავთ. აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად, მეცნიერებმა მაიმუნებს ლაპარაკი ვერ ასწავლეს; მხოლოდ განსაკუთრებულად ნიჭიერს შეუძლია რამდენიმე, მარტივი სიტყვის წარმოთქმა. რატომღაც მიიჩნევენ, რომ მაიმუნები ერთმანეთს ბეწვს უმოწმებენ და ტილებისგან ათავისუფლებენ. სინამდვილეში, ისინი ერთმანეთის ბეწვში რწყილებს კი არ ეძებენ, როგორც ამას მრავალი ზოოლოგი გვიმტკიცებს, არამედ ერთმანეთს კანის მკვდარი ნაწილებისა და გაოფლიანების შედეგად გაჩენილი მარილის კრისტალებისგან ათავისუფლებენ. თანაც, ასეთი ურთიერთზრუნვა მაიმუნებს კიდევ უფრო აახლოებს. სხვათა შორის, მათი ბეწვი, თუ რა თქმა უნდა, ანტისანიტარიულ პირობებში არ ჰყავთ გამოკეტილი, სუფთა და პარაზიტებისგან დაცულია. და კიდევ, არც ის აზრი შეესაბამება სიმართლეს, რომ თითქოს, მაიმუნი საკუთარ თავს სარკეში ცნობს.

ევროპულ კულტურაში მაიმუნი ეშმაკობის, გარყვნილებისა და მასხრობის სიმბოლოა, ხოლო აღმოსავლეთში პირიქით — ნიჭიერებისა და ფიზიკური სიძლიერის; იგი ღმერთრამას ერთგული მსახურია. ჩინეთში მაიმუნი მხიარულებისა და გონიერების სიმბოლოდ მიიჩნევა, ეგვიპტურ მითოლოგიაში კი ძაღლისთავიანი მაიმუნი — კინოკეფალი იმავე იეროგლიფით აღინიშნება, რომლითაც წერილი. იაპონელები მიიჩნევენ, რომ მაიმუნი ადამიანს დემონების, დაავადებისა და ავი სულებისგან იცავს.

საინტერესო ისტორია აქვს სამი ბრძენი მაიმუნის ქანდაკებას: ერთს ხელი პირზე აქვს აფარებული, მეორეს — ყურებზე, მესამეს — თვალებზე ანუ — „არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ, არაფერს ვამბობ“. ეს ბუდისტური სიმბოლოა. მათი აზრით, თუ შენ ვერ ხედავ, არ გესმის და არ ამბობ ცუდს, ყოველივე ბოროტისგან დაცული ხარ. ზოგჯერ, სამთან ერთად, მეოთხე მაიმუნს — სიძარუსაც გამოსახავენ, რომელსაც ხელები მუცელზე უწყვია და ქადაგებს, რომ ბოროტება არ უნდა ჩაიდინო. სიბრძნის სიმბოლოდ მაიმუნი მხოლოდ იმიტომ გამოიყენეს, რომ იაპონურად ფრაზა: „არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ, არაფერს ვამბობ“, ასე ჟღერს — „მიძარუ, კიკაძარუ, ივაძარუ“, ხოლო სიტყვა „ძარუ“, იაპონურად მაიმუნს ნიშნავს.

დედამიწაზე ყველაზე საშიში ცხოველი ადამიანია. არსებობს ფაქტი, რომ მანჩუ-ხანის საიმპერატორო წვეულებებზე, განსაკუთრებულ სტუმრებს მაიმუნის ტვინით უმასპინძლდებოდნენ და მას კამერუნის ტომ ანიანგიშიც სიამოვნებით მიირთმევენ — ახალი ბელადის არჩევისა და ძველის გადაყენების ცერემონიალზე: ახალი ბელადი ტვინს მიირთმევს, ძველი — გულს.

სისასტიკის მიუხედავად, წელიწადში ერთხელ, ნოემბრის ბოლო კვირას, ადამიანი მაიმუნისთვის წვეულებასაც აწყობს. ქალაქ ლოპბურიში (ბანგკოკის მახლობლად) ადამიანები მაიმუნებს ხილითა და ქათმის კვერცხებით უმასპინძლდებიან. აღსანიშნავია, რომ Prang Sam Yot-ის ტაძარში, რომელიც XIII საუკუნეში აიგო და სადაც მოგვიანებით, ბუდისტები მსახურობდნენ, ახლა მხოლოდ მაიმუნები ბინადრობენ. ტაძრის ტერიტორიაზე შესვლა 30 ბატი ღირს. ტურისტებს ბამბუკის ჯოხებსაც ურიგებენ, რათა მომაბეზრებელი მაიმუნებისგან თავი დაიცვან.

მსოფლიო საგანძური

► ნიუ-იორკის თავისუფლების ქანდაკება ან როგორც მას ამერიკელები ეძახიან — „ლედი თავისუფლება“.

► კუნძულ პინტას მკვიდრი, ხანდაზმული კუ — „მარტოხელა ჯორჯი“.

► ჰოლანდიის მთავარი ღირსება — კინდერდაიკის რაიონის ქარის წისქვილები.

► ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძარი. აღსანიშნავია, რომ ვატიკანში — რომის ტერიტორიაზე არსებულ ამ პატარა ქალაქ-სახელმწიფოში ხელოვნების უნიკალური ნიმუშები ინახება.

► ჩინეთის პროვინცია ხენანი ბუდისტური სკულპტურებით — გროტი ლუნმენითაა („დრაკონის ჭიშკარი“) ცნობილი. 2300 გამოქვაბულში 110 ათასი ბუდისტური სკულპტურაა განთავსებული, 80 დაგონში (ბუდისტური მავზოლეუმი) კი ბუდას რელიქტები ინახება. სხვათა შორის, ჩინეთში ბუდიზმი სწორედ ამ ადგილიდან, ხანის დინასტიის მმართველობის დროს გავრცელდა.

► კამბოჯის ბაიონის ტაძარი ქვებზე ამოჭრილი სახეებითაა განთქმული. აქ ყველაზე მეტ და კარგად შემონახულ გამოსახულებას შეხვდებით, მაგრამ მთლიანად კამბოჯაში, ასეთი გიგანტური ქვისქანდაკებიანი ათასზე მეტი ტაძარია.

► ჩანჩქერი — „ეშმაკის ხახა“ არგენტინის პროვინცია მისიონესში, იგუასუს ნაციონალური პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს. მდინარე იგუასუს წყლის დონის მიხედვით, პარკში 160-დან 260-მდე ჩანჩქერი იქმნება. აქვე ნახავთ 2000 სახეობის მცენარესა და 400 სახეობის ფრინველს.

► 150 გიგანტური ქვის ნაგებობა ინგლისში, უილტშირის საგრაფოში მდებარეობს. მეცნიერების ვარაუდით, იგი ჩვენს ერამდე 3 ათასი წლის წინ უნდა აღემართათ.

► 1750 წელს, პეკინის ზაფხულის ბაღში აგებული ბაფანგის პავილიონი 1860 წელს დაარბიეს და 1886 წელს აღადგინეს.

► არგენტინის სამხრეთით განლაგებულ, ლოს-გლასიარესის ნაციონალურ პარკში მდებარეობს ყინულოვანი საფარი პერიტო-მორენო, რომელიც ანტარქტიდისა და გრენლანდიის შემდეგ, სიდიდით მესამე მყინვარია.

► ისრაელის ქალაქ ხაიფაში, ტერასული ბაღების ცენტრში მდებარეობს ბახაის რწმენის ფუძემდებლის, ბაბას აკლდამა. დღესდღეობით, მთელ მსოფლიოში ბახაის 6 მლნ მიმდევარი ჰყავს.

► ავსტრალიასთან მდებარე დიდი ბარიერული რიფის მიდამოებში მარჯნის — 400, ხოლო თევზების 1500-მდე სახეობის ნახვაა შესაძლებელი.

► იორდანიის მთავარ ღირსებას უდაბნოში მდებარე ქვის ქალაქი — პეტრა წარმოადგენს. იგი წითელ და შავ ზღვას შორის მდებარეობს.

► ავსტრალიის ღირსშესანიშნაობად სიდნეის საოპერო თეატრია მიჩნეული.

► სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე, ე.წ. დრაკონის მთებში ტომ სანის წევრების მიერ, კლდეზე შესრულებული ნახატების დათვალიერებაა შესაძლებელი. სანის ტომი ამ ტერიტორიაზე ათასი წლის წინ დასახლდა, მაგრამ ზულუსებისა და თეთრკანიანების დაპირისპირების შედეგად, სრულიად გაწყდა და მათგან მხოლოდ მოხატული კლდეებიღა შემორჩა.



► იემენის აღმოსავლეთით, ქალაქ შიბაინში მდებარეობს აგურის 500-მდე, თითქმის არაფრით გამორჩეული, 5 და 11-სართულიანი სახლები, რომლის გამოც, იქაურობას „უძველესი ცათამბჯენების ქალაქს“ ან „უდაბნოს მანჰეტენსაც“ ეძახიან.

► ჩილედან 3700 კმ-ში, აღდგომის კუნძულის სანაპიროზე 390 გიგანტური ფიგურა დგას. დღემდე უცნობია, თუ რა ფუნქციას ასრულებს ვულკანური ქანისგან შექმნილი ეს ფიგურები.

► სტრატეგიული თავდაცვის მიზნით, სიმატაის რაიონში ჩინეთის დიდი კედელი აიგო (ჩინელებს მონღოლების შემოსევის ეშინოდათ). იგი 8851,8 კმ-ზეა გადაჭიმული.



► ტიბეტის დედაქალაქ ლხასეს ტერიტორიაზე მდებარეობს პოტალას სასახლე, რომელიც დალაილამას რეზიდენციას წარმოადგენდა. მუზეუმად ქცეული ტაძარი ტურისტების საყვარელ ადგილადაა მიჩნეული.

► პერუს ქალაქ კუსკოში მდებარეობს მაჩუ-პიკჩუს მთავარი ციტადელი. ტერიტორიას ყოველდღიურად, 2 ათასი ტურისტი სტუმრობდა, მაგრამ ძეგლთა დაცვის მიზნით, პერუს ხელისუფლებამ მათი რიცხვი 800-მდე შეამცირა.

► კატმანდუში (ნეპალი) მდებარეობს ბუდისტური ტაძარი, რომელზეც „ბუდას თვალებია“ გამოსახული. იქვე მდებარეობს უამრავი ბუდისტური ტაძარი. ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, კატმანდუს ტერიტორიაზე 10 მლნ ღმერთი ცხოვრობს.

► არქიტექტურული საოცრება — ტაჯ-მაჰალი 2007 წელს „მსოფლიოს ახალ 7 საოცრებაში“ შეიტანეს. მავზოლეუმ-მეჩეთი მონღოლების იმპერატორის, შახჯახანის ბრძანებით, მისი გარდაცვლილი მეუღლის — მუმთაზ-მახალის პატივსაცემად ააგეს.

► 900 ათას ჰექტარზე გადაჭიმულ იელოუსტონის ნაციონალურ პარკში 10 ათასი გეიზერი და თერმული წყარო მდებარეობს.

► ჰავანის სანაპიროზე, „მალეკონის“ ტერიტორიაზე ბაროკოსა და ნეოკლასიციზმის საინტერესო ნიმუშებია შემონახული.

► ხელოვნების ნიმუშებსა და ბუნებრივ ღირებულებებს 1975 წლიდან „იუნესკო“ იცავს. მისი მფარველობის ქვეშაა 148 ქვეყნის 890-ზე მეტი, როგორც კულტურული, ისე ბუნებრივი და შერეული ობიექტი. ■



სამზადისი თურქეთის „გასაწითლებლად“ — სტალინური რეჟიმის უკანასკნელი ჩანაფიქრი

გასულ კვირას, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარების გამო, ვაშინგტონსა და ანკარას შორის ურთიერთობა ძლიერ დაიძაბა — თურქეთმა ამერიკიდან საკუთარი ელჩიც კი გამოიწვია. ამ მოვლენის კომენტირებისას, ამერიკელმა კონგრეს-მენებმა ერთი მეტად საინტერესო განცხადება გააკეთეს: „ჩვენ თურქეთი, თავის დროზე, კომუნისტური აგრესიისაგან ვიხსენით“. მართლაც, ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა მოხდებოდა, 1952 წელს თურქეთი ნატოში რომ არ მიეღოთ: იმ პერიოდში მოსკოვმა ანკარას ტერიტორიული პრეტენზიები ოფიციალურად წაუყენა და გარდა ამისა, კრემლში „თურქეთის სოციალისტური რესპუბლიკის“ შექმნაც საიდუმლოდ დაიგეგმა.

მიხეილ ლაბაძე

საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ურთიერთობა 1937 წლიდან, მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალებამდე გაცივდა — თურქეთის რესპუბლიკის შემქმნელს ჯანმრთელობა მოულოდნელად, მკვეთრად გაუუარესდა, რაშიც მისმა გარემოცვამ საბჭოთა სპეცსამსახურები დაადანაშაულა. 1938 წლის მაისში, როდესაც ექიმებმა ათათურქს ღვიძლის ციროზის დიაგნოზი დაუსვეს, ევროპულ მასმედიაში გაიელვა ცნობამ იმის თაობაზე, რომ „თურქთა მამა“ ქრონიკული ალკოჰოლიზმით გახლდათ შეპყრობილი — ამ ყველაფრის უკან მართლაც, საბჭოთა „კაგებე“ იდგა, კრემლს თურქეთის კეთილგანწყობილება, ფაქტობრივად, აღარაფერში სჭირდებოდა: იოსებ სტალინი უკვე მზად იყო რუსეთის იმპერიის ძველ საზღვრებში აღსადგენად.

1938 წლის 10 ნოემბერს მუსტაფა ქემალ ათათურქი გარდაიცვალა, ერთი თვის შემდეგ კი საბჭოთა კავშირისა და თურქეთის საზღვარი, ხელახალი დემარკაციის შემდგომ, მთელ პერიმეტრზე, განუსაზღვრელი დროით ჩაიკეტა. ამ პერიოდში, სასაზღვრო ზონაში მცხოვრებ ადგილობრივ მკვიდრთათვის ჯეროვანი ყურადღება არავის მიუქცევია. მაგალითად, სოფელ სარფში, რომელიც 1922 წლიდან სახელმწიფო საზღვრით ორად იყო გაყოფილი, გაითიშა ოჯახები — საზღვრის აქეთ-იქით მცხოვრებმა ნათესავებმა დაკარგეს ერთმანეთთან კონტაქტის საშუალება. ასევე მოხდა სასაზღვრო ზონის სხვა სოფლებშიც: კირნათში, მარადიდში, ჩხუტუნეთში და ა.შ. 1922 წელს გატარებული საბჭოთა კავშირისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვარი არცთუ იშვიათად, ერთმანეთისგან დედმამიშვილთა ეზოებსაც კი ყოფდა. 1938 წლამდე, საზღვრის აქეთ-იქით მცხოვრებ ნათესავებს ასე თუ ისე, ერთმანეთის მონახულება შეეძლოთ, მაგრამ საზღვრის ჩაკეტვამ, ბუნებრივია, ამას წერტილი დაუსვა — როგორც მაშინ ფიქრობდნენ, სამუდამოდ.

1939 წელს, მოლოტოვ-რიბენტროპის ცნობილ შეთანხმებაზე მუშაობისას, საბჭოთა კავშირი გერმანიას „ორმხრივ სასარგებლოდ“, თურქეთის საკითხის გადაჭრასაც სთავაზობდა — მოსკოვი პირდაპირ ითხოვდა ბოსფორის და დარდანელის სრუტეებს, რათა შავი ზღვა, აზოვის მსგავსად, „რუსეთის შიდა ზღვად“ ქცეულიყო. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, თურქეთის მთელი ტერიტორიაც რუსული გავლენის სფეროდ მოიაზრებოდა — სამაგიეროდ, ბერლინს მოქმედების სრული თავისუფლება ეძლეოდა დასავლეთ ევროპაში. იმ პერიოდში ამ საკითხზე შეთანხმება ვერ მოხერხდა და საბჭოთა მხარემაც თავი დიდად აღარ გამოიდო: კრემლში მიიჩნიეს, რომ პირველ ეტაპზე, საბჭოთა კავშირის ევროპული ამბიციების დაკმაყოფილება სრულიად საკმარისი იყო. თუმცა, სტალინს თურქეთთან დაკავშირებული გეგმები არ დავიწყნია.

ამდენად, თურქეთთან მოსალოდნელი დაპირისპირება ვიაჩესლავ მოლოტოვმა, სტალინის დავალებით, ორაზროვნად უარყო — 1939 წლის 31 ოქტომბერს, უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოსვლისას განაცხადა: „დასავლური გაზეთები ირწმუნებიან, რომ საბჭოთა კავშირმა თურქეთისაგან ართვინ-არტაან-ყარსის რაიონები მოითხოვა და გარდა ამისა, სრუტეების კონტროლის საკითხიც წამოაყენა... ეს ტყუილია, მაგრამ საბჭოთა კავშირი კატეგორიულად არ ისურვებდა, რომ თურქეთს მხედველობაში არ მიეღო ჩვენი მათდამი კეთილგანწყობილება“, — ამით მოლოტოვმა მიანიშნა, რომ ანკარასადმი პრეტენზიების წაყენება მომავლისთვის გადაიდო.

არშემდგარი „თურქეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი“ ნაზიმ ჰიქმეთი. 1982 წლის საბჭოთა მარკა

გარდა ამისა, მოლოტოვის გამოსვლამდე ერთი თვით ადრე, მოსკოვს საიდუმლოდ ესტუმრა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სარაჯოღლუ, რომელმაც საბჭოთა კავშირის უმაღლეს მესვეურებთან მოლაპარაკება გამართა. სარაჯოღლუ მოსკოვში 17 ოქტომბრამდე დარჩა, მაგრამ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა — მოსკოვი სრუტეების ორმხრივ კონტროლს და თურქეთთან ისეთივე ხელშეკრულების გაფორმებას ითხოვდა, როგორიც ბალტიის ქვეყნებთან დადო (სხვათა შორის, ამ ხელშეკრულებათა დადება სარაჯოღლის მოსკოვში ყოფნისას მოხდა). თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი მისი ქვეყნის ანექსიისათვის ემზადებოდა.

მოსკოვიდან დაბრუნებულმა სარაჯოღლუმ თურქეთის უმაღლეს მესვეურებს მოახსენა, რომ თუ საბჭოთა კავშირის საპირწონედ მოკავშირეს სასწრაფოდ არ მოძებნიდნენ, მერე ყველაფერი გვიან იქნებოდა. თურქეთის სპეცსამსახურებმაც შეიტყვეს, რომ „კაგებე“ თურქეთთან დაკავშირებით საიდუმლო სამუშაოებს აწარმოებდა და ამიტომაც, ანკარამ 1939 წლის ოქტომბრის ბოლოს ლონდონთან და პარიზთან ერთად, ურთიერთდახმარების პაქტს მოაწერა ხელი — სწორედ ამით იყო გამოწვეული ვიაჩესლავ მოლოტოვის ზემოთ მოყვანილი განცხადება. ერთი წლის შემდეგ, ფინეთთან

ომის დაწყებამდე, მოლოტოვმა იტალიის ელჩ როსოსთან საუბარში უკმაყოფილება ვერ დამალა და აღნიშნა, რომ მოსკოვი ანკარას „ღრმა უნდობლობით“ ეკიდებოდა. ამასობაში, ფინეთის ომიც დასრულდა და სწორედ მისი შედეგებიდან გამომდინარე, მოსკოვში თურქეთისაკენ გალაშქრებაზე აღარც უფიქრიათ — მართალია, გვიან, მაგრამ სტალინი მიხვდა, რომ მისი და ჰიტლერის დაპირისპირება, მანერჰაიმის ბრწყინვალე დიპლომატიის წყალობით, გარდაუვალი ხდებოდა. ასეთ ვითარებაში კი თურქეთთან ახალი ომის დაწყება აშკარად, წამგებიანი იყო. საბჭოთა კავშირმა ანკარიდან მხოლოდ საკუთარი ელჩი გაიწვია.

1941 წელს საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმას თურქეთში აშკარად, პასიურად გამოეხმაურნენ — ათათურქის მემკვიდრემ, პრეზიდენტმა ისმეთ ინენიუმ ბრძანება გასცა, საბჭოთა კავშირთან საზღვრის მთელ პერიმეტრზე შეიარაღებული ძალების სპეცქვედანაყოფები ჩაეყენებინათ, რომლებსაც საბჭოთა სასაზღვრო ძალებზე დაკვირვება უნდა ეწარმოებინათ. ინენიუს ასეთი განკარგულება იმას მიანიშნებდა, რომ თურქეთი უკიდურესად ფრთხილობდა და ცდილობდა ამოეცნო, როგორ დამთავრდებოდა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი — ერთი შეხედვით, უპირატესობა ჰიტლერის მხარეს იყო, მაგრამ ისმეთ ინენიუს სტალინის არაპროგნოზირებადი გადაწყვეტილებების შიშიც ჰქონდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთმა ჯერ კიდევ 1941 წლის 18 ივნისს, გერმანიასთან „მეგობრობის ხელშეკრულება“ დადო — ინენიუს მხრიდან ეს გარკვეულწილად, იძულებითი ნაბიჯი გახლდათ, რადგან მას საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად ლავირება უხდებოდა.

სწორედ ამის გამო, თურქეთმა გერმანიას და მის მოკავშირეებს ომი მაშინ გამოუცხადა, როცა ყველაფერი გარკვეული იყო ანუ — 1945 წლის 23 თებერვალს. საბჭოთა კავშირის წარმატებებმა ისმეთ ინენიუ გვარიანად დააფრთხო და ომის გამოცხადების გადაწყვეტილებაც სწორედ ამიტომ მიიღო — იგი იმედოვნებდა, რომ ამით სტალინს აამებდა და ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, თურქეთისადმი პრეტენზიების წაყენებაზე უარს იტყოდა. გარდა ამისა, გერმანიისადმი ომის გამოცხადება გაეროში მისაღებად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინა პირობა იყო. მიუხედავად ყველაფრისა, თურქეთის პრეზიდენტი მწარედ შეცდა — II მსოფლიო ომის დასასრულს აშკარად გამოიკვეთა, რომ სტალინს „თურქული საკითხი“ ისევ აწუხებდა: სრუტეებზე კონტროლის მოპოვებასა და ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილებას საბჭოთა კავშირი ახლა უკვე საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეწოლის გზით გეგმავდა — იალტის კონფერენციაზე სტალინმა თურქეთის გაეროში მიღებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ ძველი პრეტენზიები ისევ წამოაყენა. საპასუხოდ, ისმეთ ინენიუ იძულებული გახდა, სტალინისთვის ანგარიში გაეწია — გერმანიასთან ურთიერთობის მომხრე თურქი ნაციონალისტები, ე.წ. „თურანისტები“ დააპატიმრა და 1945 წლის 14 აპრილს, მოსკოვს ახალ ორმხრივ ხელშეკრულებაზე მუშაობის დაწყების მოთხოვნით, ოფიციალურად მიმართა. თურქეთმა პასუხი თვე-ნახევრის მერე მიიღო: ვიაჩესლავ მოლოტოვმა თურქეთის ელჩს, სარფერს მოსთხოვა, საბჭოთა კავშირს ართვინ-არტაან-ყარსის რაიონები გადასცემოდა და სრუტეებზეც, საწყის ეტაპზე, ანკარასა და მოსკოვს კონტროლი ერთობლივად გაეწიათ. ცხადი გახდა, რომ თურქეთ-საბჭოთა კავშირის დაპირისპირებამდე ცოტაღა იყო დარჩენილი.

თურქეთთან სამხედრო დაპირისპირებისათვის მზადება საბჭოთა კავშირში 1946-1947 წლებიდან დაიწყო. ანტითურქულმა პროპაგანდამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბი საქართველოში მიიღო, ვინაიდან თურქეთში მრავალმილიონიანი ქართული დიასპორა არსებობდა და „კაგებეს“ მესვეურთა გაანგარიშებით, თურქეთის დასამორჩილებლად, უპირველეს ყოვლისა, იქაური ქართველობა უნდა გამოეყენებინათ. სწორედ ამიტომ, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის პარალელურად, ანტითურქული პროპაგანდა წარმოებდა უშუალოდ თურქეთის ტერიტორიაზე, ქართველთა შორის. ამ საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულნი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ის პარტიული მოღვაწეებიც, რომელთაც თურქეთში მრავალრიცხოვანი ნათესაობა ჰყავდათ ან იქაურ ქართველებში ავტორიტეტით სარგებლობდნენ. თურქეთის „გასაწითლებლად“ დაწყებულმა საბჭოთა პროპაგანდამ საქართველოში თანდათანობით მოიცვა თითქმის ყველა სფერო — მეცნიერებით დაწყებული, კინემატოგრაფიითა და მხატვრული ლიტერატურით დამთავრებული. თურქეთის ქართული ტერიტორიების გათავისუფლებას ითხოვდნენ პუბლიცისტები, მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები.

1945 წლის 14 დეკემბერს ქართულ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საკმაოდ ვრცელი წერილი, სათაურით: „თურქეთისადმი ჩვენი კანონზომიერი პრეტენზიების შესახებ“. მას ცნობილი ქართველი მეცნიერები — ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია აწერდნენ ხელს: „ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმუშხანეს რაიონები და აღმოსავლეთ ლაზისტანი, ტრაბზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით, ე.ი. საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი“, — დაკონკრეტებული იყო წერილის ბოლოს. სხვათა შორის, ეს წერილი, რომლის ორიგინალსაც „კომუნისტის“ ერთი მეექვსედი ნაწილი ეკავა, მაშინვე რუსულად ითარგმნა, „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ დაიბეჭდა. ცხადია, ეს ყველაფერი უშუალოდ კრემლის ბრძანებით დაიგეგმა და განხორციელდა.

ამის პარალელურად, მოსკოვში „გაწითლებული“ თურქეთის მთავრობის ჩამოყალიბებაზეც ზრუნავდნენ — კრემლის მესვეურთა გადაწყვეტილებით, ეს ქვეყანა ფორმალურად, დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა, სინამდვილეში კი მთელი ხელისუფლება კომუნისტებს უნდა აეღოთ ხელში. „თურქეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტად“ ცნობილი თურქი კომუნისტი და პოეტი, ნაზიმ ჰიქმეთი ინიშნებოდა, რომელიც იმხანად

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ხელმოწერა, 1939 წელი

თურქი ჯარისკაცები ნატოში მიღებას ზეიმობენ. 1952 წელი

თურქეთის ერთ-ერთ ციხეში იჯდა — მას 35 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტურ თურქეთს საქართველოსთვის უნდა გადმოეცა ტრაპიზონის, ართვინისა და არტაანის რაიონები, ხოლო სომხეთისათვის — ყარსის და ვანის მხარეები. კომუნისტურ პარტიას მზად ჰყავდა ამ რეგიონთა ხელმძღვანელებიც. მაგალითად, ტრაპიზონის ოლქკომის მდივნად დანიშვნას უპირებდნენ ვინმე მერკვილაძეს, რომელიც შემდგომში, ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქტორად მუშაობდა.

კრემლი აქტიურად აპელირებდა იმით, რომ საბჭოთა არმიას ისტორიული სამართლიანობა უნდა აღედგინა და სომხეთ-საქართველო გაეერთიანებინა. ბუნებრივია, სინამდვილეში საბჭოთა კავშირის უმაღლეს მესვეურებს ქართველი და სომეხი ერების ინტერესები არაფერში ადარდებდა, მაგრამ საერთო ჯამში, ყველაფერი ისე ჩანდა, რომ ეროვნებით ქართველი იოსებ სტალინი ისტორიული ქართული და სომხური ტერიტორიების კანონიერ მფლობელთათვის დაბრუნებით იყო დაინტერესებული. სხვათა შორის, სწორედ ეს გახლდათ სტალინის მთავარი კოზირი საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე. იმ დროს თავად თურქეთშიც, სტალინის პრეტენზიებს (რომელსაც საქართველოსთან და სომხეთთან დაკავშირებით მართლაც, ურყევი ისტორიული მტკიცებულებები ჰქონდა) ვერაფერს უპირისპირებდნენ — ისმეთ ინენიუს ჩრდილო-აღმოსავლეთის სადავო ტერიტორიებზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული და ომის დაწყების შემთხვევაში, მათ დათმობასაც კი აპირებდა. თურქეთის შეიარაღებული ძალები მთავარ ყურადღებას დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებზე ამახვილებდნენ, რადგანაც მათ თურქეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ვითარების დაძაბვას, ტრადიციულად, თურქეთში მემარცხენე რადიკალებისა და მათი თანამგრძნობი ელემენტების გააქტიურება მოჰყვა — მათ უკან მდგომი „კაგებე“ ცდილობდა, ქვეყანაში სიტუაცია უკიდურესად დაეძაბა და საბჭოთა კავშირისათვის ხელსაყრელი ფონი შეექმნა. 1950 წელს ცნობილი თურქი ჟურნალისტის, რეფიქ ერდურანის ხელშეწყობით, ნაზიმ ჰიქმეთი, რომელსაც მოსკოვში ელოდნენ, ციხიდან გაიქცა. თურქი კომუნისტების ლიდერი, საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის „კვალის აბნევის“ მიზნით, ჯერ რუმინეთში გადავიდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ — 1951 წელს საბჭოთა კავშირში ჩავიდა.

სწორედ ამ პერიოდში, კრემლში დაიგეგმა და განხორციელდა საქართველოს სასაზღვრო ზონაში მცხოვრები ე.წ. „არასაიმედო ელემენტების“ შუა აზიაში დეპორტაცია — სასაზღვრო ზონის სოფლებიდან გაასახლეს ისინი, ვისაც თურქეთში მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ნათესაობა ჰყავდა ან თავის დროზე ანტისაბჭოთა განწყობილებით გამოირჩეოდა. ეს ყველაფერი იმდენად საიდუმლოდ განახორციელეს, რომ თვით გადასახლებულებიც ვერ გაერკვნენ, კონკრეტულად რაში ედებოდათ ბრალი. მიუხედავად ამისა, სასაზღვრო ზონის მცხოვრებთა დეპორტაციის შესახებ ინფორმაციამ მაინც გამოჟონა — ქართველმა ინტელიგენციამ კრემლს გადასახლებულების უკან დაბრუნება მოსთხოვა; ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა პირადად ეახლა სტალინს და ხანგრძლივი საუბრის შემდგომ დაარწმუნა, რომ სარფიდან, კირნათ-მარადიდიდან და მაჭახელიდან გადასახლებული ქართული ოჯახები უკანვე დაებრუნებინა. სტალინმა ყველაფერი ადგილობრივ პარტიულ ფუნქციონერებს გადააბრალა და აღნიშნა, რომ ისინი ცოტათი აჩქარდნენ. საბოლოოდ, მან ლავრენტი ბერიას დაავალა, ყველა გადასახლებულის საქმე თავიდან შეესწავლათ. სულ მალე, სასაზღვრო ზონიდან გადასახლებულთა უმრავლესობამ უკან დაბრუნების ნებართვა მიიღო.

ამავდროულად, მოსკოვში ჩასულ ნაზიმ ჰიქმეთს ლავრენტი ბერიამ თურქეთის პრეზიდენტობა ოფიციალურად შესთავაზა, მხოლოდ ერთი პირობით — ქართული და სომხური ისტორიული ტერიტორიები კანონიერ მფლობელებს უნდა დაჰბრუნებოდათ. ჰიქმეთს ამაზე დათანხმება ძალიან გაუჭირდა, რადგან კომუნისტობის მიუხედავად, თურქეთის ინტერესების იგნორირება ეძნელებოდა. მას ლავრენტი ბერიამ მოსაფიქრებლად საკმაო დრო — ერთი წელი მისცა.

საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობის გამწვავებამ უკიდურესად შეაშფოთა დასავლეთი, რომლის მესვეურებიც ხვდებოდნენ, რომ „მადაზე მოსული“ იოსებ სტალინი დროულად უნდა შეეჩერებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტალინური რეჟიმის ექსპორტი, აღმოსავლეთ ევროპის მსგავსად, აზიის ქვეყნებშიც მოხდებოდა. თურქეთის „გაწითლება“ დასავლეთს იმიტომაც არ აძლევდა ხელს, რომ ეს ქვეყანა ისლამურ სამყაროში ერთადერთი იყო, სადაც რელიგიურ წრეებს ხელისუფლებაზე გავლენა არ ჰქონდა. თურქეთი არაბული ქვეყნებისა და ისრაელის კონფლიქტშიც დასავლეთის პოზიციებს იზიარებდა, მათ აქტიურ დამცველად გამოდიოდა, რაც არაბებს დიდად უშლიდა ხელს. ამდენად, თურქეთში რადიკალური კომუნისტური რეჟიმის დამყარება აუცილებლად გამოიწვევდა ისლამისტების გაძლიერებას — აკი, ისრაელთან ბრძოლაში არაბებს საბჭოთა კავშირი ეხმარებოდა და თუკი თურქეთი „გაწითლდებოდა“, ხსენებული დახმარება კიდევ უფრო გაიზრდებოდა, დასავლეთს კი ისლამურ სამყაროში მოკავშირედ აღარავინ ეყოლებოდა. აქედან გამომდინარე, დასავლეთში სტალინის თვითნებობაზე თვალების დახუჭვას აღარ აპირებდნენ.

საბოლოოდ, 1952 წელს თურქეთი „დაჩქარებული წესით“, ნატოში მიიღეს, ხოლო ერთი წლის შემდგომ ქვეყანაში ამერიკული სამხედრო ბაზების შექმნის შესახებ ოფიციალურად გამოცხადდა. ნატოში მიღებისთანავე, თურქეთში მოსალოდნელი საბჭოთა აგრესიის აღსაკვეთად მზადება დაიწყო, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა — 1953 წლის 5 მარტს სტალინი გარდაიცვალა და მის ნაცვლად ხელისუფლებაში მოსულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა თურქეთთან ჭიდილი არაფრის მომცემად მიიჩნია. თუმცაღა, საბჭოთა კავშირმა თურქეთისადმი პრეტენზიები უკან ოფიციალურად, მხოლოდ 60-იან წლებში წაიღო. ■

Consumer Reports-ის რეიტინგის გამარჯვებულები

ამერიკული ჟურნალის — Consumer Reports — მიერ შედგენილ ყოველწლიურ რეიტინგში — „ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილი“ — პირველი ადგილი ჰიბრიდულმა მოდელმა — Toyota Prius დაიკავა. ზედიზედ მეშვიდე წელიწადია, რაც ეს მანქანა ამ კატეგორიაში პირველობას არავის უთმობს. ჟურნალის სპეციალისტებმა 10 ნომინაციაში სულ 280 ავტო შეაფასეს. არჩევანის გაკეთებისას, მთავარ კრიტერიუმად საგზაო ტესტების შედეგები, ასევე მანქანის საიმედოობის, უსაფრთხოების მაჩვენებლები იყო და რა თქმა უნდა, მომხმარებელთა მოსაზრებებსაც ითვალისწინებდნენ. USA Tuday იუწყება, რომ კონცერნ Toyota Motors-ის მიერ რეიტინგში დაკავებული მაღალი ადგილები (Lexus LS 460-მა გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო არჩევანი“) კომპანიას სირთულეების დაძლევაში დაეხმარება. ადრე გავრცელებული ცნობის თანახმად, სერვისკამპანიის შედეგად, რომელიც გაზის სატერფულის დეფექტთან იყო დაკავშირებული, Toyota-ს რვა მოდელს წუნი დაედო, ხოლო Prius-ისა და Lexus HS 250h-ის ჰიბრიდებს პრობლემები სამუხრუჭე სისტემასთან დაკავშირებით აღმოაჩნდათ. აგრეთვე, Toyota Highlander-ისა და RAV4-ის წარმოების შეჩერების შედეგად, ეს მოდელები რეიტინგიდან მისი პუბლიკაციის წინ ამოიღეს. სხვა ნომინაციებში გამარჯვებულთა შორის General Motors-ის ორი მოდელი —

Chevrolet Traverse (გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო საოჯახო არასაგზაო“) და Chevrolet Silverado (საუკეთესო პიკაპი) აღმოჩნდნენ. საუკეთესო „საოჯახო სედანად“ Nissan Altma, ხოლო „საუკეთესო სპორტულ სედანად“ — Infiniti G37 დასახელდა. ასევე, რეიტინგში პირველი ადგილი Mazda5-მა („საუკეთესო საოჯახო მინივენი“), Subaru Forester-მა („კომპაქტური არასაგზაო“), Hyundai Elantra SE-მ („კომპაქტური სედანი“) და Volkswagen GTI-მა („სპორტული ავტომობილი“) დაიკავეს. ■

Nissan Micra-ს მსოფლიო პრემიერა

ჟენევის მოტორშოუზე ახალი თაობის კომპაქტური ჰეჩბეკის — Nissan Micra — მსოფლიო პრემიერა შედგა. როგორც ოფიციალურ პრესრელიზშია ნათქვამი, ეს ავტომობილი გლობალურ მოდელად იქცევა, მსოფლიოს 160 ქვეყანაში გაიყიდება და ევროპული დილერების სალონებში შემოდგომაზე გამოჩნდება. მომავალი თაობის Nissan Micra ახალ პლატფორმაზეა აგებული, რომელიც ასევე, სუბკომპაქტურ კროსოვერზე — Juke — იქნება გამოყენებული. Juke-ს კონვეიერში მიმდინარე წლის სექტემბრისთვის ჩაუშვებენ. ახალი „მიკრას“ გაბარიტული სიგრძე 3780 მმ, სიგანე — 1665 მმ, ხოლო ბორბლების ბაზა — 2450 მმ-ია, რაც შესაბამისად, 61,5 და 20 მმ-ით მეტია წინამორბედის ზომებზე. ჰეჩბეკის სიმაღლე 1525 მმ-ია — 15 მმ-ით დაბალი წინა გენერაციის Nissan Micra-ზე. თავდაპირველად, ევროპულ ბაზარზე ახალი Nissan Micra 3-ცილინდრიანი, 1,2 ლიტრის მოცულობისა და 80 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ძრავათი გაიყიდება, მოგვიანებით კი მანქანის მოტორების გამას 98 ცხ.ძ. სიმძლავრის, ანალოგიური მოცულობის აგრეგატი დაემატება. ძრავები სიჩქარის გადაცემათა 5-საფეხურიანი მექანიკური კოლოფით ან ვარიატორით იმუშავებს. „მიკრას“ გარდა, ჟენევაში სპორტავტოს — Nissan 370Z, კროსოვერის — Juke, განახლებული Qashqai-ს, Pathfinder-ისა და ელექტრომობილ Leaf-ის პრეზენტაციაც მოეწყო. ■

ახალი თაობის Ford Focus

„ფორდის“ ევროპული განყოფილების ვიცე-პრეზიდენტმა, დერიკ კიუზაკმა განაცხადა, რომ ახალი თაობის Ford Focus ბაზარზე 2 წლის შემდეგ გამოჩნდება. ამ ავტომობილის კაპოტის ქვეშ Ecoboost-ის ოჯახის 4-ცილინდრიანი მოტორი იმუშავებს. „ფორდის“ 4-ცილინდრიანი მოტორების ხაზში ამჟამად, 3 ძრავაა: 150-180 ცხ.ძ. სიმძლავრის 2 და 1,6-ლიტრიანი და 200 ცხ.ძ. მქონე 2-ლიტრიანი აგრეგატი. Focus-ის ახალი ვერსიები 2-ლიტრიანი „ეკობუსტის“ ბაზაზე აიწყობა, რომელიც ამ ავტომობილებისთვის 240 ცხ.ძ-მდე იქნება ფორსირებული; ამასთან, Ford Focus ST-ზე მხოლოდ ეს მოტორი დაყენდება, ხოლო Ford Focus RS-სთვის ელექტროძრავაცაა გათვალისწინებული, რომელიც ჰეჩბეკის უკანა ბორბლებს მოიყვანს მოძრაობაში. RS ვერსიის ჯამური სიმძლავრე 300 ცხ.ძ. გახლავთ. გარდა ამისა, ის „სტოპ-სტარტის“ სისტემით, ასევე სიჩქარის გადაცემათა რობოტიზებული კოლოფით დაკომპლექტდება. სავარაუდოდ, 100 კმ/სთ სიჩქარეს ავტომობილი 5 წამში განავითარებს. ადრე იუწყებოდნენ, რომ ავტომწარმოებელი შემსუბუქებულ „ერესკოს“ შეზღუდულ პარტიას გამოუშვებდა, რომლის 2,5-ლიტრიანი ძრავა 350 ცხ.ძ-მდე იქნებოდა ფორსირებული და ამ ვერსიას Clubsport ეწოდება. აღსანიშნავია, რომ იგი 500 ეგზემპლარად აიწყობა. ამჟამად „ფოკუსის“ ყველაზე მძლავრ ვერსიებზე — ST-სა და RS-ზე — 5-ცილინდრიან ტურბომოტორს აყენებენ. Focus ST-ს ეს ძრავა 225 ცხ.ძ-ს, ხოლო RS-ს — 305 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებინებს. ■

პომადა და ქალის ხასიათი

ამბობენ, ქალის ხასიათის მეტ-ნაკლები სიზუსტით ამოცნობა იმის მიხედვითაც შეიძლება, თუ რა ფერის პომადას იყენებს და როგორ ისვამს მასო...



● თუ ტუჩებს იშვიათად, თანაც მსუბუქად და მქრქალი ფერის პომადით იღებავთ — მორიდებული, თავშეკავებული, ეკონომიურად მხარჯველი მანდილოსანი ბრძანდებით. გიძნელდებათ ადამიანებთან კონტაქტი, განსაკუთრებით — მამაკაცებთან. იშვიათად გამოხატავთ გრძნობებს.

● თუ საათობით დგახართ სარკის წინ და პომადას წამდაუწუმ იმატებთ — ისე, რომ იგი სქელ ფენად რჩება ტუჩებზე, მაშინ თავმოყვარე, მფლანგველობისკენ მიდრეკილი ადამიანი ხართ; გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა, განსაკუთრებით — მამაკაცების წრეში. ხშირად ჰყვებით გრძნობებსა და ემოციებს.

● თუ გაკვრით, ულაზათოთ ისვამთ — ისე, რომ პომადა ზოგჯერ ტუჩის კონტურსაც სცილდება, მაშინ უზრუნველი ხართ. არცთუ დიდ ყურადღებას უთმობთ საკუთარ გარეგნობას. გამოირჩევით იმპულსურობითა და გულკეთილობით.

● თუ გულდასმით ისვამთ; იყენებთ არა მარტო პომადას, არამედ კონტურისთვის განკუთვნილ ფანქარსაც, მაშინ თავდაჯერებული ხართ. ყველანაირ სიტუაციაში ინარჩუნებთ გამბედაობასა და იშვიათად კარგავთ წონასწორობას. თქვენი გული ემორჩილება გონებას, ამიტომ მამაკაცებთან ავანტიურა გამორიცხულია.

● თუ პომადას ყოველთვის ტანსაცმლის ფერის მიხედვით არჩევთ, ოპტიმისტი და კეთილი ხართ. გყავთ ბევრი მეგობარი, თუმცა ამასთანავე, ცოტა არ იყოს, სენტიმენტალურობაც გახასიათებთ. მოგონებები ყოფილ მამაკაცებზე, თქვენი სისუსტეა.

● თუ პომადას ბოლომდე ხარჯავთ — ისე, რომ შიგ აღარაფერი რჩება, ემოციური ქალბატონი ბრძანდებით. განწყობილება ხშირად გეცვლებათ — ხან გულიანად იცინით, ხანაც ატირებას არაფერი გიკლიათ. თუმცა კარგი მეგობრობა შეგიძლიათ.

● თუ წლების განმავლობაში ერთი და იმავე ფერის პომადას ხმარობთ, გულმავიწყი ხართ. ცხოვრებაში არცთუ ცოტა პრობლემა გქონიათ. უზუსტობის, გულმავიწყობისა და არათანამიმდევრულობის გამო, ხშირად გიწევთ დამატებითი საქმის კეთება და მეგობრებთან ურთიერთობის გარკვევა.

● თუ პომადას იშვიათად, მხოლოდ საღამოობით ან საგანგებო შეხვედრის წინ ისვამთ, ენერგიული და მიზანდასახული ხართ, ისწრაფვით კარიერისკენ.

● თუ სინჯავთ ყველანაირ პომადას, რაც კი მოდურია, მაშინ იმპულსური ხართ, თქვენთვის უცხოა სიმშვიდე და მოთმინება. მუდამ მოძრაობასა და მოქმედებაში ხართ. იოლად შეგიძლიათ მეგობრების აყოლიება, საზოგადოების სული და გული ხართ და ირგვლივ მყოფთა სიყვარულსაც იმსახურებთ. ■

თაგვმა თხარა, თხარაო...

ხანდახან არცთუ საფუძვლიანი ეჭვით გაჯერებული ქალური ცნობისმოყვარეობა საღ აზრზე ძლიერია და ადამიანს კარგ მანერებსაც ავიწყებს — ხელი თავისთავად გაგირბის მისი ტელეფონის აპარატისკენ, რათა შეიტყო, ვინ დაურეკა; შეამოწმო — ვისგან მიიღო „ესემესი"; ის კი არა და, სურვილი გიჩნდება, მისი შარვლის ჯიბეშიც მოაფათურო ხელი.

როდის შეგიძლია მისი ჯიბეების ამობრუნება?

მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში — მაგალითად, გარეცხვის წინ. ასე რომ, წინასწარ გააფრთხილე შენი რჩეული და სინდისი დამშვიდებული გექნება. ვინც არ იმალება, დამნაშავეც არ არის.

თუმცაღა, ზოგიერთი მამაკაცი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ტანისამოსი შესამოწმებლად ყოველი გარეცხვის წინ მიუტანონ, რათა თავად შეამოწმოს საკუთარი ჯიბეები. რას იზამ — ტაბუ ტაბუა!

მეორე მხრივ, გახსოვდეს, რომ ასეთნაირად აღმოჩენილი ნებისმიერი ნივთი, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, ვინაიდან ის, შესაძლებელია, უამრავი, სხვადასხვაგვარი გზით მოხვდეს ახლანდელ მფლობელთან — ცხოვრება ხომ ნებისმიერ ფანტაზიაზე მდიდარია.

მის მანქანაში საეჭვო ნივთი აღმოაჩინე? ხარ კი დარწმუნებული, რომ მანქანის საჭეს მხოლოდ ის უზის?

ეგებ, მანქანა მეგობარს (რომლის ცოლი, ამავე დროს, შენი ახლო მეგობარია) ათხოვა, მან კი საყვარელს გაუარა... როგორ გგონია, ასეთ შემთხვევაში მეუღლე ყველაფერს გულახდილად გიამბობს?

ჯიბეში ან მანქანაში აღმოჩენილი პომადა, საყურე თუ ქალის თეთრეული (ჩამონათვალი შესაძლებელია უსასრულოდ გაგრძელდეს) ერთი შეხედვით, იდეალური საბაბია ურთიერთობის გასაწყვეტად. თუმცაღა გაითვალისწინე, რომ ასეთი მაკომპრომეტირებელი ნივთების დავიწყება ან ძალზე დაბნულ კაცს შეუძლია, ან მას — ვისაც უნდა, რომ ეს კომპრომატი „აღმოაჩინო".

ის თვალს ურცხვად გაგისწორებს, თბილად გაგიღიმებს და ისე მოგატყუებს. თანაც, დროთა განმავლობაში ამის გაკეთებას უფრო და უფრო მიეჩვევა, შენ კი სამუდამო, მტანჯველი ეჭვისთვის ხარ განწირული — გატყუებენ თუ არა ამჟამად? ერთი სიტყვით, გაფრთხილდი, ისე არ მოგივიდეს — თაგვმა თხარა, თხარაო, კატაო გამოთხარაო... ■

წიგნი სულის საარკეა

ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ადამიანის ბუნება თითოეულ მის ჟესტში, მოძრაობასა და მოქმედებაში ვლინდება. თურმე, იმისდა მიხედვით, თუ კითხვისას როგორ ზიხარ, შენი ხასიათის თავისებურებები ჩანს.

კითხვისას წიგნი ხელებით გიჭირავს

ყოველდღიურ ცხოვრებაში ცივი, გულგრილი და აუღელვებელი ხარ. შეგიძლია ყველგან და ყოველთვის აკონტროლო და მართო შენი ემოციები. „რკინის ნიღბის“ მიღმა იფარება შენი მისწრაფება — წინასწარ დაიცვა თავი გარშემო მყოფთა ზედმეტი ყურადღებისგან. ეს ნამდვილად ზედმეტია. ცოტა მოეშვი, განიტვირთე, მიიხედ-მოიხედე და დარწმუნდები, რომ ცხოვრება მშვენიერია.

კითხვის დროს თავი ხელზე გაქვს დაყრდნობილი

სიმშვიდისა და შინაგანი ჰარმონიის იშვიათი უნარით ხარ დაჯილდოებული. ძნელად თუ აგაღელვებს რამე. შენს ახლობლებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რათა შენში ენთუზიაზმის ნაპერწკალი გააღვივონ. ერთნაირი ხარ ყველგან — სახლში, სამსახურში, მეგობრებთან. მუდმივი სიმშვიდე — ნირვანა — ეს, რა თქმა უნდა, შესანიშნავი რამაა, მაგრამ ცოტაოდენი ცეცხლიც და... ნამდვილად არ ინანებ.

კითხვის დროს ხელები მუხლებზე გიწყვია

ემოციათა ზღვა — ეს შენი სტიქიაა. თუმცა, ამით კმაყოფილი ნამდვილად არ ხარ. მუდმივად გეშინია, რომ თავს ვერ გააკონტროლებ და ისეთ რამეს ჩაიდენ, რაც შენს გულსა და გონებას ეწინააღმდეგება. რატომ აკრიტიკებ გამუდმებით თავს? ხანდახან მართლაც შეიძლება „აფრების აშვება“.

წამოწოლილი კითხულობ

ბავშვური გულუბრყვილობა შენი მომხიბვლელობის მთავარი საიდუმლოა. ყოველთვის გაინტერესებს, რა ხდება შენ ირგვლივ. ხშირად გადასახლდები ხოლმე იმ წიგნის სამყაროში, რომელსაც კითხულობ. ეს ნამდვილად კარგად გამოგდის. ის კი არა და, ხშირად წაკითხულის მიხედვით ცხოვრობ. უნდა დაიმახსოვრო, რომ ზომიერების გრძნობა საუკეთესო რამაა. წიგნიერი გამონაგონი რეალურ ცხოვრებაში ყოველთვის არ გამოგადგება. გაფრთხილდი: ცაში აფრენისას, მოულოდნელად მიწაზე არ დაეინარცხო.

კითხვის დროს ფეხები სკამზე გაქვს შემოწყობილი

წიგნის კითხვის შენეულ მანერაში არის რაღაც არისტოკრატიული. თითქოს შენი სურვილით კი არ კითხულობ, წიგნები თვითონ „გთხოვენ“ წაკითხვას და შენც, მათ დროსა და ყურადღებას იძულებით უთმობ. რა საჭიროა ასეთი ქედმაღლობა? წიგნებში ბევრ ისეთი რამეს იპოვი, რაზე დაფიქრებაც ნამდვილად ღირს.

სახეზე ხელებშემოჭდოგილი კითხულობ

მგრძნობიარე, ნერვიული და მერყევი პიროვნება ხარ. დაძაბული კითხულობ და და ცდილობ, სწორად გაიგო და ჩახვდე წაკითხულს, დაიმახსოვრო იგი. იმიტომ ხომ არ შემოიჭდე სახეზე ხელები, რომ სულ პაწაწინა საინტერესო აზრიც კი არ გაგისხლტეს? ასე ძნელია შენთვის ერთ საგანზე კონცენტრირება? მერე რა?! შენნაირი ამქვეყნად ბევრია. ჯობს დამშვიდდე, მოეშვა, ნუ მოითხოვ საკუთარი თავისგან ბევრს და დანარჩენი თავად მოგვარდება. ■

ყვავილოვანი კომბოსტოს ჩახოხბილი

სამარხვო კერძი

მარილწყალში ნახევრად მოხარშეთ 1 კგ ყვავილოვანი კომბოსტო, გადაიტანეთ თუშფალანგზე, დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ჩაუმატეთ დაჭრილი 3-4 თავი ხახვი, ნახევრი ჩაის ჭიქა ტომატი ან ცოცხალი, დაჭყლეტილი პომიდორი, 100 გ მცენარეული ზეთი, დაჭრილი ქინძი, ოხრახუში და მარილი. ადუღეთ ნახევარი საათის განმავლობაში. ■

სპაგეტის ბრაწულა

4 ულუფისთვის

მასალად საჭიროა:

300 გ სპაგეტი;
1 კონა მწვანე ხახვის ფოთლები;
2 მწვანე ტკბილი წიწაკა;
300 გ პომიდორი;
400 გ დაკეპილი ხორცი;
2 ს/კ მზესუმზირის ზეთი;
2 კბილი ნიორი;
2 კვერცხი;
150 მლ რძე;
ცოტა ოხრახუში;
100 გ გახეხილი ყველი;
შავი წიწაკა.

მომზადების წესი:

მოხარშეთ სპაგეტი. დაჭერით ბოსტნეული. გააცხელეთ გაზქურა 200 გრადუსზე. ხორცი შეწვით ნიორთან ერთად. კვერცხი ათქვიფეთ რძესა და დაკეპილ ოხრახუშთან ერთად, შეურიეთ დაჭრილი პომიდორი; დაუმატეთ ყველი, მარილი და წიწაკა. ფორმაში ფენებად ჩააწყვეთ სპაგეტი, ხორცი, შემდეგ ისევ სპაგეტი და მოასხით სოუსი. აცხვეთ 20 წთ. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

1. დავით აღმაშენებელი ქუთაისში დაიბადა.
2. სპარტელები ცოლს მოტაცებით ირთავდნენ.
3. ფრანკლინ რუზველტს ექვსი შვილი ჰყავდა.
4. იპოლიტე ხვიჩია პროფესიით ბუღალტერი იყო.
5. ბოსტნეულისგან ფიგურების გამოჭრის ხელოვნებას კარვინგი ჰქვია.
6. ლურჯი ვეშაპი 12 მეტრის სიმაღლეზე ამოისვრის წყლის შადრევანს.



7. USS NAUTILUS პირველი ატომური წყალქვეშა ნავია მსოფლიოში.
8. კომპანია „მაიკროსოფტის“ შემოსავალი კვირაში ერთ მილიარდ დოლარს აღემატება.
9. შპროტი ზღვის წვრილი თევზია. ჩვენში მას ქარსალას ეძახიან.
10. ლოპე დე ვეგამ უკანასკნელი ნაწარმოები გარდაცვალებამდე 4 დღით ადრე დაასრულა.
11. შუა საუკუნეების პორტუგალიაში ჰომოსექსუალიზმში მხილებულ მამაკაცს სასქესო ორგანოთი კიდებდნენ.
12. სერგეი ბოტკინი ბავშვობაში ნიჭიერებით ნაკლებად გამოირჩეოდა და წერა-კითხვა მხოლოდ 9 წლის ასაკში ისწავლა.
13. 1968 წლის რეპრესიების დროს პრაღის ქუჩებში გაჩნდა წარწერა: „გაიღვიძე, ლენინ, ბრეჟნევი გაგიჟდა!“
14. ჰუგო ბოსი ტანსაცმელს მხოლოდ მამაკაცებისთვის კერავდა. მისი დიზაინით არის შექმნილი გერმანელი ნაცისტების უნიფორმა.
15. „სამოე სტრაშნოე ნა სვეტე, ეტა ატვერგნუტაია ჟენშჩინა“, — ირწმუნება მაქსიმ გალიგინი. — „სტრაშნეე ატვერგნუტოი ჟენშჩინი ტოლკო ნენაკრაშენნაია ატვერგნუტაია ჟენშჩინა“.
16. შვეიცარიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასული პელე, რომელიც 17 წლის ასაკში პირველად გასცდა ბრაზილიის საზღვრებს, ყველაზე მეტად იმან გააკვირვა, რომ სხვა გუნდებში შავკანიანი ფეხბურთელები არ თამაშობდნენ.
17. „სამი პროფესიისა არ შეიძლება იყოს შემთხვევითი ადამიანი: მასწავლებელი, ექიმი და ხელოვანი. ცუდმა მასწავლებელმა შეიძლება დაღუპოს მომავალი გენიოსი, ცუდმა ექიმმა შეიძლება ფიზიკურად დაღუპოს ადამიანი, ცუდი ხელოვანი კი საკუთარ ერს ღუპავს სულიერად“, — ამბობს ირაკლი ხიზანიშვილი ფილმში — „ათოვდა ზამთრის ბაღებს“.

ასპარეზი

ქეცბაიას წარსული არ აინტერესებს, მისთვის მთავარი — მომავალია

საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას დებიუტი ესტონეთთან ამხანაგურ შეხვედრაში შედგა და შესაძლოა, მისი შეგირდების თამაშის ხარისხმა ბევრი არ დააკმაყოფილა, მაგრამ რაც მთავარია, თითქმის ორწლიანი პაუზის შემდეგ, ნაკრებმა მოგების გემო გაიხსენა.

ლაშა თაბაგარი



მატჩამდე ქეცბაიას მთავარი მიზანი სწორედ ეს იყო, რომ ფეხბურთელებს გამარჯვებულის მენტალიტეტი დაჰბრუნებოდათ, თორემ თავადაც კარგად უწყის, კიდევ რამდენი სამუშაო აქვს:

„გუნდის თამაშის ხარისხს ძალიან კარგს ვერ ვუწოდებ. ფეხბურთელებისგან მეტს ველი. შესარჩევ ციკლში წარმატების მისაღწევად უკეთესად თამაშია საჭირო. გამარჯვებამ გამახარა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ზოგიერთი მოთამაშისგან მეტს ველოდი. შესარჩევი ციკლის დაწყებამდე დრო კიდევ არის და სხვა ფეხბურთელებსაც გამოვცდით“.

ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა 2012 წლის ევროპის პირველობის შესარჩევი ციკლის კენჭისყრის შედეგიც შეაფასა, რომლითაც საქართველოს მეტოქედ, ხორვატიის, საბერძნეთის, ისრაელის, ლატვიისა და მალტის ნაკრებები ერგო:

„კენჭისყრის შემდეგ, ბევრი საუბრობდა, რომ ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტები ვართ და ჩვენთვის მეორე ადგილი წარუმატებლობად ჩაითვლებოდა. ჩვენი მიზანია, ბოლომდე ვიბრძოლოთ და თითოეულ თამაშზე მოედანზე მოსაგებად გავიდეთ. არა მგონია, ლოგიკური იყოს, რომ საქართველოს ნაკრების ფავორიტობაზე ვისაუბროთ. ამით გუნდს ვერ დავეხმარებით. საკუთარი შესაძლებლობები ლოგიკურად უნდა შევაფასოთ. შესაძლოა, ჩვენს ჯგუფში გამორჩეული ნაკრები არც ერთი არ არის, მაგრამ არც ხელწამოსაკრავი გუნდებია — იგივე ხორვატია და საბერძნეთი. აღსანიშნავია, რომ წინა შესარჩევ ციკლში საბერძნეთი, ლატვია და ისრაელი ერთ ჯგუფში გამოდიოდნენ. პირველმა მათგანმა 20 ქულა დააგროვა, მეორემ — 17, ხოლო მესამემ — 16. საქართველოს მხოლოდ 3 ქულა ჰქონდა ახლა კი 20-ის აღება რომ მოვინდომოთ, ამ ლოგიკით ჩამოთვლილმა გუნდებმა 60 ქულის დაგროვებაზე უნდა იფიქრონ. ჩვენთვის სასურველი შედეგი — მოგებაა, რადგან ამხანაგურს თამაშობენ, ოფიციალურს თუ ვარჯიშზე ორმხრივს, ფეხბურთელებს გამარჯვების ჟინი ყოველთვის უნდა ჰქონდეთ. რა იყო წარსულში, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რა იქნება მომავალში.“.

როგორც გაირკვა, ქეცბაიას ერთ-ერთი უპირატესი მიზანია, ნაკრების ბირთვი ჩამოაყალიბოს, რომელიც დაახლოებით 25 ფეხბურთელისგან შედგება:

„მთავარია, შევქმნათ გუნდის ბირთვი, რომელიც 25 ფეხბურთელისგან იქნება შემდგარი. არ შეიძლება, რომ ერთი წაგების შემდეგ, გუნდში 10 მოთამაშე იცვლებოდეს, როგორც ეს წინა შესარჩევ ციკლში ხდებოდა. მიმაჩნია, რომ ერთი ტაქტიკა უნდა გვქონდეს, მაგრამ ძლიერ ნაკრებებთან შეხვედრის დროს, მისი შეცვლა ნაწილობრივ შეიძლება. ფეხბურთელებმა თამაშის მოსაგებად ყველაფერი უნდა გააკეთონ. მათ პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება. ტრავმისგან დაცული არავინაა, მაგრამ ყველა მოთამაშე მზად უნდა იყოს. ყველაზე რთული სამუშაო მწვრთნელებს გვაქვს, რადგან საზღვარგარეთ და საქართველოშიც ბევრი ფეხბურთელია, რომელთაგან 11 „ძირითადის“ მოთამაშე უნდა შევარჩიოთ და 7 სათადარიგო. თავს ვინც გამოიჩენს, ნაკრების კარი ყველასათვის ღიაა, არა

აქვს მნიშვნელობა, ის უცხოეთში თამაშობს თუ საქართველოს ჩემპიონატში. თუმცა არ დაგიმალავთ, რომ სასურველია, საქართველოს პირველობა გაცილებით უკეთესი იყოს“.

მიუხედავად იმისა, რომ კახა კალაძეს ბოლო დროს „მილანში“ სათამაშო პრაქტიკა აკლია, ნაკრების დამრიგებელი მიიჩნევს, რომ ასეთი დონის ფეხბურთელზე უარის თქმა არ შეიძლება და ნაკრების კაპიტანი კვლავ ის იქნება:

„გასულ შესარჩევ ციკლში მთელი გუნდი ცუდად თამაშობდა და არა მხოლოდ კალაძე. ჩვენ ისეთი კონტინგენტი არ გვყავს, რომ მასზე უარი ვთქვათ. „მილანში“ ვარჯიში საქართველოს ჩემპიონატში თამაშს ნამდვილად სჯობს. იმედი მაქვს, რომ ის გუნდს დაეხმარება და კაპიტნის შეცვლასაც არ ვგეგმავთ. ჩვენი შეცდომა იქნება, თუკი ერთი ან ორი თამაშის გამო, კალაძეს „ხაზს გადავუსვამთ“. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს ნაკრებში თამაში გარანტირებული აქვს“.

მან დაამატა, რომ ფუფუნებაა გუნდში კალაძის მსგავსი ფეხბურთელის ყოლა, რომელსაც სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში.

სხვათა შორის, თბილისში ესტონეთთან სათამაშოდ ჩამოსულმა კალაძემ განაცხადა, რომ თუ „მილანში“ კვლავ სათადარიგოებში ჯდომა მოუწევს, იტალიურ კლუბს დატოვებს და ისეთ გუნდში გადავა, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს.

„მთავარია, რომ მოვიგეთ, რადგან შედეგი ყოველთვის მნიშვნელოვანია. მივესალმები გუნდში გამოცდილი ფეხბურთელების დაბრუნებას, რადგან საქართველოს იმდენი მაღალი დონის მოთამაშე არ ჰყავს, რომ ვინმეზე უარი თქვას“, — *აღნიშნა თამაშის მერე კაპიტანმა.*

„საქართველოში ისეთი ტრადიციაა ჩამოყალიბებული, რომ შესარჩევი ჯგუფი შედგება თუ არა, მაშინვე იწყება საუბარი — იმას 3 ქულას წავართმევთ, ამას „მივახრჩობთ“ და ა.შ. რამდენიმე ჩემმა მეგობარმაც მითხრა, რომ 6 ქულა უკვე გარანტირებული გვაქვს. ქართულ პრესაში გამოქვეყნებული, თემურ ქეცბაიას ინტერვიუ წავიკითხე და ვეთანხმები, რომ ასი პროცენტით „დახარჯვის“ შემთხვევაში შეიძლება, რაღაცას მივაღწიოთ. მე პირადად ველოდი, რომ ორი გრანდი მაინც შეგვხვდებოდა ან მინიმუმ — ერთი. ღმერთმა მოგვცა იმის შანსი, რომ დავამტკიცოთ, რაიმის გაკეთების თავი გვაქვს თუ არა. ისეთი ჯგუფი შეგვხვდა, ჯობს, ნაკლები ვილაპარაკოთ და მეტი საქმე გავაკეთოთ“, — *ფიქრობს* ***ზურა ხიზანიშვილი.***

— შესარჩევი ციკლის დაწყებამდე თემურ ქეცბაია ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებას შეძლებს?

— ერთი, რაშიც დარწმუნებული ვარ, ისაა, რომ ქეცბაია ფეხბურთელებს იმ სათამაშო ჟინს გადასცემს, რომელიც თავად ახასიათებდა, როდესაც მოედანზე იმყოფებოდა. ნაკრებში ბევრი ისეთი ფეხბურთელი ვართ, რომელსაც მასთან ერთად გვითამაშია და ვფიქრობ, გუნდში ერთსულოვნება იქნება. მომავალ შესარჩევ ციკლს იმედის თვალით შევყურებ და მთავარია, კარგი თამაში ვაჩვენოთ, თორემ, სულ უკან და უკან მივდივართ, ხოლო ნაკრების ცუდი გამოსვლიდან გამომდინარე, ფეხბურთელებს საზღვარგარეთ კლუბებში წასვლაც უჭირთ. უნდა შევეცადოთ, ბოლო პერიოდში ნაჩვენები საშინელი თამაში გავაუმჯობესოთ.

— ბუნებრივია, იმედი გაქვთ, რომ ახალი მთავარი მწვრთნელი ყველა იმ ფეხბურთელს გამოიძახებს, რომელიც ნაკრებში თამაშს იმსახურებს...

— უშეცდომო კაცი არ არსებობს. ქეცბაიაც შეცდება რაღაცაში — ფეხბურთელებთან მიდგომაში, მათ ნაკრებში გამოძახებასა თუ ტაქტიკაში. ის ერთია და ჩვენ 22 ვართ, ამიტომ მისგან შეცდომის დაშვება უფრო მოსალოდნელია. თუმცა ქეცბაია პრინციპული ადამიანია და ნაკრებში იმ ფეხბურთელს არ გამოიძახებს, რომელიც სათამაშოდ მზად არ არის. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ეს ხიზანიშვილი იქნება თუ კობიაშვილი. იგი არასოდეს გააკეთებს იმას, რომ სწორი გზით მიმავალმა, სხვაგან გადაუხვიოს. ■

ზურაბ ხიზანიშვილი
და კახი კალაძე

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

18. შამქორის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავ ზეიმზე ქართველებმა თბილისის ქუჩებში 12 ათასი ტყვე-მუსლიმანი, 40 ავაზა, 20 ათასი ცხენი, 7 ათასი ჯორი, 15 ათასი აქლემი, ურიცხვი ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და მუსლიმანთა საომარი დროშები ჩამოატარეს. ხალიფის დროშა კი ქართველმა დიდებულებმა ფეხებთან დაუფინეს თამარ მეფეს.

19. პაოლო იაშვილმა ჟაკნის ტყვეებით გატენილი სანადირო თოფით მოიკლა თავი. თავის დროზე, ქართველი პოეტი ამ თოფს სერგეი ესენინს ჩუქნიდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა არაფრის დიდებით არ გამოართვა.

20. 1529 წელს თურქებმა მათ მიერ ალყაშემორტყმული ვენის გალავანთან გვირაბი გათხარეს, ქალაქის კედელი ააფეთქეს და შეტევაც განახორციელეს, თუმცა ამაოდ — 30 მეტრის სიგრძის ნაპრალში ქალაქის დამცველი ავსტრიელი ლანდსკნეხტები ჩადგნენ, რომელთა შუბებსა და ალებარდებს მოიერიშე თურქები შეაწყდნენ.

21. ადოლფ ჰიტლერის მოადგილე, მარტინ ბორმანი ფიურერის მიერ წარმოთქმულ ნებისმიერ მოსაზრებასა თუ შენიშვნას უბის წიგნაკში იწერდა. მოგვიანებით, ეს წიგნაკი ჰიტლერის გამონათქვამთა კარტოთეკად იქცა, რომელმაც თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარა არქივს, რომელიც დროთა განმავლობაში, რაიხის სახელმწიფო და პარტიული ნომენკლატურის თითოეულ წევრზე შედგენილი დოსიეებით ივსებოდა. დოსიეში წარმოდგენილი იყო ნაცისტური პარტიის წევრთა ბიოგრაფია, ცხოვრების მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ფაქტები და კომპრომატები. ბორმანს ნებისმიერ დროს შეეძლო თავის არქივში მოეძებნა ჰიტლერის გამონათქვამი, რომელიც მოცემულ სიტუაციაში მოქმედების საშუალებას მისცემდა. ჰიტლერის ციტირებით ბორმანს შეეძლო, ნებისმიერი მოვლენის განვითარება მისთვის სასურველ კალაპოტში მოექცია. დროთა განმავლობაში, მის ხელში გადავიდა ფიურერის ყველა ფინანსური საქმე: ის განკარგავდა ჰიტლერის ჰონორარებს, პირად ფინანსებს, აგრეთვე 100 მილიონ რაიხსმარკას, რომელიც გერმანელმა მეწარმეებმა ადოლფ ჰიტლერის სახელობის გერმანული სამხედრო მრეწველობის ფონდში ჩარიცხეს. ბორმანზე იყო დამოკიდებული თვით ჰიტლერის საყვარელიც, რომლის სარჩენად გამოყოფილ თანხასაც ფიურერის მოადგილე განკარგავდა.

წმინდა მიწაზე არსებული მდგომარეობა და განადგურებას გადარჩენილი ქრისტიანული სიწმინდეები

IX საუკუნიდან, როდესაც არაბთა დამპყრობლობის პირველმა ტალღამ გადაიარა, წმინდა მიწაზე სამონასტრო ცხოვრება კვლავ გამოცოცხლდა, აღორძინდა და ეს აღმავლობა XII საუკუნემდე გაგრძელდა. ამ პერიოდში ქართველ ბერ-მონაზვნებსა და მომლოცველებს დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ წმინდა მიწაზე; მუსლიმანებიც კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქართველები იქ მხოლოდ სულიერ სარგებელს ეძიებდნენ.

შორენა მერკვილაძე

იერუსალიმის აღდგომის ტაძარი

არქიმანდრიტი მაკარი (*აბესაძე*):

— ვიცით, რომ რომი მიწიერი უპირატესობით გამოირჩეოდა და ალბათ, რომის მიწიერმა დიდებამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ რომის ეკლესია ცდომილების გზით წავიდა — ჩამოაყალიბა სწავლება, რომლის მიხედვითაც, ვითომდა, რომის პაპი იყო თავი მსოფლიო ეკლესიისა და მას უფლება ჰქონდა ყველა ადგილობრივ ეკლესიაზე... დიპტიხშიც პირველად, რომის ეკლესია იყო მოხსენიებული...

ეკლესია ის ადგილია, სადაც ადამიანი უნდა ცხონდეს, ამიტომ რომელიმე ფიზიკურ ადგილზე არსებულ ადგილობრივ ეკლესიაზე ვერ ვიტყვით, რომ ადამიანს იქ ცხონების მეტი შესაძლებლობა აქვს, მაგრამ მსოფლიო ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებში არსებობს იერარქიული წყობა, რასაც დიპტიხი ეწოდება. დიპტიხში კი თავიდანვე (XI საუკუნემდე), პირველად მართლაც, რომის ეკლესია იხსენიებოდა, რადგან რომი იყო დედაქალაქი, სადაც იდგა საიმპერატორო ტახტი და თავისთავად, მას გავლენა ჰქონდა სხვა ადგილობრივ ეკლესიებზე. ყველა მნიშვნელოვანი საეკლესიო საკითხის გადასაწყვეტად იქ იყრიდნენ თავს.

პირველივე საუკუნეებიდან რომი იყო მსოფლიოს ყველაზე დიდი — მილიონინანი ქალაქი და თავისთავად, ამ ქალაქის მღვდელმთავარს ყველაზე დიდი სამწყსო ჰყავდა; ყველაზე მდიდარი ხალხი რომში ცხოვრობდა, ამიტომ ეკლესიასაც უხვად შეეწეოდნენ და მას დიდძალი ქონება დაუგროვდა. რომის დაცემის შემდეგ რომის პაპებმა თავიანთი დიდძალი ქონების წყალობით მოითხოვეს, რომ უკვე არა მარტო სულიერი, არამედ მიწიერი ხელისუფლებაც ჰქონოდათ. ისინი ამ ქონებით ხშირად ახერხებდნენ თავიანთი მრევლის დაცვას — საჭიროების შემთხვევაში, მრევლის დასაცავად ქირაობდნენ ჯარს, შიმშილობისას აპურებდნენ ადამიანებს, ტყვეობიდან იხსნიდნენ რომის მოქალაქეებს... ე.ი. ფაქტობრივად, მიწიერი ხელისუფლების მოვალეობასაც აღასრულებდნენ. ბიზანტიის იმპერატორებსაც აღარ მიუწვდებოდათ ხელი რომზე, რამაც ნელ-ნელა, რომის პაპების ამბიციები გამოიწვია. X საუკუნეში სიგელიც კი შეთხზეს კონსტანტინე იმპერატორის სახელზე, რომლის თანახმადაც, თითქოს, რომისა და მისი პროვინციების მიწიერი გამგებლობა ბიზანტიის იმპერატორმა რომის პაპს უანდერძა.

IX საუკუნიდან ევროპის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები — ფრანგები, ვანდალები, ლომბარდიელები ნელ-ნელა იღებენ ქრისტიანობას. ცხადია, ეს ხდებოდა ჭეშმარიტი — მართლმადიდებლური სარწმუნოების სახით, მაგრამ ამ ტომის ხალხები ქრისტიანულ სჯულზე ექცეოდნენ გაუთვითცნობიერებლად. ამ ტერიტორიებზე სარწმუნოების გავრცელება, ძირითადად, რომის კათედრიდან ხდებოდა. როგორც ვიცით, რომის ეკლესია ყველგან ლათინურად აღასრულებდა მსახურებებს და ახალმოქცეულები ქრისტიანობის ნამდვილ არსს ვერ სწვდებოდნენ. რომის პაპმა შემდეგ ხერხსაც მიმართა: მათი ტომების ბელადებს მეფეებად, იმპერატორებად აკურთხებდა, ამ გზით კი დასავლეთის ქვეყნებზე ზეგავლენის მოპოვება მოახერხა.

ეს ტომები მეომარი ხალხისგან შედგებოდა და გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, მათი ჯარში დაქირავებაც ადვილი იყო. საჭიროების შემთხვევაში, რომის პაპი ამ გზას მიმართავდა და მათ სათავისოდ იყენებდა — შესაძლოა, ეს მომხდარიყო სამრევლოების სხვადასხვა შემოსევისგან დასაცავად ან სულაც, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე... რომის პაპებმა ნელ-ნელა, მთელ ევროპაზე მოიპოვეს გავლენა და ის სამხედრო ძალა, რაც ევროპას ჰქონდა, მათ შესაძლებლობას აძლევდა, თავიანთი ინტერესები განეხორციელებინათ...

ამდენად, ევროპაში ადვილად მოხერხდა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ იმ პერიოდში, ევროპაში განათლების დონე ძალიან დაბალი იყო — მეფეებსაც კი არავითარი განათლება არ ჰქონდათ. თუკი რომელიმე მეფე ან მთავარი ქრისტიანობას მიიღებდა, ამ სარწმუნოების გავრცელებას თავადვე უწყობდა ხელს...

რომის ეკლესია კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას ვერ ახერხებდა იმ ტერიტორიებზე, სადაც მათი პოლიტიკური უფლებები არ ვრცელდებოდა. მაგალითად, ეს ვერ მოახერხეს აფრიკის ჩრდილოეთში — ეს

ტერიტორია ალექსანდრიის საპატრიარქოს შემადგენლობაში შედიოდა და ისევე, როგორც ესპანეთი, არაბული სამყაროს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ასევე, ლათინურ-პაპისტური სარწმუნოების გავრცელება ვერ მოახერხეს იერუსალიმისა და ანტიოქიის საპატრიარქოებისა და ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიებზე. ძირითადად, მათი შეხლა-შემოხლის ადგილი ბალკანეთი იყო: ბალკანეთი ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ იქ ხშირად მიმდინარეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ. რომის პაპი ცდილობდა, შექმნილი ვითარება სათავისოდ გამოეყენებინა და ბალკანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოექცია. რაღაც მომენტში, მათი კეთილგანწყობილება მოიპოვა კიდეც, მაგრამ შემდგომში, როდესაც ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, იქიდან გამოქცეულმა ქრისტიანების ნაწილმა ბულგარეთის სამეფოს შეაფარა თავი და ბულგარეთის მეფის სამსახურში ჩადგა. ამ პერიოდში ბულგარეთისა და ბალკანეთის ქვეყნებმა საფრთხე დასავლეთიდანაც იგრძნეს და მათი განმათავისუფლებელი ბრძოლები ახალი დამპყრობლების — პაპის დაქვემდებარების ქვეშ მყოფი ევროპელების წინააღმდეგ წარიმართა, თავიანთი ქვეყნებიდან პაპისტური სარწმუნოების მქადაგებლები გააძევეს. ბალკანეთში მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცება კონსტანტინოპოლის დაცემამ განაპირობა.

ისტორიულად, რომის კათედრასა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შორის დაპირისპირების საგანი, ბალკანეთის გარდა, სამხრეთ იტალიაც იყო, რომელიც თავად რომის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გახლდათ, მაგრამ შემდგომ, უთანხმოების გამო, ბიზანტიის იმპერატორმა რომის პაპს ჩამოართვა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შეუერთა, რადგან ამ ტერიტორიებზე ბერძნული კოლონიები არსებობდა და ბიზანტიის იმპერატორს მასზე გავლენა ჰქონდა. როდესაც ბიზანტიის იმპერიამ დაცემა დაიწყო, სამხრეთ იტალიის ტერიტორიაზე არსებული ბერძნული კოლონიები ნელ-ნელა გაქრა და რომის კათედრის მიერ მათი შეერთება ავტომატურად ხდებოდა. თუმცა, ამ ტერიტორიების საბოლოოდ და სრულად შეერთება რომმა ბიზანტიის იმპერიის საბოლოო დაცემის შემდეგ — XV საუკუნის შუა წლებში, როდესაც კონსტანტინოპოლი თურქებმა დაიპყრეს — მოახერხა.

ამ პერიოდისთვის უკვე არსებობს კიევის რუსეთის სახელმწიფო, სადაც მართლმადიდებლური სარწმუნოებაა გავრცელებული. კიევის რუსეთიდან მართლმადიდებლობა ჩრდილოეთითაც — ნოვგოროდის სამეფოსა და სხვა ტერიტორიებზეც გავრცელდა.

დედაეკლესიის წიაღიდან რომის ეკლესიის ჩამოშორების შემდეგ, ადგილობრივ ეკლესიებად — საპატრიარქოებად რჩება ანტიოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, კონსტანტინოპოლისა და საქართველოს ეკლესიები. უკვე არსებობს კიევის სამიტროპოლიტოც, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში შედის; არსებობს ბულგარეთისა და სერბეთის ეკლესიებიც, რომლებიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია. დამოუკიდებელი ეკლესიების სახით მათი ჩამოყალიბება მოგვიანებით, ბიზანტიის იმპერიის დაცემისა და თურქეთის მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ მოხდა.

— რა მდგომარეობაა X-XI საუკუნეებში წმინდა მიწაზე? ვიცით, რომ ამ პერიოდში იერუსალიმსა და მის შემოგარენში არაერთი ქართველი მოღვაწეობდა...

— ამ პერიოდისთვის, ქრისტიანთა მიმართ არაბული სამყარო ისეთი აგრესიული აღარ არის, როგორიც თავიდან — VII-VIII საუკუნეებში ანუ იმ დროს იყო, როდესაც ეს ტერიტორიები დაიპყრეს. რაც შეეხება წმინდა მიწაზე არსებულ ქრისტიანულ სიწმინდეებს, ისინი იერუსალიმის პატრიარქის — სოფრომის მიერ ხალიფა ომარისგან მიღებული დაცვის სიგელის წყალობით, განადგურებას გადაურჩა. IX საუკუნიდან, როდესაც არაბთა დამპყრობლობის პირველმა ტალღამ გადაიარა, წმინდა მიწაზე სამონასტრო ცხოვრება კვლავ გამოცოცხლდა, აღორძინდა და ეს აღმავლობა XII საუკუნემდე ანუ იმ დრომდე გაგრძელდა, ვიდრე ჯვაროსნული ომები დაიწყებოდა.

X-XI საუკუნეებში წმინდა მიწაზე უამრავი ქართველი მოღვაწეობდა — საბაწმინდის ლავრასა თუ იერუსალიმის მონასტრებსა და ქრისტიანულ კერებში. ქართველებმა იმასაც კი მიაღწიეს, რომ იერუსალიმის აღდგომის ტაძარში საპატიო ადგილი მოეპოვებინათ: მაცხოვრის საფლავზე აღმართული სამლოცველოს გასაღებს ქართველი ბერები ფლობდნენ; ქართველებსავე ჰქონდათ ეკლესიის კარიბჭის დაკეტვისა და გაღების უფლებაც. ქართველ ბერებს ევროპელები „ფეხშიშველ ბერებს“ ეძახდნენ, რადგან უფლისა და წმინდა მიწისადმი უდიდესი კრძალვისა და სასოების გამო, იერუსალიმში არც ერთი ქართველი ბერი ფეხსაცმლით არ დადიოდა... იმდროინდელი ევროპელები ქართველ მოღვაწეთა შესახებ ამბობდნენ: ამ ბერებს მთელი ქვეყნიერების სიმდიდრეც რომ მისცე, ქვის უმცირეს ნატეხსაც არ მოგცემენ იმ სიწმინდეებიდან, რომელთაც იცავენო. ამიტომაც იყო, რომ მათ მუსლიმანებიც არ დევნიდნენ, პირიქით — უდიდეს პატივს სცემდნენ ქართველ ბერებსა და მომლოცველებს, რადგან ხედავდნენ, რომ ქართველები არ იყვნენ დაინტერესებულნი, წმინდა მიწისაგან მიწიერი სარგებელი მიეღოთ; მათთვის ერთადერთ ინტერესს სულიერი სარგებლის მიღება წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ არა მხოლოდ ამ პერიოდში, არამედ საქართველოს ავტოკეფალიის დაკარგვამდეც, ქართველ ბერ-მონაზვნებსა და მომლოცველებს დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ წმინდა მიწაზე. იმ პერიოდშიც კი, როდესაც ქრისტიანები დიდი თხოვნით თუ მოიპოვებდნენ იერუსალიმში შესვლის უფლებას, წმინდა მიწის მოსალოცად ჩასული ქართველი მეფეები და დიდგვაროვნები, თანმხლებ პირებთან ერთად, იერუსალიმში ცხენზე ამხედრებულნი და გაშლილი დროშებით შედიოდნენ სწორედ იმის გამო, რომ მუსლიმანურმა სამყარომ უწყოდა — ქართველები იერუსალიმში მხოლოდ და მხოლოდ სულიერ სარგებელს ეძიებდნენ. ■

წმინდა მიწა

დაუსვით
www.mkurnali.ge
კითხვა ექიმს

რუბრიკა მოამზადა ნინო ჩარგეიშვილმა

ფეხმძიმეთა ტიპური შიშები

ფეხმძიმობას, ჩვეულებრივ, ასეთი ფრაზებით მოიხსენიებენ: „შესანიშნავი და სავსებით ბუნებრივი მდგომარეობა“, „ყველაზე ბედნიერი პერიოდი ქალის ცხოვრებაში“ და ა.შ. ფეხმძიმეები გულაჩუყებისა და გამუდმებული კომპლიმენტის ობიექტები ხდებიან. მათ გამუდმებით უსვამენ ერთსა და იმავე შეკითხვას — გოგოს ელოდებით თუ ბიჭს? ხოლო იმაზე, რომ ფეხმძიმობა, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, არცთუ მარტივი პერიოდია, მრავალტომიანი სამედიცინო ტრაქტატებიც კია დაწერილი. აი, ფსიქოლოგიური მხარე კი რატომღაც, ყოველთვის კადრს მიღმა რჩება. არადა, ფეხმძიმობა სპეციფიკურ და ხშირ შემთხვევაში, გაუცნობიერებელ შიშთანაა დაკავშირებული, რაც მომატებული შფოთვის საფუძველი ხდება და შედეგად, ფეხმძიმის ფიზიოლოგიური მდგომარეობაც უარესდება.

1. სხეულის კონტროლის დაკარგვის შიში

ფეხმძიმეთათვის ყველაზე დიდი პრობლემა საკუთარ სხეულზე კონტროლის დაკარგვის შიშია. ორსულობისას ქალი წონაში მომატებას იწყებს, მუცელი კი თითქოს ცალკე იზრდება, იცვლება სხეულის პროპორციები. ასევე, ამ დროს ხშირია შეშუპებებიც და მადასთან დაკავშირებითაც უცნაური რამ ხდება: ფეხმძიმეს ჭამა ხან საერთოდ არ უნდა, ხან ჭამად იქცევა, ხან ისეთი რაღაც უნდება, რისი მიღებაც მისთვის არ შეიძლება ან იმ მომენტისთვის ხელთ არა აქვს. ჩნდება ძილსა და მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემებიც — ჩვეულ პოზაში დაძინება მოუხერხებელი ხდება, დიდ მანძილზე ფეხით სიარული უმძიმს, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაზე ფიქრიც აღარ შეიძლება.

ფეხმძიმე ქალს უამრავი კითხვა უჩნდება და ხშირად, მათზე სრულიად ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს იღებს. მას ერთი ექიმი არწმუნებს, — ნაკლები სითხე უნდა მიიღოო, ხოლო მეორე იმით აფრთხობს, — შეიძლება, გაუწყლოება დაგემართოსო. სასურველი ინფორმაციის მისაღებად, ფეხმძიმე ქალი ინტერნეტში „ხეტიალს“ იწყებს და იქ ხშირად აწყდება ისეთი არაადეკვატური შინაარსის შემცველ რჩევებსაც, როგორიცაა მაგალითად, „ყოველ ღუწ რიცხვში, 10-დან 11 საათამდე, ლოტოსის პოზაში თავზე დგომა“. მსგავსი ინფორმაციის სიჭარბე ფეხმძიმეს მხოლოდ შიშს თუ უძლიერებს. ხშირად, მას ისეთი აკვიატებული აზრიც უჩნდება, თითქოს მას ან მის ბავშვს რაღაც ისეთი დაემართებათ, ექიმები რომ ძალიან გვიან ან საერთოდაც ვერ მიხვდებიან. თუ მსგავსი აზრები ქალს ვინმემ არ გაუქარწყლა, მაშინ ის საშინელი სიზმრების, საერთო შფოთვისა და დეპრესიის მიზეზი ხდება.

როგორ გავუმკლავდეთ შიშს?

ა) უნდა მოიძებნოს ისეთი გინეკოლოგი, რომელსაც მომავალი დედა ბოლომდე ენდობა და რომელიც ფეხმძიმობის ყველა ეტაპზე დაწვრილებით აუხსნის მას, თუ რა და რატომ ემართება;

ბ) ქალს ფეხმძიმობის ყველა ეტაპზე მოხერხებული და ღამაზი ტანსაცმელი უნდა ეცვას. არ შეიძლება, სამიდან ცხრა თვის ჩათვლით, ფეხმძიმეს გამუდმებით ერთი, უშნოდ გამოჭრილი ჯინსის კომბინეზონი ეცვას.

2. კონტროლის დაკარგვის შიში

სხეულის კონტროლის დაკარგვის შიში, მომავლის კონტროლის დაკარგვის შიშს წარმოშობს.

ყველაზე სერიოზული და ამასთან, საფუძვლიანიც, სამსახურის დაკარგვასთან დაკავშირებული შიშია. მასთან ბრძოლა მხოლოდ „უკან დასახევი გზების“ წინასწარ მომზადებით, კარგი სოციალური გარანტიების მქონე ორგანიზაციაში მოწყობითა და კარიერული ტრაექტორიის წინასწარ განსაზღვრითაა შესაძლებელი. ამ მხრივ, ყველაზე უფრო დაუცველ მდგომარეობაში, როგორც წესი, ძალიან ახალგაზრდა ქალები არიან და მათ, პირველ რიგში, ახლობლების მხარდაჭერის იმედი აქვთ.

ფეხმძიმე ქალი, რომელსაც მეუღლის გაორმაგებული ყურადღება სჭირდება, ხშირად ორმაგ შიშს განიცდის: ჯერ ერთი, ქალს ეშინია, მეუღლეზე ზედმეტად დამოკიდებული არ გახდეს და ამავდროულად, იმის შიშიც აქვს, რომ შეიძლება, სრულიად უსარგებლოდ და ზედმეტად არ იქცეს. სხვათა შორის, ძალიან ხშირად, სწორედ ამ შიშთანაა დაკავშირებული ფეხმძიმეთა ჭირვეულობაც, რადგან ამ გზით მათი ქვეცნობიერება უსაფრთხოებისა და პარტნიორის საიმედოობის დასტურს ეძებს. არადა, არცთუ იშვიათად, მამაკაცი ისე იქცევა, რომ ქალის შიშსა და შეშფოთებას კი არ აქარწყლებს, არამედ პირიქით, ადასტურებს: ის ან ყველაფრის მიმართ გულგრილია, ან მეუღლის ფეხმძიმობასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანით ინტერესდება, მკაცრად ადევნებს თვალს მის დიეტას, გადაადგილებას; ჯიუტად ითხოვს, ცოლმა ბავშვს სახელი უთუოდ მასთან შეთანხმებით შეურჩიოს და ა.შ.

როგორ გავუმკლავდეთ სოციალურ და ოჯახურ შიშს?

ა) ყველაზე უკეთესი ყველაფრის წინასწარ, დაფეხმძიმებამდე მოფიქრება, მაქსიმალური სოციალური გარანტიების მიღებაა. ასევე, ის თავის პარტნიორში ბოლომდე უნდა იყოს დარწმუნებული;

ბ) სასურველია, ყველა შიშის ხმამაღლა განხილვა. ეს მის დაძლევაში ნაწილობრივ მაინც დაგეხმარებათ;

გ) თუ ამა თუ იმ საკითხში საკუთარი ძალებით გარკვევას ვერ ახერხებთ, მაშინ ფსიქოლოგს უნდა მიმართოთ.

3. მშობიარობისწინა შიში

ფეხმძიმობის დროს არცთუ უმნიშვნელო ასპექტია მშობიარობის შიშიც. ის შეიძლება, მრავალგზის გააძლიეროს „მრავალნაცადი“ დაქალების

მიერ მონაყოლმა, მშობიარობასთან დაკავშირებულმა საშინელებებმა. თუმცა, ასეთი ამბებით ფეხმძიმეთა დაშინება არაერთ ექიმსაც სჩვევია.

მოსალოდნელი ტკივილისა და გართულებების სავსებით ლოგიკური შიშის გარდა, არსებობს სექსუალური მიმზიდველობის დაკარგვის შიშიც. ეს უკანასკნელი იმ ცრურწმენითაცაა გამყარებული, რომ ფეხმძიმობის დროს სექსი დაუშვებელია. შედეგად, სექსუალური დაძაბულობა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა მთელი წელი გრძელდება და არცთუ იშვიათად, ბავშვის გაჩენის შემდეგ, ქალის სექსუალური ცხოვრება მართლაც უარესდება.

როგორ გავუმკლავდეთ?

ა) მშობიარობასა და მასთან დაკავშირებული ტრავმების შესახებ დეტალურად უნდა იმსჯელოთ მეანგინეკოლოგთან, რის შემდეგაც, შიშის უმეტესობა უთუოდ გაქრება;

ბ) სასურველია, ექიმთან სქესობრივი ცხოვრების შესაძლებლობაზე საუბარიც;

გ) არ წაიკითხოთ და არ მოისმინოთ მშობიარობის შესახებ არსებული საშინელებები, რადგან ამას ძალზე სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია.

4. იმის შიში, რომ დედად ვერ ივარგებ

არცთუ იშვიათად, პირველი შვილის მომლოდინე ახალგაზრდა ქალებს ეშინიათ, რომ დედის მოვალეობის შესრულებას ვერ გაუმკლავდებიან. ეს განცდა განსაკუთრებით მაშინ მძაფრდება, როცა ფეხმძიმობა ქორწინების გარეშე ან ძალზე ადრეულია.

„ახალშობილობის კრიზისი“

„ახალშობილობის კრიზისი“ (რომელსაც, ძირითადად, სეპარაციის კრიზისად იხსენიებენ) ძალიან უცნაური თემაა: ერთი მხრივ, ამ მოვლენაზე თითქოს ყველაფერი ცნობილია, მაგრამ მეორე მხრივ, იმაზე, თუ რას განიცდის ახალბედა დედა, თითქმის არაფერია ნათქვამი. არადა, მის მდგომარეობას მარტივს ნამდვილად ვერ დაარქმევ — ბავშვის გაჩენის შემდეგ ხომ ქალი საყოველთაო ზრუნვის ობიექტიდან იმ ადამიანად იქცევა, ვინც გამუდმებით სხვაზე უნდა იზრუნოს. ასეთ მკვეთრ ცვლილებასთან გამკლავება კი ადვილი სულაც არაა (განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ჰორმონულ დისბალანსთან დაკავშირებული მშობიარობის შემდგომი დეპრესიაც ერთვის).

როგორ გავუმკლავდეთ?

ბოლო კვლევებმა უჩვენა, რომ მშობიარობის შემდგომი დეპრესიის რისკი, ძირითადად, სოციალურ-მატერიალურ გართულებებთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, არსებობს ჰიპოთეზა, რომ მშობიარობის შემდგომი დეპრესია მხოლოდ და მხოლოდ პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ფორმაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასთან გამკლავება ახლობლების აქტიური მხარდაჭერითა და ფსიქოლოგთან სიარულით უფრო გონივრულია, ვიდრე ანტიდეპრესანტებით, რომლებსაც როგორც დედის, ისე ახალშობილის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია.

მშობიარობისთვის ფსიქოლოგიურ მომზადებაში მთავარი შიშის დაძლევა და მისი გაცნობიერებაა. გაცნობიერებული შიში ხომ, როგორც წესი, ადვილად გადასაჭრელი პრობლემის რანგში გადადის. ■

ამერიკელი ექიმები ასპირინის „ბოროტად მოხმარებას“ არ გვირჩევენ

ამერიკელი მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ გულსისხლძარღვთა დაავადების პროფილაქტიკის მიზნით ასპირინის რეგულარულ მიღებას შეიძლება, არასასურველი ეფექტი მოჰყვეს. ისინი ასპირინის მიღებას ურჩევენ მხოლოდ მათ, ვისაც გულის შეტევა ან ინსულტი ემუქრება. ხოლო რაც შეეხება ჯანმრთელ ადამიანებს, ისინი ასპირინის რეგულარული მოხმარებით ორგანიზმს მხოლოდ ზიანს მოუტანენ. კერძოდ, მათ შესაძლოა, კუჭის ან 12-გოჯა ნაწლავის წყლული განუვითარდეთ.

წლების განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ასპირინის მცირე დოზით რეგულარული მიღება გულის შეტევისა და ინსულტის განვითარების რისკს ამცირებდა. სოციალური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ გასულ წელს, ამერიკელებმა 44 მილიონი შეკვრა დაბალდოზიანი ასპირინი შეიძინეს, რაც 5 წლის წინანდელ მონაცემებს 12%-ით აღემატება.

ექიმებს შორის გაბატონებულია აზრი, რომ გულის შეტევისა და იშემიური ინსულტის გადატანის შემთხვევაში, ადამიანმა ასპირინი (მცირე დოზით) რეგულარულად უნდა მიიღოს. აშშ-ის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციით, ასპირინი უნდა მიიღონ 45-დან 79 წლამდე ასაკის მამაკაცებმა, რომელთაც გულის დაავადებების განვითარების რისკი აქვთ ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა: მოწევა და ქოლესტერინის დონე. 55-დან 79 წლამდე ასაკის ქალებს ასპირინის რეგულარულ მიღებას ურჩევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ იშემიური ინსულტი მაღალი არტერიული წნევის ან შაქრიანი დიაბეტის გამო ემუქრება. ასპირინის რეგულარულ მიღებას სისხლდენა რომ არ მოჰყვეს, ექიმები ამ პრეპარატის დღიური დოზის 75 მგ-მდე შემცირებას გვირჩევენ.

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სამუშაო ჯგუფი ასპირინის მიღებას არ ურჩევს 45 წლამდე მამაკაცებს, 55 წლამდე ქალებს და 80 წელზე მეტი ასაკის ორივე სქესი წარმომადგენლებს. ■

ხვრინვა — ზედმეტი წონის მიზეზი

ხვრინვა ბევრი ადამიანისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. სწორედ ამის გამო, ამერიკელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს გაერკვიათ, თუ როგორ მოქმედებდა ხვრინვა ადამიანის ჯანმრთელობაზე. ჩატარდა ექსპერიმენტი ძილის სხვადასხვა დარღვევის მქონე 212 მამაკაცისა და ქალის მონაწილეობით. მათი ნაწილი მთელი ღამის განმავლობაში, გამუდმებით ხვრინავდა, სხვები — იშვიათად. ამასთან, ისინი, ვინც გამუდმებით ხვრინავდნენ, 2000 კალორიას წვავდნენ, ხოლო იშვიათად მხვრინავები — 1600 კალორიას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინც ხვრინავს, სხვებთან შედარებით, ტანადია. მეტიც, აღმოჩნდა, რომ მხვრინავ ადამიანებს, არამხვრინავებთან შედარებით, ჭარბი წონა აქვთ. საქმე ისაა, რომ ხვრინვა ხელს უშლის გამოძინებას, რაც ფიზიკური აქტიურობის დაქვეითებას იწვევს და არღვევს კვების ნორმალურ რაციონს. მხვრინავი ადამიანები, ძირითადად, მაღალკალორიულ საკვებს მოიხმარენ და ნაკლებს მოძრაობენ, რაც მათი გასუქების მიზეზი ხდება. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

ახალი ნომერი
ოჯახის
მეუნარეული
ცხონამ ეჯიმთონ მიხეკვლო...

ადამიანი

„უფალს მადლობას ვწირავ, რომ მრავალშვილიანი დედობის ღირსი გამხადა, ამ საჩუქარს დიდი დაფასება და მოფრთხილება სჭირდება“

19 წლის ნინო, 17 წლის თორნიკე, 6 წლის მარიამი, 4 წლის ბარბარე, 2 წლის იოანე და 1 თვის ანდრია, დავით და ხათუნა ტეფნაძეების ყველაზე ძვირფასი მონაპოვრები არიან. მათ სახლში შესვლისთანავე იგრძნობთ, რომ ოჯახი, პატარებითაა „დახუნძლული“, ბავშვების მხიარული ჟივილ-ხივილი, სიხარულით გავსებს და ფიქრობ, რომ არაფერია იმაზე უკეთესი, ვიდრე ის, რომ სახლში შესულს, ყელზე ბევრი, პატარა და საყვარელი არსება გეხვევა.

ოჯახის დიასახლისი, ქალბატონი ხათუნა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ღამის უძილო იყო, ხალისით შემომეგება და ვრცლად მესაუბრა უფლის წყალობაზე, რომელსაც მრავალშვილიანი დედობა ჰქვია.

ელენე გასილიძე

— როდესაც მე და დათომ ოჯახი შევქმენით, მე 18 წლის ვიყავი, ჩემი მეუღლე კი 25 წლის გახლდათ. ახლა უკვე 20 წლის ოჯახი გვაქვს. სიმართლე რომ გითხრათ, არასოდეს მიფიქრია, თუ ოდესმე მრავალშვილიანი დედა გავხდებოდი, არ ვაპირებდით 6 შვილის ყოლას, ამის მთავარი მიზეზი კი გაჭირვება იყო, თან, ეკლესიური ცხოვრებით არ ვცხოვრობდით. დუხჭირი ცხოვრება ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც, წყვილების უმრავლესობა მრავალ შვილზე უარს ამბობს. უფალმა ინება და ჩვენი რწმენაც გააძლიერა, ეს დაახლოებით, 8-9 წლის წინ მოხდა. სრულიად სხვა თვალით შევხედე ცხოვრებას, ვხვდებოდი, თუ როგორ გავძლიერდი სულიერად. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მატერიალურად ძალიან გვიჭირდა, ეს აღარ მაბრკოლებდა. გადავწყვიტე, უფლის ნებით მემოქმედა და რამდენ შვილსაც ინებებდა, იმდენს გავაჩენდი. ამ დანაპირებს დღემდე ვასრულებ... ოჯახი ხომ მცირე ეკლესიაა, ოჯახისთვის წყალობა კი — მრავალი შვილია, ამ წყალობას დიდი გაფრთხილება და სათუთი მოვლა სჭირდება...

— რა მოხდა მას შემდეგ, რაც ეკლესიური ცხოვრება დაიწყეთ?

— მას შემდეგ, რაც უფალს დავუახლოვდით, გადავწყვიტე, მესამე შვილი გამეჩინა. იმ პერიოდში, ძალიან გაგვიჭირდა, სიონის ეკლესიაში უპოვართათვის განკუთვნილ წვნიანს ვიღებდი, პატარებს რომ არ მოშივებოდათ. ერთხელ, ბინის ქირის ფული ვერ გადავიხადეთ და დიასახლისმა სახლი დაგვატოვებინა. 3 შვილით ხელში, მე და ჩემი მეუღლე ქუჩაში აღმოვჩნდით. მაშინ მარიამი 11 თვის იყო. გარეთ ძალიან ციოდა, მთელ დღეებს ბავშვებთან ერთად, მეტროში ვატარებდი, რომ პატარებს არ შესცივებოდათ, ღამეს კი მიტოვებულ სახლში ვათევდით. ასე გაგრძელდა 3 დღის განმავლობაში. დღეს იმ დღეებს განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი ვიხსენებ, რადგან სწორედ მაშინ ვიყავით განსაკუთრებულად ახლოს უფალთან და სასოწარკვეთილებაში არ ჩავცვენილვართ. უფალი გაჭირვების დათმენისათვის გვაძლიერებს და გვეხმარება. ამას ყოველთვის ვგრძნობთ.

— ალბათ ძალიან რთულია, იყო მრავალშვილიანი დედა...

— მართალი ხარ, ეს ძალიან მძიმე ტვირთია და ყოველდღე ვხვდები, თუ როგორ მეხმარება უფალი ამ ტვირთის დაძლევაში... ძალიან დამღლელია, გონების მობილიზება გჭირდება, რომ თითოეულს მოუსმინო, გაითვალისწინო მათი თხოვნები, დარიგება მისცე ყველას, დაღლილ-დაქანცულმა მოუარო მათ. მხოლოდ ჩაცმა და ჭამა ხომ არ არის პატარის გაზრდა, მათ ხომ აღზრდაც სჭირდებათ?! ფიზიკურის გარდა, სულიერი ძალისხმევაც არის საჭირო, რომ შვილები ისეთ ღირსეულ ადამიანებად აღვზარდო, რომელთაც ფაქიზი სული ექნებათ და შეეძლებათ, სიკეთითა და სიყვარულით ემსახურონ საკუთარ ქვეყანასა და უფალს. დღეს ჩემს დანიშნულებას კარგად ვაცნობიერებ, ვალდებული ვარ, შვილები ქრისტეს მხედრებად აღვზარდო. დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია და ვცდილობ, ჩემი ვალი პირნათლად მოვიხადო. როდესაც ვაცნობიერებ, თუ რაოდენ დიდი დანიშნულება აქვს თითოეულ დედას, რომელიც შვილს ზრდის,

ვალდებული ვარ, შვილები ქრისტეს მხედრებად აღვზარდო

ეს სულიერ მხნეობას მმატებს, რადგან ღირსეულ საქმეს ვემსახურები.

— პატარებისათვის დროის განაწილებას თუ ახერხებთ?

— მათ სიყვარულისა და სითბოს თანაბარი განაწილება სჭირდებათ. ვცდილობ, თავი დაჩაგრულად არც ერთმა არ იგრძნოს. ღვთის შეწევნით, ვახერხებ იმას, რომ არც ერთს არ მოაკლდეს ყურადღება და დედის სითბო. პატარების შეკითხვების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება და ვცდილობ, თითოეულს დავუკმაყოფილო ცნობისმოყვარეობა. დღეს წინასწარ არასოდეს ვგეგმავ. დილით, როცა დაღლილ-დაქანცული და ღამენათევი წამოვდგები, გული მჩხვლეტს, თავს ვერ ვწევ და ცოტა ხანში ვგრძნობ, რომ ცოტა ხნის წინ რაც მტკიოდა, აღარ მტკივა. როგორც კი პატარებზე გადავერთვები, ტკივილები და დაღლილობა მომენტალურად მავიწყდება, ფორმაში ვდგები. არ მაქვს უფლება, მოვდუნდე. ბავშვები სხვადასხვა ასაკისანი არიან, თითოეულს სხვადასხვანაირი მიდგომა სჭირდება და ვცდილობ, ამ ყველაფერს გავუმკლავდე.

— პატარა ანდრია ხომ არ ჭირვეულობს?

— ანდრიას ახლახან შეუსრულდა 1 თვე, დღე და ღამე არეული აქვს, ღამეებს ათენებს. დღესაც, დილის 8 საათამდე ჭირვეულობდა, მაგრამ იმედია, მალე ყველაფერი წესრიგში ჩადგება.

— როგორც ვიცი, პატარა იოანე, კათოლიკოს-პატრიარქის ნათლულია...

— კი, მეხუთე შვილზე ვიყავი ორსულად, როდესაც უწმინდესმა და უნეტარესმა მიიღო გადაწყვეტილება, ყოველი მესამე და მომდევნო შვილი პირადად მოენათლა და იოანე პატრიარქის ნათლულია... დღეს ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობა ძალიან გამწვავებულია და უწმინდესმა, უბრძენესმა ადამიანმა საშუალება მისცა ყველა ქართველ დედას, რომ მისი შვილის ნათლია გამხდარიყო... ბევრმა მშობელმა სწორედ ამის გამო გადაწყვიტა, მესამე და მომდევნო შვილი გაეჩინა. დიდი მადლია, როდესაც პატრიარქი შენთვის და შენი ოჯახისათვის ლოცულობს... ახლა ველოდებით, თუ როდის გაიმართება კიდევ ერთი ნათლობა. გვინდა, ანდრიაც გახდეს იმ დიდი პატივის ღირსი, რომელსაც უწმინდესის ნათლულობა ჰქვია. ეს უდიდესი წყალობა და პატივია, თითოეულ ნათლულს დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება. ვეცდები, რომ პატარებმა ეს პატივი გაამართლონ და პასუხისმგებლობაც შეისისხლხორცონ.

— სახელმწიფო თუ გეხმარებათ?

— გული მტკივა, რომ სახელმწიფო ჩვენით საერთოდ არ ინტერესდება... მრავალშვილიან ოჯახთა დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებით შეიცვალა; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების ცხოვრების დონეს სახელმწიფო ქულებით აფასებს. ცოდვა როგორ ვთქვა და საკუთარი თავი სოციალურად დაუცველ ადამიანად როგორ წარმოვაჩინო, როცა ლუკმაპური და ჭერი გვაქვს?! მართალია, ქირით ვცხოვრობთ, მაგრამ მაინც... როდესაც ტელევიზიით გაჭირვებულ ადამიანებს უჩვენებენ, რომელთაც თავზე აწვიმთ, მათ ფონზე ჩემს გაჭირვებაზე როგორ ვილაპარაკო?! უბრალოდ, როდესაც თავს ამ საზოგადოების ნაწილად მიიჩნევ, გსიამოვნებს, თუ სახელმწიფო შენ მიმართ ყურადღებას გამოიჩენს. დღეს ჩვენ, მრავალშვილიანი ოჯახები არსად ვართ ნახსენები... მე ხომ იმიტომ არ ვაჩენ შვილებს, რომ სახელმწიფოსგან დახმარებას ველი; მე უფალს ვემსახურები და იგი გვეხმარება კიდეც, მაგრამ ადამიანური მომენტია — ყურადღება მაინც გსიამოვნებს.

— ოჯახში მხოლოდ თქვენი მეუღლე მუშაობს?

— კი. იგი სამების საკათედრო ტაძარში მესანთლედ მსახურობს. ჩვენი პატარა ბიზნესიც გვაქვს, რომლის მეშვეობითაც დღეს შვილების რჩენას ვახერხებთ.

— წელან მითხარით, თითოეულ პატარას თავისებური ხასიათი აქვსო; ალბათ ერთმანეთსაც უვლიან...

— თითოეულს სრულიად განსხვავებული ხასიათი აქვს... ნინო სტუდენტია, თორნიკე — აბიტურიენტი და ვცდილობთ, მათ ხელი შევუწყოთ. თორნიკე 11 წლიდან მედავითნე იყო, სამწუხაროდ, ახლა დრო აღარ აქვს, რომ ისევ გააგრძელს მედავითნეობა... 12 წლის იყო, როცა „სამების პარაკლისი“ ხუცური დამწერლობიდან მხედრულად თარგმნა. ბიზნესეკონომიკის ფაკულტეტზე ჩასაბარებლად ემზადება და იმედი გვაქვს, წარმატებული სტუდენტი იქნება... მარიამი სკოლაში მას დაჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ მარიამი ჰიპერაქტიური და კომუნიკაბელურია, სკოლას ძალიან ძნელად შეეჩვია; 2 კვირის განმავლობაში ნინი დაჰყვებოდა და გაკვეთილებზე მოწმესავით ეჯდა (*იცინის*).

საუბარში **ნინო** *ერთვება:*

— შუა გაკვეთილზე წამოხტებოდა და ჩემთან მორბოდა. იქ დავიღალეო (*იცინის*), — მითხრა... მასწავლებელმა ძლივს დააჯერა, რომ ასე მოქცევა არ შეიძლებოდა.

ხათუნა:

— როცა ნინო აბიტურიენტი იყო, პატარების გაზრდაში თორნიკე მეხმარებოდა, შემეძლო, მისთვის დამეტოვებინა პატარა და სადმე გავსულიყავი. დაიმედებული ვიყავი, არც კი მიფიქრია, რომ შეიძლებოდა, რაიმეს ვერ გამკლავებოდა. ბანდა, აძინებდა, აჭმევდა... თორნიკე პატარების „ძიძაა“.

— ორსულად რომ იყავით, ალბათ ბავშვები დიდ მოლოდინში იყვნენ...

— კი, ბავშვის სქესი უკვე ვიცოდით და სახელიც შერჩეული გვქონდა. მოვიდოდნენ გოგონები, მუცელს ეფერებოდნენ და, — ანდრია, როდის გამოხვალო?.. — ეძახდნენ (*იცინის*). იოანესთვისაც რომ გეკითხათ, — სადაა ანდრიაო? — ხელს მუცელზე მადებდა და — აიო! — გაიძახოდა. ანდრია დედმამიშვილებზე უკვე ამახვილებს ყურადღებას. როცა ელაპარაკებიან და ეფერებიან — უცინის. მიხარია, რომ ჩემმა შვილებმა ერთიმეორის გატანა ადრეული ასაკიდანვე ისწავლეს. მათი ერთმანეთისადმი მზრუნველობა, თანადგომა და სიყვარული ძალიან მახარებს.

— კიდევ ხომ არ აპირებთ შვილის ყოლას?

— არ ვიცი, უფალი როგორც ინებებს, ისე იქნება ყველაფერი (*იღიმის*)... მე ღვთის ნებას ვერ გადავალ. 6 შვილის დედობა ძალიან რთულია, მაგრამ საღამოს, როდესაც ყველა ერთად შევიკრიბებით და მათ გადავხედავ ხოლმე, დაღლილობა უცებ ქრება და უფალს მადლობას ვწირავ, რომ მრავალშვილიანი დედობის ღირსი გამხადა.

— რას უსურვებთ სხვა დედებს?

— დათმენასა და უფლის წყალობას ვუსურვებ ყველას. ვისურვებდი, რომ ყველა გამხდარიყოს იმ წყალობის ღირსი, რასაც მრავალშვილიანი დედობა ჰქვია. უფლის ამ საჩუქარს დიდი დაფასება და მოფრთხილება სჭირდება! ■



იოანე

ანდრია

მარიამი

ამერიკაში მოჯირითე ბაბუა, ჟორდანიას გაყოლილი ბიძა, რაიხსტაგამდე ბრძოლით მისული მამა

და ყაზახური გადასახლებაგამოვლილი ქართველები

სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრში ძალიან საინტერესო წარსულის მქონე ადამიანს — ქალბატონ დოდო ლომაძე-ბედენაშვილს შევხვდი. ემიგრანტებზე ვსაუბრობდით. მოგეხსენებათ, ეს თემა დღეს ძალზე აქტუალურია და დოდომ ამოიოხრა: ეჰ, ერთ დროს მეც ვიყავი ემიგრანტიო... მეგონა, „ჩვეულებრივი" ემიგრანტი იყო და სხვებივით, რომელიმე ქვეყანაში მოხუცს უვლიდა ან სახლებს ალაგებდა, მაგრამ დოდოს პასუხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... ბევრს აღარ გავაგრძელებ, თანამიმდევრულად მივყვეთ და გავიგოთ, რატომ დაიბადა დოდო ყაზახეთში, როგორ გაჰყვა მისი ალალი ბიძა თავის დროზე საქართველოს პირველ „პრეზიდენტს", ნოე ჟორდანიას ემიგრაციაში და ვინ იყო ერთ-ერთი ცნობილი მოჯირითე იმ გურულთაგან, რომლებმაც XX საუკუნის დასაწყისში ამერიკა გადარიეს...

ანი აგულავა

ქართველებით გაკვირვებული ამერიკელები და ამერიკით გაკვირვებული ბაბუა

— ოზურგეთის რაიონში არის უბანი — ზვანი, რომელიც ადრე თავზე ხელაღებული, ხულიგანი ახალგაზრდების „ბუდედ" მიიჩნეოდა, თუმცა სინამდვილეში, გარწმუნებთ, რომ იქ კეთილი, შრომისმოყვარე და იუმორით სავსე ადამიანები ცხოვრობენ. სწორედ ამ უბნელი გახლდათ ბაბუაჩემი, ჯიმშეთ ლომაძე — გურული ვაჟკაცი, რომელიც კარგ მოჯირითედ მიიჩნეოდა. რამდენჯერმე შემოიარა ამერიკა და ოკეანისგაღმელები ცხენზე ჯირითით დიდად გააკვირვა. ბაბუას და მის ამხანაგებს მრავალი შოუ მოუწყვიათ იმ ქვეყანაში. ჯიმშეთს ბადალი არ ჰყავდა გაჭენებული ცხენის მუცელქვეშ ამოძვრომასა და უნაგირზე დგომაში. ამერიკაში წარმატებების მიუხედავად, ბაბუას არასდროს უფიქრია, საცხოვრებლად იქ დარჩენილიყო. თავად ხომ აოცებდა ამერიკელებს, თვითონაც გაკვირვებული ბრუნდებოდა იქიდან — ეს რა ვნახე, ამერიკაში ისეთი ნათურებია ქუჩებში, ღამით რომ ანათებს, დღე გეგონებაო; ისეთი ყუთი აქვთ, ჩაის 5 წუთში ადუღებსო! — და ა.შ. მეხსიერებაში შემომრჩა ბაბუას მიერ ამერიკიდან ჩამოტანილი ყვავილებიანი სუფრა, რომელსაც ბებიაჩემი ანეტა სათუთად ინახავდა.

ბაბუა ჯიმშეთ ლომაძე

ნოე ჟორდანიას გაყოლილი გრიშა ლომაძე

— ბაბუაჩემის უფროსი ვაჟი გრიშა ლომაძე საქართველოს პირველ „პრეზიდენტს", ნოე ჟორდანიას საფრანგეთში გაჰყვა. იქ ჯერ ფოტოხელოვნება შეისწავლა, რათა თავი ერჩინა, შემდეგ კერძო უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი დაამთავრა; მოგვიანებით იგი ამ უნივერსიტეტის რექტორად მუშაობდა. ცოლად შეირთო ინდოჩინელი ქალი — ლუიზი, რომელთანაც 3 შვილი შეეძინა: პატრიკი (იგივე ტარიელი), ზაბეტა (ელისაბედი) და მირეი (თამარი). საფრანგეთში წასული შვილის დარდმა გატეხა ბაბუაჩემი და ნაადრევად დააბერა.

ბერლინში, რაიხსტაგთან

— როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, მამაჩემი — ამირან ლომაძე ოზურგეთის კომისარიატში გამოიძახეს, თუმცა სათანადო ასაკის არქონის გამო, თბილისის კომისარიატმა გურიაში დააბრუნა — ჯერ პატარა ხარ ომისთვისო. ოზურგეთიდან მესამეჯერ რომ გაგზავნეს, მამა გაბრაზებულა და თბილისის კომისარიატისთვის განუცხადებია: სახლში აღარ დავბრუნდებიო. ბოლოს, ფრონტზე მოხალისედ გაგზავნეს. ამირან ლომაძე ბერლინამდე ბრძოლით მივიდა. გერმანიის დედაქალაქში ბრძოლების დროს, ერთ სახლში გამაგრებულა და მოპირდაპირე სახლში გამაგრებული მებრძოლების ყვირილიდან, საკუთარი დის მაზლის ხმა გამოურჩევია. გახარებული გამოლაპარაკებია თურმე ტუღუს და ამ დროს სროლა ატეხილა; ტუღუ გერმანელებს მოუკლავთ (გაგახსენდათ, არა, „ჯარისკაცის მამის" ტრაგიკული ფინალი)? ომის დასრულებიდან კიდევ 2 წლის განმავლობაში დარჩა მამა გერმანიაში — აღდგენით სამუშაოებზე გაამწესეს და შინ მხოლოდ 1947 წელს დაბრუნდა, ჯილდოებით დახუნძლული. მამა მიყვებოდა ომის ამბებს. თვით ბრიტანელ მარშალ ბერნარდ ლოუ მონტგომერისაც კი შეხვედრია.

როგორ გამოატანეს ქალი ზვანისუბნელს

— ჩემი დედ-მამა დაქორწინებამდე მეგობრობდა. ომიდან დაბრუნებული ამირანი ჩემი მეგობრის მამამ, გრამიტონა ბიძიამ ქალის ხელის სათხოვნელად წაიყვანა სოფელ ასკანაში. სასიმამრო კალენიკე ჭეიშვილს თურმე თავიდან ქვა აუგდია და თავი შეუშვერია — ზვანისუბნელს ქალს როგორ გავატანო?! — მაგრამ დიდი ხნის კამათის შემდეგ, ჩემს მომავალ ბაბუას გრამიტონისთვის უთქვამს — ჩემს ქალიშვილს გაბარებ, იცოდე, რამე რომ გაუჭირდეს, დიდ ნაჯახს გევიდებ მხარზე და შენ მოგთხოვ პასუხსო. ღამის 3 საათი ყოფილა, კალენიკეს სუფრის გაშლა რომ უბრძანებია...

გადასახლება

— დედაჩემი 6 თვის გათხოვილი იყო, როცა მისი სტუდენტი ძმა ალიოშა ბათუმიდან ჩამოვიდა და აცნობა: მაგნოლია, ისეთი ამბავია, მგონი, მთელ საქართველოს ასახლებენ — ეშელონებია ჩამომდგარი და ხალხს უმოწყალოდ ყრიან შიგნითო. მეორე დღეს ბაზარში მიმავალი დედა გზაზე, ხის ქვეშ მჯდარ ერთ ქალს გადაჰყრია. იმან უთხრა, — მინდა, გიმკითხაოო. მაგნოლია არ გაჩერებულა, იმ ქალმა კი მიაძახა, — არ იცდი და მაინც გეტყვი — ძალიან შორი გზა და მტანჯველი ცხოვრება გელისო... 1951 წლის 26 დეკემბერს, ღამის 3 საათზე, ჩვენს სახლში შეიარაღებული ხალხი მისულა და მამაჩემის, ბიძის — ნოდარ ლომაძისა და

ბებიის — ანეტა თიკანაძის სამუდამო გადასახლების შესახებ ბრძანება ხმამაღლა წაუკითხავს. დედასაც მაშინვე უთქვამს, — სადაც ჩემი ქმარი, მეც იქ ვიქნებიო. ამ ამბავს დიდი აღშფოთება, ყვირილი და ცრემლები გამოუწვევია. მეზობლები მოგროვებულან. ყველა ცდილობდა, თავის მხრივ რაიმე გაეტანებინა გადასახლებულთათვის. ზოგმა იქვე წააცალა თავი ქათმებს, ვინ ღვინო მოიტანა, ვინ — არაყი (ერთმა მეზობელმა, ზენია კომახიძემ მამას „ტულუპი“ გაატანა და როცა გადასახლებიდან დაბრუნდნენ, მოსთხოვა, — დამიბრუნეო). ერთმა მეზობელმა, დიდებულმა ქალბატონმა, ფუცუ ანდღულაძემ

გადასახლებიდან ჩამოსულები

თავისი სითბო იმით გამოხატა, რომ მოვიდა, დედაჩემს სუფრის ნახევარი მოუტანა და უთხრა, — ეს ჩემგან სამახსოვროდ, მეტი არაფერი გამაჩნიაო... ბაბუა კალენიკეს კი ნატანებში ჩაუსწრია ეშელონისთვის და ვაგონში დიდი დაკლული ღორი შეუგდია...

ყაზახეთში შეტანილი ქართული ცივილიზაცია

— გადასახლების ამბებს დედა მიამბობდა: დაუსახლებელი სტეპები, გადახურებული ტრამალი, გაუსაძლისი პირობები დახვედრიათ. იქაურებს ჯერ ეგონათ, კაციჭამია ხალხი ჩამოასახლესო, შემდეგ ისე მოხდა, რომ მათ ბევრი რამ ისწავლეს ქართველებისგან. შეიძლება ითქვას, რომ გადასახლებულმა გურულებმა გარკვეული ცივილიზაციაც შეიტანეს. ჩასახლებულები მიწურებში განათავსეს, საწოლებად მიწაზე დაყრილი ღეროები იყო... ყველა ჩასახლებული მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. კვირაში სამჯერ მოდიოდნენ შინსახკომელები და თითოეულ ჩასახლებულს ოქმებზე ხელს აწერინებდნენ. დედაჩემი და ბიძაჩემი ვერ ეგუებოდნენ ყველაფერ ამას და სამშობლოში დაბრუნების მოთხოვნით, ხშირად გამოსვლას აწყობდნენ. ერთხელაც დედა, სამფეხა სკამზე ჩაცუცქული, სადილს ამზადებდა, როცა შინსახკომელები მორიგ შემოწმებაზე მივიდნენ. მათ დედაჩემისთვის დაცინვა დაუწყიათ, მაგნოლიას კი დაუვლია ხელი სამფეხა სკამისთვის და დაუპატიჟებელი სტუმრებისთვის უსვრია. ჩასახლების კომისიის უფროსს, გვარად კუშინოვს, გაბრაზებულს უთქვამს: როგორც საკუთარ ყურებს ვერ დაინახავ, ისე ვერ ეღირსები საქართველოს ნახვასო. აი, ასეთ სიტუაციაში, 1952 წლის 8 სექტემბერს დავბადებულვარ. იმის შიშით, რომ გველებს არ დავეკბინე (იქ ქვეწარმავლები მრავლად იყვნენ), ცხენის ძუას აბამდნენ კალათას, რომელშიც მე ვიყავი მოთავსებული და ხეზე კიდებდნენ. დედაჩემს ყაზახებისთვის ბევრი სიკეთე გაუკეთებია, ისინიც სიკეთეზე სიკეთითვე პასუხობდნენ, რითიც შეეძლოთ, პატივს სცემდნენ. ის კი არა, დედას ისეთი კარგი სახელი ჰქონდა, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე მოსულა ბოხჩით და უთქვამს, თქვენი პატარა ქალიშვილი უნდა დავნიშნოთო. ბებიაჩემს გაუყრია ისინი... ერთი წლის ვიყავი, როცა სამუდამო გადასახლებიდან ხალხი გაათავისუფლეს და ჩვენს ოჯახსაც სამშობლოსკენ გზა გაეხსნა. დედა წამოსვლის წინ კუშინოვთან მისულა და უთქვამს: აქ ცხოვრებამ დიდი ხანია, საკუთარი ყურები დამანახვა და ახლა ჩემს სამშობლოში ვბრუნდებიო...

ბაქანზე ეშელონი რომ ჩამომდგარა, თურმე დახეული ფეხსაცმლით დავრბოდი. ეშელონის უფროსს შევუნიშნივარ, ხელში ავუყვანივარ, უთქვამს, — შენ, პატარა ტყვევ, გათავისუფლდი, მალე საქართველოში ჩახვალ, მაგრამ რატომ — დახეული ფახსაცმელებითო? — და 25-მანეთიანი ჩაუკუჭია ჩემს პატარა ჯიბეში...

დაბრუნება

— დიდი ამბით დაგვხვედრიან გურიაში. ბაბუაჩემმა კალენიკემ დაბრუნების ამბავი რომ გაიგო, სიხარულისგან გული შეუღონდა, ძლივს მოუბრუნებიათ. ნელ-ნელა ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. მამაჩემმა და ბიძაჩემმა ნოდარმა გვერდიგვერდ დიდი სახლები აიშენეს. შემდეგ ორი ძმა შემემატა — შოთა და გელა. ბიძაჩემიც დაცოლშვილდა. დედაჩემი ამჟამად თბილისში, ჩემს ძმასთან, შოთასთან ცხოვრობს, 82 წლისაა. შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს — პატარა ნასტასიასა და გელას შეხარის.

მამა

შეხვედრა 43 წლის შემდეგ

— 1994 წლის ზაფხულში, ოზურგეთში, ჩვენს ოჯახს ვილაც ჩამოსული კითხულობდა, მაგნოლიას ეძებდა. მამას სახლში შემოუპატიჟებია. სტუმარ კაცს უთქვამს, — მე ყოველთვის ვფიქრობდი იმ გამბედავი და უშიშარი ქალის ბედზე, რომელსაც მაგნოლია ჰქვია; სპეციალურად, ბათუმში ჩამოვედი დასასვენებლად და აქ შემოვიარე, რომ ვნახოო. ეს სტუმარი კუშინოვი აღმოჩნდა. ერთმანეთს გადაეხვივნენ ჩასახლების კომისიის ყოფილი უფროსი და ყოფილი ტყვე. დედა კი ამ დროს თბილისში ყოფილა და კუშინოვმა მისი ნახვა ვერ მოახერხა. გამგზავრების წინ კუშინოვს მამაჩემისთვის უთქვამს: — რა მექნა, რასაც მავალებდნენ, იმას ვაკეთებდიო.

„ფრანგი“ ბიძია

— 1977 წელს საფრანგეთიდან ნანატრი ბიძის წერილი მივიღეთ: გრიშა იწერებოდა, ცოლ-შვილით მოვდივარო. ადლერის აეროპორტში გულის ფანცქალით ველოდი ბიძას, რომელიც აქამდე არ მენახა. მთელი სანათესაო იქ იყო. თვითმფრინავიდან გადმოსულ თითოეულ ადამიანში გრიშას ამოცნობას ვცდილობდით... უეცრად, რომ არ ველოდით, აეროპორტის გისოსებს მიღმა კაცის მორიდებული ხმა გავიგონეთ: ლომაძე არის აქ ვინმეო?.. 56 წლის შემდეგ დადგა ფეხი ქართულ მიწაზე გრიშა ლომაძემ! ყველა ვტიროდით... ვეხვეოდით. გრიშამ ძლივს ამოილუღლუღა: მარტო არა ვარ, ცოლ-შვილი მახლავსო. ახლა იმათ ვეცით საკოცნელად... იყო დიდი ლხინი, ქართული პურმარილი... გრიშას ცოლ-შვილი გაოცებული იყო ჩვენი გულუხვი დახვედრით. ერთ მომენტში ბიძაჩემმა ასეთი რამ თქვა: ნოე ჟორდანიას კი გავყევი კვალში, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის არაფერი დამიშავებია, ის კი არა, მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა

გრიშა ლომაძე ოჯახთან ერთად

საფრანგეთში მცხ-ოვრები ბიძიას ბოლო ვიზიტი

კავშირის სასარგებლოდ ძალიან დიდი თანხა გადავრიცხეო... სოჭიდან მოყოლებული მთელი საქართველო შემოვატარეთ, სამწუხაროდ, გურიის გარდა: საბჭოთა ხელისუფლებამ გრიშა ლომაძეს მშობლიურ კუთხეში ჩასვლის უფლება არ მისცა. ამის საშუალება მას ერთი წლის შემდეგ, 1978 წელს მიეცა და ემიგრანტ ქართველს გურულებმა გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს. ჩემმა მეზობელმა, რეზო რამიშვილმა მომღერალთა გუნდით „კრიმანჭული“ და „მრავალჟამიერი“ მიაგება. გრიშას, ცოლ-შვილის გარდა, ამჯერად, ფანასკერტელი-ციციშვილის შთამომავალი ახლდა. იგი ფრანგ ცოლთან ერთად გვეწვია და ამ ქალბატონს საკუთარი თითიდან წაძრობილი, ფირუზისთვლებიანი ბეჭედი ვაჩუქე (მოგვიანებით სწორედ ამ ბეჭდის ამბავზე წერდა ფრანგი ქალბატონი გაზეთ „სამშობლოში“). წასვლის წინ გრიშამ გვითხრა: ქართველებო, იბრძოლეთ დამოუკიდებლობისათვის, თორემ ლიბანივით დაგემართებათო.

უშიშროებაში გაცვეთილი წიგნები და უკანასკნელი ვიზიტი

— 1980 წელს ცოლად გავყევი გელა ბედინაშვილს. ეს ამბავი გრიშა ბიძიამ რომ შეიტყო, საჩუქრად ორი წიგნი გამომიგზავნა, რომელიც 6 თვე იდო უშიშროებაში, სათითაო ფურცელი შეამოწმეს და ისე დამიბრუნეს. არადა, წიგნები ხელოვნებას შეეხებოდა... გრიშა ლომაძე 1993 წელს ომში ჩათრეულ საქართველოს ეწვია, დადიოდა გადამწვარ რუსთაველის გამზირზე და გული ეწვოდა ნანახით. 1997 წელს კიდევ ერთხელ, ალბათ ბოლოჯერ გვეწვია: მამაჩემის ორმოცს ჩამოუსწრო. გამგზავრების წინ კი ქალბატონმა ლუიზამ გვითხრა, — ეს ალბათ უკანასკნელი ვიზიტია, მეტს ველარ ჩამოვალთო... და ასეც მოხდა, 5 წელიწადში ბიძა და ბიცოლა გარდაიცვალნენ. მახსენდება ბიძაჩემის გამოგზავნილი ერთ-ერთი წერილი, რომელშიც იგი ხაზგასმით აღნიშნავდა: „არ უნდა დაგავიწყდეთ თავისუფლებისადმი მისწრაფების სურვილის განხორციელება, რომელიც დამახასიათებელი მოვლენაა ყოველი კულტურული ერის თანამედროვე ეპოქაში და რომელიც უნდა უწყობდეს ხელს ყოველი ერის თვითგამორკვევას, მრავალი საუკუნეების ტრადიციების გამაგრებასა და მიწა-წყლის დაცვას უცხო ელემენტებისაგან, რადგან ყოველი რეჟიმი ერთი ეპოქის დამახასიათებელი და წარმავალია. ერი მუდმივი და უკვდავია. საქართველო არსებობდა ქრისტემდის და მას შემდეგ. მისი არსებობა დამოკიდებულია ყოველ ქართველზედ და ყოველი ქართველის ნაბიჯი უნდა იყოს დაქვემდებარებული ამ საერთო იდეალზე ყოველი პოლიტიკური აზრის გარეშე“ (სტილი დაცულია).

სადაურსა სად შეხვდები

— ოზურგეთის რაიკომში მუშაობდა ერთი პიროვნება — ნათელა ლომაძე, რომელიც თბილისში მივლინებით ჩამოვიდა. სამინისტროში მისულს აჩიკო პატარიძე გამოეცნაურა, რომელიც ნათელას გვარით დაინტერესდა და ჰკითხა, — ამირან და მაგნოლია ლომაძეებს (ე.ი. ჩემს დედ-მამას) თუ იცნობთო? როცა ნათელამ დაუდასტურა და უთხრა, რომ ისინი, მისი ბიძა და ბიცოლა იყვნენ, ბატონმა არჩილმა სასწრაფოდ წერილი დაწერა და ჩემს მშობლებთან გამოატანა. წერილში სწერდა: „შორეულ ყაზახეთში გატარებული დღეების მოსაგონებლად მინდა, პატივი გცეთ და კარგ ადგილას დაგასვენოთ“... გავიდა წლები. დედა სულ მთხოვდა ამ პიროვნებასთან მისვლას და მოკითხვას, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ მერიდებოდა კიდეც მისთვის თავის შეხსენება. ერთხელ ჩემს გოგონას ორსულობასთან დაკავშირებით პატარა პრობლემა შეექმნა. როცა მის მკურნალ ექიმთან, ქალბატონ მანანასთან მივედი და მდგომარეობა მოვიკითხე, მან დამამშვიდა, მე კი ხუმრობით ვთქვი, — დედაჩემმა ყაზახეთში გამაჩინა რთულ პირობებში და ახლა, ამ სიკეთის ჟამს რა უნდა მოხდესმეთქი?! ქალბატონმა მანანამ წერას თავი დაანება და გაკვირვებული თვალებით შემომხედა. ერთი სიტყვით, ქალბატონი მანანა აღმოჩნდა არჩილ პატარიძის ქალიშვილი, და სწორედ მანანას მეან-გინეკოლოგი დედის, ქალბატონი მარიკა პატარიძის წყალობით მოვევლინე ამ ქვეყანას. ■

ჯიუტი თაოსის უცნაური ახირებები და ეშოპლების ჯოპლება

„ლამისაა, ამ თითისტოლა გოგომ ინფარქტი დაგვმართოს“

ამჯერად, „თინეიჯერული პონტების“ გვერდები იმ მშობლებს დავუთმეთ, რომელთაც საკუთარი შვილების საქციელი გულს სტკენს: ზოგს შვილის სიჯიუტე აცოფებს, ზოგს მისი უცნაური ჩაცმულობა, იმიჯი, ხოლო ვიღაცას კომპიუტერი უშლის ნერვებს, რადგანაც მიაჩნია, რომ ის შვილს ართმევს.

ლიკა ქაჯაია

მაიკო, 40 წლის:

— ჩემი შვილი 18 წლისაა. მის ასაკში მეც ჯიუტი და თავნება ვიყავი, მაგრამ მშობლებსაც ვუწევდი ანგარიშს, ნია კი საერთოდ არაფერს მიჯერებს, მხოლოდ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაზე ფიქრობს და სახლშიც მაშინ შემოდის, როცა მოესურვება. მე და მამამისი ვერაფერს გავხდით — ჯერ დავსაჯეთ, მერე მეთოდი შევცვალეთ და დავუყვავეთ, მოგვიანებით, სანუკვარი ოცნების ასრულებასაც დავპირდით, მაგრამ მისი თავკერძობის ასალაგმავად არც ერთი მეთოდი არ გამოგვადგა. საინტერესოა, ყველა თინეიჯერის მშობელი ასეთ დღეშია?.. ჩემს მეზობელსაც ჰყავს თინეიჯერი შვილი — 16 წლის ელენე. არ მახსოვს, ის ბავშვი ეზოში სათამაშოდ ჩასულიყოს, სულ წიგნებში იყო თავჩარგული და ყველას გენიოსი გვეგონა. თურმე, მასაც ჰქონია მინუსი — ღამღამობით შეყვარებულთან ერთად, ღმერთმა იცის, სად დაძვრებოდა. ამას წინათ ჩვენმა მეზობელმა, ღამის პირველ საათზე ქუჩაში ნახა, მან კი თვალი აარიდა, ვითომ, არც დაუნახავს. მისმა მშობლებმა არაფერი იცოდნენ მანამ, ვიდრე ელენეს მუცელი არ წამოეზარდა. ახლა თავში ხელებს იშენენ, ასე რატომ ვენდობოდითო? ენდობოდნენ, აბა, რა იქნებოდა, გოგონა სულ წიგნებს ჩაჰკირკიტებდა და თანატოლებთან ერთად წასვლის სურვილიც არ უჩნდებოდა...

— **თქვენი გოგონა ელენეს მსგავსად, ჩუმ-ჩუმად რომ დაძვრებოდეს, მოგეწონებათ?**

— ღმერთმა დამიფაროს! ასეთ „დაგუბებულ წყალს“ ისევ ჩემი ჯიუტი შვილი მირჩევნია. სამაგიეროდ, ვიცი, ცუდს არაფერს ჩაიდენს... მე ის ბევრ რამეში გამოვცადე. არ გეგონოთ, რომ ნიას ამბებს არ ვკითხულობ და მართლა თავის ჭკუაზე დადის. მას ისე ვაკონტროლებ, რომ ამას ვერც ხვდება. ერთადერთი, რაც მის საქციელში არ მომწონს და რაც მამამისისთვის ჯერ არ მითქვამს, ისაა, რომ სიგარეტს ეწევა და დარწმუნებული ვარ, სახლიდან ხშირ-ხშირად იმიტომ გარბის, რომ ერთი-ორი ნაფაზი დაარტყას...

— **და თქვენ ამას შორიდან უყურებთ?**

— სხვა რა გზა მაქვს?! რომ გაიგოს, მალულად კუდში დავდევ, მერე ხელიდან საბოლოოდ დამისხლტება და შესაძლოა, სიგარეტის მოწევაზე ბევრად უარესი რამ ჩაიდინოს...

— **სიგარეტს თქვენც ხომ არ ეწევით?**

— 2 წელია, რაც მოწევას თავი დავანებე.

— **ეი. შვილს მაგალითს თავად აძლევდით...**

— არა, გენაცვალე, ნიას სიგარეტით ხელში არასდროს დავუნახავვარ, ამაში დარწმუნებული ვარ!..

— **ნია თქვენი ერთადერთი შვილია?**

— არა, ვაჟიც მყავს, მაგრამ ის თინეიჯერი აღარაა და თანაც, უკვე დაოჯახებულია. თავის დროზე მანაც ბევრი მანერვიულა, შინ შემოსვლა არ უნდოდა. აი, მას კი მართლაც, ვერ ვაკონტროლებდი — იცოდა, გრძნობდა, რომ უკან ჩუმ-ჩუმად დავდევდი და ხელიდან მისხლტებოდა (*იცინის*). ერთხელ მითხრა, — უნივერსიტეტში მივდივარო, მაგრამ ისე საეჭვოდ გამოიპრანჭა, რომ მის სიტყვებში ეჭვი შემეპარა და ვიფიქრე: — ასიანი, პაემანზე მიდის და მატყუებს-მეთქი. დავინტერესდი, ვინ უნდა გამხდარიყო ჩემი რძალი და შვილს კუდში ავედევნე. მან ლამის, მთელი თბილისი ფეხით შემოიარა, ბოლოს კი ხელიდან დამისხლტა. რა უნდა მექნა, სახლში დავბრუნდი. როცა ვაჟიც მობრძანდა, მისაყვედურა: შენ გამო პაემანზე დავაგვიანე და შეყვარებულიც ისე გამიბრაზდა, არა მგონია, ოდესმე შემირიგდესო. მართლაც, შეყვარებული არ ურიგდებოდა და ლევანი ამას ძალიან განიცდიდა. მოგვიანებით, იმ გოგოს ტელეფონის ნომერი გავიგე, შევხვდი და ყველაფერი ვუამბე. ახლა ის გოგონა ჩემი რძალია და მალე ბებია გავხდები.

— **თქვენს გოგონას არ ჰყავს შეყვარებული?**

— 2 წელიწადში 3 შეყვარებული გამოიცვალა და ახლაც ვიღაცას ეკურკურება. არ ვიცი, ჩემი უჭკუო შვილი როდის დაქალდება. იმედია, ისეთი ქმარი შეხვდება, რომელიც ჭკუას ასწავლის (*იცინის*). აბა, როგორ შეიძლება, გოგო ღამის 12 საათამდე ქუჩაში იყოს? სახლში 9 საათამდე რომ არ მივსულიყავი, მამაჩემი ტყავს გამაძრობდა... ეჰ, მაშინ სხვა დრო იყო, ბავშვებს მშობლების ხათრი, რიდი გვქონდა, ახლა კი ძალიან უცნაურები არიან.

— **ალბათ, თავის დროზე, არც თქვენს მშობლებს მოსწონდათ თქვენი საქციელი...**

— არა, რაღაცები მართლა არ მოსწონდათ, მაგრამ მე ისეთს არაფერს ვაკეთებდი, რაც ზრდილობის ფარგლებს სცდებოდა. ახლა ახალგაზრდები საკუთარ დედებს ისე აგინებენ, თითქოს, იმ საცოდავ ქალებს მათზე ამაგი არ ჰქონდეთ... ჩემი შვილების თაობის წარმომადგენელთა უმეტესობა საოცრად უზნეოა და ალბათ, მათი პირმშოები კიდევ უფრო ცუდი ზნისანი იქნებიან. ჰოდა, ყოველივე ამის წყალობით, მალე ყველა ტრადიციას დავკარგავთ, ყვე-

ლაფერ ღირებულს ხაზს გადავუსვამთ და გადავშენდებით კიდეც... მინდა, მოზარდებს მივმართო: შვილებო, მართალია, ჩემი შვილი არ მიჯერებს და ალბათ, არც თქვენ დაუგდებთ ჩემს მუდარას ყურს, მაგრამ მე თავს ვალდებულად მივიჩნევ, გთხოვოთ, — გამოფხიზლდით და დააფასეთ ყველაფერი ქართული, სულს ნუ წაიწყმედთ და ნუ აჰყვებით უგუნურთა საქციელს. უფალი გფარავდეთ ყველას.

ლია, 38 წლის:

— ჩემი შვილი 12 წლისაა, მაგრამ უკვე გამიჩინა თავსატეხი — დღედაღამ კომპიუტერთან ზის, აღარც ჭამა ახსენდება, აღარც — სმა. უმცროს დას კომპიუტერთან მიკარების უფლებასაც არ აძლევს და ამის გამო, ლამის ერთმანეთს ყელი გამოსჭრან. როცა საქმე კომპიუტერს ეხება, ძალიან აგრესიულები ხდებიან, ჯიუტობენ და უკან დახევა არც ერთს არ უნდა, სხვა შემთხვევაში, ერთურთს ყველაფერს უთმობენ. მოკლედ, და-ძმა ერთმანეთისთვის სულსაც კი გაიმეტებს, მაგრამ კომპიუტერს — ვერა. მე და ჩემს ქმარს ეს ამბავი ძალიან გვაშფოთებს და ამიტომაც, დახმარებისთვის ფსიქოლოგს მივმართეთ. ის ჯერ ბავშვებს გაესაუბრა, მერე კი ჩვენ გვითხრა: რაიმის აკრძალვას აზრი არა აქვს. ამას სჯობია, მეორე კომპიუტერიც იყიდოთ და ამ გზით, კომპიუტერისადმი მათი ინტერესი შესაძლოა, ცოტათი განელდესო. ჩემმა ქმარმა ეს რომ გაიგონა, შეუკურთხა: მე მაგის განათლებისა რა ვთქვი, ჯერ ერთი გვიქმნის პრობლემას და ახლა, მეორეც რომ შემოვიტანო, ბავშვები სულ გამომეცლებიან ხელიდან, მათთან ლაპარაკს ვეღარ შევძლებო.

— ის მაინც თუ იცით, თქვენი შვილები რით ერთობიან?

— ბიჭი მთელ ინტერნეტსამყაროში დაძვრება. ამას ის დადებითი მხარე აქვს, რომ ინგლისურის სწავლის ინტერესი გაუჩნდა და კომპიუტერთან ურთიერთობა უცხო ენის უკეთ ათვისებაში ეხმარება. ცდილობს, რაღაც ინფორმაციები მოიპოვოს და მერე, ყველანი გაგვაკვირვოს; აი, გოგონა კი „სკაიპში“ დაძვრება, რაღაც ჩათებში და ფორუმებშია ჩართული.

— რამდენი წლისაა?

— 10-ის, მაგრამ ინტერნეტთან და კომპიუტერთან დაკავშირებული იმდენი უცნაური ტერმინი იცის, რომ გაკვირვებისგან პირს ვაღებ ხოლმე.

— ეი. თქვენს შვილებს კომპიუტერი განათლების მიღებაში ეხმარება.

— არ მინდა, ბატონო, ასეთი განათლება! ჩემს ბავშვობაში კომპიუტერი არ იყო, მაგრამ არც განათლება მაკლია და არც სხვა რამ. აბა, რომელ მშობელს უნდა, მისი შვილი განათლებული იყოს, სამაგიეროდ კი რეალურ სამყაროს მოწყვეტილს, დედ-მამასთან ლაპარაკი ეზარებოდეს?! თანაც, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩემს ვაჟიშვილს (რასაც გოგონაზე — ნინუცაზე ვერ ვიტყვი) სკოლაში სიარულიც ეზარება. ამბობს, რომ ინტერნეტით ისეთი განათლების მიღებაა შესაძლებელი, რომელსაც სკოლა ვერასდროს მისცემს. ეს ძალიან მაშფოთებს.

— ნინუცა სკოლაში კომპიუტერის გარეშე როგორ ძლებს?

— იქ კომპიუტერის დანაკლისს შეყვარებული უვსებს (*იცინის*). პრინციპში, თუ შინაა და კომპიუტერს ჩაიგდებს ხელში, მაშინაც ძირითადად, ე.წ. „ლოვეს“ ელაპარაკება... ერთხელ ასეთი ამბავიც მოხდა: ნინუცა კომპიუტერთან იჯდა. ამ დროს ჩემი მეუღლე სამსახურიდან შინ დაბრუნდა და ბავშვების ოთახში შევიდა. მოულოდნელად, საშინელი ხმაური ატყდა, რაღაცების მსხვრევის ხმაც გავიგონე. ოთახში შევვარდი და საოცრად გაცოფებულ ჩემს მეუღლეს ბავშვი ძლივს გამოვწიწკნე ხელიდან; მონიტორი ძირს ეგდო, კლავიატურა ფანჯრიდან მიფრინავდა, მაუსი კი თავის სადენიანად, ჩემს ქმარს ხელში ეჭირა და ამბობდა, — ამით უნდა გავამათრახოო. თურმე, ოთახში რომ შევიდა, ბავშვი რაღაც ფოტოებს ათვალიერებდა — ვიღაც ცხოველმა, მას „სკაიპით“ სურათები გადმოუგზავნა, სადაც სრულიად შიშველი პოზირებდა. სამწუხაროდ, იმ კაცის კვალს ვერსად მივაკვლიეთ...

— ამის შემდეგ, ბევრი მშობელი კომპიუტერს შინ აღარ გააჩერებდა...

— ვაჟის წუწუნს ვეღარ გავუძელით და მხოლოდ მას დავრთეთ კომპიუტერთან ჯდომის ნებართვა, მაგრამ მას მერე, რაც ნინუცა შეგვპირდა, უცნობ ადამიანებთან აღარ ვიჩათავებო, ისიც შეგვეცოდა. თუმცა, ცხადია, ხშირ-ხშირად ვაკონტროლებ და მადლობა ღმერთს, ჯერ სიტყვა არ გაუტეხავს.

— თავად თუ უზიხართ ხოლმე კომპიუტერს?

— იშვიათად და ისიც იმიტომ, რომ ახლობელი ადამიანები მოვიკითხო. აი, ჩემი მეუღლე კი კომპიუტერს ვერ იტანს. ამბობს, ეს „ყუთი“ არაფერში მჭირდება, ამ ნივთის გამო ჯანმრთელობას ვერ გავიუარესებ და ნერვებს ვერ გავიფუჭებო. შვილებს კი კომპიუტერი მხოლოდ იმიტომ უყიდა, რომ იცის, წლების შემდეგ, ბავშვებს მის გარეშე ცხოვრება გაუჭირდებათ.

მიმოზა, 52 წლის:

— ჩემი პრობლემა შვილის ჩაცმულობა და მისი იმიჯია. სანამ მიჯერებდა, ხომ კარგი, მაგრამ მას მერე, რაც წამოიზარდა, სულ აჩაჩულ-დაჩაჩული სამოსით დადის — ხან დახეული ჯინსი აცვია, ხანაც — შარვლის სათავე აქვს მუხლებთან. აბა, მითხარით, ასე ჩაცმული გოგონა სარძლოდ ვის მოეწონება? არადა, ჩემი შვილი უკვე გასათხოვარია, მალე 20-ს გადააბიჯებს. ლამისაა, ამ თითისტოლა გოგომ მშობლებს ინფარქტი დაგვმართოს. მართალია, სწავლით კარგად სწავლობს და უცხო ენებსაც მტვერსასრუტივით ისრუტავს, მაგრამ რომ შეხედავ, ჭკუიდან გადასული გეგონება. გარდა ჩაცმულობისა, პრეტენზია მის პირსინგებთანაც გვაქვს — ცხვირი და ჭიპიც კი გაიხვრიტა, მშობლების რჩევასა თუ ჩხუბს აინუნშიც არ აგდებს. ამას წინათ მობრძანდა და გამოგვიცხადა: ახლა ტუჩი უნდა გავიხვრიტოო. საწყალი მამამისი, ძლივს მოვასულიერეთ. საბრალო კაცმა მითხრა: ნუთუ, იმისთვის ვზრდიდით, რომ დედ-მამისთვის ყელი გამოეჭრაო?! მერე, არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ტუჩი აღარ გაუხვრეტია, სამაგიეროდ, წარბში გაყრილი საყურით დაგვიბრუნდა. ტატუც აქვს კოჭთან და თმაც წითლად შეიღება, თან, აქა-იქ ლურჯი ზოლებიც გაიკეთა, მაგრამ ეს უკვე

თინეიჯერული პონტები

აღარაფრად მიგვაჩნია. თბილისშიც ხომ გაკვირვებულები უყურებენ და აბა, წარმოიდგინეთ, ზაფხულში,

სოფლად ჩასულებს ხალხი როგორ შემოგვხედავს. ჰოდა, მეც იძულებული ვარ, საკუთარი შვილის ნამოქმედარს გამართლება მოვუძებნო. ერთ დღეს მეზობლად მცხოვრებმა მოხუცმა მითხრა: შვილო, არც ჭიპი გქონდა გადმოგდებული და არც სახეზე გქონდა ამდენი ნახვრეტი, მარა, ხომ გათხოვდი? ანგელოზივით გოგო იყავი და ეს შენი შვილი ვის დაემსგავსაო? ვუპასუხე: ეს მოდაა, თბილისში ყველა ასე დადის, ჩვენს დროს კი ასეთი რაღაცები სად იყო-მეთქი (აბა, რა მეთქვა)?! დამცინავად მიპასუხა: შენ გგონია, სოფლელი ხალხი თბილისში არ ჩავდივართ? იქაც ვიყავი, მარა ასეთი გოგონები არ შემხვედრიანო... ერთხელ, მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, ბაზრობაზე გავყოლოდით და მხოლოდ ის გვეყიდა, რაც თავად მოგვეწონებოდა. გვინდოდა, მისთვის იმიჯის შეცვლა გვეიძულებინა, მან კი მთელ ბაზრობაზე თავი მოგვჭრა და ისეთი ისტერიკა აგვიტეხა, რომ ვაჭრებმა დახლები უპატრონოდ მიატოვეს, სეირის საყურებლად მოცვივდნენ. მერე ერთმა ისიც გვითხრა: ასეთი შვილი რომ მყავდეს, სახლიდან დაუფიქრებლად გავაგდებდიო. აბა, სად უნდა გავაგდო? მართლა საკუთარი ხელით ხომ არ მოვკლავ? თანაც, ვიცი, რომ ეს მხოლოდ უცნაური იმიჯით ცდილობს, სხვებისგან განსხვავებული იყოს, მისი თანატოლები კი უარეს რაღაცებს აკეთებენ.

— **შვილის გამართლებას ახლაც ცდილობთ, არა?**

— (*იცინის*) აბა, სხვა რა დამრჩენია?! თქვენ იმიტომ დაგიკავშირდით, რომ მინდა, თინეიჯერებს ვკითხო, რატომ იცვამენ ასე უცნაურად? რად უნდათ ამდენი პირსინგი? ნუთუ ბიჭებს ასეთი იმიჯის მქონე გოგონები უფრო მოსწონთ? რა არის პანკი და საერთოდაც, რატომ გიჩნდებათ პანკობის სურვილი? ძალიან გთხოვთ, იქნებ, თქვენი მკითხველები ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში დამეხმარონ.

P.S. თუ თქვენც უცნაურად იცვამთ, ბევრი პირსინგი გაქვთ ან გყავთ ასეთი უცნაური იმიჯის მქონე მეგობრები, გთხოვთ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8(58) 25.60.81. ერთად დავეხმაროთ უფროსებს იმის გარკვევაში, თუ რაში სჭირდებათ მოზარდებს საკუთარ გარეგნობაზე აქცენტის გაკეთება.

■

თინეიჯერები გვწერენ

სალომეა:

„ვაუ, რა მაგარია „გზა“. ეს წიგნების იდეაც მაგარია, ვენაცვალე მის ავტორს. თქვენი ჟურნალი ყოველთვის მომწონდა, მაგრამ ახლა ორმაგად მომწონს და მიყვარს. დოჩანაშვილი ჩემი საყვარელი მწერალია და რომ გავიგე, წიგნის პრეზენტაციაზე უნდა მოსულიყო, სულ სირბილ-სირბილით მივქანდი საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში. გული დამწყდა, ჯანმრთელობის გამო მოსვლა რომ ვერ შეძლო... იცით, ჩემი ნათესავები დღემდე ეძებენ წიგნს, მაგრამ ვერსად შოულობენ და ამას ძალიან განიცდიან... ძალიან მიყვარხართ და ყველაფრისთვის დიდ მადლობას გიხდით“.

ფასკუნჯა:

„ეს რა უბედურება გვჭირს? მთელი თვე ატრიალებდით რეკლამას, „დაგველოდეთ, მალე „გზა“ წიგნთან ერთად გამოვაო“, მაგრამ მოგვატყუეთ — აბა, რა ვიცი, ჩვენამდე მხოლოდ ჟურნალმა მოაღწია და... დავიჯერო, ბათუმელები ისე გძულვართ და ისეთ გაუნათლებელ ადამიანებად მიგაჩნიხართ, რომ წიგნი არ გამოგვიგზავნეთ? ერთი-ორ ჯიხურში კი მიუღიათ, მაგრამ — თითო-თითო. რა, წამალი იყო? თქვე კაი ადამიანებო, თუ უშვებთ, გამოუშვით ბლომად, რა“.

პავლე, საბერძნეთიდან, 21 წლის:

„ნეტავ იცოდეთ, როგორ მენატრება საქართველო და ქართველები. აქ ზურგით ტვირთს ვეზიდები, რათა „2 კაპიკი“ ვიშოვო და ცოლ-შვილს გავუგზავნო. ნეტავ, საქართველოში მამყოფა და ხმელ პურზე გადავალ, მაგრამ ოჯახის წევრებს რა ვუყო, ისინიც ხომ ჩემსავით ვერ იშიმშილებენ?! ეჰ, გული მწყდება, მშობლიურ მიწას რომ ვარ მოწყვეტილი. მომენატრა მეგობრებთან ერთად ქეიფი და დროს ტარება. მართალია, ღვინო და არაყი აქაც ბლომადაა, მაგრამ საქართველოში ქეიფს არაფერი სჯობს, იქ ყველაფერს სხვა მუღამი აქვს. ჩემო მიტოვებულო ცოლ-შვილო, შორიდან გეფერებით... ეს ჟურნალი შემთხვევით ჩამივარდა ხელში, ჰოდა, არ ვიცი, უკვე მერამდენედ გადავიკითხე თითოეული სტატია და გული გამითბა... ქართველებო, მიყვარხართ“.

■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ა

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-9

ააბია — გასვენებაზე შორიდან მოსული ჭირისუფლის მხლებლები.
ააალი — ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი.
ააასი არაბ. (ძვ.) — ღამის დარაჯი, გუშაგი.
ასლი — კილიანი (კილი — თავთავიან კულტურათა მარცვლის ბუდე) ხორბალი.
ასპუჭაკი — პატარა მგალობელი ფრინველი.
ასტამი — რკინის პატარა ნიჩაბი ცომის ასაფხეკად.
ასტამურა — ფოლადის თხელი ფირფიტა გაშალაშინებული ზედაპირის მოსასწორებლად.
ატაშე ფრ. — ამა თუ იმ დარგის სპეციალისტ-კონსულტანტი დიპლომატიურ მისიასთან.
ატენური — სოფ. ატენისა და ატენის ხეობაში (ქართლი) დაყენებული ცნობილი თეთრი ღვინო.
ატლასი ბერძ. — გეოგრაფიული რუკების კრებული.
ატლასი არაბ. — აბრეშუმის პრიალა ქსოვილი.
ატრია — წვრილად დაჭრილი თხელი ცომის ნაჭრები, რძეში ან წყალში მოხარშული.
ატროფია ბერძ. — სხეულის რომელიმე ორგანოს გამოფიტვა და დაკნინება.
აული თურქ. — კავკასიის მთიელთა (აგრეთვე შუა აზიის) ხალხთა სოფელი.
აფერუმ! სპ. — შორისდებული. გამოხატავს მოწონებას — ყოჩაღ! ბარაქალა!
აფექტი ლათ. — ძლიერი განცდის გამოვლენა.
აფთი — ძველებური ბრტყელი, გრძელტარიანი მახვილი.
აფრაკი — 1. გახმობისას გამრუდებული, დაბრეცილი (ფიცარი). 2. (საუბ.) — თავქარიანი, მოსულელო (ადამიანი).
აქტივი ლათ. — ორგანიზაციის, კოლექტივის ყველაზე მოწინავე და მოქმედი ნაწილი.
აღალი — ურმების, საზიდრების, საბარგო ავტომანქანების და მისთ. ქარავანი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წვეთი პოეზია

ნუ მწერ

ნუ მწერ, რომ ბალში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის,
წააგავს ხვითოს.

რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი ჯაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს,
როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.

...წუხელ ვებრძოდი ცეცხლს
და ურაგანს,
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან,
აელვებული იდგა თბილისი.

ორთაჭალაში ჰყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე
იწვა თითქოს,
და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში
როგორც ყოველთვის,
მოჰგავდი ხვითოს.

ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი
ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა,
რომ ვიღაც დადის
მინდვრებში ღამით
და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.

მე ისიც ვიცი, რომ ჯარგ ამინდებს
მოაქვს გულების საამო ფეთქვა,
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად,

გეტყვი, რომ მოვედ ბრძოლანახული
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ –
მზე გამარჯვების.

მირზა გელოვანი

მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი

„Всё обнажённое прекрасно, лишь раздетое смешно!“
(Юкио Мисима)

დასაწყისი იხ. „გზა“ №2 – 9

ძალიან მალე მივხვდი, რომ დედაჩემმა მორიგი კომერციული შეცდომა დაუშვა. აბა, რომელი, სულ ოდნავ მაინც მერკანტილურად მოაზროვნე ადამიანი დაკარგავდა საბურთალოს სასაფლაოების უზარმაზარ ნაწილს?

მოკლედ, სიტუაციიდან გამოსავალი კვლავაც მოსაძებნი იყო. ხუთი უმუშევარი კაცის რჩენა არცთუ ისე იოლი საქმე გახლდათ და მეც სიმწრისგან იმ პერიოდისათვის საკმაოდ პროგრესული იდეა მომივიდა თავში. რაც დრო გადის, კიდევ უფრო ვრწმუნდები, რომ სარფიანი იდეები მაძღარ კუჭზე არ მოდის. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, მწევარი ძაღლი, არაბული ბედაური და ქალი არ უნდა გააძღოო! მოკლედ, „ჩვენი ეზოს“ ამბავს რომ დავუბრუნდეთ, აქვე იმასაც გეტყვით, რომ საქართველოში მცხოვრები არაქართველები ქართულად, როგორც წესი, არ ლაპარაკობდნენ, რადგან თავს ისედაც კომფორტულად გრძნობდნენ. იმდენი ქართული, რომ კომუნალური გადასახადები დაგეფარა, ტაქსით აეროპორტში წასულიყავი ან სასწრაფო დახმარება გამოგეძახა, აბსოლუტურად ყველამ იცოდა. ემიგრაციის ტალღამ სწორედ ასეთ ადამიანებს შეუქმნა დისკომფორტი, რადგან ქართულ ენაზე შედგენილი დოკუმენტაცია მათთვის ჩინურივით ჟღერდა, ხოლო ამ ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირებაზე, ცხადია, არავის უზრუნია. ამიტომაც, რაკი ამ ვითარებას ალღო კარგად ავუღე, რამდენიმე მეზობელს, რომლებიც ბავშვობიდან მიცნობდნენ და დედაჩემსაც ხშირად სტუმრობდნენ, ჩემი პირობები შევთავაზე: ისინი დამიტოვებდნენ ბინებს, სანამ ახალ ადგილას ბუდეს მოიწნავდნენ, მე ამასობაში სარფიანად გავყიდდი მათ დანატოვარს და საიმედოდ შევუნახავდი აღებულ ბინის საფასურს. საქმე საკმაოდ მძიმე, დამღლელი და უაღრესად საპასუხისმგებლო იყო. საქართველოდან წამსვლელები გახშირებული ყაჩაღობის მსხვერპლი არაერთხელ გამხდარან, ამიტომ ჩემი საქმიანი წინადადება მათთვის რთული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი იყო. საქმეს ისიც აძნელებდა, რომ მაკლერების უმრავლესობას ე. წ. შავ სამყაროსთან ჰქონდა კავშირი და ახალგაყიდული ბინების ყოფილი მფლობელები ხშირად მათი სამიზნე ხდებოდნენ. ამის გამო ბევრი ოჯახი გაუბედურდა და განადგურდა, მთელი ცხოვრების განმავლობაში ნაგროვები სიმდიდრე ერთ წუთში ბოროტმოქმედთა საჯიჯგნი ხდებოდა. ოჯახიდან გატანილი და გაყიდული თუნდაც ერთი ნივთი როგორც ლეში აფთარს, ისე იზიდავდა ყველა უბანში მომუშავე „ნასედკებს“. წამსვლელების ყოფას ისიც ართულებდა, რომ ახალ ადგილზე მაქსიმალურად „თავისუფლად“, მძიმე ტვირთის გარეშე უნდა ჩასულიყვნენ, რადგან ავეჯისა და მანქანის ტრანსპორტირება ამ ნივთების ღირებულებას ბევრად აჭარბებდა, თანაც ყოველი ზედმეტი კილოგრამი ზედმეტ ხარჯს ითხოვდა. რისკი ჩემთვისაც ძალიან დიდი იყო, მაგრამ გაყიდული ბინების საფასურისგან მიღებული პროცენტი ჯანსაღად არსებობის ის გარანტია იყო, რომელიც ჩვენს ოჯახს ასე ძალიან სჭირდებოდა.

სულ ცოტა ხანში კლიენტთა წრეში სახელი გავითქვი როგორც საიმედო და პუნქტუალურმა პარტნიორმა და ახალ-ახალი შეკვეთაც მრავლად მოდიოდა. მე ჩემი პირველი საკუთარი ციცქნა ოროთახიანი ბინა და მანქანა ვიყიდე. რაც მთავარია, სანდროს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კომფორტული ს ა კ უ თ ა რ ი ოთახი ჰქონდა! მე ხომ მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, ჩემი ოთახი მქონოდა, თუნდაც სულ პატარა, მაგრამ საკუთარი! სხვათა შორის, ბევრ სხვასთან ერთად, დღემდე სანანებლად ისიც მაქვს, რომ „საბინაო დებიუტი“ სარფიან ბიზნესად არ ვაქციე. მაგრამ ჩემი გული სულ სხვა „რაღაცის“ მოლოდინში იყო და ეს „რაღაც“ ჩემი ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტს, ჟანგბადსა და სწორ თვითიდენტიფიკაციას წარმოადგენდა. გუმანით ვხვდებოდი, რომ შეწყვეტილი საქმე უნდა გამეგრძელებინა და ბოლომდე მიმეყვანა. ტელევიზია, ცისფერი ეკრანი, პირდაპირი ეთერი ის სასიცოცხლოდ აუცილებელი ადრენალინი და სანუკვარი ოცნება იყო, რომელიც დღედაღამ არ მასვენებდა. ხანდახან ღამღამობით მესიზმრებოდა, რომ უკვე ტრიალებს „ქვიშის საათის“ ქუდი, მე კი ტექსტი არა მაქვს, ან სინქრონი არასრულად წავიდა, მე კი კომენტარისათვის მზად არა ვარ, მაგრამ ის, რომ მე ამ ორგანიზაციაში აღარაფერი მესაქმება, არასოდეს დამსიზმრებია.

ზაზა დარასელი

— ლალი, დღეს თუ არსად მიდიხარ, იქნებ ბავშვი დაიტოვო, მე სასაფლაოზე მინდა ასვლა, — ჩამძახა მანანამ ძილ-ბურანში.

— კარგი, კარგი, ოღონდ გეხვეწები, ნავთის ღუმელს შეუკეთე რა... გავიყინე.

მარტი იწურებოდა, მაგრამ ზამთარი არ თმობდა პოზიციას. ოთახში დატრიალებული ნავთის სპეციფიკური სურნელით მივხვდი, რომ დედამ აუტანელი სიცივისათვის არ გამიმეტა.

სასაფლაოს ყოველდღიური მონახულება მანანასთვის უკვე ჩვეული რიტუალი იყო, მიუხედავად იმ თეზისა, რომ არ სჯერა, „მისი თალესიკო“ მიწაშია, და ის, რა თქმა უნდა, სულ მის გვერდითაა, მანანა დაუღალავად აგრძელებდა ახალ-ახალი თაიგულებით საფლავის მორთვას. საფლავის ქვაც მისი დიზაინის ნაწილი იყო. შესანიშნავად იცო-

და თავისი მეუღლის გემოვნება, ცხოვრებასთან დამოკიდებულება და ამიტომ სასაფლაოს მხოლოდ ერთი ქვა, მარტივი და მრავლისმთქმელი ავტორისეული ხელმოწერით, ლამაზად გადაბმული ქართული ასოებით — „თალესი“ ამშვენებდა.

— ტელეფონთან, — დამიძახა ზღურბლიდან მანანამ და გაუჩინარდა.

რვაწლიანმა გამოცდილებამ ჯარისკაცურ რიტმს შემაჩვია და 2-3 წამში აბსოლუტურად გამოფხიზლებული დერეფანში ტელეფონის ყურმილით ხელში ვიდექი.

— ლალი ბრძანდებით? — იკითხა უცნობმა ქალბატონმა.

— დიახ, მე ვარ, — ვუპასუხე მე.

— ერთი წუთი, ბატონ ზაზა დარასელთან გადაგრთავთ.

ზაზა დარასელი? „მეორე არხის“ ხელმძღვანელი, დარსოს მამა ჩემთან რეკავს? რატომ? თავში ასი ათასი აზრი ასეთივე სიხშირით ქაოსურად იბნეოდა ახალგაღვიძებულ თავში.

— ლალი, ზაზა ვარ, — ისე მითხრა ხმამ ტელეფონის მეორე მხარეს, გეგონებოდა, სულ ამ ხმით მეძინებოდა და მეღვიძებოდა.

— დიახ, ბატონო ზაზა, — ამოვილუღლუღე მე.

— ახლა წამოხტი, ჩაიცვი და ტელევიზიაში გაჩნდი. რაც შეეხება შენს გვარს, გინდა ივანოვა იყავი და გინდა — სიდოროვა, მოკლედ, მალე! — ბრძანა ხმამ და გაბმულ ზუმერში ჩაიკარგა.

— არ არსებობს, დარასელი მირეკავს? ნეტავ გოგოები ხომ არ მაღადავებენ? ერთი მარიკუნას უნდა შევეკითხო, მაგან იცის ეგეთები, თანაც პირველი აპრილი რამდენიმე დღეშია. შარშან სამსაათიანი ინტერვიუ მიმაცემინა ვიღაც უნიჭო ლ-ებიანი ბიჭისათვის და დამღლელი საათების შემდეგ „კორესპონდენტმა“, უკაცრავად, დღეს პირველი აპრილია და ეს ხუმრობა თქვენმა მეგობარმა შემიკვეთაო... იმავე დღეს გააფთრებული ქეთი თავის შეყვარებულსა და ჩვენი ბავშვობის მეგობარ გიოს „მიწაში დებდა“, ვიღაცა „კეთილისმსურველმა“ დამირეკა და შენზე მითხრა, დიდუბელ ლუდასთან დადისო. მარიკუნა კი ამასობაში სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდა და მორიგ მსხვერპლს, ასევე ჩვენს მეგობარ გია ბუჯიაშვილს სასტუმრო „აჭარასთან“ ელოდებოდა. საქმე ის არის, რომ გია დარწმუნებული იყო ლენინგრადელი „ნაშის“ არსებობაში, რომელმაც დაურეკა და სთხოვა, ბევრ ფერად ბუშტს თუ მომიტან, დაუვიწყარ ღამეს გაჩუქებო.

„აუ, ეს მარიკუნა ახლა აქ რამ მოიყვანა, — ფიქრობდა გამწარებული გია, — და თან მოახლოებულ მარიკუნას ათვალიერებდა, არა, მართლა ძალიან გალამაზდა!“

— Привет, красавчик, გმირი ქალაქი ლენინგრადი და ქალთა რაზმი ზემდეგ სალუქვაძის მეთაურობით მზად არის პატაკის ჩასაბარებლად!

გიამ ბუშტებს მომენტალურად ხელი გაუშვა და მარიკუნას „მამის მკვლელი“ სახით შეხედა.

— ჰო, კარგი, კარგი, თავიდანვე ვიცოდი, რომ შენ იყავი, — არ ტყდებოდა ბუნებით დიპლომატი გია, რომელსაც შარშან მარიკუნამ „გოგოების სახელით“ „კენზოს“ ოდეკოლონი აჩუქა, რომელიც სინამდვილეში უხარისხო ნავთი იყო... გიამაც მიიპკურა.

— ქეთ, ხომ არ იცი, მარიკუნა სად არის? — დავურეკე ქეთის.

— სახლშია, მგონი, თათას ყბაყურა აქვს და გიჟს ჰგავს, — მიპასუხა მთქნარებით ქეთიმ, — რამ გაგაღვიძა ასე ადრე?

— რავი, რაღაც საქმეები მაქვს, — ვუპასუხე მე და თან სიამოვნებით გამოვრიცხე „ჩემების“ მონაწილეობა რაიმე სახის „პროვოკაციაში“. ზაზუნას დამსგავსებული საცოდავი თათუკა კი ძალიან მეცოდებოდა, მაგრამ ის, რომ მარიკუნას ბატონების ფორმატში ახლა სულ არ ეშაყირებოდა, იმედს აჩენდა, რომ მე ნამდვილად ზაზა დარასელმა დამირეკა!

— ბე, მალე გამოდი, რა, — დავურეკე ბებია ნანას, — სასწრაფოდ უნდა გავიდე და სანდრო დაიტოვე, რა.

ნანა ენოხოვნა, როგორც ყოველთვის, პუნქტუალურად გაჩნდა დანიშნულების ადგილას.

მე ამასობაში წყალი გავაცხელე, გადავივლე და სველი თმით მანქანაში ჩავხტი, — არა უშავს, ახლა ღუმელს ჩავრთავ და უცებ გამიშრება, — ვინუგეშებდი თავს და თან მიხაროდა, რომ დედაჩემი ვერ მხედავდა ამ მდგომარეობაში. „მეც ახლა დალალები არ მეყაროს“, — გავიფიქრე და სარკეში პომადა წავისვი...

* * *

— შემოდი, შემოდი, — ისმოდა საიდანღაც ზაზას ხმა და ბოლოს ისიც გამოვიდა.

— როგორა ხარ, ჩაგრულო? — მკითხა ზაზამ და თვალი ჩამიკრა.

— ისე რა, ბატონო ზაზა, — მოვემზადე მე მავანთა დასაბეზღებლად.

— ვიცი, ვიცი, ყველაფერი კარგად ვიცი. მე და რუსუდანმა ვილაპარაკეთ და ვფიქრობ, „მეორე არხს“ ახლა სწორედ შენ სჭირდები. ბავშვის დატოვების პრობლემა ხომ არა გაქვს?

— არა, რას ამბობთ? ყველა მეხმარება, — ვპასუხობდი მე და თან გულში ზაზას მეუღლეს რუსუდანს ვლოცავდი. რა მაგარი უნდა იყო, რომ ქმარს არათუ არ დაუშალო ახალი, სიმპათიური მუშაკის აყვანა, არამედ ურჩიო კიდეც! სწორედ უზრდელ, უტაქტო, გაბღენძილ ცოლებს ეწირება ბევრი პერსპექტიული კადრი, არაფრის მაქნისი მეორე ნახევრები ისე ბლოკავენ სივრცეს მეუღლის ირგვლივ, რომ ხშირად რომელიმე სამსახურში მისული ფიქრობ, ეს სერიოზული დაწესებულებაა თუ მოქალურო, მანერული გეებისა და მომამაკაცო უსა-

ხური ქალების სააგენტო? ძლიერ ქალს არ სჭირდება ქმრის გარშემო ბოსხის გმირების სამჭედლო, ის დარწმუნებულია თავის სილამაზეში, ქალურობასა და თვითმყოფადობაში, მისი თავმოყვარეობა არასოდეს დასწევს თამასას ნამდვილი ქალისათვის აუცილებელ ზღვარზე დაბლა.

არ დავიღლები იმის მტკიცებით, რომ ყველაზე დიდი გამართლება ცხოვრებაში, კარგი უფროსია!

— ახლა ჩადი ქვემოთ, იქ რეჟისორი დათო ასათიანი გელოდება, მოერგე ახალ სტუდიას და შეუბერე ხვალიდან, შე რუსო, შენა!

ზაზას მოჭუტულთვალებიანი ღიმილი ყველაზე მეტყველი იყო, რაც მე ოდესმე მინახავს. თვალებთან ნაოჭები მოწმობდა მისი ხასიათის ერთ შესანიშნავ თავისებურებას, — ყველა ცხოვრებისეულ სირთულეს იუმორით ამსუბუქებდა. ტელევიზიის სლიპინა ზედაპირი, როგორც წესი, პრინციპულ ადამიანებს იოლად აცურებდა. წლობით შექმნილი მანკიერი სისტემა აქ მხოლოდ უსისხლო მოთამაშეებს ტოვებდა. ზაზა არ იყო მოთამაშე. მისი ამ მანკიერებასთან შეურიგებელი ნატურა ბევრ მტერს უჩენდა, მაგრამ ვერც ერთს სათქმელი ენის წვერამდეც კი ვერ მოჰქონდა. მარკესის თაყვანისმცემელი, თავადაც ღრმა ფილოსოფიისა და შეგნების მქონე ადამიანი, ყოველთვის ამა ქვეყნის ამაოებაზე მაღლა იდგა.

მისი მამობრივი ზრუნვა ისე ვრცელდებოდა მთელ კოლექტივზე, რომ აქ, „მეორე არხზე“ მოხვედრილები როგორც საკუთარ ოჯახში, ისე გრძნობდნენ თავს, და ცხადია, ამ სასათბურე პირობებიდან არავინ მიდიოდა ნებით. სამაგიეროდ, ზაზას გამუდმებით უწევდა თითოეული ჩვენგანის თანადგომა, ჭირსა თუ ლხინში, ქორწილებში თუ ნათლობებზე, დაბადების დღეებსა თუ სხვა დღესასწაულებზე. და ამ ყველაფერს მოთმინებით ხვდებოდა ზაზას კეთილშობილი, ფაიფურის თოჯინასავით ნაზი და ნატიფი რუსუდანი.

საინფორმაციოს წამყვანები, როგორც წესი, გოგოები ვიყავით, ამიტომ ჩვენი გაუთავებელი პრობლემები ზაზას, როგორც თავისი ნინოს ამბავი, ისე ადარდებდა.

— გეყოფათ ეთერში ჯდომა! რას სხივდებით? გადამრიეს ამ გოგოებმა, გააჩინეთ ეს ბავშვები და მოდით მერე, — ეჩხუბებოდა ზაზა ფეხმძიმე წამყვანებს.

მე არ დავიღლები იმის მტკიცებით, რომ ყველაზე დიდი გამართლება ცხოვრებაში, კარგი უფროსია! არა ოჯახის წევრი, არა მეუღლე, არა მეგობარი, არამედ უფროსი. შენზე ჭკვიანი, შენზე გამოცდილი და გამჭრიახი. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაქვს განვითარების შანსი, მხოლოდ მაშინ ირჩევ სწორ ვექტორს და მხოლოდ ასეთ დროს აღწევ პროფესიონალიზმის მწვერვალს. კარგი სპორტსმენი თავისი მწვრთნელის ლოგიკური გაგრძელებაა. შეიძლება გახდე ჩემპიონი, მაგრამ დაგღუპოს ამპარტავნობამ, შეიძლება დაიპყრო სიმაღლეები, მაგრამ სანუკვარ ოცნებაზე უარი თქვა. მხოლოდ ჭეშმარიტ პედაგოგს, მწვრთნელს თუ უფროსს აჰყავს თავისი შეგირდი მწვერვალამდე.

ხუთი წელი „მეორე არხზე“, ხუთი წელი უწყვეტი ბედნიერების, ჰარმონიისა და სიყვარულის. იცით ეს რამდენი ყოფილა? ზუსტად იმდენი, რომ აქ აკუმულირებული ენერგია მთელი ცხოვრება გაგყვეს და გაგათბოს. ისე, როგორც ათბობენ მარადისობაში გადასული ზაზას სულს მისგან დაღლილი საყვარელი ადამიანები...

...იმავე წლებში ბატონმა როინ მეტრეველმა მიმიწვია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსული ენის კათედრაზე უფროს პედაგოგად.

ჩემი ცხოვრება მუდმივად ამპლიტუდურია: ან ფრთაგაშლილი სიმაღლისაკენ გამალებით მივფრინავ, ან ასეთივე სიჩქარით მიწას ვენარცხები და რაც უფრო მაღლა ვარ აჭრილი, მით მეტად მტკივნეულად ვეცემი, მაგრამ, საბედნიეროდ, კატასავით ფეხებზე, და გაორმაგებული ძალით ვიწყებ ახალ ცხოვრებას.

ასეთი უცნაური ქართველები

მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველობა ტოლერანტი ერი იყო. ქართველს ჯერ არასოდეს შეურაცხუყვია სხვისი კულტურა, რწმენა და გრძნობები. ანტისემიტური და ანტიმუსლიმანური განწყობილება არასოდეს ქცეულა იარაღად პატარა მართლმადიდებელი ხალხის ხელში. ქართველები მსოფლიოს უძველეს ხალხთა რიცხვს მიეკუთვნებიან, მათ პოლიტიკური და კულტურული ევოლუციის საკმაოდ გრძელი და მძიმე გზა განვლეს. ქართული სახელმწიფოს მრავალეროვნულობა საუკუნეების განმავლობაში განვითარებული ისტორიული გარემოებებით, მიგრაციული პროცესებითა და ქართველთა ტოლერანტობით იყო განპირობებული.

ერთ ჭერქვეშ გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ: ქართველები, სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ოსები, ბერძნები, აფხაზები, უკრაინელები, ქურთები, ქართველი ებრაელები, ებრაელები, ბელორუსები, ასირიელები, თათრები და სხვანი.

თუკი დღევანდელ თბილისს თვალს გადავავლებთ, ერთ მოედანზე განლაგებულ სინაგოგას, მეჩეთსა და ეკლესიას დავინახავთ, ეს ჩვენი დიადი ისტორიის ანარეკლია. თანამედროვეობისკენ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ კი თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში სომხურ თეატრსა და აზერბაიჯანული კულტურის ცენტრს შევნიშნავთ, იქვეა არაერთი ებრაული საზოგადოება, ბოშური ანსამბლები და სხვა მრავალეროვანი ორგანიზაციები.

1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მე-4 საუკუნეში შეიქმნა, ხოლო ავტოკეფალიური მე-5 საუკუნეში გახდა;
2. სომხურ-გრიგორიანული მრევლი, რომელსაც ეჩმიაძინში (სომხეთი) დანიშნული ეპისკოპოსი მართავს;
3. იუდაისტური რელიგია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სინაგოგებით;
4. კათოლიკური ეკლესია;
5. მუსლიმანური (სუნიტური და შიიტური);

გარდა ამისა, სექტები: ბაპტის-

ტები, ორმოცდაათიანელები, ადვენტისტები, მოლოკნები, დუხობორები, იეღოველები და ა. შ.

მოსახლეობის უმრავლესობას ქრისტიანები შეადგენენ, რომლებსაც რაოდენობის მიხედვით მუსლიმანები და იუდეველები მოსდევენ. რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების მიუხედავად, სწორედ საქართველოს აქვს უფლება, თქვას, რომ აბსოლუტურად თავისუფალია ანტისემიტიზმისა და რასობრივი თუ რელიგიური დისკრიმინაციისაგან.

სიმბოლურია, რომ 1103 წელს, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე, დიდმა რეფორმატორმა დავით აღმაშენებელმა ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის აუცილებელი ღონისძიებები გაატარა: საეკლესიო რეფორმა, რომელიც ეკლესიას მეფის ხელისუფლებას უმორჩილებდა, და სამხედრო რეფორმა, რომელიც ჩრდილო კავკასიის მკვიდრთა საქართველოში გადმოსახლებას ითვალისწინებდა.

სწორედ ამ ხალხების ხარჯზე დაიწყო შიდა ქართლში ომების შედეგად შემცირებული მოსახლეობის შევსება. კერძოდ, იგულისხმება ამ ტერიტორიაზე სომხების, ოსების, აზერბაიჯანელების, აისორების, ქურთების, ბერძნების, უკრაინელებისა და რუსების დასახლება.

დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება აგრეთვე გორის ციხის ადგილას ქალაქის მშენებლობა და სომეხი ლტოლვილების გადმოსახლება.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ჰუმანიზმის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ მეფე ერეკლე მეორის საბუთი, რომელშიც ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს, რომელიც ვაჭრობას მისდევდა, ქართველი იქნებოდა, სომეხი, ფრანგი, თათარი თუ ებრაელი, შეეძლო, გაწვევის დროს ჯარში თავის ნაცვლად დაქირავებული კაცი გაეშვა. თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ვაჭრობასა და ხელოსნობას მეტწილად არაქართველები მისდევდნენ, ქართველი მეფის ტოლერანტობა ეთნიკური უმცირესობების მიმართ ცხადი გახდება.

საოცარია, მაგრამ ყველაზე ხშირად საქართველოში პრობლემები სწორედ ეთნიკურ ქართველებს ექმნებოდათ. მაგალითად, XX საუკუნეში, 1830 წელს თურქეთიდან თრიალეთში გადმოასახლეს ყოფილი ქართველი მოსახლეობა ასიმილირებული ჯერ ბერძნებთან, შემდეგ კი თურქებთან, რომლებისთვისაც უცხო იყო ქართული წეს-ჩვეულებებიცა და ენაც.

ეს პროცესი ასევე მტკივნეულად მიმდინარეობდა მესხეთ-ჯავახეთის ქართველ მოსახლეობაში, რამდენადაც წირვა-ლოცვა, საეკლესიო რიტუალები სომხურ ენაზე ტარდებოდა და არმენიზაციას უწყობდა ხელს. ამგვარი ასიმილაციის შედეგია აგრეთვე გაუგებრობა გვარების წარმომავლობაში. დღეს მრავალი გვარის ეტიმოლოგიის გარკვევა ძალზე ძნელია, ძირი შეიძლება ქართული იყოს, ხოლო სუფიქსი — სომხური ან ბერძნული: ვარლამოვი (ვარლამიშვილი, ლაზიდი — ლაზიშვილი).

შერეული ქორწინებების რაოდენობით საქართველო ყოველთვის ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო, ამიტომ ისტორიული ან გენეალოგიური ხის გამოკვლევას უმეტესად სომხური, ოსური, აზერბაიჯანული, რუსული, ებრაული ან ბერძნული გენოტიპის არსებობამდე მივყავართ. სწორედ გენეტიკურმა მრავალფეროვნებამ მისცა საქართველოს ამდენი ლამაზი და ნიჭიერი ადამიანი.

იმანუილ კანტი (1724-1804) წერდა: „კავკასიაში ნამყოფი ყველა ევროპელი მოგზაური ერთხმად აღიარებს კავკასიელი ხალხის სილამაზესა და მიმზიდველობას“.

კავკასია ევროპელი მკვლევრებისათვის ყოველთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საინტერესო რეგიონი იყო. რა ძნელი წარმოსადგენიც უნდა იყოს, ამერიკელი მკვლევრები ცდილობდნენ, პარალელი გაევლოთ დიდ აშშ-სა და პატარა თბილისს შორის, სადაც ასევე გვერდიგვერდ გაისმის სხვადასხვა ენა, ცხოვრობს სხვადასხვა ხალხი, უკრავენ სხვადასხვა მუსიკას, მიეკუთვნებიან სხვადასხვა კულტურას, არიან სხვადასხვა აღმსარებლობისა, მაგრამ ყველანი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ და საქართველოს მოქალაქეები არიან.

რა მაგარი უნდა იყო, რომ ქმარს არათუ არ დაუშალო ახალი, სიმპათიური მუშაკის აყვანა, არამედ ურჩიო კიდეც!

არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ მხოლოდ თბილისში დღეს, ისევე როგორც ადრე, 80 ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ. ქართული ისტორიული ტოლერანტობა დავით აღმაშენებელმა მრავალი საუკუნის წინ დაამტკიცა. თურქ-სელჩუკების ოთხსაუკუნოვანი ბატონობისაგან თბილისის გათავისუფლების შემდეგ, გამოიცა ბრძანება, რომლის თანახმად, ქართველ ქრისტიან მოსახლეობას მუსლიმანებით დასახლებულ კვარტალებში ღორების დაკვლა ეკრძალებოდა, რათა მათი რელიგიური გრძნობა არ შეურაცხეყოთ.

უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქვეყნის სახელმწიფო და პოლიტიკური ცხოვრების აღორძინების პერიოდშიც კი ქართველი ხალხი მუდამ მეგობრული და კეთილგანწყობილი იყო უფრო სუსტი და მცირერიცხოვანი ეთნოსის, უპირველესად, მეზობელი კავკასიელების მიმართ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართულ-ებრაული ურთიერთობა, რომელსაც 26-საუკუნოვანი ტრადიცია აქვს. როდესაც მეორე მსოფლიო ომში ფაშისტებმა მილიონობით ებრაელი გაჟლიტეს, სწორედ პირველი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მეთაურს, გასაბჭოების შემდეგ პარიზში ემიგრირებულ ნოე ჟორდანიას დაებადა მათი გადარჩენის იდეა. ემიგრაციაში მყოფ საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორთან, რესპუბლიკის დევნილ ფინანსთა მინისტრ კოწია კანდელაკსა და განათლების მინისტრ ნოე ცინცაძესთან ერთად მან ებრაულ გვარებს ქართული დაბოლოებები — „ძე“ და „შვილი“ დაამატა და ამით ათასობით ებრაელს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ასე რომ, პარიზში ქართველ ებრაელთა ხსნის ინიციატივის სათავეში საქართველოს ყოფილი მთავრობა იდგა, ხოლო საზღვარგარეთ გატანილ ეროვნულ განძს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად ერთგულად იცავდა ქართველი ებრაელი იოსებ ელიგულაშვილი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37, 2009
— №9, 2010

გოჩა მანველიძე

დღე დღეს მისდევდა. გავიდა კვირა, მეორე. გოგა ყოველ საღამოს რადიოსადგურთან ატარებდა, მაგრამ შრიალის, ტკაცუნისა და ზუზუნის მეტი არაფერი გაუგონია. გუდაუთაში გაგზავნილმა ბარათმა ადრესატამდე ვერ მიაღწია; ან მიაღწია, მაგრამ მას გოგასთან დაკავშირებით სურვილი არ აღმოაჩნდა.

— ალბათ გადაგვაგდო იმ აფხაზმა, — რადიოსადგურთან გატარებული მომდევნო საღამოს შემდეგ ივარაუდა გოგამ.

— არა, — თავი გაიქნია ერეკლემ, — ენვერი ასეთი კაცი არ არის. არ მომატყუებდა. წერილის გადაცემა რომ არ ნდომოდა, მაშინვე უარს მეტყოდა.

— მართალი ხარ, — კვერი დაუკრა სტავრომ, — ჩაჩბა პირდაპირი კაცია.

— მაშინ რატომ არ მიკავშირდება? — იკითხა გოგამ.

— რა გითხრა? — მხრები აიჩეჩა ერეკლემ. — რამდენ რამეს შეიძლება, შეეშალა ხელი? გუდაუთა ალყაშია. წარმოიდგინე, როგორ დაძაბულობაში უწევთ ცხოვრება იქ მყოფთ.

— არა... არა... რაღაც სხვა მიზეზია. არ მჯერა, რომ რიტამ წერილი მიიღო და ჩემთან დაკავშირება ვერ მოახერხა! — თქვა გოგამ.

— იქნებ არც უცდია?! — ჩაილაპარაკა სტავრომ.

გოგამ სწრაფად გახედა, მერე კი იატაკს მიაბჯინა მზერა და ყრუ ხმით ჩაილაპარაკა:

— ძალიან გაგაწვალეთ, ბიჭებო. აღარ ღირს ლოდინი. დავბრუნდეთ სოხუმში.

— ალალად მითხარი, გოგა, — მცირე ხნის შემდეგ თქვა ერეკლემ, — ნაღდად გჯერა, რომ ის გოგო შენთან დაკავშირებას მოინდომებდა?

— რატომ არ უნდა მოენდომებინა?

— მაგალითად, იმავე მიზეზით, რომლის გამოც მშობლებთან შეხვედრა არ მოინდომა!

— რატომ მეუბნები მაგას? — ჰკითხა გოგამ.

— არ მინდა, თბილისში გულგატეხილი დაბრუნდე. მცირე იმედიც თუ გაქვს, კიდევ დაველოდოთ.

გოგამ ცოტა ხანს იფიქრა და მერე უპასუხა:

— არა, სოხუმში დავბრუნდეთ!..

გაგრიდან სოხუმში გამგზავრება მხოლოდ ვერტმფრენით იყო შესაძლებელი, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო მათი ფრენის განრიგი არავინ იცოდა. ერთი დღის განმავლობაში, შესაძლოა, ვერტმფრენებს რამდენიმე რეისი შეესრულებინათ, შემდეგ კი რამდენიმე დღე ერთი ვერტმფრენიც კი არ გამოჩენილიყო. ამიტომაც სოხუმში გამგზავრების მსურველებს — საათების, ზოგიერთს კი დღეების გატარება უხდებოდა გაგრის სტადიონზე, სადაც ჯდებოდნენ ვერტმფრენები. თანაც ვერტმფრენის გამოჩენა, კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ გამგზავრების მსურველი მასში მოხვედრას მოახერხებდა. როგორც წესი, გამგზავრების მსურველთა რაოდენობა მის ტევადობას ბევრად აღემატებოდა. პირველ რიგში ვერტმფრენში ხვდებოდა ის, ვისი გამგზავრებაც აუცილებელი იყო — დაჭრილები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამხედროები. დარჩენილ ადგილებს ქალები და ბავშვები იკავებდნენ. მხოლოდ მათ შემდეგ უშვებდნენ ვერტმფრენში მამაკაცებს, რომლებსაც სოხუმში გამგზავრება სურდათ. ამის გამო სტადიონზე ხშირად ხდებოდა შეხლა-შემოხლა და ზოგჯერ ჩხუბიც. ყოველთვის გამოჩნდებოდა ვინმე, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა დადგენილ წესებს და ნებისმიერ ფასად ცდილობდა ვერტმფრენში მოხვედრას. მაშინ საქმეში გაგრის სამხედრო კომენდატურის წარმომადგენლები ერთვებოდნენ, რომლებიც სოხუმიდან ჩამოფრენილ ყოველ ვერტმფრენს ხვდებოდნენ და უკან აცილებდნენ, მაგრამ წესების დამრღვევის დაშოშმინება მათაც უჭირდათ.

ოქტომბრის იმ დღეს სტადიონზე ჩვეული ატმოსფერო სუფევდა. საფეხბურთო მოედანზე ასამდე ადამიანს მოეყარა თავი. მათ ნაწილს გამგზავრება სურდა, ნაწილი ახლობლების გასაცილებლად იყო მოსული. იქვე იმყოფებოდნენ გოგა, ერეკლე და სტავროც. მაგრამ მათ უკვე დაკარგული ჰქონდათ ვერტმფრენში მოხვედრის იმედი. იმ დღეს ორი რეისი შესრულდა, მაგრამ მათ მაინც ვერ შეძლეს სოხუმში გაფრენა — ვერტმფრენში ადგილი აღარ დარჩა. მეორე რეისი კინაღამ ვერტმფრენის ჩამოვარდნითაც კი დასრულდა. კომენდატურის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ხალხის შეკავება და საფრენი მანქანა თვალის დახამხამებაში გაივსო სოხუმში გამგზავრების მსურველებით.

— ხალხო, შეიგნეთ!.. — მთელი ხმით გაყვიროდა პოლოტი. — ოცდაათ მგზავრზე მეტის წაყვანა არ შემიძლია. სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებიათ?! თუ არ ჩახვალთ, ვერტმფრენი არ გაფრინდება!

პილოტის ყვირილს არავინ აქცევდა ყურადღებას. ვერტმფრენიდან არავინ აპირებდა ჩამოსვლას. ბოლოს პილოტს მოჰბეზრდა უშედეგო ჩხუბი და აფრენა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ძრავა მთელი ხმით გუგუნებდა, ხრახნი სწრაფად ბრუნავდა, ვერტმფრენი ზანზარებდა, მაგრამ მიწას მაინც ვერ მოსწყდა. რამდენიმე ცდის შემდეგ, პილოტმა ხრახნი დაბალ ბრუნვაზე გადაიყვანა და ისევ ყვირილი მორთო.

— ხალხო, ახლა მაინც ვერ დარწმუნდით, რომ ვერ გავფრინდებით?!

ამჯერად სალონში ხმაური ატყდა. მგზავრებმა თავად გადაწყვიტეს, ვინ უნდა გაფრენილიყო და ვინ — არა. მათი არჩევანი ორ ასაკოვან მამაკაცზე შეჩერდა. ისინი სასწრაფოდ გადმოსხეს ვერტმფრენიდან, მაგრამ პილოტმა ამის შემდეგაც ვერ შეძლო გაფრენა. იგივე კიდევ სამჯერ განმეორდა. პილოტი მონდომებით ცდილობდა აფრენას და როცა ეს არ გამოსდიოდა, მგზავრები ვერტმფრენიდან ვინმეს აძევებდნენ. საბოლოოდ ვერტმფრენი მიწას მოსწყდა და მძიმედ აფრინდა სტადიონის თავზე. უკვე საკმაო სიმაღლეზე იმყოფებოდა, როცა მოულოდნელად ისევ მიწისკენ დაქანდა. ამის მნახველ ადამიანებს შიშის შეძახილები აღმოხდათ. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ვერტმფრენს გადარჩენა აღარ ეწერა, მაგრამ უკანასკნელ წამს პილოტმა მაინც შეძლო მანქანის დამორჩილება. ვერტმფრენი გვერდზე გადაიხარა, ჰაერში რკალი მოხაზა და ზღვისკენ გაფრინდა.

— გამგზავრება გადაიდო, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა სტავრომ, როგორც კი ვერტმფრენი თვალს მიეფარა, — დღეს მეტი რეისი აღარ იქნება და რომც იყოს, ვერტმფრენში ცხვირსაც არ შეგვაყოფინებენ.

— მაშინ რას ელოდება ეს ხალხი? — სტადიონზე გაფანტულ მგზავრებს გახედა გოგამ.

— გავარკვევ, — უპასუხა ერეკლემ და

მგზავრების უახლოეს ჯგუფს მიაშურა.

ცოტა ხანში ერეკლე კმაყოფილი სახით დაბრუნდა უკან.

— ნუ პანიკობთ. დღეს კიდევ მოფრინდება ვერტმფრენი.

— რომც მოფრინდეს, ამ ქალებსა და ბავშვებს თავზე ხომ არ გადავახტებით, — სტავრომ უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— რამე უნდა ვიჩალიჩოთ, — თქვა ერეკლემ.

— რა? — გახედა გოგამ.

ვიდრე ერეკლე გამოსავალს მოიფიქრებდა, სტადიონთან გაგრის მოხალისეთა ბატალიონის „უაზი“ გაჩერდა. მანქანიდან ცოტნე გადმოვიდა და მათკენ გამოიქცა.

— ესეც გამოსავალი, — გაიხარა ერეკლემ, — ცოტნე კომენდატურასთან ჩაგვიწყობს საქმეს.

ამასობაში ცოტნე მათ პირისპირ ქოშინით შედგა.

— კარგ დროს მოხვედი, — კმაყოფილი სახით უთხრა ერეკლემ.

— ჰო, კიდევ კარგი, დროზე მოგისწარით.

— რა მოხდა? — სტავრომ მაშინვე შენიშნა, რომ ცოტნე ღელავდა.

— ახლა მოვდივარ კომენდატურიდან. შტაბმა ბრძანება გასცა, რომ გაგრიდან არც ერთი სამხედრო არ გაუშვან!

— რატომ?

— აფხაზებმა „კრასნი კრესტი“ აიღეს და კოლხიდას შეუტიეს.

— ეგ ადრეც მომხდარა, — უდარდელად თქვა სტავრომ.

— არა, ახლა რაღაც სერიოზული ხდება. სოხუმში არავის გაუშვებენ. აქეთ ითხოვეს დახმარება. ჩვენი ბიჭები უკვე პოზიციებზე არიან. ამბობენ, კოლხიდასთან ძალიან მძიმე ბრძოლა მიმდინარეობსო, — განაგრძო ცოტნემ.

— შენ როგორ მოხვდი აქ? — ჰკითხა ერეკლემ. — ჩვენი გულისთვის მოხვედი?

— არა. სოხუმიდან ტყვია-წამალი უნდა ჩამოვიდეს.

— კოლხიდის საწყობი უკვე დაიცალა?! — გაუკვირდა ერეკლეს.

— არა... საწყობიდან ტყვია-წამალი ვეღარ გამოაქვთ, — ყრუდ ჩაილაპარაკა ცოტნემ.

— რატომ?

— აფხაზები ღრმად არიან შემოსულები. ყველა ბილიკი იცხრილება. ტყვია-წამალი კი არა, კოლხიდიდან დაჭრილებიც ვეღარ გამოგვყავს.

— ბატალიონის სამყოფ ტყვია-წამალს აქ როგორ მიიღებ? — ჰკითხა სტავრომ.

— რასაც მივიღებ, მივიღებ. ახლა ერთ და ორ ყუთსაც მნიშვნელობა აქვს. მანქანას დავტვირთავ და პირდაპირ პოზიციებზე გავუტან ბიჭებს. თქვენც ჩემთან ერთად წამოხვალთ. აქ დარჩენას აზრი არა აქვს — ვერტმფრენში მაინც არ აგიშვებენ. კომენდატურამ ბრძანება მიიღო: ვინც ძალით დააპირებს ვერტმფრენში ასვლას, განაიარაღებენ და დააპატიმრებენ!..

— ესე იგი, სერიოზული ამბავია?

— ძალიან... გაგრაზე ასეთი შეტევა ჯერ არ ყოფილა. „კრასნი კრესტი“ ნახევარ საათში აიღეს, — უპასუხა ცოტნემ.

— იქ ლესელიძის ბატალიონი იდგა, — თქვა ერეკლემ.

— იდგა და ის ხალხი აღარავის უნახავს. არავინ იცის, ცოცხლები არიან თუ დაიღუპნენ.

— შტაბში რა ხდება? — ჰკითხა სტავრომ.

ცოტნემ აქეთ-იქით მიმოიხედა, მერე წინ გადაიხარა და ხმადაბლა უპასუხა, რათა მისი სიტყვები სხვას არავის მოესმინა:

— შტაბში „პოლნი ბარდაკია“. ისეთი რამ მოვისმინე, რომ საკუთარ ყურებს არ დავუჯერე. თავიდან იმედიანად იყვნენ: გაგრაში 3 ათასი კაცი გვყავს და აფხაზები ფეხებსაც ვერ მოგვჭამენო!.. მაგრამ მერე გაირკვა, რომ ის 3 ათასი კაცი მარტო ქაღალდზე არსებობს.

— რამდენია რეალურად? — მოიღრუბლა ერეკლე.

— ზუსტად თვითონაც არ იციან. ოთხასიდან ხუთას კაცამდე თუ იქნება. თანაც შტაბში ისეთი არეულობაა, რომ თვითონაც ვერ გაურკვევიათ, რომელი ნაწილი სად დგას და რას აკეთებს.

— რა ვქნათ? — სტავროს ჰკითხა ერეკლემ.

— რა უნდა ვქნათ? კაცმა გასაგებად თქვა, ვერ გაფრინდებითო და აქ ხომ არ დაველოდები აფხაზებს?! ვიდრე მაგათ უკან არ გავაბრუნებთ, გაგრიდან ფეხს არ მოგვაცვლევინებენ!

— ჰო, მაგრამ... — გოგას გახედა ერეკლემ. — ამას რა ვუყოთ?

— რა უნდა მიყოთ?.. ჩემი გულისთვის არავინ გამოგზავნის ვერტმფრენს.

— რამდენ ხანში ჩამოვა ტყვია-წამალი?

— წუთი-წუთზე ელოდებიან, — უპასუხა ცოტნემ.

— კარგი, დაველოდოთ. იქნებ გოგას გაგზავნა მაინც მოვახერხოთ. ეგ ხომ სამხედრო არ არის და ვინ დაავალდებულებს აქ დარჩენას?! — თქვა ერეკლემ და სიგარეტს მოუკიდა.

გაგრის მოსახლეობამ სწრაფად იგრძნო მოახლოებული საფრთხე და სტადიონზეც სწრაფად მოიმატა გამგზავრების მსურველთა რაოდენობამ. ვერტმფრენის მოლოდინში ადამიანები მოუთმენლად შესცქეროდნენ ცას. ამასობაში სტადიონზე კომენდატურის წარმომადგენლები გამოჩნდნენ. ეს კი ვერტმფრენის მოახლოების უტყუარი ნიშანი იყო. ამის დანახვაზე მგზავრებმა ჩანთები აიღეს და დასაშვები მოედნისკენ დაიძრნენ.

კომენდატურის თანამშრომლებმა მოახლოებისთანავე შენიშნეს გოგა და მისი მეგობრები, მაშინვე მათკენ წამოვიდნენ და ჰკითხეს, — ვინ ხართ და აქ რას აკეთებთო?

— გაგრის ბატალიონიდან ვართ, — უპასუხა ცოტნემ, — ვერტმფრენს ველოდებით. ტყვია-წამალი უნდა მივიღო.

— ტყვია-წამლის მიღებას 4 კაცი არ სჭირდება, — უკმაყოფილოდ შენიშნეს კომენდატურის წარმომადგენლებმა.

— თან, ჩვენს მეგობარს ვაცილებთ, — ჩაურთო ერეკლემ.

— თუ ოთხივე იპარებით?!. — ცივად მიუგო ერთ-ერთმა.

— წესიერად ილაპარაკე, ბიჭო! — შეუბღვირა ერეკლემ.

— რა არის?.. რამე არ მოგწონს?! — ახლოს მოიწიეს კომენდატურის თანამშრომლებმა.

— თქვენ გასაგებად გითხრეს, ვინც ვართ და რატომაც ვართ აქ! — განაგრძო ერეკლემ.

— შენც გაგრის ბატალიონიდან ხარ? — ჰკითხეს გოგას.

— არა... თბილისელი კაცია და სახლში ბრუნდება, — გოგას მაგივრად უპასუხა სტავრომ.

— ითესებიან ახვრები, — ღვარძლით ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა, — საშოვარზე პირველები გამორბოდნენ, ახლა საქმე გატრაკდა და ერთმანეთს ასწრებენ გაგრიდან!..

— თბილისი მოგენატრა, ბიჭო?! — დაამატა მეორემ. — ყველამ თუ სახლებში დაახვია, აქ ვინ იომებს?!

— შენ რას აკეთებ აქ?.. თუ შენთვის ფრონტის ხაზი ვერტმფრენსა და ამ ხალხს შორის გადის?! — ერეკლემ მგზავრებზე მიანიშნა.

— აზრზე მოდი, ბიჭო! — ბრაზით წამოიძახა კომენდატურის წარმომადგენელმა და ავტომატი მოზიდა.

ერეკლემ ხელი აუკრა იარაღზე და თავითონაც მოიმარჯვა ავტომატი. იგივე მოიმოქმედა სტავრომაც — ელვის სისწრაფით გახტა უკან და კომენდატურის წარმომადგენლები მიზანში ამოიღო. ცოტნე კი მოჩხუბართა შორის ჩადგა, ხელები ასწია და დაიყვირა:

— დაწყნარდით!.. არავინ მიქაროს, თორემ საკუთარი ხელით გავუხვრეტ შუბლს!

— რას აკეთებთ?! თქვენ ხომ არ უბერავთ?! — აქეთ-იქიდან აყვირდნენ სტადიონზე





მყოფი სამხედროები. — ეგღა გვაკლია, ერთმანეთს დავერიოთ!

— დაუშვით იარაღი! — მკაცრად თქვა ერეკლემ.

— ჯერ თქვენ დაუშვით! — მოითხოვეს კომენდატურის წარმომადგენლებმა.

— რას ბავშვობთ?! — მოახლოებული სამხედროები ჩაერივნენ დავაში. — მოაშორეთ იარაღი!

ვინ იცის, რით დამთავრდებოდა დავა, ვერტმფრენები რომ არა: სწორედ ამ დროს ზღვის მხრიდან ორი ვერტმფრენი გამოჩნდა. მათ დანახვაზე კომენდატურის თანამშრომლები შებრუნდნენ და დასაშვები მოედანისკენ გაიქცნენ.

ერეკლემ უკმაყოფილო მზერით გააცილა კომენდატურის წარმომადგენლები. მერე ავტომატი მხარზე მოიგდო, გოგას მიუბრუნდა და უთხრა:

— მგონი, შენი გამგზავრება გადაიდო. კომენდატურის ხალხი ვერტმფრენს ახლოსაც აღარ მიგაკარებს!

— მართლებიც იქნებიან: ვერ ხედავ, რა ხდება?! — გოგამ დასაშვებ მოედანს შემოხვეულ მგზავრებზე მიანიშნა, რომელთა შორის უმრავლესობა ქალი იყო. — მათგან ნახევარიც ვერ მოახერხებს გამგზავრებას!

ამასობაში ვერტმფრენები სტადიონზე დაეშვნენ. პილოტები ჩქარობდნენ. ძრავები არც კი გაუთიშავთ. ვერტმფრენიდან სწრაფად გადმოვიდნენ სოხუმიდან ჩამოსული მებრძოლები, გადმოცალეს ტყვია-წამლის ყუთები. ყველაფერი არეულად, უწესრიგოდ ხდებოდა. სოხუმიდან ჩამოსული მებრძოლები იქ მყოფ სამხედროებს შეუერთდნენ და მალევე დატოვეს სტადიონი. ტყვია-წამლის ყუთები კი დაუდევრად მიყარეს ასაფრენი მოედნის ნაპირთან. ცოტნე მაშინვე იქით გაიქცა, ბატალიონისთვის საჭირო მარაგი რომ მიეღო. ერეკლე, სტავრო და გოგა მას მიჰყვნენ.

ყუთებს შემოხვეული სამხედროები გააფთრებულები კამათობდნენ. ყველა პირველ რიგში მოხვედრასა და რაც შეიძლება მეტი ტყვია-წამლის მიღებას ცდილობდა.

— რა დროს სია და განაწილებაა?! — ყვიროდა წვეროსანი ახალგაზრდა. — კოლხიდაში ბიჭებს თითო „რაჟოკი“ ექნებათ დარჩენილი!

— დროზე გამიშვით! ტყვია-წამალი თუ არ ჩავიტანე, ქვით ხომ არ მოიგერიებენ აფხაზებს! — გაიძახოდა მეორე.

— რა არის ეს?! ამათი დედაც!.. რაზე ფიქრობდნენ ის სირები, „ბმპ“-ორის „სნარიადებს“ რომ გვიგზავნიდნენ! ჩვენ არც ერთი „დვოიკა“ არ გვყავს! — მოღუშული დასცქეროდა ერთ-ერთი მებრძოლი ჭურვებით სავსე ყუთს.

— ეტყობა, ჩქარობდნენ და შემთხვევით გამოგზავნეს, — ივარაუდა სხვამ.

— რა მოუვიდათ შემთხვევით?! — ყვირილით განაგრძო მებრძოლმა. — სოხუმთან ვიღაცას „სნარიადები“ დააკლეს და აქ ის გამოგვიგზავნეს, რაც არაფერში გამოგვადგება.

ამასობაში ცოტნე მებრძოლთა ჯგუფს მიუახლოვდა და ტყვია-წამალი მოითხოვა.

— რომელი ნაწილიდან ხარ? — ჰკითხეს მას.

— გაგრის ბატალიონიდან.

— აი, ის ყუთები აიღე, — მიანიშნეს მებრძოლებმა.

ცოტნემ სწრაფად გადათვალა მისთვის გამოყოფილი ყუთები და გაკვირვებული მიუბრუნდა მებრძოლებს.

— ხუთი ყუთი ავტომატის ტყვია ვის ეყოფა?! ომში მიმაქვს, სანადიროდ კი არა!

— მაგაზეც მადლობელი იყავი. გადახედე, რამდენი ელოდება ტყვია-წამალს. 4-5 ყუთზე მეტი არავის შეხვდება!

— „გრანატამიოტის“ „სნარიადები“?.. „ლიმონკები“?! — განაგრძო ცოტნემ.

— ორ ყუთ „სნარიადებსაც“ მოგცემთ, სხვას — ვერაფერს. გაიგე, ძმაო, ყველას გვიჭირს!

ცოტნემ უღონოდ ჩაიქნია ხელი და მეგობრებს ანიშნა, ყუთების დატვირთვაში მომეხმარეთო.

გაგრის მისადგომებთან სრული ქაოსი სუფევდა. აფხაზების მოულოდნელმა და სწრაფმა იერიშმა ქართულ ქვედანაყოფებს შორის კავშირი მოშალა. მცირე ნაწილებად დაშლილი ქვედანაყოფები ერთმანეთთან შეუთანხმებლად მოქმედებდნენ. არავინ იცოდა, სად იყო მოწინააღმდეგე და სად — თანამებრძოლები. კოლხიდა და გაგრის მისადგომები მთლიანად ცეცხლის ალში იყო გახვეული. ყოველი მხრიდან ისმოდა სროლის ხმა. ტყვიები წუილით კვეთდა სივრცეს, ფეთქდებოდა ყუმბარები. ყველაზე ინტენსიურად გზატკეცილი იცხრილებოდა. ეს აფხაზების ნაცადი ტაქტიკა იყო: გზატკეცილის გაკონტროლებით, ისინი ქართულ ქვედანაყოფებს გაგრასთან კავშირს უწყვეტდნენ; ამის შედეგად ქართული მხარე მებრძოლების მომარაგების, პოზიციებზე დამატებითი ძალების იქ გაგზავნისა და დაჭრილების საავადმყოფოში გადაყვანის შესაძლებლობას კარგავდა. თუმცა ამჯერად აფხაზები ცეცხლის ქვეშ მხოლოდ გზატკეცილის მოქცევით აღარ დაკმაყოფილდნენ. მთის ფერდობებიდან დაეშვნენ, გზატკეცილი დაიკავეს და პოზიციებზე მყოფ ქართულ ქვედანაყოფებს ზურგიდან გაუხსნეს ცეცხლი. ამის შედეგად დაიკარგა კოლხიდა. ქართულმა ქვედანაყოფებმა უწესრიგოდ დატოვეს დაბა და გაგრის მისადგომებთან გამაგრდნენ.

ქალაქის გარეუბანში ცოტნეს მანქანას ქართველმა მებრძოლებმა გადაუღობეს გზა. ცოტნემ სიჩქარეს უკლო და ფანჯრიდანვე დაიძახა:

— რა გინდათ, ბიჭებო? მეჩქარება, კოლხიდაში ჩემი ხალხი მელოდება!

— კოლხიდაში აფხაზები არიან. ტრასასაც ისინი აკონტროლებენ! — უპასუხეს მებრძოლებმა. — მანქანა უკან დახიე — ზემოდან „გრანატამიოტჩიკები“ მუშაობენ!

ცოტნემ ოდნავ უკან დახია მანქანა და ერეკლესა და სტავროსთან ერთად დაბრუნდა მებრძოლებთან, რომლებიც გზის პირას იდგნენ. მათი ნაწილი ავტომატის მჭიდებს სწრაფად ავსებდა ვაზნებით, ნაწილი წინ წაწეულიყო და ყურადღებით აკვირდებოდა ვრცელ მოედანსა და უნივერმაღის შენობას, რომელიც ასიოდე მეტრში მოჩანდა. მოედნიდან გადიოდა გზატკეცილი, რომელიც უკვე აფხაზებს დაეკავებინათ. მოედანსა და გზატკეცილზე რამდენიმე მანქანა იწვოდა. მოშორებით მოჩანდა თხრილში გადაყუდებული ავტობუსი.

— ვინმემ იცის, რა ხდება? — მებრძოლებს ჰკითხა ცოტნემ.

— აფხაზებმა კოლხიდა აიღეს. ჩვენი ბიჭები მცირე ჯგუფებად იხევენ უკან. კოლხიდიდან გამოსული და გაგრაში მოგროვებული ხალხი აქ იყრის თავს, — უპასუხეს მებრძოლებმა.

— რისთვის?

— აზრზე არ ვართ. შეიძლება, აქ დავიკავოთ პოზიცია. შეიძლება, ისევ შევიდეთ კოლხიდაში.

— მოედნის დათმობა არ შეიძლება! — თქვა ერეკლემ. — ღია ადგილია. აფხაზები ტრასის გაყოლებაზე თუ ჩასხდნენ, კოლხიდისკენ არავის გაატარებენ და იქიდანაც ვეღარავინ გამოაღწევს!

— ჩვენ რა შეგვიძლია?.. შეხედე, ოცი თუ ოცდახუთი კაცია. ბევრი ერთმანეთს არც კი იცნობს.

— რა ხალხია? — იკითხა ერეკლემ.

— სხვადასხვა ფორმირებიდან არიან. ზოგი ისვენებდა, ზოგი თავის საქმეზე იყო გაგრაში ჩამოსული, როცა შეტევა დაიწყო... შტაბმა ყველა აქეთ გამოგზავნა: უნივერმაღთან მოგროვდით და ბრძანებას დაელოდეთო. ალბათ მალე თვითონაც გამოჩნდებიან.

— ბიჭებო, აქეთ წამოდით. მანქანაში

ტყვია-წამალი მაქვს! — გასძახა ცოტნემ მებრძოლებს.

ისინი მაშინვე მისკენ წამოვიდნენ. ცოტნემ ტროტუარზე გადმოალაგა ყუთები, გახსნა და ავტომატის ვაზნების დარიგებას შეუდგა.

ამასობაში სტავრომ გვერდზე გაიხმო ერეკლე და ხმადაბლა ჰკითხა: გოგას რა ვუყოთო?

— რა უნდა ვუყოთ? — მხრები აიჩეჩა ერეკლემ. — სანატორიუმში გავაბრუნებდი, მაგრამ არ წავა. რომც წავიდეს, მისი ნდობა არ შეიძლება. მირჩევნია, აქ იყოს, ჩვენ გვერდით, ვიდრე სხვა „სასტავს“ გამოჰყვეს.

— რაზე ჩურჩულებთ? — გოგას არ გამოჰპარვია მათი ლაპარაკი.

— შენზე, — უპასუხა ერეკლემ. მერე კი ცოტნეს „უაზიდან“ ავტომატი და სათადარიგო მჭიდები გადმოიღო, გოგას მისცა და დაამატა: — ამას ერთი პირობით გაძლევ — რაც უნდა მოხდეს, მე და სტავროს არ მოგვშორდე. წინ წავალთ თუ უკან, ყოველთვის ჩვენ გვერდით იქნები!..

მაღლა ავარდნილი ცეცხლის ალი, კვამლის ღრუბლები, სროლისა და აფეთქებების ხმა იმაზე მიუთითებდა, რომ კოლხიდაში გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. მაგრამ უნივერმაღის სიახლოვეს შეკრებილ ქართველ მეომრებს არაფრით შეეძლოთ თანამებრძოლთა დახმარება. არავინ იცოდა, სად გადიოდა ამჟამად ფრონტის ხაზი და რომელ უბანზე იყო საჭირო დამხმარე ძალის გაგზავნა. თუმცა, რომც სცოდნოდათ, 50-ოდე მებრძოლს მაინც არ შეეძლო აფხაზთა იერიშის შეჩერება.

ვითარება არც შტაბის ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ გაირკვა. ხელმძღვანელობა დაბნეული ჩანდა. ოფიცრები აქეთ-იქით მიმორბოდნენ და ნაუცბადევად შეგროვილ ასიოდე მებრძოლს კოლხიდისკენ დაძვრას უბრძანებდნენ. ამასობაში კი კოლხიდიდან უკუქცეულმა სამხედროებმა დაიწყეს გამოსვლა. მებრძოლები მოდიოდნენ ცალ-ცალკე, მცირე და დიდ ჯგუფებად. თან მოჰყავდათ დაჭრილებიც. ჯარისკაცების თქმით, კოლხიდა უკვე დაკარგული იყო და აფხაზებს გაგრის შემოსასვლელამდე ორასიოდე მეტრი თუ აშორებდათ.

— რას ბოდავ?! — ბრაზით წამოიძახა შტაბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. — ხმა მაინც არ გესმის?! ბრძოლა კოლხიდის იქითაა!

— პოზიციებზე რამდენიმე ჯგუფი ჩარჩა. აფხაზები კი უკვე იქ დგანან, — ჯარისკაცმა ბაღებში ჩაფლული სახლებისკენ გაიშვირა ხელი.

— საიდან შემოვიდნენ კოლხიდაში — ტრასის მხრიდან თუ სანაპიროდან? — განაგრძო შტაბის წარმომადგენელმა.

— აზრზე არა ვარ. ყველა მზრიდან შემოგვესივნენ. რამდენიმე ათასი იქნებიან. აფხაზები, ჩრდილოკავკასიელები, რუსები...

— კაზაკები?

— ჰო, კაზაკები.

— ბიჭებო!.. — გარს შემოხვეულ მებრძოლებს მიუბრუნდა შტაბის წარმომადგენელი. — პოზიცია უნდა დავიკავოთ. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ის ნაბიჭვრები უნდა შევაჩეროთ. ახლა მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რომელი ფორმირებიდან არის. ვრჩებით აქ, ვიდრე სოხუმიდან მაშველი ძალა არ ჩამოვა!

— ნაღდად ჩამოვა? — აქეთ-იქიდან იკითხეს ჯარისკაცებმა.

— უეჭველად. ცოტა ხნის წინ ველაპარაკე სოხუმს. ხალხი უკვე მზადაა. ერთ ან ორ საათში ვერტმფრენებით გადმოისვრიან. ახლა დაიშალეთ და თქვენთქვენი მეთაურების ბრძანებას დაელოდეთ, — თქვა შტაბის წარმომადგენელმა და მეთაურები ცალკე იხმო.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ, გაგრის დამცველთა მცირერიცხოვანი რაზმები პოზიციებზე განაწილდნენ. ერეკლე, გოგა, სტავრო და ცოტნე გაგრელ მოხალისეებს შეუერთდნენ, რომლებიც ცოტა ხნის წინ გამოვიდნენ კოლხიდიდან. შტაბის ხელმძღვანელობამ მათ რაზმს მოედნის მარცხენა მხარეს მიუჩინა ადგილი.

სროლის ხმამ იკლო. მოგვიანებით კი თითქმის შეწყდა. პოზიციებზე გამაგრებულ მებრძოლებს მხოლოდ კანტიკუნტი გასროლის ხმა თუ ჩაესმოდათ, მაგრამ ეს არავის ახარებდა. ბრძოლის შეწყვეტა იმას მოასწავებდა, რომ აფხაზებმა კოლხიდაში დარჩენილი ქართველი მებრძოლების წინააღმდეგობა დასძლიეს და ახლა გაგრისკენ მოემართებოდნენ.

— ახლა დაიწყება. ეგენი ჩვენსავით არ ომობენ... კოლხიდის აღების შემდეგ არ შეჩერდებიან და სულის მოთქმის საშუალებას არ მოგვცემენ. პირდაპირ შემოგვიტევენ, — ჩაილაპარაკა ერეკლემ და სიგარეტის ნამწვი შორს მოისროლა.

ამის თქმა იყო და, ქართულ პოზიციებს ტყვიისა და ყუმბარების ნიაღვარი დაატყდა თავს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სიკვდილის სოლისტი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“,
№ 51, 2009 - №9, 2010

ამის გაგონებაზე ლოყები გამიხურდა.

— არ მესმის, რისი თქმა გინდა, — ვთქვი და საკუთარი ხმა ვერ ვიცანი, გულმა გამალებით დამიწყო ცემა.

— რას მელაპარაკები! — მრავლისმთქმელად აზიდა ცალი წარბი კახიმ. — ხომ არ ჯობია, ორივენი სააბაზანოში შევიდეთ და ერთად მივიღოთ შხაპი? იქ ყველაფერს გასაგებად აგიხსნი... კიდევ ერთ ოჯახურ საიდუმლოს გაგიმხელ, — სარკასტული ტონით გააგრძელა, — ან იქნებ, იმის გეშინია, რომ შენი დიქტოფონი წყლის ჭავლის ქვეშ არ ჩაიწერს ჩვენს საუბარს? და კიდევ ერთი: თუ ფანჯარას ღიას არ დავტოვებთ, შენს მეგობარს არ მიეცემა საშუალება, პაპარაცული ფოტოები გადაიღოს.

იმწუთას მომეჩვენა, თითქოს ისევ იახტაზე ვიყავით და ჩემს ფეხებქვეშ იატაკი ქანაობდა. ვიგრძენი, როგორ წამივიდა ფერი, ცოტაც და გონებას დავკარგავდი.

— ესე იგი, ყველაფერი იცი, — ჩურჩულით წარმოვთქვი.

— რა თქმა უნდა, ვიცი, აბა, რა გეგონა?! — მწარედ ჩაიცინა მამაკაცმა და ჯინსის შარვლის შეხსნა დაიწყო, — აბა? რა გადაწყვიტე? შემომიერთდები? თუ ახალშექმნილი მდგომარეობა ხელს გიშლის გადაწყვეტილების მიღებაში?

— იცი... შენ არ გესმის...

— მართლა? — დამცინავად შემაწყვეტინა. — მგონი, პირიქით, ყველაფერი დღესავით ნათელია. მოსვლის დღიდანვე გქონდა დაგეგმილი, როგორ მოქცეულიყავი. ითამაშებდი საბედისწერო ქალის როლს, მოაგროვებდი საჭირო ინფორმაციას, შენი მეგობარი კი სურათებს გადაიღებდა. მერე? რას აპირებდი მერე? ამ ყველაფერს შენს ჭორიკანა გაზეთში გამოაქვეყნებდი? საინტერესოა, რას მეტყოდი, როცა ყოველივე ამის შემდეგ შემხვდებოდი? ალბათ ნერვიც არ აგიტოკდებოდა. ჟურნალისტები ხომ უპასუხისმგებლო ხალხი ხართ, სინდისი არ მოგეკითხებათ.

გაქვავებული ხმას ვერ ვიღებდი. ან კი რა უნდა მეპასუხა? ის მართალი იყო. სწორედ ეს მქონდა განზრახული, როცა მისი სახლის ზღურბლს პირველად გადავაბიჯე. მერე შეიცვალა ყველაფერი, მაგრამ როგორ მემართლებინა თავი? როგორ დამეჯერებინა კახი, რომ ახლა ასე არ ვფიქრობდი?

— გამოდის, შენ ჩემი და თემურის საუბარი მოისმინე, არა?

— თავიდან ბოლომდე არა, რაღაც ნაწილი, მაგრამ ბევრი რამ მანამდეც ვიცოდი. უფრო ადრე გავიგე ყველაფერი, ვიდრე შენ გგონია, — ძალიან მშვიდი ხმით მცემდა პასუხს მამაკაცი, რაც უარესად მოქმედებდა ჩემზე. მერჩივნა ეყვირა, ვიდრე ასე აუღელვებლად ელაპარაკა.

— უფრო ადრე? როდის ადრე?

— დაახლოებით ათი წუთის შემდეგ, როგორც კი ჩემს სახლში ფეხი შემოდგი.

კახი წამოდგა, საწოლის გვერდზე მდებარე ტუმბოს უჯრა გამოაღო, ნაცრისფერი საქაღალდე ამოიღო და საწოლზე ისროლა. თაბახის ფურცლები იატაკზე მიმოიფანტა. დავიხარე და რამდენიმე ცალი ავიღე. როცა ნაწერს თვალი შევავლე, გაოცებისგან ოხვრა აღმომხდა.

აქ მთელი ჩემი ბიოგრაფია ეწერა. იმ სკოლის მისამართი, რომელიც დავამთავრე, სახლის და მობილურის ტელეფონის ნომრები, ჩემი მშობლების სახელები და გვარები, პროფესიები, ყველა ორგანიზაცია, სადაც მიმუშავია, დახასიათებებიც კი, რომელიც კი რომელიმე რედაქციიდან ოდესმე გამოუტანებიათ...

კვლავ დავიხარე და დანარჩენი თაბახები მოვხვეტე. მწარედ ჩამეცინა. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში თუკი რამე სტატია გამომიქვეყნებია, თითქმის ყველას ასლი აქ იყო, მათ შორის ის „ფუნდამენტური ნაშრომიც“, ბავშვის მოვლის თაობაზე.

— კეთილსინდისიერად ჩაგიტარებია გამოძიება, ვერაფერს ვიტყვი, — წელში გავიმართე და საყვედურით სავსე მზერა მივაპყარი.

— რა თქმა უნდა, — უშფოთველად დამეთანხმა კახი, — ნუკის აღზრდას პირველსავე შემხვედრს ვერ მივანდობდი. უნდა მცოდნოდა, რამდენად შეიძლებოდა შენი ნდობა.

— მაგრამ მე ხომ სააგენტომ გამომგზავნა? ყოველ შემთხვევაში, შენ ასე იცოდი. რატომ შეგეპარა ეჭვი? საიდან მოაგროვე ინფორმაცია? — გაოგნებულმა მივაყარე კითხვები.

— გადავიხადე და მივიღე, — მსუბუქად გაიღიმა, — თუ სოლიდურ თანხას გადაიხდი, რასაც გინდა, იმას გაიგებ. ეს ყველაფერი, შენი მოსვლიდან ერთ საათში ფაქსით გამომიგზავნეს. განსაკუთრებით ის დამეხმარა, რომ შენ შენი ნამდვილი სახელი და გვარი არ დაგიმალავს. ამან გამიადვილა ინფორმაციის მოპოვება. ჯერ სააგენტოში დავრეკე და გავიგე, რომ არავითარი ქეთი კანდელაკი მათთან არ მუშაობდა და არც არასდროს უმუშავია. მერე ამ სახელსა და გვარზე დავიწყე მასალების მოძიება. წამში გავარკვიე ყველაფერი.

— მაგრამ რატომ? — ხმა მიკანკალებდა, თან თვალს არ ვაშორებდი თაბახებს. — მაშინვე რატომ არ მითხარი ეს ყველაფერი? რატომ ეგრევე არ გამაძევე აქედან?

— ჩემს თავსაც სწორედ ეგ კითხვა დავუსვი. ალბათ ვერ შევძელი.

წამით შევხედე და გულში იმედის ნაპერწკალმა იფეთქა.

— პირველი, რაც იმწუთას გავიფიქრე, შენი აქედან გაგდება იყო, მაგრამ შემდეგ შენ შემოხვედი ჩემთან კაბინეტში, ასეთი ლამაზი და მომხიბვლელი, მაცდური და გამომწვევი... და დამაინტრიგე. ძალიან დავინტერესდი შენით, — კახიმ მხრები აიჩეჩა, — რაც უნდა იყოს, მამაკაცი ვარ. შემდეგ კი, სიმართლე გითხრა, ძალიან მომინდა გამეგო, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი და რამდენად ღრმად შეგეძლო შეტოპვა. შენც არ დააყოვნე და შენი ძვირფასი რედაქტორის დავალება ხუთიანზე შეასრულე. ასე არ არის, ქეთევან?

მისმა შეურაცხმყოფელმა ტონმა და სიტყვებმა ლამის ცეცხლი წამიკიდა. ცოტაც და ავტირდებოდი, მაგრამ მაქსიმალურად ვიკავებდი თავს, არ მინდოდა, მის წინაშე თავი დამემცირებინა, როგორმე უნდა გამეძლო ამ გამოცდისთვის.

— როგორ გაგითვლია ყველაფერი, თავიდანვე დაგიჭერია თადარიგი, არც კი მჯერა, — ნახევრად ჩურჩულით წარმოვთქვი.

— აი, ეს კი ტიპური ქალური ნათქვამია, — დამცინავად გადააქნია თავი ანდრონიკაშვილმა, — შენ მოტყუებით შემოიჭერი ჩემს სახლში, გამოიყენე ყველა საშუალება, რომ ამომწურავად მიგელო ინფორმაცია ჩემს ოჯახზე, ჩემს პირად ცხოვრებაზე და ახლა მე მადანაშაულებ, რომ იმთავითვე თადარიგი დავიჭირე და რაღაცები გავთვალე? — ამ სიტყვებით შარვლის გახდა დაიწყო. — მაგარი ხარ! მე ახლა სააბაზანოში შევდივარ, — მან გამომწვევი მზერა მესროლა, — ესე იგი, არ გინდა, შემომიერთდე?

— წადი შენი! — ველარ მოვითმინე და განრისხებულს ჩემდა უნებურად წამომცდა ეს სიტყვები.

ცოტა არ იყოს, თავადვე შემაცბუნა ჩემმა ნათქვამმა, მაგრამ უკვე ველარაფერს შევცვლიდი. გამწარებული შევტრიალდი და კარისკენ გავემართე. სანამ ოთახიდან გავიდოდი, მისი დამცინავი ხმა დამეწია.

— სხვა დროს არ ეთამაშო ცეცხლს, ქეთევან, თორემ აუცილებლად დაიწვები!

რა გაცვეთილი ფრაზაა, ღმერთო ჩემო! მისი დონის ადამიანს როგორ არ უხდება მსგავსი გამონათქვამი.

პასუხი არ დამიბრუნებია, ისე გამოვიჯახუნე კარი.

სასწრაფოდ დავიწყე ჩემი ნივთების ჩალაგება. ერთი სული მქონდა, როდის გავეცლებოდი აქაურობას. სულერთი იყო, სად წავიდოდი, ოღონდ კი დავმალულიყავი სადმე და თავი დამეძვრინა ამ სირცხვილისგან. ამწუთას სიკვდილზეც კი არ ვიტყოდი უარს, ეს სამარცხვინო ლაქა რომ ჩამომერეცხა.

როცა ყველაფერი ჩავალაგე, ხელჩანთა მოვიძიე, რათა მანქანის გასაღები ამომეღო. თქვენც არ მომიკვდეთ! ვერსად მივაკვლიე. მთელი კარადა გადავქექე, საწოლის ქვეშაც კი შევიხედე, მაგრამ ვერ ვიპოვე. მართალია, რაც აქ მოვედი, მანქანით არ მისარგებლია, ქობულეთში, სასტუმროს ეზოში დავტოვე დაყენებული, მაგრამ მის გარეშე თბილისში ხომ ვერ დავბრუნდებოდი? ზუსტად მახსოვდა, სანამ კახისთან მოვიდოდი, როგორ ჩავაბარე დაცვას, მთელი კვირის ფული გადავუხადე და გასაღები ჩანთის შიდა ჯიბეში ჩავდე, თავის ტყავის ბუდიანად.

რა მემართება? რატომ ვარ ასეთი დაბნეული? ან კი როგორ შევძელი, ასე მოკლე ხანში ასეთი სიძლიერით შემყვარებოდა ეს კაცი? ცხოვრებაში მსგავსი არაფერი განმიცდია. რა მეტაკა, რამ გამომაშტერა ასე? რატომ ვერ ვახერხებ ჩემი ემოციების მოთოკვას? ოოოხ! რატომ არ დაიწვა ის დღე, როცა აქ მოვედი! რა მრჯიდა, რა! ასე არასდროს არაფერი მინანია, თემურთან ჩადენილი სისულელეც კი.

ყველაზე საშინელი ამ ამბავში ის იყო, რა წარმოდგენაც კახის რჩებოდა ჩემზე — თითქოს შეგნებულად ვცადე მისი მოხიბვლა, რათა ჩემთვის საჭირო ინფორმაცია მომეპოვებინა. რა თქმა უნდა, მისგან არ უნდა მწყინდეს, ასე რომ ფიქრობს. მის ადგილას მეც იმავეს ვიფიქრებდი. ერთი შეხედვით ხომ მართლაც ასე იყო. ბოლოს და ბოლოს, სიმართლეს თვალებში რომ შევხედოთ, მე, პირველ რიგში, ჩემს სამუშაოს ვასრულებდი და თავადაც არ ვიცი, რას გავაკეთებდი, როცა აქედან წავიდოდი, თუნდაც ყველაფერი კარგად დამთავრებულიყო.

ანდრონიკაშვილმა კი პირველივე წუთებიდან იცოდა სიმართლე და არაფერი თქვა, შეეგუა სიტუაციას და თავის სასარგებლოდ გამოიყენა ეს ვითარება. გულგრილად, აუღელვებლად მომყვა ბოლომდე, შემდეგ კი, როცა კარტები გახსნა, ნიშნის მოგებით მომაძახა, ცეცხლს ნუ ეთამაშებიო.

თავი დავხარე და წამწამები დავახამხამე, ცრემლი რომ შემეკავებინა. ბრაზი მახრჩობდა, მძულდა საკუთარი თავი. გეყოფა წუწური, ქეთი! ნუ ისაწყლებ თავს! მწარე შეცდომა დაუშვი, როცა გონების კარნახს არ დაუგდე ყური და გულს მიენდე! არა უშავს, არც ბატონი მწერალია უკეთეს დღეში. მოვა დრო და ისიც შენსავით დაიწვება ცეცხლთან თამაშით!

ხელჩანთა მხარზე გადავიკიდე, ჩემს ბარგს ხელი დავავლე და საძინებლიდან გამოვედი. უკანასკნელად მოვავლე იქაურობას თვალი და გული დამწყდა... აწი არასდროს მომიწევს აქ დაბრუნება, ამ ოთახში დაძინება, აქ გავლა... რა საშინელებაა! რა გადაიტანს ამ დამცირებას! ან კი რა გამაძლებინებს ნუკის გარეშე? ამის გაფიქრებაზე უკან შევბრუნდი. ბავშვის უნახავად ნამდვილად ვერ წავიდოდი.

პატარას მშვიდი ძილით ეძინა თავის საწოლში. დავიხარე და ნაზად ვაკოცე ფუმფულა ლოყაზე. კვლავ ცრემლით ამევსო თვალები. ძალიან გამიჭირდებოდა მის გარეშე.

მტკიცე ნაბიჯებით ჩავუყევი კიბეს. ირგვლივ არავინ ჩანდა. სამზარეულოში შევედი და მანქანის გასაღებს ახლა იქ დავუწყე ძებნა. სწორედ ამ დროს დამადგა კახი თავზე. მისმა სიახლოვემ ისე დამძაბა, სუნთქვა შემეკრა. მამაკაცს ტანსაცმელი გამოეცვალა, თავისი საყვარელი კრემისფერი შარვალი და პერანგი ჩაეცვა. ჩემს დანახვაზე, როგორც სჩვეოდა, ცალი წარბი ასწია და მშვიდად მკითხა.

— რამეს ეძებ?

პასუხი არ გავეცი, შემეშინდა, არ ავტირებულიყავი.

— დაგეხმარო რამეში?

— არ მომეშვა.

მისმა რაღაცნაირმა ხმამ მაიძულა, შემოვტრიალებულიყავი. ანდრონიკაშვილი ცალი ხელით სამზარეულოს მაგიდას დაყრდნობოდა, მეორეში კი ჩემი გასაღები ეჭირა და გულგრილი გამომეტყველებით მომჩერებოდა.

— საიდან გაქვს ჩემი გასაღები, სად იპოვე? — გაოცებულს ნერწყვი კინაღამ სასულეში გადამცდა.

— იქ, სადაც ეს! — მიპასუხა და მაგიდაზე დადებულ ფოტოფირზე მიმითითა.

— ჩემს ჩანთაში იქექებოდი?! — მთელი ხმით ვიყვირე.

— არცთუ სასიამოვნოა, როცა შენს პირად ცხოვრებაში იჭრებიან, არა, ქეთევან? — ხმადაბლა წარმოთქვა და გაიღიმა, აშკარად სიამოვნებდა ჩემი დამცირება.

— რა ნაძირალა ხარ, რომ იცოდე! — ზიზღისგან სახე დამემანჭა.

— იმ ადამიანის პირიდან, რომელმაც თავისი ქალური ხრიკებით ჩემი გაცურება სცადა, ეს ფრაზა ნამდვილად კომპლიმენტად ჟღერს.

იმდენად გამაღიზიანებლად იქცეოდა, სურვილი გამიჩნდა, რაღაც მესროლა მისთვის ან რაიმე ისეთი მეთქვა, რომ მისი მოჩვენებითი სიმშვიდე გამექრო და გულგრილობის ნიღაბი ჩამომეგლიჯა მისი სახიდან. როგორ მინდოდა, ამწუთას უდიდესი ტკივილი მიმეყენებინა მისთვის, მაგრამ ვერ შევძელი. სიმწრისგან ხელები მოვმუშტე მხოლოდ.

— მე ვიცი, რომ არ ვიყავი მართალი, კახი, მაგრამ მინდა გითხრა, შენც არანაკლებ დამპლურად მოიქეცი, — ხმაშეცვლილს აღმომხდა.

— მეც ზუსტად იმავე როლს ვთამაშობდი, რომელსაც შენ, დანარჩენში კი თავად ხარ დამნაშავე.

— მომეცი გასაღები! — მივვარდი და შეეცადე, მისთვის გასაღები წამერთმია, მაგრამ დამასწრო და ხელი აიქნია.

— მოთმინება, ქეთევან, მოთმინება!

— ახლავე მომეცი გასაღები, გესმის? — გული საშინლად მიცემდა.

— ახლა შენ არ ხარ იმ მდგომარეობაში, ბრძანებები გასცე, — გაიღიმა და, ჩემდა გასაკვირად, გასაღებიც და ფოტოფირიც ჯიბეში ჩაიდო, — ჯერ უნდა დავილაპარაკოთ.

— ამის შესახებ რამდენჯერმე გთხოვე, მაგრამ არ მომისმინე. ახლა კი შენთან ლაპარაკის არანაირი სურვილი არ მაქვს, — გადაჭრით უარვყავი მისი წინადადება.

— როგორც ჩანს, შენ უკვე მიგიღია საჭირო ინფორმაცია ჩემ შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან აღარ დაგჭირდება წამწამების დახამხამება.

— მე წამწამებს არასდროს ვახამხამებ, — ღრმად ამოვიოხრე.

პასუხად მან მხოლოდ გაიცინა, მერე მაცივარს მიუახლოვდა, გამოაღო და იქიდან კერძების გადმოლაგებას შეუდგა.

— შენი არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან მშია.

— თუ გგონია, რომ თანამეინახეობას გაგიწევ, მწარედ შემცდარხარ.

— რა წუნია გახდი ასე უცებ? ადრე მოგწონდა ჩემთან ერთად მოლხენა, ახლა რა დაგემართა? — მამაკაცმა ქვაბს თავსახური ახადა და ჩაიხედა. — ცოტათი დამწვარა, მაგრამ არა უშავს.

— ვინ მოამზადა? — გაღიზიანებულმა ვიკითხე.

— ანდრომ. კარგი ხელი აქვს, გემრიელი კერძები გამოსდის.

— მაშინ მზარეული რაში გჭირდებოდა? რატომ მითხარი, სადილებიც შენ მოამზადეო?

— არც არაფერში. უბრალოდ, ვიფიქრე, რაც მეტად იქნება შიდა საქმეებით დაკავებული, მით უფრო გაუჭირდება ჩემთვის თვალყურის დევნება-მეთქი.

გამახსენდა, სიმწრით რომ ვცდილობდი წინა საღამოს ვახშმის მომზადებას და უარესად განვრისხდი.

— რომ იცოდე, როგორ მეზიზღები, როგორ ვერ გიტან!

— კარგი რა, ქეთევან, ნუ ცდილობ, დაზარალებულ მხარედ მომაჩვენო თავი, — მშვიდად მიპასუხა, — დანამდვილებით ვიცი, იმ საღამოს ვახშამი სადაც შეუკვეთე. შენი ეს სამარცხვინო ეპიზოდი, სამწუხაროდ, მშვენივრად აღიბეჭდა ფირზე.

თავზარდაცემული ვიდექი. გაფითრებულმა ესღა ამოვღერღე:

— ფირზე? რას ნიშნავს ფირზე?

— ჭიშკართან დამოტაჟებულმა კამერებმა დააფიქსირა კაფე „ბოჰემას“ ფურგონი, რომელიც ცხრის ნახევარზე მოადგა უკანა შემოსასვლელს. შემდეგ კი შენ კარის ჩაკეტვაც არ ინებე, რათა იმ შენს ფოტოგრაფს უჩუმრად შემოეღწია და მუშაობა გაადვილებოდა. მანაც არ დააყოვნა და ზუსტად თხუთმეტ წუთში აქ გაჩნდა. არაჩვეულებრივად გაითამაშე შეშინებული ქალის როლი, როცა იგი ფანჯარაში იყურებოდა, გახსოვს?

— ღმერთო! ახლა გავგიჟდები! ესე იგი, შენ თემურის შესახებ მანამდე იცოდი, სანამ იახტაზე მოგვადგებოდა?

— რა თქმა უნდა და სწორედ ამან გამაცოფა ყველაზე მეტად.

— ვერ გავიგე...

კახიმ კვლავ დაახურა ქვაბს თავსახური და მომიტრიალდა.

— ეს ამბავი, არ დაგიმალავ და, ძალიანაც მართობდა, სანამ არ მივხვდი, რომ ამ საქმეში მარტო არ იყავი. მგონი, დაგთანხმდებოდი კიდეც ინტერვიუზე და აუცილებლად მოგცემდი ამის შანსს, თავიდანვე რომ გეთქვა ყველაფერი.

— არა, არ დამთანხმდებოდი! შენ, უბრალოდ, გინდა, უფრო დამიმძიმო სული, უარესად რომ გავხდე, ამიტომაც მეუბნები ამას.

— მერე? როგორ გგონია, გამომდის?

— ჰო, ბრწყინვალედ გამოგდის... რაც გინდა, ის იფიქრე, ოღონდ ერთი რამ მინდა იცოდე. მე შენი მოხიბვლა არ მიცდია და არც არაბიძესთან ვთანამშრომლობდი. რაც შეეხება ჭიშკარს, უბრალოდ, დამავიწყდა მისი დაკეტვა, რადგან საშინლად ვნერვიულობდი.

— ძალიან მინდა დაგიჯერო, მაგრამ ცუდი ის არის, რომ მე ვიცი სიმართლე, — ამ სიტყვებით მომიახლოვდა და გააგრძელა, — მშვენიერი მსახიობი ხარ, ქეთევან. რამდენჯერმე ავყევი კიდეც ცდუნებას და კინაღამ დავიჯერე, რომ მართლაც მზრუნველი და პატიოსანი ძიძა იყავი.

მისმა სიახლოვემ თავბრუ დამახვია. იმავდროულად ვიგრძენი, რომ ჩვენ შორის, რატომღაც, ატმოსფერო დათბა.

— მაგრამ ის, რაც დღეს მოხდა? ნუთუ დღევანდელი დღე სპეციალურად დაგეგმე? სინდისმა არ შეგაწუხა, ასე რომ გამომიყენე? ეს ხომ არაკეთილსინდისიერი საქციელი იყო შენი მხრიდან, კახი. არ გეჩვენება, რომ ცუდად მომექეცი?

— შენ რაც გააკეთე, ის კეთილსინდისიერი იყო?

— ჩემი აზრით, შენ ყინულის გული გიდევს მკერდში.

მამაკაცს ხარხარი აუტყდა.

— ჩემი აზრით კი შენი შეფასების სისტემა გაორმაგებული ძალით მუშაობს, — ღიმილით მიპასუხა და საჩვენებელი თითი ლოყაზე ჩამომისვა.

ეს ჟესტი ერთდროულად ალერსიანიც იყო და ბოროტებით სავსეც — მან მაიძულა, კიდევ ერთხელ შემეგრძნო ის სიამოვნება, რასაც მისი შეხება მანიჭებდა.

— ასე რომ, ტყუილად ნუ მიკითხავ ნოტაციებს. შენ გინდოდა, მასალა მოგეპოვებინა ჩემზე და ამისთვის ყველაფერზე იყავი წამსვლელი.

— გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს, — შევეცადე, გავრიდებოდი და ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე.

— მე მომეწონა ეს თამაში, ქეთევან...

— მე კი არა, — ცივად ვუპასუხე და გამჭოლი მზერა ვესროლე.

მამაკაცმა ორივე წარბი ასწია და ირონიული ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე.

— გინდა მითხრა, რომ დღეს სიამოვნება არ მიგიღია?

მისმა ყინულივით ცივმა ხმამ და თვალებში გამკრთალმა დამცინავმა ნაპერწკლებმა აღმაშფოთა. როგორ შეუძლია, ასე დამცინოს? ბოლოს და ბოლოს, მეც მაქვს თავმოყვარეობა!

ის იყო, შეტრიალება გადავწყვიტე, რომ ხელი წამავლო და ტუჩებში დამეძგერა. წამით მუხლები მომეკვეთა, მაგრამ მალევე ვიპოვე ჩემს თავში ძალა, წინააღმდეგობა გამეწია, ამავდროულად, მის კოცნას კოცნითვე ვუპასუხე, მაგრამ მამაკაცი უეცრად გამერიდა.

— შენ ამწუთასაც თუ თამაშობდი, მაშინ ვაღიარებ, რომ ჭეშმარიტად იმსახურებ „ოსკარს“, — უცნაური ღიმილით მითხრა.

— მეორედ არ გაბედო ჩემთან მოკარება!

მამაკაცს კვლავ გაეღიმა.

— როგორი გულისწყრომა იგრძნობა შენს ხმაში... არადა, ამწუთას შენი

ტუჩები სულს სხვას მეუბნებოდნენ. ნამდვილი პროფესიონალი ხარ! ვფიქრობ, გენიალური სტატია გამოგივა ჩემზე და ჩემს ოჯახზე. ახლა უკვე იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარება ამაში.

მისმა სიტყვებმა გული მომიკლა.

— შენ სიძულვილის ღირსიც არა ხარ, — აკანკალებული ხმით აღმომხდა.

— არადა, ალბათ რა სიამოვნებით ამომთხრიდი თვალებს, — კვლავ ირონიულად ასწია ცალი წარბი.

სასოწარკვეთილმა მუშტები დავუშინე მხრებზე. კახიმ ხელები დამიჭირა.

— შენ მე დღეს უკვე მცემე, — ხმადაბლა, მშვიდი ხმით მითხრა, — ამიტომ ნულარ გაიმეორებ, საკმარისია... მითხარი, რას უპირებ ჯულის? ნუთუ მასზეც აპირებ დაწერას? შენ ხომ არაფერი იცი მის შესახებ, რატომ ცდილობ, ჩირქი მოსცხო მის სახელს? — ახლა უკვე მის ხმაში იგრძნობოდა ზიზღი.

— ამ ყველაფერს საიდუმლოდ დიდხანს მაინც ვერ შეინახავ. სულერთია, ადრე თუ გვიან, ვიღაც მაინც გაიგებს სიმართლეს, — შევეცადე, თავი მომეთოკა და დავწყნარებულიყავი.

— არა მგონია. სიმართლე მხოლოდ ლალიმ იცის, მაგრამ მას ულაპარაკოდ ვენდობი.

„ჩემგან განსხვავებით“, — სიმწრით გავიფიქრე. შემშურდა, კახი ასე ბრმად რომ ენდობოდა თავის მენეჯერს.

— მომისმინე, ქეთევან. ჩემზე დაწერე, რაც მოგესურვება, მაგრამ ჯულის ნუ შეეხები. სიმართლემ შეიძლება ძალიან ბევრი ადამიანი დააზარალოს.

— კარგი, — საოცრად მშვიდად ვუპასუხე, ჩემი განრისხება სადღაც გამქრალიყო, — შეიძლება ჩემი გასაღები უკან დავიბრუნო? — ვკითხე და ხელისგული მივუშვირე.

ეჭვნარევი მზერით შემომხედა, მაგრამ გასაღები მაინც მომცა.

— დიდი მადლობა, — თავი დემონსტრაციულად დავუკარი და კარისკენ გავემართე.

— საით გაგიწევია?

არ შევჩერებულვარ, ისე მოვაბრუნე თავი.

— სასტუმროში.

— სადაც, უეჭველად, თემურ არაბიძე გელოდება, არა? — გესლიანად მომაძახა. — წარმომიდგენია, როგორ ჩაუვარდები მკლავებში და დაწვრილებით მოუყვები ყველაფერს, რაც ჩემზე და ნუკიზე იცი.

— როგორც ჩანს, ძალიან ხარ დარწმუნებული, რომ იმ შენმა ლალიმ უკვე არ ჩაუკაკლა არაბიძეს ყველაფერი. მაგასაც ვნახავთ, — ნიშნის მოგებით ვუპასუხე და კარი გავიჯახუნე.

კახი მართალი აღმოჩნდა. სასტუმროს ეზოში შევედი თუ არა, თემური დაბარებულივით ჩემს მანქანასთან დამხვდა ატუზული.

— აქ რას ელოდები? — ზიზღისგან ტუჩები მომებრიცა.

— რას კი არა, ვის. შენ გელოდებოდი, — არაბიძემ საკოცნელად გამოიწია, მაგრამ არ შევიმჩნიე და განზე გავიხედე.

— რა იყო, მემდური? — ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა და გამომცდელად მომაჩერდა.

— საიდან მოიტანე?

— რა ვიცი, ისე იქცევი, თითქოს... — არ დაამთავრა სათქმელი.

— როგორ ვიქცევი, შენზე გულისამრევად?

— რა გჭირს? ვინმემ გაგაბრაზა?

— ჰო, და შენზე ვანთხევ ბოღმას. რა მიხვედრილი ხარ! — დავგესლე „თანაპარტნიორი“. — რა იცოდი, რომ მაინცდამაინც ახლა მოვიდოდი?

— ლალიმ მითხრა.

— ლალიმ საიდან იცოდა? — გაოცებისგან თვალები შუბლზე ამიცვივდა.

— წეღან ელაპარაკა შენს ბოსს და უთხრა, ამწუთას წავიდა ჩემგანო.

— და რატომ წავიდაო, ეგ არ უთქვამს?

— რაღაც-რაღაცებში ვერ შევთანხმდითო. რა მოხდა?

— ის, რომ შენ ყველაფერი გააფუჭე. გასაგებია?

— მე რა გავაფუჭე?

— მეკითხები კიდეც? ათასჯერ გითხარი, ნუ ჩამოდიხარ დაბლა, შეიძლება რამე იეჭვოს-მეთქი და არ დამიჯერე. მან ყველაფერი მოისმინა.

— ვა, მართლა? როდის მოასწრო? ჩასაფრებული იყო?

— დიახაც! — არ მინდოდა მისთვის მეთქვა, კახიმ თავიდანვე რომ იცოდა ყველაფერი. ერთი სული მქონდა, ეს მაინც გამემწარებინა.

— იყო და იყო, ერთი მაგისიც... მერე რა? შენ ხომ მაინც ყველაფერი გაიგე? ინფორმაცია ხომ მოიპოვე? მთავარი ახლა ეს არის. მე კი ფოტოები მაქვს, თანაც ძალიან მაგარი. შენსას სჯობია.

— მე არა მაქვს ფოტოები.

— რატომ, სად წაიღე?

— იქ დამრჩა.

— რა-ა? როგორ თუ იქ დაგრჩა? რას მაბოლებ?!

— თუ გინდა, ნუ დაიჯერებ. დამრჩა და მორჩა. შენთან ამის განხილვას არ ვაპირებ.

— კარგი, როგორც გინდა. არა უშავს, ჩემიც საკმარისი იქნება. ბავშვის სურათიც მაქვს და ანდრონიკაშვილისაც. ლალისაც კი გადავუღე რამდენიმე.

— ეჭვიც არ მეპარება. შენ ხომ განთქმული ლოველასი ხარ!

— ვინ მოგახსენა? რატომ იკბინები? შემთხვევით, ლალიზე ხომ არ ეჭვინობ, ჰა? არ დამიმალო.

— ეგღა მაკლია. სულ არ მანაღვლებს, ლალის ხვდები თუ სხვა მისნაირ „კეკელკას“. ჩემი დარდიც ეგ იყოს.

— ეგ არც მიფიქრია. სხვათა შორის, ლალი და კახი ვიგულისხმე.

ამის გაგონებაზე ალმური წამეკიდა.

— მეორედ არ გაბედო ამის თქმა, გასაგებია? არ გა-ბე-დო! — მუქარის ნიშნად თითი დავუქნიე და ვესტიბიულისკენ ჩქარი ნაბიჯებით გავემართე.

— კარგი, რა მოგივიდა, პატარა ბავშვი ხომ არ ხარ? შენ ის მითხარი,

როდის აპირებ თბილისში დაბრუნებას?

— რა შენი საქმეა?!

— ერთად გავიდეთ ხვალ დილით.

შევდექი და გაკვირვებული მივაჩერდი.

— შენ რა, ჩემთან ერთად აპირებ წამოსვლას? რატომ?

— ჯერ ერთი, მე ჩემი მანქანით ვარ და ერთად ვერ ვივლით. უბრალოდ, ერთ დროს გავიდეთ-მეთქი, ვიგულისხმე. მეორეც, ხომ არ დაგავიწყდა, რომ ჩვენ უკვე პარტნიორები ვართ? ერთ საქმეს ვაკეთებთ. რედაქციაშიც ერთად გველოდებიან.

— შენი პარტნიორი არასდროს ვყოფილვარ და არც არასდროს ვიქნები. ეს კარგად დაიმახსოვრე.

— ვაა! რა გიქნა იმ კაცმა ისეთი, ამ დღეში რომ ჩაგაგდო? — ხელები გაშალა თემურმა.

— ძალიან გთხოვ, თავი დამანებე, შენი ნერვები არა მაქვს. ნუ მომდევ უკან, ძალიან დავიღალე და უნდა დავიძინო. მარტო მინდა დარჩენა.

— შენს გამოკიდებას არც ვაპირებ. თხუთმეტ წუთში ლალისთან პაემანი მაქვს. ასე რომ...

— ჰოდა, მომწყდი თავიდან! — დავისისინე და ნაბიჯს ავუჩქარე.

თემური უკან აღარ გამომყოლია...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

ანა შეკრთა, რადგან ირაკლის გამოჩენას არ ელოდა.

— გაბრაზებული ხარ? რატომ? მოხდა რამე? — მიამიტურად ააფახულა თვალები ანამ.

— წუხელ რა გინდოდა ჩემს სახლთან? — მამაკაცს მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა და თვალებშიც რისხვა ედგა.

— რა მინდოდა და ტელეფონს რომ არ პასუხობდი, შემეშინდა, ხომ არაფერი დაგემართა და ამბის გასაგებად მოვდიოდი, — მაშინვე გულახდილად აღიარა ანამ „დანაშაული“, რადგან მიხვდა, რომ ირაკლისთვის ღამის სტუმარს უკვე ყველაფერი ჩაეკაკლა და დამალვას და უარყოფას აზრი არ ჰქონდა.

— აკი მე არ ვიყავიო? — ჩაიცინა გიორგიმ.

— არა, მე ის არ ვიყავი, ვინც შენ გგონია, ის ქალბატონი ნანა იყო, ირაკლის საყვარელი. მე გარეთ ვიდექი და შენ მე ვერ დამინახავდი, — გაბრაზებული ხმით თქვა ანამ.

ნაზი და თვალებფახულა არსება სადღაც გაქრა და მის ნაცვლად მრისხანე და ეჭვით შეპყრობილი ქალი ლაპარაკობდა.

— ნუთუ ვერ გრძნობ, რომ ცუდად მოიქეცი? — ჰკითხა ირაკლიმ.

— შეტევა თავდასხმის მოსაგერიებლად გადასარევი საშუალებაა, მაგრამ ჩემთან არ გამოგადგება. მე რისი უნდა მრცხვენოდეს? იმისი ხომ არა, რომ შენ საყვარელი გყავს, თანაც ვიღაც ვიგინდარა და „პრასტიტუტკა“ კი არა, მშვენიერი ქალი, რომელთანაც 3 წელია მეგობრობ და ალბათ გიყვარს კიდეც?! ან იქნებ იმისი, რომ მატყუებდი და თან თვალებში მიყურებდი?! არა, ალბათ იმისი უნდა შემრცხვეს, ამ ყველაფრის მერე კიდევ შენ რომ ბრაზობ და მიტევ. ასეა, არა? კი, ბატონო, რადგან ასეა, მრცხვენია! შენ მაგივრადაც, გიორგის მაგივრადაც, ნანას მაგივრადაც მრცხვენია, — ანა ლაპარაკის დროს ოთახში მიმოდიოდა. ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, მაგრამ გაბრაზების მიუხედავად, არ ყვიროდა, ძალზე მშვიდად ლაპარაკობდა და იცოდა, რომ მის ასეთ საქციელს მოსაუბრე და მოკამათე ყოველთვის წონასწორობიდან გამოჰყავდა. ასეთი მოწინააღმდეგის დამარცხებამდე კი სულ ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა და ამიტომ ის თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

— არა, შენ იმიტომ უნდა შეგრცხვეს, რომ უსუსურ, დაუცველ და შეშინებულ ქალს იარაღით დაადექი და მუქარით აიძულე, რომ შენს კითხვებზე პასუხი გაეცა.

ირაკლის ამ სიტყვებზე ანა უეცრად მობრუნდა, ჯერ მას შეხედა, მერე მზერა გიორგიზე გადაიტანა და ახარხარდა. ასეთ მოულოდნელ რეაქციას არავინ ელოდა.

— გაიმეორე, რა თქვი? — ჰკითხა, სული რომ მოითქვა, მაგრამ მიხვდა, ირაკლი ნათქვამის გამეორებას არ აპირებდა. — უსუსურს, დაუცველს და შეშინებულს, არა? — ისევ გაიცინა ანამ, — ამას მე მეუბნები, ირაკლი? მე? შემომხედე, აბა, იქნებ გაგახსენდეს, რომ მე თვითონ ქალი ვარ, უსუსური და დაუცველი... ნუ, შეშინებული ალბათ ჯერ არა, — ჩაიბურტყუნა ბოლოს, — ეგ სიტყვები შეიძლება მამაკაცს უთხრა. მაგას მე როგორ მეუბნები?

— მოიცა, არ მითხრა, რომ ასე არ იყო და იმან მოიგონა.

— არა, ასე იყო, მაგრამ იარაღი არ მქონია, უბრალოდ, ცივი თითი მივადე კისერთან, რომ იარაღი ჰგონებოდა.

— კი, მაგრამ მანქანაში რომ ჩასვი და ცხვირწინ პისტოლეტს უტრიალებდი, ის რა იყო, აბა, ისიც თითი იყო? — როგორც ჩანს, დაწვრილებით ჰქონდა ყველაფერი მოყოლილი ნანას.

— კარგი, რა, ირაკლი, კარგი, რა�ა, — ხელი ჩაიქნია ანამ, — არც შენზე ვბრაზობ და არც ნანაზე. უკვე აღარ ვბრაზობ, რადგან ვფიქრობდი ხოლმე, რომ შენზე რამე რომ გამეგო, ეჭვიანობით მოვკვდებოდი და სიცოცხლეზე ხელს ჩავიქნევდი, მაგრამ წუხელ ისე არხეინად მივიღე ეს ყველაფერი და მერე ისე გულიანად ჩამეძინა, სანამ შენ არ დაგინახე, არც გამხსენებია წუხანდელი ამბები, სიმართლე რომ გითხრა. ამიტომ, მივხვდი, რომ არ მყვარებიხარ და სულაც აღარ ვბრაზობ. რატომ უნდა ავიშალო ნერვები?! ასე არაა, გიორგი? — განგებ ჩართო გიორგი საუბარში, რადგან იცოდა, ირაკლი მასზე აუცილებლად იეჭვიანებდა.

— ჰმ... — უხერხულად ჩაახველა, — რა ვიცი, მე არ ვიცი. — პასუხს თავი აარიდა მამაკაცმა.

— ანა, ცეცხლს ნუ ეთამაშები, — გაფრთხილებასავით გაისმა ირაკლის ხმა.

— მე ცეცხლის არ მეშინია, — მაგიდასთან მჯდარ ირაკლის მიუახლოვდა, თავზე დაადგა, დაიხარა, სახე ახლოს მიუტანა და თვალი თვალში გაუყარა, — კიდევ გაქვს რამე პრეტენზია? შეგიძლია, მითხრა.

ანა წელში გაიმართა და გიორგის მაგიდას გადახედა. თვალით ის კონვერტი მოძებნა, რომელშიც თვითმფრინავის ბილეთები ეწყო.

— არა, ამჯერად მეტი არაფერი.

— კარგი, მაშინ, ჩემო ირაკლი, — ანამ სიტყვა გაწელა, გიორგის მაგიდას მიუახლოვდა, მასზე დადებულ კონვერტს დასწვდა, იქიდან სამივე ბილეთი ამოიღო, 2 უკან ჩააბრუნა, ერთი კი წვრილ ნაკუწებად აქცია, მარჯვენა ხელის მუჭში მოიქცია, ხელი თავს ზემოთ ასწია და მუჭი გაშალა. ქაღალდის წვრილი ნაგლეჯები თოვლის ფანტელებივით, ტრიალ-ტრიალით დაეშვა იატაკზე.

— აი, ასე! — თქვა ნიშნის მოგებით, მაგიდაზე დადებულ ჩანთას დასწვდა და კარისკენ გაემართა. კართან მისულს ფეხი გადაუბრუნდა, მაგრამ წონასწორობა შეინარჩუნა, გასწორდა, მამაკაცებს გახედა, სახეზე ნაძალადევი ღიმილი მიიხატა და გავიდა.

— ვისი ბილეთი დახია? — მაშინვე იკითხა ირაკლიმ, როგორც კი ანამ კარი მიხურა.

— შენი, — კარში ანას თავი გამოჩნდა, — შენი ბილეთი დავხიე, საყვარეელო, შენ ვარშავაში აღარ მოდიხარ, — მამაკაცს თვალი ჩაუკრა, მერე ტუჩები გამოიშვირა, შორიდან კოცნა გაუგზავნა და გაუჩინარდა.

მამაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუტყდათ.

— მაგას შენი შეკითხვა არ გაუგონია, კარს მიღმა ხმა არ გადის. უბრალოდ, მიხვდა, რომ აუცილებლად მაგას იკითხავდი, — იცინოდა გიორგი, — დიდი შებერტყილი ვინმე კია, ეს ოხერი, — ისეთი სიყვარულით თქვა ბოლო 2 სიტყვა, რომ ირაკლის ეჭვმა დარია ხელი და შუბლი შეკრა.

— გიორგი, ჩვენ შორის დამალული არაფერია, ხომ ასეა? — ირაკლიმ ისე ჰკითხა, რომ თავი არ აუწევია. თვალებში არ შეუხედავს. მაგიდაზე დაწყობილ, საკუთარ ხელებს დაჰყურებდა.

— კი, ასეა, მაგრამ ამის თქმა ახლა რაში გჭირდება?

— ჰოდა, არც მე მინდა, რომ რამე დავმალო და მინდა იცოდე, რომ მე ვიცი, ამ რამდენიმე დღის წინ ჩემს სახლთან რომ იდექი და მითვალთვალებდი.

მე და ანა აივანზე ვისხედით და კარგა ხანს გვიყურე, — ირაკლიმ ნელა მიაბრუნა თავი და მეგობარს თვალებში შეხედა.

— კი, ასეა, — თვალიც არ დაუხამხამებია გიორგის.

— მერე? ეს რაში დაგჭირდა?

გიორგი გაჩუმდა. კარგა ხანს აკაკუნა კალამი მაგიდაზე, ბოლოს ჩაიცინა და ირაკლის შეხედა.

— შენ მე არ მენდობი?

— გენდობი.

— ახლა იმაზე კი არ ვფიქრობდი, თავის გასამართლებლად მომეგონებინა რამე... იმაზე ვფიქრობდი, ეჭვი რატომ გაგიჩნდა.

— ეს ეჭვი არაა, უბრალოდ, ვიცი, რომ იქ იყავი და მიზეზი მაინტერესებს.

— მიზეზი ძალიან უბრალოა და გეტყვი, მაგრამ მე იმას ვშიშობ, ამ ქალმა, — კალამი იმ კარისკენ გაიშვირა გიორგიმ, სადაც ცოტა ხნის წინ ანა გაუჩინარდა, — ჩვენ შორის ბზარი არ გააჩინოს.

— გეთანხმები და ეს საუბარიც სწორედ მაგიტომ წამოვიწყე, რომ ყველაფერი გავარკვიოთ.

— მე შემიძლია გითხრა, რომ წლების წინ მართლა მიყვარდა ანა და მეგონა, მის გარეშე მოვკვდებოდი. მისგან ვერ ვეღირსე თანაგრძნობას, მაგრამ ხელი არ ჩამიქნევია. თუმცა, შემდეგ ის თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და წელიწადში რამდენიმე დღე თუ ვნახულობდი. მიუხედავად ამისა, ფარ-ხმალს არ ვყრიდი და როცა სტუდენტი გავხდი და თბილისში ჩამოვედი საცხოვრებლად, იმედი მქონდა, რომ ხშირად ვნახავდი და მისი გულის მოგებას შევძლებდი, მაგრამ მისგან მხოლოდ მეგობრულ სიყვარულს ვგრძნობდი. მოკლედ, მერე სხვადასხვა მოვლენის გამო ჩვენი გზები გაიყარა. ამ რამდენიმე კვირის წინ კი თავად გამომეცხადა, რადგან იარაღის შეძენა სურდა და იცოდა, რომ მის დახმარებას შევძლებდი.

— დაეხმარე, როგორც ჩანს, — ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— ჰო... ამის შემდეგ საქმეზე ვილაპარაკეთ. მე ფულს ვეძებდი, ის — საქმეს და გადაწყდა, რომ პარტნიორები გავხდებოდით. იმასაც გეტყვი, რომ როგორც კი დავინახე, ისევ გამიახლდა მის მიმართ გრძნობა და რა თქმა უნდა, გადავწყვიტე, მისი გულის მოგება ახლა მაინც მომეხერხებინა, მაგრამ ჩემთან პირველივე სტუმრობისას შენ შეგხვდა და როცა მივხვდი, რომ თქვენ შორის რაღაც ხდებოდა, მაშინვე უკან დავიხიე და მთელი ყურადღება პირველივე შესაძლებლობისას ნინოზე გადავიტანე. ნინოზე სერიოზულად ვფიქრობ და თუკი გადმოვიბირე, მაშინ ქორწილსაც გადავიხდით. რაც შეეხება იმდღევანდელ ჩემს საქციელს, რამაც შენ დაგაეჭვა, წინადღეს გითხარი, თუ გახსოვს, რომ უკრაინიდან სტუმრები ჩამომივიდნენ. 2 ქალი იყო. შენთან წამოვიყვანე სტუმრად. წინასწარ კი დაგირეკე და უბრალოდ, გკითხე, სახლში იყავი თუ არა. მინდოდა, სიურპრიზი მომეწყო. შველივით ქალები იყვნენ... მაგრამ შენთან ანა ყოფილა სტუმრად და აივანზე დაგინახეთ. ცოტა ხანს გავჩერდით, იქნებ ის მალე წასულიყო. შორიდან გიყურებდით, რომ ყურადღება არ მომეპყრო. წარმოიდგინე, ანას რომ ვენახე ორ ქალთან ერთად, შენი სახლის წინ, რა ამბავს დაგაწევდა... სულ ეს იყო. როცა მივხვდი, რომ თქვენ კარგა ხნის ბაზარი გქონდათ და დაშლას არ აპირებდით, უკან გამოვბრუნდი და რეზოსთან წავედი, ჩემი სტუმრებიანად... სულ ეს იყო და თუ ამასაც არ დაიჯერებ, შეგიძლია, რეზოსთან გადაამოწმო.

— მჯერა, მჯერა, — ჩაილაპარაკა ირაკლიმ, — მაგრამ ახლა ამ საქმეს რა ეშველება? — თვალით იატაკზე დაყრილი ბილეთის ნაკუწებისკენ ანიშნა.

— არ ვიცი, ეგ შენი მოსაგვარებელია, მე ვერაფერს გიშველი. იმასაც ვერ იტყვი, რომ ჩემთან იყო ის ქალი, რადგან თვითონვე გაურკვევია ყველაფერი უკვე.

— არადა, გუშინ ნანა სალაპარაკოდ დავიბარე ჩემთან და სიტუაცია „გავუიასნე“, ერთმანეთს უნდა დავშორდეთ-მეთქი... რაღა წუხელ მოინდომა თვალთვალი? ტელეფონი სხვა დროსაც მქონია გამორთული და ასე არ მოქცეულა.

— ვიზიარებ, რა ვქნა მეტი? — გაიცინა გიორგიმ.

— ძლივს მოვარჯულე და მოვათვინიერე ცოტა, მეგონა, საბოლოოდ შემოვაბრუნე ჩემკენ და აჰა, ისევ რაღაც გამოჩნდა ისეთი, რომ ყველაფერი თავიდან მაქვს დასაწყები...

— მასე თუა, რომ შემოხვედი და პირდაპირ შეტევით დაიწყე, ბოდიშით უნდა დაგეწყო.

— მე იმაზე გავბრაზდი, რომ იარაღით დაადგა ქალს. რომ უჩივლოს, მერე სად მიდის? ხომ დაიჭერენ? ამაზე არ ფიქრობს. ნამდვილი არანორმალურია. არადა, შეხედავ, ისეთი სახე აქვს და გამომეტყველება, იფიქრებ, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამსო, მაგრამ მაგისი მეორე „მე“, მგონი, კაცია...

— შენ ის გირჩევნია, რამე მოიფიქრო და შეირიგო. იქნებ ნანა და ეგ შეახვედრო და ნანას ათქმევინო, რატომ იყო წუხელ შენთან...

— ეგ იდეა არ მომწონს, — დაფიქრებით თქვა ირაკლიმ.

ანა ამ დროს დავითთან იჯდა და ცრემლების ღვარღვარით უყვებოდა რამდენიმე დღის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს...

— ბელა უნდა იშვილო? — ჰკითხა მამაკაცმა.

— ჰო, ვიშვილებ. იქნებ ამით მაინც გამოვისყიდო ის დანაშაული, რომელიც ჩემი შვილის წინაშე უნებლიეთ მიმიძღვის... კარგი გოგონაა, ცოდვაა ასე უპატრონოდ მისი მიტოვება... მატერიალურად არ მიჭირს, რომ მისი პატრონობა ვერ შევძლო. თან, ანას და ეყოლება.

— და შენ გაუჩინე, ჯერ ახალგაზრდა ხარ, — გაიღიმა დავითმა.

— არა მგონია, რომ კიდევ ერთხელ გავთხოვდე, დავით... მით უმეტეს, თუ იმ ჯადოს არ გავანადგურებ...

— ჰოო, — ნიკაპზე ხელი მოისვა დავითმა, — იმას რა ვუყოთ, მართლა?

— უნდა წავიკითხოთ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს პირად ცხოვრებაზეა ჯადო გაკეთებული. ჯერ წავიკითხოთ, შემდეგ კი მესამე ფურცელი უნდა ვიპოვოთ...

— ანა, ჩვენი ფინანსური დირექტორი სამსახურიდან წავიდა... ახლა, რადგან აქ ხარ, მინდა, რომ შენ მიიღო

გადაწყვეტილება და ახალი თანამშრომელი აიყვანო.

— ფინანსური დირექტორი? — დაფიქრებით თქვა ანამ. — სად წავიდა?

— მაღალ თანამდებობაზე დანიშნეს, სახელმწიფო სამსახურში და იქ გადასვლა ამჯობინა.

— კარგი. ჯერ არავინ მიიღო, მე

მოვძებნი კანდიდატურას. ხელფასი რამდენი ჰქონდა ძველს?

— 2.500.

— კარგი, გასაგებია...

ანა დავითს გამოემშვიდობა და შინისაკენ გასწია.

— ბელა სადაა? — მაშინვე იკითხა, როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა.

— ოთახშია, ტელევიზორს უყურებს, — უპასუხა დედამ.

— როგორ იქცეოდა? — ფეხსაცმელები იქვე, შემოსასვლელთან მიყარა ანამ და სამზარეულოსკენ ფეხშიშველი წავიდა.

— ბავშვობიდან გაქვს ეს ჩვევა, მოკლედ. ჯერ არ მახსოვს, რომ შენი ფეხსაცმელები სწორად და ლამაზად ეწყოს. ერთი ალთასაა, მეორე — ბალთას და თან გადაბრუნებულები ყრია. კარგი, რა, ანა, აღარ უნდა გაიზარდო, შვილო? ფეხშიშველი სიარულიც როგორ გიყვარს?! — მსუბუქად უსაყვედურა დედამ. — გშია? — დააყოლა ბოლოს.

— კი, ძალიან, — ანამ ონკანი მოუშვა და ხელები გადაიბანა.

— ბელა კი გადასარევი ბავშვია, ზრდილი და თან საოცრად ხელმარჯვე. მთელი დღე გვერდიდან არ მომშორებია, მეხმარებოდა, ჭურჭელს რეცხავდა, იატაკს გვიდა... თან ყველაფერს დიდი ქალივით აკეთებს, — ციცომ უცებ გააწყო სუფრა.

ანამ თეფშზე ვერმიშელი დაახვავა, სოუსი მოასხა, კატლეტი ჩანგლით შუაზე გაჭრა და დაყნოსა.

— შენნაირ კატლეტს ვერავინ აკეთებს, დე, ჩემი ბავშვობის სუნი აქვს ამ კატლეტს. მოდი, რა, შენ მაჭამე?!

ციცომ თავი გადააქნია და ანას გვერდით მიუჯდა. ის ლუკმებად დანაწილებულ კატლეტს უდებდა პირში და ვერმიშელს აყოლებინებდა. ანა კი მორჩილად უღებდა პირს და პურს კბეჩდა.

— აღუუ, — თავზე ნინო და ბელა წამოადგნენ.

გოგონა გაოცებული უყურებდა, როგორ ჭამდა ანა დედის ხელიდან.

— კარგი, მადლობა, დე, მე თვითონ შევჭამ, — ჩანგალი გამოართვა, — თქვენ არ გშიათ?

— უკვე ვჭამეთ, — მიუგო ნინომ, ბელას მხარზე ხელი მოხვია და ოთახისკენ წაიყვანა.

ცოტა ხნის შემდეგ ანაც მათ გვერდით მოკალათდა და ტელევიზორს მიაშტერდა. თუმცა, იქ რა ხდებოდა, არ ესმოდა. მისი ფიქრები სხვაგან ქროდა.

თვალი მოჰკრა, მის გვერდით მჯდომმა ბელამ ხელი მისკენ როგორ გააცურა და თითები მისი კაბის ბოლოს შეახო. ანა მიხვდა, რომ გოგონას მისი შეხება და მასთან ახლოს ყოფნა სურდა. ხელი მოხვია. ბელა დაჰყვა და მიეხუტა. ანას ლამის ცრემლი მოადგა. ტირილი უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა. ცოტა ხანში ბელას ჩაეძინა. ანამ გოგონა ხელში აყვანილი გაიყვანა საძინებელში და საწოლზე ფრთხილად დააწვინა.

თვითონ ფეხაკრეფით გამობრუნდა და კარი უხმაუროდ გამოიხურა.

ჯერ ტანისამოსის გამოცვლა დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა; დაიბარა, მალე მოვალო და შინიდან გავიდა.

— ეს გოგო გამაგიჟებს, სად დადის ამ შუაღამისას? — ოთახში თავი შემოყო ციცომ.

ნინომ მხრები აიჩეჩა.

ანა რამაზის კართან იდგა და ყოყმანობდა, დაეკაკუნებინა თუ არა. ბოლოს, გამბედაობა მოიკრიბა, ხელი ასწია და ზარის ღილაკს მიაჭირა. ცოტა ხანში შიგნიდან ფეხის ხმა გაიგონა. გული ლამის ბუდიდან ამოუვარდა. სუნთქვა შეეკრა.

— ქალბატონი ანნა? — რამაზი გაოცებული უყურებდა ქალს.

— დიახ, უკაცრავად, რომ ასე გვიან გაწუხებთ, მაგრამ საქმეზე ვარ მოსული, — ანას თვალი ოთახისკენ გაექცა, საიდანაც ანას ლაპარაკი ისმოდა.

— მობრძანდით, სასიამოვნო ვიზიტია, ნამდვილად გამაოცეთ და თანაც, სასიამოვნოდ, — მამაკაცმა გზა დაუთმო და ანა გაატარა.

ოთახში შესულ ქალს გოგონა შეეგება.

— ანა დეიდა, როგორ ხართ?

ბავშვი გადაკოცნა და თავზე ხელი გადაუსვა.

— ასე გვიან რატომ არ გძინავს? — ჰკითხა მზრუნველი ხმით.

— ახლა მეუბნებოდა მამიკო, დაიძინეო და პირობა მივეცი, რომ 15 წუთში დავიძინებ, მაგრამ თქვენ მოხვედით და...

— პირობა უნდა შეასრულო, მიუხედავად იმისა, რა მოხდა იმის შემდეგ, რაც პირობა მიეცი.

— ჰო, მაგრამ ყავა არ უნდა მოგიდუღოთ?

— არა, ყავა ახლა არ მინდა.

— კარგი, მაშინ დავიძინებ, — გოგონამ ანას და მამას ლოყაზე აკოცა და საძინებელში გავიდა.

რამაზმა სიყვარულით სავსე მზერა გააყოლა ბავშვს. ანას მოუბოდიშა, ახლავე მოვალო და გოგონას მიჰყვა.

— მაპატიეთ, სინათლე გამოვურთე და საბანი ამოვუგე, რომ არ გადაიხადოს, — კიდევ ერთხელ მოუბოდიშა, — ყავას არ დალევთ? სამზარეულოში გავიდეთ.

ანა უკან მიჰყვა მამაკაცს. სამზარეულოდან კარი ვერანდაზე გადიოდა, სადაც მაგიდა და დივანი იდგა. რამაზმა ყავის ფინჯნები გარეთ გაიტანა და მაგიდაზე დადგა. თვითონ ანას პირისპირ, სავარძელში ჩაჯდა.

— ძალიან მზრუნველი მამა ხართ, — გაუღიმა ანამ.

— მას შემდეგ, რაც მე და ჩემი შვილი დედის გარეშე დავრჩით, მხოლოდ ჩემს იმედადაა. მივეჩვიე ბავშვთან ურთიერთობას. თან, ხომ იცით, ასეთ შემთხვევაში შვილთან გაცილებით მჭიდრო ურთიერთობა ყალიბდება. ახლა ანა უკვე პატარა ქალია და დედასავით მექცევა. ჩემზე ზრუნავს და ხშირად მიბრაზდება კიდეც, მკაცრი დედასავით.

— კარგი შვილი გყავთ, — ჩუმად თქვა ქალმა.

— თქვენ გყავთ შვილები? — მამაკაცი ინტერესით ათვალიერებდა ანას და აშკარად ეტყობოდა, რომ მოსწონდა.

— დიახ, მყავს. მე საქმეზე ვარ მოსული, — უცებ შეცვალა თემა.

— გისმენთ.

— იმ დღეს თქვენ რომ დაგემშვიდობეთ, ლევანმა სხვათა შორის თქვა, რომ თქვენ სადღაც ფინანსურ დირექტორად მუშაობთ.

— დიახ, ასეა.

— მისი ნათქვამი დამამახსოვრდა. სულ ახლახან ჩემი ფირმის ფინანსური დირექტორი სამსახურიდან წავიდა იმის გამო, რომ თანამდებობაზე დანიშნეს. ადგილი გათავისუფლდა და მინდოდა, თქვენთვის შემომეთავაზებინა. ფირმა საკმაოდ სოლიდურია, ანაზღაურებაც მაღალი. იქნებ მოიფიქროთ და სამუშაოდ გადმოხვიდეთ?

— სადაც ვმუშაობ, თავს იქაც კარგად ვგრძნობ, მაგრამ მაინტერესებს, რატომ მაინცდამაინც — მე? უცხო ადამიანს სთავაზობთ სამსახურს... რატომ?

ანას ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. არა, კი ჰქონდა, მაგრამ ამ პასუხის გაცემა ახლა არ შეიძლებოდა, ხოლო სხვა პასუხი არ არსებობდა... ადგა და რასაც ფიქრობდა, ის თქვა.

— ამ კითხვაზე პასუხი არა მაქვს... არ ვიცი, რატომ მაინცდამაინც თქვენ, მაგრამ ის ვიცი, რომ ძალიან მინდა, ჩემი წინადადება მიიღოთ.

— გათხოვილი ხართ? — მოულოდნელი კითხვა დასვა მამაკაცმა.

— არა, ქვრივი ვარ, მაგრამ ეს რა შუაშია?

— ისე ვიკითხე, უბრალოდ. მაშინ, შესაძლოა, დაახლოებით მივხვდე, რატომ გსურთ ჩემი გადაბირება, — ეშმაკურად ჩაიცინა მამაკაცმა.

ანა ცოტა გაღიზიანდა, მაგრამ არ შეიმჩნია. ჯობია, ეგონოს, რომ ვაბამ, ვიდრე სხვა რამ იეჭვოსო, — გაიფიქრა და ორაზროვნად გაიცინა.

— არ ვიცი, თქვენ რას ფიქრობთ, მაგრამ პასუხს როდის მეტყვით?

— რითია თქვენი ფირმა დაკავებული?

— სამკერვალო ბიზნესით. უცხოეთის ერთ-ერთ ფირმასთან ხელშეკრულება გვაქვს. იქიდან ჩამოდის უკვე შესაკერავად გამზადებული ტანისამოსი, აქ იკერება და უკან იგზავნება.

— გასაგებია, იაფი მუშახელის გამო აკეთებთ ასე... რამდენი გაქვთ ბრუნვა წელიწადში?

— ამას მაშინ გეტყვით, თუ ჩემს წინადადებაზე დაფიქრდებით. რამდენი გაქვთ ხელფასი, თუ საიდუმლო არაა?

— თქვენ რამდენი შეგიძლიათ, შემომთავაზოთ? — კითხვა შეუბრუნა მამაკაცმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზაკვნილები

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ჩემო კარგებო... ახლა ყოველგვარი შესავლის გარეშე, საყვედურებზე გადავდივარ... ამ ბოლო დროს კი მოვუსმინე წუწუნს, მაგრამ რა ჩემი ბრალია? მოკლედ, ამ კვირაში ASHLEY-მ მომწერა და გაბრაზებული დამემშვიდობა. არ მეგონა, თუ ასე გეზიზღებოდი და პირდაპირ გეთქვა ჩემთვის, მისტერს რატომ დააბარეო... სიბრაზისგან გავმწვანდი... ვის გაუგონია, რომ მე მგზავნელებზე ვიჭორაო და ვინმეს ვინმესთან რამე დავაბარო (მით უმეტეს — მეზიზღები-მეთქი)? ჩემი სახელით სარგებლობის უფლება და სხვისი ლანძღვა ვერაფერი მოსაწონი და ვაუკაცური საქციელია, ჩემი აზრით. თუ ვინმესთან ანგარიში გაქვს გასასწორებელი, თავად გაუსწორდი. ეს იგივეა, მისტერისთვის ვინმეს უბანში შეურაცხყოფა მიეყენებინა, ის კი ჩემთან გამოქცეულიყო, მიშველეო და იმ შეურაცხმყოფელის საცემად წავეყვანე. თვითონ კი გვერდით გამდგარიყო და ეყურებინა, როგორ გავუსწორდებოდი მის უბნელებს. ხომ მეთანხმებით, რომ „ვაჟკაცური“ იქნებოდა? ჰოდა, რაღაც მსგავსი ჩაიდინა ამჯერადაც. გაბრაზებული, „გზავნილების“ ფორუმზე შევედი და ახალი თემა დავამატე, არ მეგონა, თუ მაწყენინებდითმეთქი. მაშინვე გამომეხმაურა პატივცემული მისტერი და მკითხა, რა მოხდაო? საყვედურებით სავსე ტექსტი დავდე ფორუმზე და ბოდიშის მოხდაც მოვითხოვე მისტერისგან... პასუხად კი თავის მართლების მსგავსი ტექსტი მოვიდა და არა — ბოდიში. ამ საქმეში ASHLEY-ც ჩაერთო და მისტერი გამოლანძღა. მჯერა, რომ ASHLEY სწორედ მისტერმა შეიყვანა შეცდომაში და ჩემი სახელით მასთან ანგარიშის გასწორება სცადა. ასე და ამგვარად... მისტერისგან კვლავ ველი ბოდიშს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯურღმულიორკი ელის, მთელი თვით. შეიძლება თქვას, ვის რაში სჭირდება, თქვენი მესიჯების დაბეჭდვა, სულაც არ წავიკითხავ „გზასო“, მაგრამ მერწმუნეთ, ის მაინც წაიკითხავს თქვენ გამოგზავნილ, მისთვის განკუთვნილ მესიჯებს და პასუხს რომ ვერ გასცემს, ამაზე მეტი სიმწარე მისთვის (კარგად ვიცნობ მის შურისმაძიებელ ბუნებას) არც იარსებებს... ასე რომ... თუ ვცდები და ASHLEY იტყუება, მაშინ დაამტკიცოს და მისტერს მე მოვუხდი ბოდიშს, რომ ვცდებოდი და ცილი დავწამე. ახლა კი თქვენი მესიჯები.

ტყუილი, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა

მუხლები – უკან

„მაარ, ეს რა თემა მოიფიქრე, ჰაა? მე და ტყუილი იმდენად შეუთავსებლობაში მოვდივართ ერთმანეთთან, რომ დღეში სულ ცოტა, 3-ჯერ მაინც მიწევს მოტყუებული SWEETY-ს დამშვიდება... სამწუხაროდ, ეს ნიჭი (უნდა დამეთანხმოთ, რომ ნიჭია) არ „დამათხლიშა“ ბუნებამ და მიწევს სხვა „დათხლეშილების“ ატანა... მეხსიერებას შორეულ წარსულში მომხდარი ამბების გახსენებით აღარ შევაწუხებ (ზარმაააც!) და საპირველმარტო ტყუილებს გავიხსენებ. დილა საკმაოდ მშვენიერი და მზიანი გათენდა. კმაყოფილმა გავახილე თვალი, სიამოვნებით გავიზმორე, ტუჩებიც მოვილოკე იმ დღეს შესაძლო ხინკლის ჭამისათვის (აპოლონი შეგვპირდა მე და ილინს, ხელფასს ვიღებ და გახინკლავებთო) და ის იყო, სარკისკენ გავიქეცი, რომ დაქალმა მითხრა, უნივერსიტეტში არ წახვიდე, სწავლა არ ყოფილაო... მეც ჩავიბუზღუნე, ნეტავ, რას წამოვხტი ამ დილაადრიან-მეთქი და ისევ მივუბრუნდი თბილ ლოგინს... ცოტა ხანში, როცა დილის „ტვინათქვლეფილობამ“ გამიარა და საღ აზრზე დავდექი, მივხვდი, რომ დასვენების დღე არ იყო და სინათლის სიჩქარით დავიწყე მზადება... რა ჩავიცვი, არც კი მახსოვს. სირბილში ერთ-ერთ ბირჟას „გადავუფრინე“. — გოგონა, უკან მუხლი გაქვთ დასვრილიო, მომაძახეს. მეც მივიხედე. — დღეს პირველი მარტია, გაამართლეს თავიანთი ტყუილი და მერე მივხვდი, რა რიცხვიც იყო და იმასაც, რომ მუხლი უკან კი არა, წინ მაქვს... ავფორთხდი „ბოტკინში“ (ავტობუსში, რა) და როგორც ჩანს, მძღოლიც არანაკლებ მოწადინებული იყო ამ დღეს, ვინმე მოეტყუებინა... სულ სხვა მხარეს წავიდა და აწივლებულ-აკივლებულ მგზავრებს, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ მძღოლის საქციელის გამო, მშვიდად პასუხობდა: — დღეს პირველი მარტია, ვინც მოტყუვდა, ბატია... იქ ამბავი ატყდაა?! განსაკუთრებით მოხუცები აქტიურობდნენ... ბატს გაჩვენებთ ახლა, შე უსინდისო, მაიცა, დავრეკო ცხელ ხაზზე! — არ ჩერდებოდა ერთი... როგორც იქნა, მივაღწიე სასწავლებელში და ავვარდი აუდიტორიაში... სადაა ლექტორი? 3 საათი ვუცადეთ და არ მოვიდა... მართალია, არ დაურეკავს და არ უთქვამს, ბატები ხართო, მაგრამ ასე გამოვიდა... უნივერსიტეტიდან გამოვედი თუ არა, ილინმა დამიმესიჯა, ხომ გახსოვს, დღეს სად მივდივართო? ეგ როგორ დამავიწყდება-მეთქი? შევხვდით ერთმანეთს და ავუფეთქეთ გიოს მობილი... იმანაც მთელი სულგრძელობით (ისემც რა ვუთხარი) ითმინა ჩვენი „ამსუნაგებულობა“ და „ალექსანდროვის“ ბაღში დამელოდეთ, ცოტა ხანში მოვალ და სადმე ჩამოვსხდეთო. 3 საათი გვაყურყუტა, იმ საზიზღარმა. ჩვენც, გაბრაზებულ-გაყინულ-დაბოღმილები გამოვვარდით (ჰმ! კაი დროსი იყო) და წამოვედით სახლში. გიორგი საჯაიავ, ნახალოვკაში, ჩემს აივანთან გავლილი რომ დაგინახოოო... აგური მაქვს შენთვის გამზადებული, იცოდე და... აღარ დავასრულებ, თავად მიხვდი, რასაც ვიზამ... ეჰ, ელეე, რა გვიყო ამ უსინდისომ? ხინკლის ხსენებაზე ყველას პირი უწკლაპუნებს, მე კი კანკალი მეწყება, მგონი „ხინკლის ციება“ შემეყარა... SWEET-GIRL“.

ელამი მატყუარა

„ვაიმე, ვაიმე, ამ თემაზე ჩემი გული შეხტა და გაიკვანძა ჰაერში. :) იმ შეშლილ სამყაროში, სადაც ვცხოვრობთ, ტყუილი ყოველდღიურობად იქცა. ვერ ვიტან, როცა მატყუებენ და ვცდილობ, თავადაც ნაკლებად მოვიტყუო, მაგრამ უნებლიედ თუ „ნებლიედ“, მეთქმევინება ხოლმე. ერთხელ სოფელში სტუმრად ჩამოვიდა გაგა. მე ამ დროს ჩემი „რეიბანებით“ ვბლატაობდი და ცოცხალი თავით არ ვიხსნიდი სათვალეს. გაგამ მაშინვე მკითხა, სათვალეს რატომ არ იხსნიო? მე ჯერ სიცილით ვუთხარი, მცემეს და „სინიაკს“ ვმალავ, შემდეგ კი სევდიანად დავაყოლე, ცალი თვალით ელამი ვარ-მეთქი. ნუ, ამის მერე გაგა მეჯენტლმენებოდაა (ეს იმით გამოიხატებოდა, რომ სხვა გოგონების მსგავსად, წიხლით არ მაგდებდა მდინარეში, ბაყაყს არ მისვამდა ქუდზე და ა.შ). შემდეგ ორკვირიანი „შვებულებით“ ბათუმში ვიყავი. სოფელში დაბრუნებულმა, სათვალით მარიაჟობას შევეშვი და „ზაგრით“ ბლატაობაზე გადავედი (არადა, ბებო წარამარა მაბანძებდა, ყანაში ნამუშევარივით ხარ გამაზუთისფერებულიო. ჰმ!). ერთხელაც მივტასაობ ქუჩაში უსათვალოდ, მაგრამ „ზაგრით“ „აღჭურვილი“ და გაგა შემხვდა. მომესალმა და გაოგნდა! აბა, თვალები მტკივაოო?! „ზაგარმა“ განგკურნაო? — ვაიმეე! ელდისგან გამაჟრჟოლა. შემკრთალ სიფათზე ღიმილი მოვსხიპე (თვალების დაელმება უკვე გვიანი იყო) და ტყუილიც „გამოვაცხვე“: ბათუმში ლაზერული ოპერაცია გავიკეთე-მეთქი. უუჰ, კი გადავრჩი მაშინ და გაგამ დამიჯერა, მაგრამ რა ვინერვიულეე... ეს მაზუთისფერი ქალი გავქაღალდისფრდი კინაღამ. ისე, ამ ტყუილმა დროებით მაინც შეცვალა ჩემი ცხოვრება, მარ. გაგას ოინებისგან მიხსნა, სანამ ელამი ვეგონე. ჩუპი“.

გაპარული

„ახლო ნათესავები მყავს სამტრედიასა და თბილისში. ჰოდა, გადავწყვიტეთ, წელიწადში ერთხელ მაინც მოვახერხოთ და ვეწვიოთ ერთმანეთს. პირველ წელს ვიზიტი თბილისში იყო, მეორე — თელავში, ჩემს დაბადების დღეზე ჩამოვიდნენ თბილისელები და სამტრედიელები, ხოლო მესამე წელს — სამტრედიაში, თამთას დაბადების დღეზე წავედით ყველა. თამთას შეყვარებულიც ჩამოუვიდა... ძალიან კარგი დრო გავატარეთ, თამადა ვიყავი და კარგად დავათვრე გოგონები და არც მე ვიყავი ფხიზელ მდგომარეობაში... თუმცა, ამას სხვა დროს მოგიყვებით, ახლა კი მთავარს გეტყვით: მეორე დღეს თამთამ თქვა, დაქალსა და შეყვარებულს გავაცილებო და წავიდა... ერთ საათში დედამისს დაუმესიჯა, გავიპარეო... იქ ამბავი ატყდაა?! დედამისი ისე იყო გაბრაზებული, იფიცებოდა, მომტყდეს ხელი, თუ რამე გავუკეთოო, მაგრამ გადაუარა წყენამ და ერთ თვეში ისეთი ქორწილი გადაუხადა, თითქოს თავისი ხელით ჩასვა მანქანაში თამთა და ჯაკუნას გააყოლა. ახლა კი გოგოს ველოდებით და სახელიც შერჩეულია — ნუციკო. :) აი ასე, ტყუილმა, რომ შეყვარებულს გავაცილებო, მთლიანად შეცვალა თამთას ცხოვრება. :) მის რეალი“.

იდეალური სამყარო

„მარ, წავიკითხე და მაგრად ვიხალისე შენი ტაქსისტობის ამბავზე (არა მარტო ვიხალისე, მომავალ პროფესიაზე სერიოზულად დავფიქრდი). იცი, მარ, 26 აპრილს 2 წელი მისრულდება, როგორც მგზავნელს. 2 წელია „გზაელი“ ვარ და ამით ვამაყობ! ჩემი პირველი გზავნილი ჩემს კლასელზე იყო, რომელსაც „მასწმა“ „შპარგალკაზე“ უთხრა, ამოიღე, ფეხებშუა რაც გაქვსო. ვერასოდეს დავივიწყებ ამ პირველ სიხარულს (ჩემი პირველი გზავნილი ახლაც მაქვს ტელეფონში). 2 წელი გავიდა ამ დღიდან და ახლაც ყოველ ხუთშაბათს იგივე ემოციით ვყიდულობ „გზას“ და ისევ არანორმალურივით ვხტუნავ ქუჩაში, ჩემს გზავნილს თუ აღმოვაჩენ „გზავნილებში“. :) დრო ვერ ანიავებს მგზავნელობის სიხარულს!!! თქვენთან ერთად გავიზარდე (მგონი, წერის სტილიც დავხვეწე), მეგობრები შევიძინე, ცხოვრების მეგობრები — იკჩო, SWEET-ი, მის რეალი და სხვები. თქვენთან ერთად ვყოფილვარ ბედნიერიცა და დათრგუნვილიც. გახსოვს, მარ, აგვისტოს ომის დროს პირველად მოგწერე მეორე ნიკით. მერე კიდევ ერთხელ. ჩემს მეგობარზე გავიგე რაღაც, გულში ვერ დავტიე და შენ გაგიზიარე. ეს ორი (სხვანიკიანი) გზავნილი ჩემი სულის გამოძახილი იყო, რომელიც იმ მომენტში ვერავის ვანდე, შენ გარდა... წელიწად-ნახევარი ვიცხოვრე იმ ილუზიით, რომ გზავნილეთი იდეალური სამყაროა და მე ის ვიპოვე, მაგრამ ზოგიერთმა მგზავნელმა ეს ილუზია დამინგრია. ორი წელია „გზაში“ ვარ და „გზით“ ვარსებობ... საოცრად დაიხვეწეთ („მობილიზაცია“ მიტეხავს მარტო). „პროვოკატორი“, „ცხოვრება“, რელიგიური გვერდი, „ერუდიტი“, ანეკდოტები, „გზავნილები“, ULTRIX... აი, რა მიყვარს თქვენში. „გზა“ ამოუწურავია, თუმცა, ხანდახან მეჩვენება, თითქოს ამოვიწურე, როგორც მგზავნელი (შენც ასე ფიქრობ, მარ?). ისე, როცა მართლა ვეღარ ვიგრძნობ თავს მგზავნელად, ავიბარგები, მაგრამ

გულში სულ მეყოლებით. ამ სევდიან ნოტაზე აღვნიშნავ (ნაადრევად) ჩემი მგზავნელობის იუბილეს (ყველა იუბილეზე რატომღაც სევდიანი ვარ). არადა, ახლა ყანწი უნდა მეჭიროს. დაბოლოს, თქვენით მიხარია ყოველი ხუთშაბათი. მინდა, კიდევ გაუმჯობესდეს ჩემი (ჩვენი, ყველას) „გზა“. P.S. ელექტრა მიყვარს დაუსწრებლად, უმაგრესად წერს და რემედიოს ბუენდიას ნიკი მომეწონა საშინლად. აი, გემოვნება! შ.პ.ს. „ბირჟის“ დირექტორი, ბაბა იაგას მოადგილე, უბრალოდ, „გზაელი“ ჩუპი“.

„არ წახვიდეთ“

„იცი, მარი, „გზაში“ იმიტომ გადავწყვიტე დამესიჯება, მეგონა, რომ აღმოვაჩინე ზღაპრული სამყარო, სადაც მხოლოდ კეთილი ფერიები და ლამაზი და მხიარული პრინცები არიან, სადაც მხოლოდ სითბო და სიყვარულია. თითოეული მგზავნელის ბედნიერება მახარებდა და მათი ტკივილი მტკიოდა. დღეს კი ყველაფერი აირია, თითქოს ყველა შეიშალა... ხალხო, რა მოხდა, თუ ბერბიჭა ენიგმაა ან უკვდავი ხმა მის რეალი, თუ მგზავნელებს ერთმანეთი შეუყვარდათ? მერე რა, რომ გრუზინკა თათარია ან 9717-ს რაღას ერჩით? ძალიან კარგები და საყვარლები არიან, რატომ ცდილობთ, მხოლოდ ცუდი წეროთ და ერთმანეთი ლანძღოთ? აქ მაინც დაივიწყეთ შური და ბოღმა. ვოცნებობ ძველ „გზაზე“ და მხიარული, კეთილი და თბილი მგზავნელების დაბრუნებაზე. ოცნების ასრულების მჯერა, მაგრამ როდის ამისრულდება, ნეტავ? მინდა გამოვხატო დიდი სიყვარული და გულისტკივილი იმ მგზავნელების მიმართ, რომლებიც ყოველ ხუთშაბათს სამუდამოდ ან დროებით გვემშვიდობებიან და მაინც გთხოვთ, არ წახვიდეთ, რა! მიყვარხართ. ფლამინგო“.

შეცდომა

„სკოლის დამთავრების შემდეგ ვაჟა თბილისში, დეიდებთან ჩამოვიდა. თან სწავლობდა, თან მუშაობდა. ცოლი და 2 პატარა შვილი კახეთში ჰყავდა დატოვებული. ერთ დღეს ძმაკაცმა გამოუარა და სადღაც წავიდნენ. სახლში გვიან მოვიდა. მთელი ღამე გული ერეოდა. დეიდა მოატყუა, ნასვამი ვარ და სასმელმა მაწყინაო. სინამდვილეში კი უჩხუბიათ, მუცელში რაღაც დაუზიანდა და მთელი ღამე სისხლი აღებინა. სისხლდენამ ძალიან დაასუსტა. გამთენიისას ძმას დაუძახა, დეიდები გააღვიძე, ცუდად ვარო. სანამ დეიდებმა გაიღვიძეს და „სასწრაფოში“ დარეკეს, ვაჟას გული გაუჩერდა. დები განადგურდნენ, როცა დას 20 წლის ბიჭი მიუსვენეს. ვაჟამ ტყუილით ცხოვრება კი არ შეცვალა, საერთოდ დაენგრა და ქვრივად დარჩა 19 წლის მეუღლე, 2 წლის და 4 თვის შვილები — ობლებად. ჭრიჭინა“.

სტუმართმოყვარე

„გელამ მუშაობა რომ დაიწყო, ნანამ ამოისუნთქა. ფული აღარ მოჰკლებია, მაგრამ სტუმრების გამასპინძლებით ისე გადაიღალა, ისევ უფულობა არჩია. მათ სახლს დაუპატიჟებელი სტუმრები არ მოჰკლებია, ეს სტუმრები კი გელას თანამშრომლები იყვნენ. ნანა ნაძალადევი ღიმილით იღებდა და გულწრფელი ღიმილით, სიხარულით აცილებდა სტუმრებს. ნანასა და გელას ერთი პაწაწინა გოგონა, მარიკუნა ჰყავთ, ენად არის გაკრეფილი. მხოლოდ ის ეგებება სტუმრებს სიხარულით, თავს იგიჟებს, კიდევ მოდით ხოლმეო, სანამ სისხლგამშრალი დედა გემრიელად არ ჩაპწკენს, მანამდე თავს იკლავს ტირილით. სტუმრებიც სიხარულით უსრულებენ პატარას თხოვნას. ნანას გულის გასახეთქად, გელას დაბადების დღე მოდიოდა. გაჯიუტდა, არაფერს გავაკეთებო, მაგრამ დედის მხრიდან ნათესავებმა დაურეკეს, ჩამოსვლა გვინდაო და დაფაცურდა. ქორწილის სუფრა გაშალა (მარჯვე კია). აქეთ გელას ნათესავები მოიხიზნნენ, იქით ნანასი და ოროთახიან ბინაში ნემსის ჩასაგდები ადგილიც აღარ იყო. დაუპატიჟებელი სტუმრები, გელას თანამშრომლებიც რომ მოვიდნენ, ნანამ ღრმად ამოიხვნეშა, ამათმა წასვლა არ იციანო, — შესჩივლა ნათესავებს. დაღამდა. ყველას ყბა მოენგრა მთქნარებით, მხოლოდ გელას თანამშრომლები და პატარა მარიკუნა იყვნენ არხეინად. დიასახლისი ნათესავებთან წუწუნებდა, სანამ არ გასკდებიან, წასვლა არ იციანო. როგორც ჩანს, პატარას ეწყინა დედის ნათქვამი და სლუკუნით შეეხვეწა, მამიკოს მეგობრები ჩვენთან დავტოვოთო (ხომ წარმოგიდგენიათ, ნანას სახე ამ დროს?). რაო?! გაგიჟდა ქალი. აქ იმისთვის მოვიდნენ, შენი სათამაშოები წაიღონ, შენ კი გინდა, აქ დავტოვოთო? სამაგიერო გადაუხადა შვილს, ტყუილით. არ ესიამოვნა პატარას, დიდხანს იყო ჩუმად, მერე ძილი მოერია და სასტუმრო ოთახში შევიდა. უფრო სწორად, შევარდა და მთელი ხმით დაიყვირა: „ხალხეებოო“, წაადით, აგალ მიდიხაალთ? მეძინება

გოგოს ერთ, ციცქნა საწოლში გვეძინა. :) გათენდა და გზას გავუდექით. მანქანის სარკე მოგლეჯილი, ფარა ჩატეხილი და გვერდი შეჭეჭყილი დაგვხვდა. მდინარეზე ჩავედით, მანქანის გასარეცხად და წინა მხარე წყალში ისე ჩავარდა, ვერ ამოვიყვანეთ. თბილისში ძმაკაცებს დავურეკეთ. მანამ ფასანაურში ჩამოვიდოდნენ, დაღამდებოდა კიდეც. ამ დროს თეოს მამამ დაურეკა, სად ხართო? ვუთხარით, დღესაც თიკასთან ვრჩებით-თქო, მაგრამ იქ დაურეკავს და უთქვამთ, წამოვიდნენო. თეომ ვეღარაფერი მოიფიქრა და შეშინებულმა ტელეფონი გათიშა. გზად მაკას დის სოფელი უნდა გაგვევლო და თეომ შეყვარებულის ტელეფონით დაურეკა მამას. უთხრა, მაკას დასთან ვრჩებოდით და სხვისი ნომრით გირეკავ, მაგრამ აქაც შეცდა, რადგან წინა ღამეს იმავე ნომრით დაურეკა და უთხრა, კარგად ვიმგზავრეთ და მშვიდობით ჩავედითო. აი, აქ კი... მამამ კარგად იცოდა, რომ მაკას და წინა ღამეს ჩვენთან ერთად ვერ იქნებოდა. ის ტელეფონიც გავთიშეთ. ამოვიდნენ ძმაკაცები, მანქანა ამოიყვანეს და გიჟური სისწრაფით გამოგვაქანეს (რალისტები იყვნენ). ერთს ჯარიმა უნდა გადაეხადა, ბოლო დღე იყო. გზაში ავარია „შეგვხვდა“ და გადაკეტილი იყო. ნახევარი საათი იქ ვიცადეთ და ბანკს ხუთი წუთით მივასწარით. იმ ღამეს მაკასთან დავრჩით, მე დილით ადრე სამსახურში წავედი, საღამოს კი დამირეკეს და მითხრეს, თეო შეყვარებულთან ერთად გაიპარა, რადგან ამდენი ტყუილის შემდეგ მამა ნამდვილად მოკლავდა და მეტი გზა არ ჰქონდაო. აი, ასე... ახლა პატარაც ჰყავთ და ძალიან ბედნიერები არიან. ეს მოხდა მარტში, ორი წლის წინ. ახლა ვხალისობთ, როცა ვიხსენებთ, მაგრამ მაშინ შეშინებული და გაყინულები ვიყავით. ვამპირა“.

მზეჭაბუკის სიყვარული

„ვინმემ თუ იცის, ტყუილი რამდენსახოვანია? ზუსტად არც მე ვიცი, მაგრამ ერთმა, თითქოს უწყინარმა ტყუილმა ძირფესვიანად შეცვალა ჩემი მომავალი. საკმაოდ ადრეულ ბავშვობაში ჩამომიყალიბდა ფემინისტური შეხედულებები იმ წაკითხული რომანების დამსახურებით, განურჩევლად რომ ვკითხულობდი, გამკითხავი არავინ მყავდა და მეც საჩემო დასკვნები გამომქონდა წაკითხულიდან. ერთ-ერთი ჩემებური დასკვნა, მამაკაცთა არასანდოობა იყო და შესაბამისად, ჩემი ქალური თავმოყვარეობის სკალაზე მეტისმეტად მაღლა აარტყა ათვლის წერტილიდან, ფემინისტურმა შეხედულებებმა. თუმცა, ამ ყველაფერს ხელი არ შეუშლია, შემყვარებოდა ბავშვურად (ბოლოს და ბოლოს, ამორძალებიც აღიარებდნენ სიყვარულს). ჰოდა, მანამ შევხვედი ჩემს მზეჭაბუკს (ოღონდ გულში, თორემ, როგორ ვაღიარებდი მასთან ჩემს ვნებათაღელვას), სანამ მეგობარმა არ წამომაძახა, შენ გგონია, მართლა უყვარხარო? თუ ვინმეს ელდა დამართნია, ადვილად წარმოიდგენს ჩემს მაშინდელ მდგომარეობას. დამზარა გულში მოწმენდილ ცაზე გავარდნილმა მეხმა და მაგ დღიდან მოყოლებული, ჩემს გასტუდენტებამდე, მისდამი აგრესიით ვნიღბავდი ჩემს გრძნობებს და მავთულხლართების დამცავ ღობეს ვავლებდი ჩემსა და მას შორის. არ დავიწყებ დეტალების მოყოლას, მაგრამ იმდენს მივაღწიე, დავაჯერე, რომ უარყოფითად დამუხტული ატომი ვიყავი მისთვის, რადგან ჩემი მორჯულების მცდელობას, ყოველთვის მედუზასავით დასუსხვით ვპასუხობდი. ტყუილს მოკლე ფეხი აქვს, ჩემი მეგობრის ტყუილსაც მოკლე ფეხები აღმოაჩნდა და ალბათ ამიტომაც გაიწელა დროში სიმართლემდე მისვლა. მოკლე ფეხებს ნაბიჯიც მოკლე აქვს. დიდი ხანი არაა, რაც გაირკვა, რომ დაუფიქრებლად უთქვამს ჩემს მეგობარს მაშინ ეს ტყუილი ჩემთვის. არადა, მისთვის რომ არ დამეჯერებინა, შესაძლოა, ოჯახურ ჭაპანწყვეტაში ვყოფილიყავი ჩაბმული. ვინ იცის, იქნებ დედის დღის მოლოცვის ლაურეატიც გავმხდარიყავი და არა — შინაბერობის კანდიდატი (ნახევრად ვხუმრობ)... ანა კალანდაძის ამ ლექსის წაკითხვისას, ყოველთვის მგონია, რომ ჩემზეა: „რომ ავყოლოდი გულისთქმას, ჭკუას არ დავიხმარებდი, შენთან გავლევდი ჩემს დღეებს, შენ გვერდით გავიხარებდი. ზურგს საფქვავს წამოვიგდებდი, გზას წისქვილამდე გავლევდი. პატარაც რამე გწყენოდა, სულს ხოხობივით დავლევდი“. მემე“.

გვარის გამო განაწყენებული

„მოკლედ, ერთ ავბედით დღეს ჩემი ერთ-ერთი „მასწი“ უხასიათოდ შემობრძანდა კლასში. გამარჯობის თქმაც არ ინება, ისე „გაბრტყელდა“ სკამზე. ჯერ თავისთვის იბუზღუნა, შემდეგ აწიწინდა და მის კიკინში გადასულ ხმის ტემბრში ძლივს გავარჩიე, რომ ერთ-ერთი გვარის ქალის შერთვასა და ლომთან შიშველი ხელებით შებმას ერთნაირი გამბედაობა სჭირდებოდა და ბიჭებს თავი შორს უნდა დაეჭირათ მათგან (როგორც ჩანს, ამ გვარის მქონე პიროვნებამ გააბრაზა და ასე იყარა ჯავრი). საქმე ისაა, რომ ამ გვარის წარმომადგენელი გახლავართ და გულში მომხვდა მისი სიტყვები, მაგრამ რომ გამეპროტესტებინა, იტყოდა, ხედავთ, მართლა ლომი და აფთარიაო?.. ჰოდა, გავჩუმდი. შედეგად ჩემს მერხზე კი ხანს აღარ მიპოვნია სატრფიალო წერილი, ისე დამიფრთხო ბიჭები. რა ლომი, რის ფოცხვერი, დღემდე ვერ ვხვდები, რას გვერჩოდა ამ გადასარევი გვარის ქალებს?! P.S. გული მეპარება, სული მეხუთება, ფეშენა თუ არ ჩამეხუტება! ფეშენ, მიპოვე ან მითხარი, სად გიპოვო. გელოდები გულისფანცქალით. გკოცნი, პარიჟანკა“.

„მე ბათუმში ვარ“

„უჩვეულოდ გათენდა 5 მარტის დილა... საღამოს ის იყო, ძილს უნდა მივცემოდი, რომ მაესტრომ დამირეკა, წუთის მეოთხედში ამიხსნა, ჩემთან გამოდიო, მარი ჩამოდის და ვნახოთო. კარგა ხანს გარინდებული ვიდექი და უცებ მივხვდი იმ დღის უჩვეულობის მიზეზს. დიახ, მარის ვნახავდი, ჩვენს მარის. მერე როკოც შემოგვიერთდა და 1 საათში ბათუმის შესასვლელთან ვიდექით და მარის შევციცინებდით. იმ დღეს აღარ შევაწუხეთ მარი, მალე დავიშალეთ იმ იმედით, რომ მეორე დღეს ვნახავდით. მართლაც, მეორე დღეს ვნახეთ, მართალია, 15 წუთით, მაგრამ ეს იყო ბედნიერების 15 წუთი. ვიდექით წვიმაში, ზღვიდან მობერილი ცივი ქარი ქროდა, მაგრამ ჩვენ არ გვციოდა, რადგან გულები გვქონდა თბილი. მარიმ — საქმე მაქვს, გავალ, მოვალ და გნახავთო, მაგრამ ვერ მოახერხა, ვერ დავემშვიდობეთ. თუმცა, ჩვენ ისევ ველოდებით მარის ხმას ტელეფონში და მისგან წარმოთქმულ სიტყვებს: ბავშვებო, მე ბათუმში ვარ! სუპერსთარი“.

მეგობრები

„ზაფხულში, აგარაკზე ყოფნისას ერთ გოგოს დავუმეგობრდი. მენდობოდა და თავისი მძიმე წარსულის შესახებ

ლოლა — ავტორისეული
შეოცმანგუბული ჰორიზონტია

გულახდილად მიყვებოდა. მეც ვენდობოდი, რადგან მასში მეგობარს ვხედავდი. იქ ერთ ბიჭს დავუახლოვდი, ყველანაირი „სხვა“ გრძნობის გარეშე და რამდენჯერმე ვიმესიჯეთ. ეს ყველაფერი მოვუყევი იმ ჩემს „მეგობარს“. მანაც გამიგო და დამპირდა, რომ არავის ეტყოდა. ერთ დღეს, იმ ბიჭის მეგობრებთან ერთად „ჯოკერს“ ვთამაშობდი. აცივდა და წავედი სახლში, ჩასაცმელად. რომ დავბრუნდი, ბიჭებმა იკითხეს: „აბა, ვინ არის ჩვენი ძმის სატრფო, ეს?“ და თვალიერება დამიწყეს. მე გაოცება ვერ დავმალე და ამ ამბავს აგრესიით შევხვდი. გაირკვა, რომ ჩემს „მეგობარს“ გავუსაღებივარ გიოს სატრფოდ. რა თქმა უნდა, ყველაფერი უარვყავი. სიმართლე დავამტკიცე, მაგრამ გიოსა და მისი მეგობრების თვალში თავი დამცირებულად ვიგრძენი. მასაც დისკომფორტს უქმნიდა ჩემთან მეგობრობა, რადგან ზედმეტი ჭორები არავის სჭირდება. იმ გოგოს დავშორდი და თავისთავად, გიოსაც. ნატოს გამო გული არ მწყდება, მაგრამ გიო... ასე გამწირა „მეგობარმა“. ამის შემდეგ ცოტა ვინმეს თუ ვენდობი... წერო“.

ახალი ცოლის ოინები

„პაპაჩემი სოფელში ცხოვრობს. ბებია 3 წლის წინ გარდამეცვალა და პაპამ 81 წლის ასაკში მეორე ცოლი მოიყვანა. ამის შემდეგ აირია ჩვენი ურთიერთობა, პაპამ, რომელიც ძალიან მიყვარდა და ყოველთვის კბილებით ვიცავდი, თეფშისა და ციცხვის ქურდობა დამაბრალა. ექიმთან მე დამყავდა ხელჩაკიდებული, სოფელში მივდიოდი, ვეხმარებოდი, სამაგალითო შვილიშვილი ვიყავი. ღმერთის წინაშე, ცხოვრებაში არავისთვის არაფერი მომიპარავს. ვინც მიცნობს, ყველამ იცის, როგორი ვარ. პაპაჩემთან დალაპარაკებას აზრი არ აქვს, მაინც ვერ გამიგებს, ისე აქვს ტვინი გადატრიალებული, მაგრამ ჩემს სათქმელს მაინც ვეტყვი. დრო გავა და იმედია, მიხვდება ყველაფერს. უსამართლოდ რომ მადანაშაულებს და ცილს მწამებს, ძალიან მატკინა გული. არ ველოდი, ოდესმე ჩემზე ასე თუ იფიქრებდა. ისეთი ნაწყენი ვარ, სოფლისკენ გახედვაც არ მინდა. გული მწყდება, ჩემი რვეულები და ჩანაწერები იქ მაქვს და იმედია, ღუმელში არ დამიწვავენ“.

„მე მძულს ჩემი თავი“

„მთელი ჩემი ცხოვრება ტყუილზე არ არის აგებული? ყოველი დღე, ყოველი წამი ჩემი ცხოვრებისა, ტყუილია. ვთამაშობ იმ ადამიანს, ვინც რეალურად არ ვარ. კეთილი, ნაზი, სამაგალითო და საყვარელი გოგო ვარ (ეს მათ ჰგონიათ ასე). არადა, ერთი ბოღმით, ბოროტებით, სიმწრითა და სიბნელით გატენილი ადამიანი ვარ. იმდენად დაუნდობელი და სასტიკი, ხანდახან საკუთარი თავისაც კი მეშინია. ღმერთო, რატომ ვარ ასეთი? ნუთუ ჩემი წინაპრების ყველა ცოდვისთვის მე უნდა დავისაჯო? აპათიამ დამიმონა. ბოლო 7 წელია, ერთხელ არ მიტირია. ვცდილობ, ძალიან ვცდილობ ვიტირო, მაგრამ არ გამომდის. ამაზე საშინელი რა უნდა იყოს, როცა საკუთარ „მეს“ მალავ? ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ვერავის ველაპარაკები ჩემს სატკივარზე. მკითხავთ, რა ძალა გადგია, რას თამაშობ, იყავი ის, ვინც ხარო, მაგრამ ისეთი, როგორიც რეალურად ვარ, მე მძულს ჩემი თავი, არამც თუ სხვებს. ვიცი, ყველა ბედნიერი ვერ იქნება ამქვეყნად, უბედურებიც ხომ საჭიროები ვართ. ერთი დიდი ტყუილია ჩემი ცხოვრება, ასე დამღლელი, ცარიელი და ამაო. მაპატიეთ. მარ, ნუ მბლოკავ ხოლმე, რა, რა ვქნა, თუ სახალისო ამბები არ მაქვს, რომ მოგწერო? თქვენ მაინც გამიგეთ, რა, აქ მაინც ვიქნები ისეთი, როგორიც ვარ. ატარექსია“.

კაბა

„ერთი ტყუილის შესახებ უნდა მოგიყვეთ, რომლის გახსენებაც ყოველთვის გულს მტკენს. მე მყავდა ძალიან კარგი და ლამაზი და. ატმის ყვავილს მოგაგონებდათ. ერთხელ დეიდაშვილებთან წავიდა. მაშინ ჯინსებზე ყველას ჭკუა ეკეტებოდა და ჩემს დას კაბა აჩვენეს, ვაჭარმა მოიტანა და თუ მოგეწონება, იყიდეო. ჩემს დას ძალიან მოეწონა. მოვიდა სახლში და დედა გაუშვა ფულით, ჯინსის კაბა მომიტანეო. დედა სამოსის გარეშე დაბრუნდა. ის კაბა ჩემს დეიდაშვილს უყიდია და ჩემს დას მოატყუა, გასაყიდიაო. ეს ამბავი ჩემმა დამ ძალიან მძიმედ გადაიტანა. ბევრი იტირა და ახლა ამ ამბის გახსენებაზე მეც ვტირი. ამ მესიჯს მის ხსოვნას ვუძღვნი“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„საერთოდ, ტყუილს იშვიათად ვამბობ. მახსოვს, ერთხელ ძმაკაცს მივწერე, კიბო მაქვს და მალე მოვკვდები-მეთქი. ნუ, ტექსტი ისე დავწერე, რომ დაიჯერა და მთელ ბათუმს გააგებინა „ცუდი“ ამბავი. დილით, სახლიდან რომ გამოვედი, შევამჩნიე, ყველა რაღაცნაირი სევდით მიყურებდა. მერე მაღაზიაში შესულს გამყიდველმა „ეკლიპსის“ ფული არ გამომართვა. მეზობლის ბავშვმა ბურთი მაჩუქა და ასე შემდეგ. ასე შემიცვალა ტყუილმა ერთი ლამაზი, „ეკლიფსიანი“ და ბურთიანი დღე. კამ-კამა“.

„რა მეშველება? უკვე მეორე კურსზე ვარ. ორი წლის წინ ჩავირიცხე უმაღლეს პროფესიულ ფაკულტეტზე. გაზეთში კარგად არ დავკვირვებივარ და რომ გავიგე, ძლივს გადავიტანე, 3-წლიანი სწავლა მელის. სახლში მოვიტყუე (ცხოვრებაში პირველად), რომ ბაკალავრიატია და 4 წელი უნდა ვისწავლო-მეთქი. თან 100%-ანი გრანტი ვერ გავიმეტე. აღმოჩნდა, რომ ყველაზე კარგ ფაკულტეტზე ვსწავლობ და ის შემიძლია მივიღო, რაც მინდოდა (დიპლომის ხარისხის გარდა). ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ შემდეგ ერთი წელი რა ვაკეთო, არ ვიცი. დედას ცოტა შევაპარე, პროფესიული რა მაგარი ყოფილა-მეთქი. ალბათ გამხელა მომიწევს, თუ სადმე ვერ გავაგრძელე. კუდრაჭა“.

„ერთხელ ეკლესიაში შემოსილი არ ვიყავი. ჩემს მეზობელს დავუნახავვარ და რომელიღაც სტიქაროსნისთვის უკითხავს ჩემზე: ეს არ არის სტიქაროსანი? არ ვიცი, არ მიცნობდა, თუ გახუმრება გადაწყვიტა და არაო, — უპასუხია. ხოლო იმ ჩემმა მეზობელმა ყველას მოსდო, სტიქაროსანი არაა, იტყუებაო. ახლა ყველას ჰგონია, რომ ვიტყუები და როცა, რომელიმე მეზობელს ვხედავ, კომპლექსი მიჩნდება, რადგან არ ვიცი, თუ რას ფიქრობს ჩემზე. ყირამალა“.

„ეს დღეებია, დედაჩემი საქმეს რომ მორჩება, „გზას“ არ უშვებს ხელიდან და ნეტავ, „გზა-მანია“ მასაც შეეყარა? რა ვიცი, რა ვიცი... არა, აქამდეც კითხულობდა, მაგრაააამ ახლა�ა... დღეს ULTRIX-ი დავულაგე ნომრების მიხედვით და მთელი დღეა, არ ამდგარა, ისე შეიჭრა როლში. :)) დროდადრო „რა მაგარი ნაწარმოებია“, „ყოჩაღ ამ გოგოს“ და ა.შ. წამოიძახებს ხოლმე და ეგაა... მარ, ULTRIX (და არა მარტო) მართლა მაგარია! P.S. დღეს ჩემს დას ბათუმში კონცერტი ჰქონდა და კოზანოსტრა გაიცნო. მოკლედ, ნელ-ნელა მთელ ოჯახს ვითრევ „გზაში“, რაა... აქამდე 9717-ს, აბეზარასა და ოლეს იცნობდა. ახლა მიშკაც გაიცნო, თან — პირადად! კაი, გაკოცეე(თ)! CRAZY GIRL“.

■

თვის ბოლოს „გზას“ 10 წელი უსრულდება. ვფიქრობ, საქართველოში ეს ერთადერთი ჟურნალია, რომელსაც თქვენ, მკითხველები ქმნით და დიდი როლს თამაშობთ მის ცხოვრებაში. დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ გექნებათ მოსაყოლი „გზასთან“ და „გზავნილებთან“ დაკავშირებით. ზოგს — სასიყვარულო თავგადასავლები (ოჯახებიც ხომ შეიქმნა), ზოგს — მეგობრების შესახებ და მოდით, ამ კვირაში სწორედ ეს თემა განვიხილოთ. მაშ ასე, მომდევნო „გზავნილების“ თემა იქნება — „გზავნილების“ როლი ჩემს ცხოვრებაში.

გამოგზავნეთ მესიჯები

ტელეფონის ნომერზე:

8.77.45.68.61 ან

მომწერეთ ელფოსტაზე:

marorita77@yahoo.com

„მასთან წავიდა, ვისგანაც მეტი სითბო იგრძნო“

„ქალები ზოგჯერ ძალიან დაუფიქრებლად და უჭკუოდ ვიქცევით“

„გზის“ №9-ში დაიბეჭდა 20 წლის გიოს მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ ჯარში მსახურობს და ამის გამო შეყვარებულთან ხშირად შეხვედრის საშუალება არ ჰქონდა. „ის ძალიან მიყვარდა და თავადაც მიმტკიცებდა, მიყვარხარო, მაგრამ სულ რაღაც, 3 თვის წინ, მთაში ყოფნისას ვიღაც ბიჭი გაუცნია და მას ჩუმ-ჩუმად ხვდებოდა ხოლმე, მე კი დებილივით მჯეროდა, რომ ვუყვარდი. ერთ მშვენიერ დღეს მომწერა: აღარ მიყვარხარო... იმ ღამეს წესიერად არც კი მეძინა, არ ვიცოდი, რა მეფიქრა. მეორე დღეს მისმა დამ მომწერა: ლია გაიპარაო!..“

ლიკა ქაჯაია

იკუშკები:

„არა მგონია, იმ ცანცარა გოგოს გამო ნერვიულობა ღირდეს. ჩემო კარგო ადამიანო, მესმის, რომ გიყვარდა და მის საქციელს ამიტომაც განიცდი, მაგრამ იმ გოგოს შენნაირი არაჩვეულებრივი ადამიანის გვერდით ყოფნა არ აკმაყოფილებდა, სხვა მიზნები ჰქონდა. ცხოვრება გრძელდება და შენც, ვალდებული ხარ, მას ფეხი აუწყო. ყველაფერი წინ გაქვს და დარწმუნებული ვარ, სულ მალე შენი ცხოვრების უდიდეს სიყვარულს შეხვდები. აბა, რა შენი ბრალია, თუ ჩვენ, ქალები ზოგჯერ ძალიან დაუფიქრებლად და უჭკუოდ ვიქცევით, ძვირფას, მზრუნველ მამაკაცებს არ ვაფასებთ. წარმატებებს გისურვებ! უღირს ადამიანზე ფიქრით თავს ნუ დაიღლი“.

გრუზინკა:

„მოსახდენი უკვე მოხდა და ახლა ისღა დაგრჩენია, თავი ხელში აიყვანო. შეეცადე, დამშვიდდე, მას ვეღარაფრით დაეხმარები. ხშირად, გოგონები დაუფიქრებელ ნაბიჯებს დგამენ“.

თამო:

„ვიცი, ასეთ სიტუაციაში ყოფნა ძნელია, მაგრამ იმ გოგოს რომ ჰყვარებოდი, ასე უცბად არ გადაგიყვარებდა. შენი მესმის, მაგრამ დაიმახსოვრე, მთელი ცხოვრება წინ გაქვს და შეხვდები ისეთ ადამიანს, ვისაც მართლა ეყვარები“.

ვამპირა:

„ყველას თავისი გზა აქვს და იმ გოგომაც გააკეთა არჩევანი. გირჩევ, დაივიწყო. ოდესმე ის თავის შეცდომას მიხვდება, მაგრამ გვიანი იქნება. გიო, ცხოვრება გრძელდება. თუ სურვილი გექნება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი. მართალია, შენი ნომერი გამოაქვეყნე, მაგრამ... აბა, წარმატებები!“

მატიტელა:

„მამაკაცს უყურადღებობას ვერც ერთი ქალი ვერ ჰპატიობს, შენ კი ამბობ, ხშირად ვერ ვნახულობდიო. როგორც ჩანს, მხოლოდ ტელეფონით ურთიერთობა მისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ქალს რომანტიკა და ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს. გული არ გაიტეხო, ცხოვრება წინაა“.

კლეოპატრა:

„ალბათ, ყველა იმას გირჩევს, რომ ეგ ადამიანი დაივიწყო. დამიჯერე, მოღალატეებზე ფიქრი არ ღირს. უფალი გფარავდეს“.

პატარა ლი:

„როგორ მოიქცე? — ცხოვრება ძველებურად განაგრძე. არა მგონია, იმ გოგოს ჰყვარებოდი, მაგრამ დრო გავა და მიხვდება, რომ შეცდომა დაუშვა, შენ კი ჭეშმარიტ სიყვარულს იპოვი. შენთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი“.

ლუნა:

„სიმართლე გითხრა, ძალიან გამიხარდა, გულისტკივილი რომ გაგვიზიარე. შეყვარებულმა მიგატოვა, შენ კი მაინც, მასზე დარდობ. მხოლოდ ბიჭები კი არა, ზოგჯერ გოგონებიც ვუშვებთ შეცდომას და მათ ვკარგავთ, ვისაც ნამდვილად ვუყვარვართ. ლია ცხვირს თუ წაიმტვრევს, საკუთარ თავს დააბრალოს. როგორც ამბობ, ის ჯერ პატარაა და არც იცის, რა გააკეთა. ჰოდა, შეუნდე და აპატიე შენ წინაშე ჩადენილი დანაშაული. გიო, გაძლიერდი და ყველაფერი კარგად იქნება. დაიმახსოვრე, გაფრენილს უკან ვეღარ დაიბრუნებ, უკეთესი მომავლის იმედით იცხოვრე. ცუდია, როცა სიყვარულს არ გვიფასებენ. მე შენთან ვარ. მაპატიე, რომ პირადად ვერ გეხმიანები“.

ურჩი გოგო:

„იმ გოგომ მიგატოვა, თან — გათხოვდა და ახლა ვერაფერს შეცვლი. თუ ქმართან უბედური იქნება, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალოს“.

მეამგოზე სული:

„არა მგონია, ადამიანმა ვიღაცას გაუაზრებლად დაუკავშიროს ბედი; მან ასე ინდომა და შენ ვერაფერს გააწყობ. თანაც, არა მგონია, ჰყვარებოდი, თორემ სხვასთან ფლირტს არ გააბამდა. მესმის, მომხდარს ძალიან განიცდი, მაგრამ ასეთ არამდგრად ადამიანთან ჰარმონიას მაინც ვერ ჰპოვებდი. ჯერ ყველაფერი წინ გაქვს და მთავარია, სხვა ქალების მიმართაც არ დაკარგო ნდობა. უღირსი ადამიანის მიმართ შენი სიყვარული ფერფლად აქციე, ქარს გაატანე — ასე აჯობებს შენთვის. მას ალბათ, გათხოვება უნდოდა და ვინც ეს პირველად შესთავაზა, მას გაჰყვა (ბოდიში, მაგრამ ასე მგონია)“.

აზიელი:

„მიზეზების ძებნას ნუ დაიწყებ, მის დავიწყებას შეეცადე. დრო ყველაფრის მკურნალიაო, — ამბობენ და მერწმუნე, ეს სიმართლეა“.

სოფიო:

„არ გეწყინოს, მაგრამ ალბათ, იმ გოგოს შენი სითბო მოაკლდა. სიყვარულისთვის მხოლოდ ტელეფონით ურთიერთობა არაა საკმარისი, მას თავს უნდა დასტრიალებდე და ყურადღება არ უნდა მოაკლო. მესმის, რომ შენი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამას ვერ გააკეთებდი, ჰოდა, იმ გოგომაც სხვაგან ჰპოვა ნუგეში. რას იზამ, ხშირად ადამიანები ერთმანეთს სათანადოდ ვერ ვაფასებთ“.

BLACK CAT:

„მეგობარო, შენმა ამბავმა გამაოცა. საერთოდაც, ამ ბოლო დროს იმედგაცრუებულ სიყვარულზე იმდენი ითქვა და დაიწერა, უკვე, ეჭვი მეპარე-

ბა — არსებობს კი ნამდვილი სიყვარული? შენ სულგრძელი ადამიანი ხარ, რადგან მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გიყვარს და მასზე ნერვიულობ. ლია ასეთ სიყვარულს არ იმსახურებს და ამიტომაც, მის დავიწყებას უნდა შეეცადო. წარმატებებს გისურვებ!"

SEET FLIRT:

„მინდა, გიოს და მსგავს სიტუაციაში მყოფებს ვუთხრა, — არ ღირს იმ ადამიანის გაკიცხვა, რომელიც აღიარებს და გეტყვის, რომ აღარ უყვარხარ. პირადად მე, ასე დამემართა — ძალიან ახლო და თბილი ურთიერთობა მქონდა ადამიანთან, რომელიც მართლა მიყვარდა, მაგრამ უეცრად, ჩემდა უნებურად, თვალი სხვისკენ გამექცა და მივხვდი, ჩემი ძველი „ლოვე" აღარ მიყვარდა. ამის შემდეგ ორმაგ თამაშს ვერ დავიწყებდი, არ მინდოდა, ისიც მომეტყუებინა და საკუთარი თავიც, ამიტომ სიმართლის თქმა ვამჯობინე. მესმის, რომ სიმართლე მწარე და მტკივნეულია, მაგრამ „ტკბილი ტყუილი" ბოლოს ათჯერ მწარე იქნებოდა!.. ცხოვრება მომავლის იმედით გააგრძელე, წარსულს არ მისტირო. იცოდე, სიცრუეზე აგებული ურთიერთობა სიკეთეს მაინც არ მოგიტანდა. ჰო, ლიას ბედნიერება უსურვე და შენს მომავალს გაუღიმე. .შ. იმედი მაქვს, შენი მომავალი „ლოვე" ნაკლებად ვირტუალური იქნება, რადგანაც მსგავსი ურთიერთობები დიდხანს ვერ „ცოცხლობს", სიყვარულში მეტი რეალობაა საჭირო".

საკალელი გოგო:

„ასეთ სიტუაციაში ყოფნა ძალიან ძნელია. ვფიქრობ, იმ გოგომ არ იცის, რა არის ნამდვილი სიყვარული. ჩემო კარგო, ნამდვილი გრძნობა ერთ-ორ დღეში არ ქრება, არ იცვითება. ალბათ, მისთვის უბრალო გატაცება იყავი".

ლალი:

„თანაგიგრძნობ. გული არ გაიტეხო, ცხოვრება გრძელდება".

ციყვი:

„თავს ნუ დაიტანჯავ იმაზე ფიქრით, თუ როგორ მოიქცე. გამოდის, რომ მას წრფელი სიყვარულით არ უყვარდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგელოდებოდა. ცხოვრების დინებას მიჰყევი და აუცილებლად იპოვი ისეთ გოგოს, რომელიც შენს სიყვარულს დააფასებს, გულწრფელად შეგიყვარებს. ბედნიერებას გისურვებ!"

პაწუკა:

„ვიცი, ცუდია, როცა გღალატობენ და ზურგს უკან დაგცინიან, მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია. მეც მეტკინა გული, მაგრამ ვცოცხლობ. არ იდარდო, მე შენთან ვარ".

რუისპირი:

„მეგობარო, მესმის შენი! 1000-ჯერ მაინც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, — შეუძლებელია, ადამიანი ტელეფონით შეგიყვარდეს! რა გამოდის, ის შენს გრძნობებზე კაიფობდა? არ ვიცი, რა გამართლება შეიძლება მოუძებნო მის საქციელს, გაოგნებული ვარ. ალბათ, ძალიან კეთილი და მიმტევებელი ხარ, რადგანაც მიუხედავად ყველაფრისა, ისევ მასზე ფიქრობ. მოვა დრო და ის პატიებას გთხოვს".

დამავიო:

„არ ვიცი, სხვები რას ფიქრობენ, მაგრამ პირადად მე, ტელეფონით ნაპოვნი სიყვარულის არ მჯერა. იქნებ, ლიამ მთაში გაიცნო ის ადამიანი, რომელიც მართლა შეუყვარდა? გიო, არ გეგონოს, მას ვამართლებდე, უბრალოდ მინდა, ლიას საქციელს მიზეზი მოვუძებნო; რაც არ უნდა იყოს, მან თავისი არჩევანი უკვე გააკეთა და ღმერთმა ქნას, ეს ნაბიჯი სანანებელი არ გაუხდეს. შენ კი ისეთი ადამიანის პოვნას გისურვებ, რომელიც ცხოვრების ბოლომდე გიერთგულებს".

ნინო, სვანი:

„შენმა ამბავმა შემძრა, მეც შენს დღეში ვარ: 19 წლის გახლავართ. სიგიჟემდე შემიყვარდა ჯარისკაცი, რომელსაც თურმე, სხვა ჰყვარებია და მიუხედავად ამისა, 2 წელი მატყუებდა".

ჭრიჭინა:

„ჩემი შეყვარებულიც ბათუმელია. იყო დრო, როცა მას 6 თვეში ერთხელ ვნახულობდი, მაგრამ სიყვარულთან დრო და მანძილი რა მოსატანია?! უნდა გიხაროდეს, რომ ლიასნაირი ქარაფშუტა გოგო არ შეგრჩა. არაფერზე იდარდო, მალე შენს შესაფერისს იპოვი".

LOCUST:

„მესმის, რომ თავს ცუდად გრძნობ და ამიტომაც, თანაგიგრძნობ. დამიჯერე, ის გოგო შენი ღირსი არაა. შენ ქვეყანას ემსახურებოდი, ის კი, ამასობაში, სხვას ხვდებოდა. მაპატიე, მაგრამ ჩემი აზრით, მას არასდროს ჰყვარებიხარ. 1 წელიც ვერ გიერთგულა და აბა, ეგ რა სიყვარულია?.. დაივიწყე და ეცადე, ცხოვრებისგან მაქსიმალური სიამოვნება მიიღო. უფალს მიენდე, ყველაფერი მისი ნებაა".

ნინო, 12 წლის:

„ის გოგო უნამუსო ყოფილა, რადგანაც ასე ძალიან გატკინა გული. სჯობდა, პირდაპირ ეთქვა, რომ არ უყვარდი. ლია დაივიწყე და სხვა შეიყვარე — ალბათ, ეს გაგიჭირდება, მაგრამ სხვა გზა არა გაქვს".

ზოკოლადა:

„შენ ვერაფერში დაგადანაშაულებ, მაგრამ ვერც ლიას გავამტყუნებ. ნებისმიერი გრძნობა, მით უმეტეს, სიყვარული ურთიერთობისას მოდის. მესმის — მიზეზი გქონდა და ამიტომაც, ვერ ნახულობდი, მაგრამ ლია მასთან წავიდა, ვისგანაც მეტი სითბო და ყურადღება იგრძნო. თუ მართლა გიყვარს, მას ბედნიერება უსურვე... ყოველივე საუკეთესოს, წარმატებას გისურვებ!"

P.S. თინეიჯერებო, ძალიან გთხოვთ, ამ რუბრიკას ერთმანეთთან დასაპირისპირებლად ნუ გამოიყენებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული გავხდები, თითოეული თქვენგანის მესიჯი „დავბლოკო". მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ორი ადამიანი ცდილობდა, თავიანთ დავაში ჩავეთრიე, რაც ჩემთვის ძალიან არასასიამოვნო იყო და ცხადია, გავბრაზდი კიდეც. მათ ქვერუბრიკისთვის — „თინეიჯერები გვწერენ" — რამდენიმე მესიჯი მომწერეს, მაგრამ ამ „ესემესებს" შეგნებულად არ ვბეჭდავ. იმედია, ამის გამო თქვენგან საყვედურს არ მივიღებ.

■

„შურისძიების გარეშე როგორ უნდა ვიცხოვრო?"

თ�ური, *27 წლის:*

„გამარჯობა. მინდა, ჩემი სატკივარი გაგიზიაროთ. მე პატიმარი ვარ. იარაღის შენახვისთვის ამოვყავი თავი ციხეში და კიდევ 2 წელი დამრჩა მოსახდელი. სხვათა შორის, აქ რომ ვზივარ, ეს ჩემი მეგობრის დამსახურებაა. ახლობლის იარაღი მქონდა შენახული, ჩემმა მეგობარმა ეს იცოდა და პოლიცია თავზე დამაყენა, „ჩამიშვა"... მერე გავიგე, რომ ჩემი დაჭერიდან რამდენიმე ხანში, მან ჩემი შეყვარებული შეირთო ცოლად. დავიმუქრე: აქედან თუ გამოვალ, არც ერთს არ გაცოცხლებთ-მეთქი, ახლა კი ეჭვი მეპარება, რომ შურისძიებას შევძლებ — არ მინდა, მათ გამო ამ ჯოჯოხეთში კიდევ ერთხელ ამოვყო თავი, ისინი ამად არ ღირან... არ ვიცი, ასეთი რა დავაშავე, მაგრამ მას მერე, რაც ციხეში ამოვყავი თავი, ყველამ მიმატოვა, ჩემი ნახვის სურვილიც კი აღარავის აქვს. ჰოდა, ცხოვრებაზე გული ისე მაქვს აცრუებული, რომ ვერც იმას ვხვდები, შურისძიების გარეშე როგორ უნდა ვიცხოვრო? გთხოვთ, მითხარით, ჩემს ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით?.."

■

P.S. მაშ ასე, თუ თineმურის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.

■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 32 წლის, განქორწინებული, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32-40 წლამდე მამაკაცს. თუნდაც ჰყავდეს შვილი.

2. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი. ვარ 35 წლის, საშუალო სიმაღლის, სუსტი, ლამაზი სახით. გათხოვილი არ ვყოფილვარ.

3. ვარ 23 წლის, 155 სმ. სიმაღლის. თბილი, მოსიყვარულე და უბრალო გოგო. სხვებს არ ვგავარ. მინდა გავიცნო სერიოზული, ჭკვიანი, კარგი ადამიანი. გამომეხმაუროს, ვისაც ნამდვილი სიყვარული შეუძლია.

4. ვარ 32 წლის. მაქვს ნაკლი. ჩემს ცხოვრებაში იყო ადამიანი, რომელიც ძალიან ცუდად მომექცა. არ ვარ ცუდი ადამიანი. მინდა შევქმნა ოჯახი, მყავდეს შვილები.

5. ვარ თბილისელი, მატერიალურად და ბინით უზრუნველყოფილი, მაღალი, ექიმი, თბილი, ალერსიანი, 35 წლის. დამირეკოს თბილისში მცხოვრებმა, დასაქმებულ-განათლებულმა მამაკაცმა, ოჯახის შექმნის მიზნით.

კაცები

6. გავიცნობ 39 წლამდე ასაკის, ლამაზ, ჰიგიენურ, თბილისელ მანდილოსანს. გამოგზავნეთ ფოტო. ისე არ დაგიკავშირდებით. ვარ თბილისელი, 29 წლის. გიო.

7. გავიცნობდი თბილისში მცხოვრებ მანდილოსანს. ჭკვიანს, ნორმალურსა და სერიოზულს, 30-40 წლამდე. კოტე.

8. ვარ მთიული, საცოლეს ვეძებ, მართლა, ხუმრობის გარეშე. მართლა წესიერ გოგოს, ყველაზე ნაზს, ყველაზე საყვარელს.

9. ვეხმაურები მე-9 ნომრის მე-4 მესიჯის ავტორს. მინდა გავიცნოთ ერთმანეთი.

10. გავიცნობ ოჯახის შექმნი მიზნით, თბილისელ, მორწმუნე და სუფთა წარსულის გოგოს, ვისაც უნდა ნამდვილი ქართული, ტრადიციული ოჯახის შექმნა, 25-29 წლამდე. 29/167/70.

11. თუ თბილისში ხარ, თუ შენც ჩემსავით მარტოსული ხარ, თუ სადაც ხარ, ვერ გაიგეს მანდ შენი ფასი, დამეკონტაქტე. დათო, 38 წლის.

სხვადასხვა

• მამასახლისი ვალერიკო, დედა, შენ დაგინახო მარტო და ჩემს სულს ღმერთს შევწირავ. ცხოვრებაში შენ მყავხარ. დედა უნდა იყოს მანდ და შენ გარეთ მზეს უყურო, შვილო... მოფერებით ვალერიკოს ვწერ, ხანდახან. იმედი არ დაკარგო, უზენაესში შეიტანა ადვოკატმა. სამართალს ვიპოვი. სიცოცხლეს გავწირავ, არ დავნებდები. დედა.

• ილო, ცოტასაც გაუძელი, ყოჩაღად იყავი, ჩვენც ძალიან გელოდებით, იმედიანად ვართ და ყველაფერს ვაკეთებთ. აუცილებლად ილოცე, წმინდა ნიკოლოზს სთხოვე. მზია.

• მოკითხვა ჩემი იყო, ცალ-ცალკე რომ ეწერა. ედელვაისი არ წასულა „გზიდან“, აქ არის და ყველა უყვარხართ. კოზანოსტრასა და გადარეულს მოკითხვა. 9717, სხვას ნუ უსმენ. ედელვაისი.

• მერაბ, როგორ არ ვეცადე ამ 1 წელში შენი დავიწყება და ვერ შევძელი. ვიცი, მალე გაგათავისუფლებენ და თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე, ამ წერილს რომ წაიკითხავ.

• SWEET, ერთმა მგზავნელმა გამომიგზავნა თავის ფოტო და შენიც მოაყოლა. კანიბალკა, იუბილეს გილოცავ. გაიხარე, ყორშიების სიამაყევ. იკა ბოა.

• ქალბატონ ნანი დუმბაძეს: ჩემთვის დიდი პატივია, თქვენისთანა გულიან ადამიანს რომ მოვწონვარ. უღრმესი მადლობა, გული გამითბეთ. უნიკოვ, გაიხარე. ლუნა.

• ემიგრანტო და ყველა მგზავნელო, რატომ მატირებთ? დედის საფლავს ვფიცავ, თუ ის დამპალი დოლარა ვიყო. თქვენ არ იცით, კახა ჩემთვის რამდენს ნიშნავს. დოლარ, მძულხაარ. ნაგლი.

• რაც უფრო გონიერია ადამიანი, მით მეტ საინტერესო ადამიანს ხვდება. მხოლოდ ბრიყვი ვერ ხედავს განსხვავებას, ადამიანებს შორის. P.S. სარვიეტ, კარგი ხარ. გაფასებ. აზიელი.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

• ASHLEY, რა ღია ფორთოჩკასავით უბერავ? მაშ, მტყუანს, რაც მე ეგეთები გითხარი?! საკუთარი „ბაშკის“ და მეობის მაინც არ გრცხვენია, მასე უსინდისოდ რომ იტყუები? ან როგორ გაბედე და როგორ ახსენე წმინდანები შენს წამონაჩმახზე? ტყუილებით გასუქებული და სიტყვა „გოგოს“ არაღირსი არსება ხარ, რომელთანაც თავის გაყადრება სამარცხვინოა. დაიმახსოვრე, ტყუილებს თავს არ დავააბგონებინებ! შენ კი, მიკი ხარ თუ მაუსი, აქაურობა უოლტ დისნეი ხომ არ გგონია? მიზანშეწონილად მიიჩნევ, კომენტარის გაკეთებას საკითხზე, რომლის შესახებაც არაფერი იცი? უნიკოვ, მადლობა სიტყვა „ძმისთვის“, ჯიგარი ხარ! GREEN, მაგარ დიზაინისათვალიანო გოგოვ, თვალს გიკრავ. :-) მისტერ.

• ლევან ვარშალომიძევ, ძალიან მიყვარხარ. ბიბლიის სიტყვებით რომ პასუხობ, იქნებ მე ვცდები და მე არ მეკუთვნის ის მესიჯი? არც გეჩხუბები და არც გაკრიტიკებდი.

• ბერბიჭა, 9717, დამავოი, ფეშენა, ძალიან შემიყვარდით! ძალიან მსიამოვნებს თქვენი სმსების კითხვა. ვერძი.

• დოლარას მგონი, რაღაც უჭირს, ასეთი აგრესიული და თავხედი მესიჯები ამას მაფიქრებინებს. TIME-OUT მართლა მოუხდება. ვერძი.

• ნანა დუმბაძემ აღმაფრთოვანა! ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ. პატივისცემით, ვერძი.

• აქ არასდროს დამიმესიჯებია, ვკითხულობდი და გული სითბოთი მევსებოდა ხოლმე! ამ ბოლო დროს კი — ბოზო, გათახსირებულო, კახპავ და კიდევ რას არ გაიგებ?!

• EKO BOY, იმაზე გაცილებით კარგად გიცნობ, ვიდრე გგონია და ვიცი, შენ ისევ ის ხარ, რაც იყავი! ახალი თამაში წამოიწყე? რამდენით რამდენია? SKAITER BOY.

• პარიჟანკა, უდიდესი მადლობაა... რატომ? ქიმიის გაკვეთილზე „გზავნილებს“ ვკითხულობდი და უცებ პარიჟანკას მესიჯზე იმხელა გავიცინე, რომ... გამომაგდეს... SKAITER BOY.

• ნ.ა. გული მეტკინა შენს გზავნილზე. უფლის ნებით, შენი ტკივილი სიხარულით შეიცვლება... ბერბიჭავ, შენ გაიხარე, მაგრად ვიხალისე დატრირებაზე. პატარა დედიკო.

• ჭორიკანას, 9717-ს, უკვდავს, კოზანოსტრას, ღალოლას, ჭრიჭინას, აპოლონს, ASHLEY-ს, სვანის ასულს და ყველა ჩემთვის საყვარელ მგზავნელს მოვიკითხავ დიდი სიყვარულით. სოფი19.

• დიდი მადლობა, გადარეულო, ჟურნალ „გზაში“ ახალი ნამდვილად არ ვარ. სანამ „მობილი-ზაცია“ გაჩნდებოდა, მანამ ვიყავი. საიდან ხარ, გადარეულო? გოგო ხარ თუ ბიჭი? მიცნობ?

• ცისიაა თუ ცხრათვალა, ლუნიტაა თუ მწვანეო,/ რა ორაზროვნად წაჰკბინე, რითმაც რას გააწვალეო?/ დეიდებსაც და ნიკოლსაც, შეეშვი, გიჯობს, დასტოპდი,/ პატარა ბიჭებს, კიჭებიც გაეზარდათ და პასპორტიც!/ ნურც ყვავუკას ჰკბენ, უნიკოვ (ძველო ნაცნობო, მელაო),/ ძლივს გავათენეთ „გზაში“ და, შენთვის სულ რავა ბნელაო?! P.S. რაათა, შვილო, ჰაა? ყვავინსკარტა.

• ნეტავ ამ ვირული სიჯიუტით ვინ დამაჯილდოვა? რომ გავკერპდები, აღარაფერი მშველის. ჰო, ეჭვიანობასაც ვერ მოვუხერხე ვერაფერი. რა მეშველება, მა-მა? :) ფეშენა.

• იმ დღეს ჩემმა მეგობარმა სულ გამასაზიზღრა, ხელებიც ისეთივე ცივი გაქვს, როგორიც გულიო. თავის მოკვლისკენ მიბიძგებენ და ვერ ხვდებიან, :) მარა ვერ მიართვეს! ფეშენა.

• ბერბიჭავ, შენ მაინც განსაკუთრებული პატივისცემა და სითბო ჩემგან :) MOONSHINE, შენ და ვერ შეგამჩნიონ? :) გაკოცეთ. ვერძი.

• 9717, ძალიან შეგნებული, ყურადღებიანი, მხიარული და ზრდილობიანი ადამიანი ხარ. ერთი „გული“ შენ ჩემგან, კარგო. :) ვერძი.

• მოკლედ გეტყვით, რომ არ დაიბნეთ: ვარ ნინო, 23 წლის. თქვენი ერთგული მკითხველი და თქვენი მოყვარული, :) ოლონდ კეფაზე წითელი ხალი არ მაქვს. :) LOVE-ით, ვერძი.

• ჩემთვის სანთლად ანთებულო და ხატის წინ მლოცველო, ქალთა გულის დამპყრობელო, მხოლოდ ერთის საბედოვ, გმადლობ, გრძნობის ნაკადისთვის, მხოლოდ შენთვის ვარსებობ! ცხრათვალა.

• შორეული მიწიდან შენი სითბო ვიგრძენი, ცხრა თვალით და ცხრა გულით, დიდი მადლი გიძღვნი, ემიგრანტო, სიყვარულს რომ არ დავთმობ, გპირდები! გკოცნი უამრავს. ცხრათვალა.

• ვითომ მგზავნელობ და მათზე ხანჯლურით მოდიხარ, აბა შენს თავზე რას იტყვი, სხვა მგზავნელთ რითი ჯობიხარ? P.S. მორჩილად — ბერბიჭა, დამალა — სიკვდილა. ესენი რა რითმებია? უნიკოვ (ისეც გიცნობთ), ცხრათვალა მზის სინონიმია (არა — ყვავილის). თავად ხარ აყვავებული. პოეზია არ გამოგდის და პროზა სცადე. არა მგონია, ენიგმა შენს ანკესს წამოეგოს. აბსურდ.

• რომელ ბიჭებს არ ამოსვლიათ კიჭები, გველო? შენისთანეს რომ აწყნარებს, სამაგიეროდ, ის ამოუვიდათ და დეიდების ნაცვლად საკუთარ მამიდას მიხედე, უჯიშო ლაქუცავ.

• შენი გამოხედვა, შენი სიტყვები,/ შენი ჩახუტება, შენი კოცნა/ ის ყოველივე მენატრება, რასაც შენი ერქვა,/ შენ ჩემი გერქვა, მე კი შენი,/ მაგრამ ყოველივე ფერფლად იქცა/ და თან გაიყოლა ქარმა. P.S. ერთმანეთის ლანძღვა კარგს არაფერს მოგიტანთ, გიყვარდეთ და პატივი ეცით ერთმანეთს. ASHLEY PCD, არ წახვიდე, ოკ?! გაკოცეეეთ. ნ.ა.

• ფეშენას ვენაცვალე, ფეშენებელურ ინტელექტში, ზოგ უვიცს თვალი აქვს ნაცემი და ერთად შევულოცოთ: შეგიოცავ თვალისასა და ა.შ. მეტი არაა ჩემი მტერი, ეშველოოთ. ენიგმა.

• უნიკოვ, რითმებს რომ მიქებ და შენს შედევრში უკვდავმყოფ, მადლობა, მაგრამ ცოტა უმადური კაცი ვარ, ვერც ასეთი შედევრების შექმნაში შეგედრები და უპასუხოდ დამრჩები. ენიგმა.

• ქ-ნო ნანი, ღმერთს მადლობა, უმცირესობაა ადამიანების, ვინც ვერ გაითავისა — გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი. მწამს, ბოროტსა სძლია კეთილმან... იცოცხლეთ. მემე.

• ფეშენ, აღმოვაჩენთ მარადისობის კანონს და გათბება გულიც... 9717, მადლობა შენ და გულით მინდა, მალე დაბრუნდე. P.S. პოეზია უპირველეს ყოვლისა, არა? დაგვაკლდები. მემე.

• ნ.ა. ნამდვილად შეგამჩნიე და ბევრიც ვიფიქრე შენზე, მაგრამ შენი ტკივილის წინაშე უძლურია ჩემი სიტყვები. ღმერთს ებარებოდე... მოკითხვა ენიგმას და დამავოის. მემე.

• პარი, მახსოვხარ. მემე, მჭირდები. ფეშენ, მენატრები. დამავოი, მიყვარხარ, ქ-ნო ნანი, გეთაყვანებით, სანტა, მაგარი ხარ. მოკითხვა იდუმალს, სევდიანს, ქალ ცდუნებას. გკოცნით. ენიგმა.

• გამიხარდა რუისპირის ინტერვიუ, კარგი და კეთილი ადამიანი ჩანს. ისე, ფსიქოლოგობაზე არ გიფიქრია, რუისპირ? მართლა კარგი მრჩეველი ხარ, რა ვი, მე ასე ვფიქრობ და. ფლამინგო.

• მარკესის „ბოლო სიტყვას“ ხშირად ვკითხულობ. ძაან მიყვარს და თქვენც გთხოვთ, წაიკითხეთ და დაფიქრდეთ იქნებ, მიხვდეთ, რომ არ ღირს ერთმანეთის გულის ტკენა. ფლამინგო.

• მოკითხვა ფეშენას და ნიკოლს. ძალიან მიყვარხართ. ეს ადამიანები ენიგმას, ჩემი უსაყვარლესი ძმის საშუალებით გავიცანი. გკოცნით და ჩაგეხუტეთ სამივეს გულში. ნიბუ.

• მემეე, აზრების წყაროდ და მთვარის მეგობრად ხმობილო, რის მონა, როგორც ტოლ-სწორი, ისე მიყვარხარ, დობილო. P.S. გაიხარე, ჩემო სანტა, შენით დარდი გამეფანტა. ბერბიჭა.

• ცისი, სიზმრებში მელოდე, ღია დატოვე კარები, ერთად გავლიოთ ეს ღამე, ვაეჭვიანოთ ფანები, დილით კი ჩუმად გაკოცებ და სახლში გაგეპარები. P.S. მოკითხვა ემიგრანტს. ბერბიჭა.

• მართალი სიტყვით მომხიბლე, ერთ რამეს გეტყვი მე — შენა, გიგანტურ პაჩებს გიგზავნი, ისე მიყვარხარ, ფეშენავ, კარგი ხარ, ზოგი ბრიყვივით, არ ცურავ წუმპე-მორევში, ხატანგელოზი გწყალობდეს, ამ მუხთალ წუთისოფელში. P.S. თიკუნია999, ინტერნეტით არ ვსარგებლობ. მოდი, დავტოვოთ ყველაფერი ისე, როგორცაა, შორიდან უკეთესები ვჩანვართ. ბერბიჭა.

• ვიმე, ყველა ნუ მომწერთ. მართლა გულით გთხოვთ, გმიგეთ. მე ერთი ვარ და თქვენ ასნი, ბარემ კუბოთი წამიღეთ. ყველას რომ გაგებასუხოთ, რა ანგარიში გამიძღებს? გაკოცეთ. ბერბიჭა.

• ქ-ნო ნანი, თქვენით მოვინუსხე. მოკრძალებით გიძღვნით ლექსს: ნ-ამდვილად არ დასტყობია, ა-საკი მაგ თქვენს ნაფიქრალს, ნ-აღდად სჭირდება გზავნილეთს, ი-უდებისგან გაფილტვრა, დ-იდძალ სიკეთეს ასხივებთ, უ-ფლისგან მადლით ნაბოძვარს, მ-უხლმოდრეკილი ამბორსგყოფთ, ბ-რძენ და საყვარელ ბანოვანს. ა-ღფრთოვანებით გისურვებთ, ძ-ვირფასო, ყოფნას ჯანსაღად, ე-ს ლექსი ჩაგეხუტებათ ს-იმბოლოდ, ბერბიჭასაგან. P.S. სიბერემ თქვა, რა დროს ჩემი სიყვარულიაო, სიყვარულმა თქვა, რა დროს ჩემი სიბერეაო? თქვენში ეს ორივე ლამაზადაა შერწყმული. მინდა, ყველა ქართველი ქალი ასე ლამაზად ბერდებოდეს. თქვენი ინტელექტი უბერებელია და გული მზესავით ანათებს. იდღეგრძელეთ და იმზეგრძელეთ. მიყვარხართ. ბერბიჭა.

• პრივეტ, ჩემო ნაცნობო სიხარულიკებო... მე ცოტა ხნით უნდა გავქრე, ტელე აღარ მაქვს და თანაც პრობლემებით დავიხუნძლე. მოვგვარდები და შემოგიერთდებით. ჭორიკანა.

• ლუნა, მე ჩემი ლექსიკონითაც კმაყოფილი ვარ და რა ვიცი... მემე, საოცარი ადამიანი ხარ! ელექტრავ და ფეშენ, მიყვარხართ! კამ-კამ, გკოცნიიი. იკუშკები მენატრება. დამავოი.

• დარია თუ ავდარია, 9717 მაგარიაა. სხვა მგზავნელებივით უთქმელად კი არა, ანდერძი დაგვიტოვა და ისე წავიდა. ხეირზე გევლოს, მიშაა. პაკა-ჰუკაა... ფეხი არაფერს წამოკრა.

• გამარჯობათ, მგზავნელებო, შორიდან გკოცნით ყველას,/ მოვეფეროთ, ჩავეხუტოთ,/ კმარა ერთმანეთის წყენა!/ არც ახალი ვარ, არც ძველი,/ სასტავში მიმიღებთ, ნეტავ? ვამპირა.

• მგზავნელებს სიცოცხლე! თქვენს გზავნილებს ხშირად ვკითხულობ. ერთხელაც მოხდა ისე, რომ მეც შემოგიერთდით. მიყვარხართ! შავი.

• მარ, შენ და მშვენიერი სქესის წარმომადგენელ მგზავნელებს გილოცავავთ 8 მარტს! გამიხარდით თქვენა! P.S. მარ, ნუ ხარ ინტრიგანი, ვერ ამაგდებ. :)

• ვარ 20 წლის სპორტსმენი, ძაან მიყვარს მოტოციკლით ტრიუკების კეთება. მინდა, „გზაში“ გავიჩინო მეგობრები. ვარ ქუთაისელი.

• ფეშენ, გაიხარე, დაი, მეც ძალიან გულდაწყვეტილი ვარ ამ ყველაფრით... MOONSHINE, დიდი მადლობა, საყვარელო, ჩასაყლაპი ბავშვი ხარ... აპოლონ, უკვე იცი, ხომ, რომ აღარ უნდა დამენახო? SWEET-GIRL.

• აუ, მარ, დანარჩენების არ ვიცი, მაგრამ მე იცი, რა მჭირს? მეც არ ვიცი... სასტიკად აღშფოთებულ-შეშფოთებული ვარ ჩვენი ევროპელი მეზობლებივით... „მობილი-ზაცია“ ღამით კითხვის რეჟიმზე გადავიყვანე და იცი, რატოოომ? იმიტომ, რომ იმდენად ბოღმით დამუხტული აურა მოდის იქიდან, რომ ერთხელ წავიკითხე დღისით და მთელი დღე საშინელ ხასიათზე ვიყავი... კარგი, რა, ხალხო, არ დაიღალეთ ერთმანეთის კბენა-ღრენით? მე —

ძალიან... ზოგიერთი მამაკაცთა სქესის წარმომადგენელი იმ მშიერ კატას მაგონებს, რომელიც თაგვებში გაერია (ამ შემთხვევაში, გოგონებში) და აღარ იცის, რომელს გაკრას კბილი... მეც კინაღამ გავხდი ამ კატის მსხვერპლი, მაგრამ მგონი, გადავრჩი... ისე კი არავის ვურჩევ... ცარიელი ძვლებისა და თმის მეტი არაფერი მოგყვება, კატუნიავ... და თანაც, არც ისეთი ტკბილი ვარ, როგორც გგონია... წიწაკა ხომ ზედმეტი შაქრისგანაა მწარე? ჰოდა, მეც ეგრე არ გარდავისახო, უკვე მეშინია (თუმცა, ბევრი აღარაფერი მიკლია). მარიამულ, ისევ შენი გამჭრიახობის იმედი მაქვს და გთხოვ, რამე მოიფიქრე, ეს ერთმანეთის ჭამა რომ შეწყდეს... SWEET-GIRL.

• იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა ერთი გოგონა, რა არ სცადა და იღონა, გზავნილი გამოიგონა. მერე გაგზავნა „გზაშია“, სითბო აქსოვა მასშია, აზრი მოვიდა თავშია, მის რეალ ვიყო, ხალხშია. წერდა და ბევრსა გზავნიდა, არ ელეოდა მუზები, ასე გაიცნეს მგზავნელთა, უტარეს ბევრი კურსები. სითბო და სიტკბო ულევი, ბევრიცა ნახა მათშია, თუმც იგრძნობოდა სიავე, ზოგი მათგანის ხმაშია. აირია მონასტერი, ორად გაიყო აზრია, ზოგი გმობდა და ლანძღავდა, ზოგს კი უყვარდა ძალიან. ბოლოს ადგა და წავიდა, თუმც არ წყდებოდა კამათი, გავიდა ხანი, იფიქრა, გზავნა ახალი ბარათი. „გზას“ დაუბრუნდა სხვა ნიკით, თუმც ისევ ძველი სტილითა, ვინ იცნო, ვინ ვეღარ იცნო, განახლებული ნიკითა. ბოლოს თქვა: რადგან დავბრუნდი, ვითვისებ უკვდავ ხმობასა, მის რეალს ვერ შეველევი, არ ვიტყვი მისსა გმობასა. კვლავ მის რეალი ვიქნები, ვეცდები, დავიმსახურო, ისე ვიცოცხლო და ვწერო, ჩემი ხმა უკვდავთ ვარგუნო. მის რეალი. P.S. მარი და ბავშვებო, მე ისევ ძველი ნიკით ვიქნები, რადგან მის რეალით შევაბიჯე „გზაში“ პირველად. ბევრი დღესაც ამ ნიკით მიხსენიებს და ბევრი ვერ გარკვეულა, რომ უკვდავი ხმა მე ვარ. ასე რომ, გენაცვალოთ მის რეალიი!

• არის ქართულსა ანბანში, 33 ასო, „გზავნილებში“ კი მგზავნელთა ნიკების გეტყვით ხმასო:

• ა-ტარექსია, იწყება სია, ბ-ოა — იკა, ეგ-ზოტიკა, გ-ადარეული — „გზას“ არეული, დ-ამავიო — აქეთ მოი, ე-ლისო — დამნაშავე გელისო, ვ-ერმახტი — ვერ ახტი? ზ-აზუნა — სად წასულა? თ-ოლია — შენამდე შორია? ი-კჩო — მააართლაც სიხჩო, კ-ახელო — მონატრებულო მგზავნელო, ლ-იმონა — მე დამიმონა, მ-აესტრო — მოგწონს რეტრო? ნ-ესი — არ გძულს მესი? ო-ლეგარიო — ხარ მაგარიო, პ-ატარა გოგო — მოგმართო როგორ? ჯჰ-ზე ფიქრით მტკივა ტვინი. რ-უისპირი — თელავს მზირი, ს-იკვდილა — ვინ მიგასიკვდილს? ტ-აქსი2 — თელავი თუ გორი? უ-კვდავი ხმა — რითმების ბმა, ფ-ეშენა — გულში მგზავნელნი გეშენა, ქ-ალი ცდუნება — კარგი გუნება, ღ-ზე არ არის, არ ვარ ალალი? ყ-ვავი — თეთრია თუ შავი? შ-ოკოლადა — კი გაძეს მადა, ჩ-უპი — გიყვარს სნუპი? ც-აკალელი გოგო — ლოგოლ ალის, ლოგოლ? ძ-ზე ნიკი, არის ძვირი, წ-ზე ფიქრით ნიკებს ვითვლი, ჭ-ორიკანა — გკოცნი განა, ხ-ათო (13.ო.შ.) — გთხოვ, გზა გამინათო, ჯ-უსტ ნათ — მზად ხართ? ჰ-ანიბალ — კაცი ხარ თუ ქალი ხარ? როგორც არიან ბგერები ეულნი, ისე მგზავნელები ვართ გამორჩეულნი. მის რეალი.

• ბერბიჭ, დატირება მაგარი იყო. :) საწყალი თედო პაპა. SWEET, უჯიგრესი გოგო ხარ. :) გაიხარე. 9717, ზოგიერთი ჭორაობისგან არ დაიღლება. ცუდები ყველგან არიან, ვერსად გაექცევი მაგათ. ჯობია, ყურადღება არ მიაქციო. სანტა,

• მიშკა, წავიკითხე შენი გზავნილი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამ გოგონების უმეტესობას საშინლად აცრილი აქვს სითბოზე და სიყვარულზე. თურმე აუცილებელია, როცა ადამინს ეუბნები, მიყვარხარ, დაუკონკრეტო, რომ ეს სიყვარული მეგობრულია და არა — სხვაგვარი. შენ კიდევ იოლად გამოსულხარ, მე იმდენი ტიტული მერგო შენამდე ამ ბავშვების შებმა-მოტყუება-გულისტკენისათვის, რომ ველარ ვითვლიდი. მე სწორედ ამ ენაგრძელი, სითბოუნახავი გოგონების გამო დავკარგე საყვარელი ადამიანი. ჰოდა, შენც სანამ ჩემსავით არ დაგემართა, დაიკიდე მაგათი ჭორაობა და მიხედე, ვინც მართლა გიყვარს. ისე, ადამიანი ერთხელ რომ შეცდები, ჭკუას სწავლობ წესით, მაგრამ ეს გოგონები უკვე რამდენიმეჯერ შეცდნენ, ერთსა და იმავეზე. უბრალოდ, ერთ რამეს ვერ ვხვდები, თუ ერთხელ მე მოგატყუეთ, მეორედ როკომ, მესამედ პეტრემ და პავლემ, ჭკუა ვეღარ ისწავლეთ, რომ მეათედ თავი აღარ მოიტყუოთ? თუმცა, არავინაც არ გატყუებთ, უბრალოდ, როცა იმას ვერ იღებთ ადამიანისგან, რაც გაკლიათ, იბოღმებით. კარგი, რა, ნერვიულობა ნაოჭებს აჩენს. გაიღიმეთ. მაესტრო.

• ძლივს არ გამოჩნდნენ მშვიდობის მსურველნი. მარი, დედიკო, რამდენი უძღები შვილი გყავს, არა? ჩხუბს, ერთმანეთს მოვეფეროთ, არ სჯობია? გკოცნით, მიყვარხართ. კლეოპატრა.

• შუადღეშვიდობისა, მარი, როგორ ხარ? ვფიქრობ, დოლარა მხოლოდ ჯურღმულში არ უნდა გაგეშვა. მისი ნომერი საჯაროდ დაგეწერა „გზაში“.

• კამკამაო, კამკამაო, მწვანე ხარ თუ შავთვალაო, მესიჯებს არ გიბეჭდავენ? ნუ თვლი, ვინმემ გამთვალაო. ნუ იტყვი, რომ ვერ გამჩნევენ, დამივიწყეს, აღარ ვჩანვარ, მეგობარი თუ დაგჭირდა, ჩათვალე, რომ შენთანა ვარ... P.S. ახალი ვარ, თუმც ვერ ვიგებ, ასე როგორ შემიყვარდრით, ქვეყნად არვინ მეგულება, არსად, ხალხი თქვენზე კარგი, თქვენთან ყოფნა მინდა მუდამ, გამიკეთეთ ჯადო თითქოს, ჩემი გული და არსება, ჩახუტებას თქვენთან ითხოვს. ანტიდეპრესანტი.

• მარი, გუშინ დილაადრიან დავლაშქრე საჯარო და მთელი 4 წლის „გზები“ გადავავბულბულე. იმდენი ვიცინე, ლამის გამომაგდეს დარბაზიდან. :) გული მწყდება, რომ აქამდე ვერ გავხდი თქვენი წევრი. მონასტრის ბიჭი, კანიბალკა, ილინი, პარიჟანკა, ანარქია, სტიქია, ჩუქჩა, ლეო91, შრამიანი ანგელოზი, კაკუ, ბაობაო, ფშაველი, სესი, ნელკა, ლელუჩია, ლორელაი, ეს ის ადამიანები არიან, რომელთა ხალასმა იუმორმა, უზადო ლექსებმა და გზავნილებმა უზომოდ გამახარა და გამამხიარულა. მარი, რა იქნება, რომ დაბრუნდნენ ისევ? :(ანტიდეპრესანტი.

• მარ, ყოფნა-არყოფნა კი არა, კლეოპატრა ვინაა, საკითხავი სწორედ ეგაა.

• რუისპირის ინტერვიუ რომ წავიკითხე, რასაც EKO BOY-ზე წერს, სიცრუეა. ის სიტყვები მან კი არა, მე ვაკადრე, 1-ელ აპრილს მივწერე და ვერ მივხვდა და გამიბრაზდა. გიო, ეკოს რატომ გადააბრალე? ეკოს შენთვის ყოველთვის კარგი უნდოდა და რატომ შეულახე იმიჯი? გიო, ქუთაისიდან (შენი ყოფილი მეგობარი).

• გამარჯობა, მარი, მე თქვენი ახალი მგზავნელი ვარ, იმედია, მიმიღებთ. :) საკმაოდ დიდი ხანია, „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. ყოველთვის მქონდა სურვილი, მეც მომეწერა, მაგრამ გარკვეული თუ გაურკვეველი მიზეზების გამო ვერ ვახერხებდი. ძალიან მინდა, თქვენს დიდ ოჯახში მეც მიმიღოთ და ჩემი გულისნადები გაგიზიაროთ ხოლმე. :) მაი-კო.

• EKO BOY, ხელს ვწეევ, თან — ორივეს. :) სიამოვნებით ვიმეგობრებდი შენთან. სანტა.

• კაკრაზ, საჩემო თემაა. მისტერის ტყუილების გამო ყველა მგზავნელი გადამეკიდა და ყველას მე ვგონივარ მატყუარა, გველი, დამპალი და ა.შ. პირდაპირ ამაზრზენია, რასაც ჩემზე წერენ „გზის“ გრუპის პოსტებზე, ოდნოებში! თურმე მატყუარა, ინტრიგანი, მახინჯი შიმპანზე ვარ და საწყალ მისტერს ცილი დავწამე, რათა საკუთარი თავი გამეპიარებინა. თან ბოლმა და შურიანიც ვყოფილვარ. ეეჰ... ASHLEY PCD.

• გრუზინ, უეჭველი მინდა შენი გაცნობა, მარა ვერ შეგჭამ. მერე ვინ იყოს ჩემი დებილი? შორიდან შენი ფანი ვარ. მიყვარხარ. კამ-კამა.

• ბერბიჭ, აბა, რა�ა... მიდი აბა, შენ იცი. ისე გამეცანი, რაა. ფლიიზ. მპაჩები. კამ-კამა.

• გენაცვალე, როგორ ჩამოვიდე, ჰაა? ეგ ერთხელ ცეკვიდან წამოვედი. გეხუტე, შენ ჩამოდი. მპა. კამ-კამა.

• გადასარევი აზრია ჯურღლმულიორკის განახლება. გაგიჟდება დოლარა ამ ერთ კვირაში. სანტა.

• მიცვალებულებთან დასახლებული მოხუცის ამბავი წავიკითხე. საშინელებაა, ზოგს რა დალხენილი ცხოვრება აქვს, ზოგს კი ლუკმაპური ენატრება. ხალხო, გავუფრთხილდეთ მოხუცებს. თურმე ავშენებულვართ, ზოგიერთის თქმით, სინამდვილეში საქართველოს უმეტესი ნაწილი ღატაკია. ფულიანებს კი თვალები აქვთ დაბრმავებული. უსამართლობაა, უბრალოდ. სანტა.

• ლიმონ, ASHLEY, SWEET, კამი, ქალი ცდუნება, ჩემო პაწუკებო, ძალიან, ძალიან მიყვარხართ. მიშ, შენი გაცნობა მინდა და ახლა მიდიხარ? :-) ენიგმა, სად დამეკარგე? თოლია.

• მაარ, კლეოპატრა გავიცანი. უმაგრესი და უსაყვარლესი ადამიანი. ჩემი ქალის იდეალი ხარ, სიხარულო. სანტა.

• მაااარ! ვიკივლებ და გავგიჟდებიი! ჟურნალი რომ ვიყიდე, წიგნი აღარ შემხვდაა! გლდანიდან დიდუბემდე ვერსად ვიშოვე. არადა, როგორ მინდოდაა. ყველგან როგორ დავაგვიანე, უუჰ! ცოტა მეტი დაგებეჭდათ, მეც ხომ შემხვდებოდა, აა? ჭორიკანა ასინეთა.

• „გზავნელებში“ ყოველკვირას/ გველოდება აგრესია,/ ემიგრანტმა მგზავნელებმაც,/ ვერ დაფარეს ემოცია./ ნერტისს თურმე ექიმობა,/ ძლიერ შეუფერებია,/ ვიღაც უცნობს მისტრუკა/ „გზაში“ გაუმეფებია./ ძველ მგზავნელებს ენატრებათ/ ძველი დრო და ხალისი,/ გაზაფხული გვესალმება/ აგერ მოდის მაისი./ ვინ, რატომ და რისთვის ლანძღავს,/ ვერ გაიგო მავანმა,/ მთავარია, მაინც ჩვენში,/ გაიმარჯვოს მართალმა/ ტირიფი რომ ძლიერ მიყვარს,/ ბევრი დავა არ უნდა,/ „გზავნილებში“ სიმართლე და/ სიყვარული გახუნდა,/ ლუნა „გზას“ ისე უხდება,/ როგორც ყველს, ცხელი პურიო,/ მარიკუნ, შენმა სიტყვებმა/ გამომიკეთა გულიო./ ჯურღმულ-იორკმა ჯერჯერობით,/ მხოლოდ ერთი გასწირა,/ მგზავნელებმა მშვიდი ყოფა,/ ჩხუბს და კამათს შესწირა./ ზოგჯერ მგზავნელთ მესიჯები,/ სულ არ ერგება თემასო,/ ჩვენი გულუხვი გრუზინკა,/ ისევ ახარებს თელავსო/ სულ ყველას მაგრად მოგხვდებათ,/ ვინც ვერ აჩერებს ენასო,/ იქით კვირამდე, დაგტოვებთ,/ დროებით! გეტყვით ყველასო. ნიკირადმინდა.

• ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! სწორდით, სმენა, წაიკითხეთ, ბავშვებო, ადრე თუ ყველას სკანდალებისკენ მოგიწოდებდით, ახლა ყველას მოგიწოდებთ, მიუტევეთ და აპატიეთ ერთმანეთს. მეგობრობისკენ მოგიწოდებთ ყველას... დაფიქრდით, სკანდალებით ერთმანეთს გულს ვტკენთ. გთხოვთ, მიუტევეთ ერთმანეთს. EKO BOY.

• მაპატიე, მარიკუნა, მაგრამ არ შემიძლია, კლეოპატრას არ გამოვეხმაურო, მარხვასა და სულის გაფუჭებაზე რომ ლაპარაკობდა. მე როგორც ვიცი, მარხვა, მით უმეტეს დიდმარხვა, რომელიც განსაკუთრებით მძიმე და მკაცრია, ხორციელთან ერთად სულიერ თაგშეკავებას და სინანულს მოითხოვს. მარტო საჭმელით მარხვა საქმის ნახევარია მხოლოდ, მორწმუნეები ხომ სულის გადარჩენისთვის მარხულობენ. ეს შენიშვნა არ არის, კლეოპატრა, და ნუ მიწყენ, უბრალოდ, ვფიქრობ, რომ თუ რამეს აკეთებ, ბოლომდე მართალი უნდა იყო. მით უფრო, თუ ეს ღმერთს და ეკლესიას ეხება. ბოდიში, თუ რამე უტაქტოდ გამომივიდა. მარიკუნა, გმად-

ლობ. გუია.

• მარ, იუბილარი ვაარ! ფეშენასი არ იყოს და მარტში 3 წლის მგზავნელი გავხდი. ეჰ, რა კარგი იყო. მენატრება ყველა და ყველაფერი. მარ, იცი, რა მაგარი ადამიანი ხარ? შენი წყალობით ხომ პირადად მე, 72 მგზავნელი გავიცანი. 72-ჯერ მითქვამს შენთვის მადლობა და ახლა ისევ გეუბნები, რადგან ამ ხალხში მაპოვინე ის რამდენიმე, რომლებიც დღეს საკუთარი და-ძმასავით მიყვარს. ამ ხნის მანძილზე ერთხელ დავუშვი შეცდომა და აპოლონს გასაღებობა დავწამე, ხოლო მას შემდეგ, რაც გასაღებში გრუზინკა ამოვიცანით, გიოს ბოდიში მოვუხადე. მე არ მრცხვენია ამის აღიარება, უბრალოდ მინდა იცოდეთ, რომ ამ 3 წლის განმავლობაში ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი შეცდომა! გმადლობთ, რომ მასწავლეთ კარგისა და ცუდის გარჩევა! მე აქ ვიქნები, მარიამულ, „გზავნილებში“ და ყოველთვის შეგეხმიანები! კარგი ხარ... დამავიო (ნიკოლი).

• გამარჯობა, მარი. ყველანი კარგები არიან მგზავნელები, მაგრამ საწყისი წინადადებიდან ვხვდები, ბერბიჭას ნაწერი რომელია. დატირებაზე იმდენი ვიცინე... მადლობა, რომ არსებობ.

• მაარ, ჩემს „გზას“ წიგნი არ მოჰყვა და ვისი ბრალია? არადა, როგორ ველოდებოდი?! მატიტელა.

• პრივეტ. ე.ი. რატომ გწერთ, და�ა... თემაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ... მინდა, მადლობა გადავუხადო „გზას“ იმისთვის, რომ თქვენ არსებობთ. ჰო, კიდევ, ბერბიჭას, იმიტომ, რომ მის დაწერილ დატირებაზე კარგად ვიხალისე და ვიცინე. ყველა კარგები ხართ, გენაცვალეთ თქვენ. ანელია.

• ხალხო, რამ გადაგრიათ, რატომ აიძულეთ 9717, წასულიყო „გზიდან“? ყოველთვის მიხაროდა ჟურნალის ყიდვა, რადგან მაგაზე სუფთად არავინ წერდა. მაგი არავის ლანძღავდა და არც არავის განიკითხავდა. 9717, მიუხედავად იმისა, რომ არ გიცნობ, ძალიან დამწყდა გული შენი წასვლით. „გზავნილების“ კითხვას შენით ვიწყებდი. შენი ყველა გზავნილი ცალკე მაქვს ამოწერილი. ვიცი, ძალიან მომენატრები. მატიტელა.

• მარ, უღრმესი მადლობა „გზას“, რომ უსაყვარლესი ადამიანების გაცნობის საშუალება მომცა. გპირდებით, დიდი გოგო რომ გავხდები, „გზას“ მოკბეჩილი დედამიწის ფორმის

• ძეგლს დავუდგამ! მააშ. გაკოცეთ და ჩაგეხუტეთ ყველას. „გზა“ ჩემი მეორე ოჯახია. გაკოცეთ. კლეოპატრა.

• ASHLEY PCD, ამ ნომერში შენი სიხალისე რატომ არ იგრძნობოდა? მოხდა რამე? მატიტელა.

• მაარ, მეც ვეთანხმები ქალბატონ ნანის და მეც გთხოვ, რამე თქვენ შესახებ დაგვიწერო. ისე, პატარა ფოტო, სადაც თვალებს გარკვევით დაგვანახვებ, საკმარისი იქნება. მატიტელა.

• ძალიან ეჭვიანი ადამიანი ვარ. მაგალითად, შედიხარ ოთახში და ქალი და კაცი იმასაქნაობენ, რა, ჰოდა, წითლდებიან, ყვითლდებიან და ბლუკუნებენ, ეს ის არ არის, რაც შენ გგონიაო. რა იციან, რა მგონია? ან საიდან იციან? ან რატომ არ არის ის, რაც მათი აზრით, მე მგონია? მაშ რა არის? რათ გაყვითლდნენ მაშინ, თუ ეს ის არ არის, რაც მათი აზრით, მე მგონია? ან იქნებ მე სხვა რამე მგონია? ან... ვაიმე, დედაა, ენა მამძვრა, რა, ყბედობით.

• 4 წელია, ამ ჟურნალს ვკითხულობ. უნიჭიერესი ხალხი ამესიჯვებს, მაგრამ ლიმონას დაბრუნებამ და მისმა ნიჭმა ჩემი გული სიხარულით აავსო. ძალიან მინდა გავიგო, რამდენი წლისაა. ყველა დედას ასეთი ნიჭიერი და აზრიანი შვილი! ყველა ნაკითხ და ჭკვიან ადამიანს ვაფასებ. მოკითხვა ყველას. ნაკა.

• მარ, რა იქნებოდა, იმ დღეს რომ შემხვედროდი, შენ რომ „ტაქსაობდი“? უცებ წარმოვიდგინე, რა უძალიანმაგრესი იქნებოდა! მაგრამ მე ხომ საჭირო დროს, საჭირო ადგილზე არ აღმოვჩნდები ხოლმე?

• ძალიან გახარებული ვარ, რადგან SWEET GIRL, GREEN GIRL და ვერმახტი გავიცანი. თუმცა ხშირად ვერ ვეკონტაქტები. კარგები ხართ. მიყვარხართ. მარტოსული.

• „გზის“ ყველა ნომერს ვკითხულობ. „მობილი-ზაციის“ კითხვას ASHLEYS SMS-ით ვიწყებ. ამიტომ, მინდა, მას მივმართო და ვთხოვო, არ წავიდეს. მტერს ნუ გაახარებ, ჩემო კარგო. მიკი.

• მინდა, მთელმა ქვეყანამ გაიგოს, რომ ჩემი ინგა ძალიან მიყვარს. მინდა, პატიება ვთხოვო და ვუთხრა: დამიბრუნდი, უშენობა არ შემიძლია, შენ ჩემი სიცოცხლე ხარ და ჩემი გული მუდამ შენთან არის. დანკო.

• მარ, გმადლობ. არ მეგონა, თუ გეზიზღებოდი. რა დაგიშავე ან შენ, ან სხვებს, ვერ ვხვდები. საღოლ! მე აღარასოდეს შეგაწუხებ არც შენ და არც სხვებს. ისე კი, თუ რამე გქონდა სათქმელი, შეგეძლო, პირში გეთქვა ჩემთვის და არა — მისტერისთვის დაგეკავლებინა, „გზის“ ფორუმზე მოწერა. პკ. 4EVER! ASHLEY.

• ონკანიდან წყალი წვეთავს, ატალახდა მთელი ეზო. ელიზბარა დაინახა, ფაცხა-ფუცხით გარბის რეზო. ელიზბარამ რიხითა თქვა, აბა, აქ რა ხმაურია? თქვენი წყლის გადასახადი, რვა და ათი შაურია. დაკეტილ კარს ეჯაჯგურნენ, აუვლიან, ჩაუვლიან, ინკასატორს ემალები? ეს ხომ დანაშაულია!

• პრივეტ, მარი, მე თამო ვარ. დიდი მადლობა, რომ ჩემი SMS-ი დამიბეჭდე. მყავს ორი პატარა ტყუპი და ბედნიერი ვარ. ჩემს საყვარელ ქმარუკასაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სიურპრიზისთვის, რომელიც გამიკეთა, დედის დღესთან დაკავშირებით. მიყვარხარ. თამო.

• ცხოვრება არა, მაგრამ ჩემი ნერვები კი შეცვალა იმ ტყუილმა, დოჩანაშვილის წიგნის ყიდვა ყველას შეეძლებაო. მესამე დღეა, ვეძებ. არადა, მთელი თვეა, ველოდები. წიგნი მინდა!!! სიმღერაში რომ არის: ნუ შემპირდებით იმას, რასაც ვერ შემისრულებთ... ოდესღაც მგზავნელი.

• ნ-ატვრამ მინდა მომაფრინოს შენთან. ა-ნგელოზის გამომასხას ფრთები. თ-ავბრუს მახვევს სიყვარული შენი, ი-მიტომაც ასე გეფერები. ა-ხლა მუზა დამტრიალებს შენი. ს-ხვისთვის ვერ გთმობ, ჩემთვის მემეტები. ამ ლექსის ავტორს ვერ ვივიწყებ. ნათათო.

• მარი, ერთი იდეა მაქვს, მოდი, „გზავნილებში“ ვინც ერთმანეთს ჭამს, ყველას ნომერი გამოაქვეყნე. ჰოდა, ეთერს გარეთ დასცხონ და შენ დაგანებონ თავი.

• ჩემი გზავნილები გამოქვეყნდა. მინდა, ოჯახში მეც დაგემატოთ. მიმიღებთ? ყირამალა.

• მარი, გამარჯობა. მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი საინტერესო ჟურნალისა და უამრავი საინტერესო წამოწყებისთვის. მინდა, გკითხოთ, რა დავაშავეთ გურულებმა, წიგნინან ჟურნალს რომ არ გვიგზავნით?

• მაااარ, როგორ ხარ? აუ, ძალიან მინდა, მგზავნელი გავხდე, მარა რად გინდაა! ჩემს ერთ SMS-საც არ ბეჭდავ! მარიტუნა.

• GREEN GIRL, სიხარულო, ძალიან საყვარელი ხარ. 9717, ჯიგარი ხარ. მოგიკითხავთ სუყველას და ყველა მიყვარხართ. ICE-LADY და SWEET GIRL, იმედია მიცანით. :) MOONSHINE.

• მიშკას მოვუხმობ შორიდან,/ რომ მის ნაწერებს მოველი,/ ისეთი ლექსი მომიძღვნა,/ მას ხომ ეკუთვნის ნობელი./ მადლობის მეტი რა მეთქმის,/ ქება არ მაწყენს, მგონია,/ ასე პატარას რა ნიჭი,/ რა დიდი გული გქონია./ ბოა ირაკლის მოვუხმობ,/ ორივე ნომერს რად თიშავ?/ ვერაფრით დაგიკავშირდი,/ ჩვენგან ასე რამ გაგთიშა./ ოლე, ძვირფასო, მიყვარხარ,/ გული გაქვს ოქროთ ნაჭედი,/ სულ აღარ ჩანხარ, ძმობილო,/ ჩვენგან შენც ხომ არ წახვედი?/ სოფი, პაწაწა მთიულო,/ არ მავიწყდები არასდროს,/ ტელეთი მესიჯაობას,/ რეალში ნახვა არა სჯობს?/ ჭრიჭინავ, სად დამეკარგე?/ გამოჩნდი, უკვე დარია,/ რომ აღარ მწერდი არაფერს,/ ვიფიქრე, ზამთრის ბრალია./ მე ჩუპის ვენაცვალები,/ ამ ულამაზეს ბაიას,/ უკვდავ ხმას ჩემს ხმას მივაწედენ,/ ძლიერ მიყვარხარ, დაია/ ოჰ, როგორ მენატრებიან,/ ორი დაქალი ქალები,/ ნანუჩი, ლია, გეთაყვათ,/ გზას გაჰყურებენ თვალები./ აპოლონს დიდი მოკითხვა,/ ჩემს ხსენებისთვის მადლობა,/ ოჰ, როგორ მომწონს იცოდეთ,/ ამ ჩვენს ბერბიჭას გალობა,/ ღმერთმა არავის მოგაკლოთ,/ მაღალი ღმერთის წყალობა,/ ვერც ერთს ვერ გარჩევთ, ერთნი ხართ,/ ჩემთვის არა აქვს სხვაობა,/ მალე დადგება ზაფხული,/ კარს მოგვადგება მაისი,/ იცით, რა კარგი გოგოა,/ ეს ჩვენი ედელვაისი?/ ლიმონა, გუშინ გინატრე,/ რომ ვიყავ ცეცხლის ალშია,/ თითსაც კი არ ამოვისმევ,/ რომ ჩამივარდე თვალშია./ ვინც ვერ ვახსენე, ნუ განმსჯის,/ ჩემებს გაფასებთ ძალიან,/ ამ გულში ყველა ეტევით,/ რა ვქნა, რა ჩემი ბრალია./ ქალი ცდუნება!



გილოცავ!

• ზურა შამადუხაშვილო, გილოცავ პატარა ზღარბუნიების, ირინასა და ზურას დაბადებას. არ გაინტერესებს, როგორი ლამაზი ტყუპი გყავს? დადუ.

• ჩვენს საყვარელ შვილს, ქეთი ჩადუნაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მრავალი ბედნიერი დღე გაგითენოს უფალმა. გისურვებ ყოველივე კარგს.

• ჩემს ემიგრანტ ნათესავებს იტალიაში, ჯულის, საბერძნეთში — ეკა ხიჯაკაძეს და ყველა ემიგრანტ ქალს ვულოცავ 8 მარტს. გისურვებთ ოცნებების ასრულებას. ვოვა ხიჯაკაძე.

• საბერძნეთში მყოფ ლიანა ნიკოლეიშვილყიფიანს ულოცავენ და და სიძე, ხვიჩა და მაია დარსაველიძეები 8 მარტს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად.

• ქეთი, გილოცავთ დაბადების დღეს, 8 მარტს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში. დაიკო თეო და ძმიკო თოკა.

• ქალაქ რუსთავში ჩემს საყვარელ მეუღლეს, მზია ჩოქურს ვულოცავ 8 მარტს. ვუსურვებ ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს, თავის ქმარ-შვილში. მეუღლე.

• დიღმელო მამუკა გრძელიძე, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, სწავლას და ულევ სიხარულს, შენს დაიკო მარისთან ერთად. გფარავდეთ ღმერთი. მანანა ბებო.

• რაჭაში მცხოვრებ დავით გოგსაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 12 მარტს. ღვთის ძალა და მადლი გფარავდეს. ძალიან გვიყვარხაااარ... შორენა, გვანცა, ფარნა.

• მინდა, დიდი სიყვარულით და პატივისცემით, ქალთა დღე, 8 მარტი მივულოცო სვეტლანა ეფრიკიანს, მედიკო ნაროუშვილს და მარიას. დიდი პატივისცემით, ირაკლი და ნინო ფოთიდან.

• 8 მარტს ვულოცავ ყველა მანდილოსანს,

განსაკუთრებით — მგზავნელებს. ჩიქოვანს, ASHLEY PCD-ს, მანაველს და SWEET-GIRL-ს. გაიხარეთ და იცოცხლეთ დიდხანს. იუდას კაცი.

• იუბილეს ვულოცავ ბაღდათში მცხოვრებ მირანდა ებანოიძეს. გაიხარე, კაპარჩხანავ. ივერი მსხვილიძე.

• ვულოცავთ საგრაშენის მძღოლს, ლევან მჭედლიშვილს დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, თავის საყვარელ ხალხთან ერთად.

• ვულოცავ ჩემს საყვარელ ლელას მანგლისში, 22 მარტს, დაბადების დღეს. ვუსურვებ ცხოვრებაში წინსვლას, ღამაზ სიყვარულს და ბედნიერებას. დიდი სიყვარულით, შენი ნათლული.

• გილოცავთ, ქალებო, ყველაზე კარგებო, მარტებო, ვარდებო, ხატებო, დარდებო, კარგებო, შარებო, ნაზებო, ჩქარებო

• და მაინც ყველაზე, ყველაზე მაგრებო! 8 მარტი არის დღე ქალებისა, დანარჩენია, რა, კაცებისა! ისე გეცხოვროთ, ჩემო ქალებო, მთელი ცხოვრება რომ თქვენ განებივრონ! გილოცავთ, ქალებოო! :) მის რეალი.

• ათენში დროებით მყოფ დებს, ნატო და ნაზი მოსეშვილებს და ციცო ვაშაკიძეს ვულოცავ 8 მარტს. სიხარული, სიყვარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეთ, ჩემო საყვარელო ხალხო. სამივენი ძალიან მიყვარხართ და მინდა, ყველაფერი საუკეთესო გისურვოთ. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. დიდი სიყვარულით, თქვენი პატარა მეგობარი, ნანა.

• ჩემს კარგ დედამთილს, ჟენია ქარჩხაძეს 14 მარტს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ოჯახთან ერთად. დე, ჩემი იმედი ხარ. რძალი, ლელა.

• ჩემს უსაყვარლეს შვილებს, ნანუცას და დარუცას, ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს, ულევ სიხარულს და ბედნიერებას. გკოცნით, მიყვარხართ, ტკივილამდე მენატრებით. მაქვა.

• დოდო ბენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს და ქალთა დღეს. ღმერთმა ბევრი გაგითენოთ ასეთი ღამაზი დღეები. თქვენი ლანუკათი გახარებული გამყოფოთ უფალმა. ნანი.

• ანი ბექაურს და გიორგი გულორდავას ვულოცავ ვაჟკაცის დაბადებას. ანი, გილოცავ დაბადების დღეს. გამრავლდით და გაიხარეთ. მამიდა.

• მარ, გილოცავ ქალთა დღეს. ბედნიერებას, სიყვარულს და ულევ სიხარულს გისურვებ ცხოვრებაში. კლეოპატრა. იმედია, ტელე უმოზე გაქვს, დეე.

• ბრწყინვალე ოჯახის დიასახლისს, თავდადებულ დედას, ერთგულ მეგობარს და ძალიან ღამაზ ქალბატონს, ვულოცავ გაზაფხულის ულამაზეს დღეს, 8 მარტს. იყავი წარმატებული და ბედნიერი.

• ქალთა დღეს გილოცავ, სხვებისთვის ქალო, ჩემთვის კი — ქალღმერთო! რამდენი ყვავილიც გაიშლება ამ გაზაფხულს, იმდენ ბედნიერ დღეს გისურვებ. უზომოდ მიყვარხარ. შენი პარიჟანკა.

• სურამში 11 მარტს, გიორგი გოგალაძეს დაბადების დღეს ულოცავს თავისი დედიკო. გიორგი, ძალიან მენატრები. სულ გახარებული მენახე. მენატრებით ძალიან. შენი დედიკო.

• გვინდა, დაბადების დღე მივულოცოთ ჩვენს უსაყვარლეს ადამიანს, თამრიკო მარაულს. გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, ღამაზ ქმარ-შვილთან ერთად. შენს სახეს ღიმილი არ მოჰკლებოდეს, თვალებს — სიხარული, გულს — სიყვარული. შორიდან გკოცნით და გეფერებით. პატივისცემით, ზოია და ნუნუკა.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, გიგა ჭანკვეტაძეს. გამეზარდე, ბებო, ჯანმრთელი და გახარებული. უფალი გფარავდეს, შენს დაიკო ქეთისთან და მშობლებთან ერთად. ღმერთის წყალობით, იმედი მაქვს, მალე ჩაგეხუტოთ გულში, ჩემო მარგალიტებო. უზომოდ მიყვარხართ და მენატრებით. ლია ბებია.

• ქეთისა და ხათუნას ვულოცავ 8 მარტს. მრავალი ასეთი ღამაზი დღე მომელოცოს, ჩემო კარგებო, თქვენთვის. სიხარული, სიყვარული და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ. ნანუკა24.

• ნანა ფანცულაიას ვულოცავ 8 მარტს, ქალთა დღესა და 13 მარტს, დაბადების დღეს. ჯანმრთელობა, სიხარული და სიყვარული არ მოგაკლოს ღმერთმა, შენს საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად. გაზაფხულივით ღამაზი და მომხიბვლელი ყოფილიყავი მუდამ. უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეს არასოდეს. უზომო მონატრებით, ნანი ფანცულაია.

• ქალთა დღეს გილოცავ, სიხარულო. მრავალს დაესწარი. ყველა ოცნების ასრულებას გისურვებ. მუდამ ღამაზი და მშვენიერი იყავი. სულ მინდოდა მეთქვა, რომ ძალიან მიყვარხარ და გაფასებ. ოლეგარიო.

• ჩემს უზომოდ მონატრებულ, ერთადერთ შვილს, ნანა კოჭაძეს ვულოცავ 15 მარტს, დაბადების დღეს. ჩემო საყვარელო შვილო, გილოცავ ამ ღამაზ დღეს, ღმერთმა უამრავი ღამაზი და ბედნიერი დღე გაგითენოს, საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად. უფალი გფარავდეს მუდამ. მენატრებით. დედა ეთერი.

• სალომე, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს. 8 მარტს დაბადების დღე და ქალთა დღე ერთად მოგვეღოცოს. გაიხარე შენს ოჯახთან ერთად. ზინა და ლილი.

• სოფიკო ლომიძე-ჭუმბურიძეს: სოფო, შვილო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ულევ სიყვარულს, შენს მეუღლესთან ერთად. უფლის წყალობა და მფარველობა არ მოჰკლებოდეს შენს ღამაზ ოჯახს. შენი ბედის ვარსკვლავს მუდამ ებრწყინოს ცის კამარაზე. მაია ლომიძე.

• 3 მარტს ჩემს დედიკოს ვულოცავ დედის დღეს. მრავალს დაესწარი, დეე. სანტა.

• ლენტეხში მცხოვრებ დათა გაზდელიანს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას. გფარავდეს უფალი. შენი დე.

• მარი, დილა მშვიდობისა! მინდა, დედის დღე მოგილოცო. ძალიან მიყვარხარ. გკოცნი ბევრს. თავადაც ხომ იცი, რომ 2 შვილი კი არ გყავს, არამედ ძალიან ბევრნი ვართ. გრუზინკა.

• ხათუნა ყაველაშვილ-კუხიანიძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე. საყვარელ ოჯახთან ერთად ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს. გამრავლდი და გაიხარე. გფარავდეს ღმერთი. ნიურა.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს საყვარელ შვილიშვილებს თბილისში. 7 მარტს მარი სარმანიძეს, 20 მარტს — ზურა კოზაევს და 24 მარტს — ნათია სარმანიძეს. მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა, ულევი სიხარული და უფლის მფარველობა. მიყვარხართ და მენატრებით. ნათელა ბაბო.

• დაბადების დღეს, 7 მარტს ვულოცავთ თბილისში, გიგა ჭანკვეტაძეს. გაიზარდე, ბებიკო, დიდი ბიჭი და ყველა სურვილი აგსრულებოდეს, შენს დაიკო ქეთისთან და მშობლებთან ერთად, სულ გახარებული ყოფილიყავი. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს და მალე ჩახუტებოდე შენს ლია ბებიას. ლია, მილა, დარეჯანი და თამრიკო ბებიები.

• რუსთავში ხათუნა გოგრიჭიანს ვულოცავ დაბადების დღეს და 8 მარტს. ხათო, საყვარელო, გილოცავ ამ ორ ღამაზ დღესასწაულს ერთად. გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს. შემდეგი დაბადების დღე მეუღლესთან ერთად მომელოცოს, გათხოვდიიიიი!!!! გოგოოო!! გფარავდეს უფალი. გკოცნი, მიყვარხარ, დალი კოჭლამაზაშვილი.

• ლაგოდეხში ნატო კურტანიძე-ტალიაშვილს ვულოცავ ორ ღამაზ დღესასწაულს, დაბადების დღეს და 8 მარტს ერთად. გილოცავ, ჩემო საყვარელო, მრავალს დაგასწროს უფალმა, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. დალი კოჭლამაზაშვილი.

• ათენში მყოფ ყველა ქართველ ემიგრანტ ქალს, ჩემი და მუსის თამადობით, ვულოცავ 8 მარტს. გილოცავთ, ქალებო, გაიხარეთ და გამრავლდით. გასათხოვრები დათხოვდით, რომ გაამრავლოთ ჩვენი ერი. გაკოცეეეთ!!! დალი კოჭლამაზაშვილი.

• ირინა, გილოცავ შვილის დაბადების დღეს. გაზრდილიყოს სასახელო ბიჭი, რომ მშობლები, მალხაზი და ირინა გაეხარებინოს. ღამზირა.

• ჩემს მონატრებულ შვილს, ნათია ელანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 8 მარტს. ჩემო შვილო, გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, შენს ღამაზ ქმარ-შვილთან ერთად. შენი დედიკო.

• ლაგოდეხში, სოფ. მაჭიმში, ჩემს მონატრებულ დედას, ჟენია პაპალაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს და დედათა დღეს. გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს და გახარებას, შვილებში და შვილიშვილებში. აგრეთვე ყველა ჩემს მეზობელ ქალს ვულოცავ დედის და ქალთა დღეს. გაიხარეთ ყველამ. თქვენი მზია.

• ჩემო მონატრებულო, პატარა შვილო, გია კუჭიაშვილო, შენი საყვარელი დედა გილოცავს დაბადების დღეს, 16 მარტს. გისურვებ გახარებას, გამრავლებას და შენი მიზნების კეთილად ასრულებას. ბედნიერი იყავი მუდამ. ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩემო სიცოცხლევ. ნინო.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, გიგა ჭანკვეტაძეს. გამეზარდე, ბებო, ჯანმრთელი და გახარებული. უფალი გფარავდეს, შენს დაიკო ქეთისთან და მშობლებთან ერთად.

• დაბადების დღეს ვულოცავ გიორგი სვიმონიშვილს. ჩემო გიორგი, გისურვებ ყოველივე კარგს, სიხარულს და ჯანმრთელობას. შენი მიზნების შესრულებას და შენი ტკბილი დედიკოს ჩანაფიქრის მალე ახდენას, რომ თქვენი ამდენი ხნის მონატრებას ბოლო მოეღოს. უფალი გფარავდეთ, შენც და შენს ღამაზ დედიკოსაც. თამრიკო.

ორთაჭალაში მცხოვრებ რძალ-დედამთილს, შორენა და ღამარა ბაქრაძეებს ვულოცავ ქალთა დღეს. ასევე მათ სტუმარს, ანა ლიკოქელს. მრავალი ღამაზი დღე გაგთენებოდეთ, ჩემო კარგებო. ნანიკო.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის **SMS**-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **Guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე **8884**. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის **SMS**-ფუნქციაში აკრიბეთ: **Guli 18-10** და გაგზავნეთ **8884**-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ჭაიმ-აუჭი

პატარა მოდელის ყველაზე დიდი ოცნება

14 წლის მოდელი — მარიამ ავალიშვილი ახლახან ჩატარებული სილამაზის კონკურსის — „მის ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ „პირველი ვიცე-მისი“ გახდა. როგორც ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა — ამერიკელმა თომას ტრენსკიმ აღნიშნა, მარიამი პატარა, კაშკაშა ვარსკვლავია, მაგრამ მალე „სუპერსთარი“ გახდება. გოგონას მეტყველმა სახემ, სიარულის მანერამ თომასიც კი „აცდუნა“ და აღიარა, — უფრო დიდი ასაკის მეგონაო.

ეთო ყორღანაშვილი

— მოგეხსენებათ, 14 წლის გოგონას მოდელების მსოფლიო კონკურსზე გასვლის უფლება არა აქვს. ჩემი მცირე ასაკის გამო, „მის ინტერნეიშენალ ჯორჯიაში“ მონაწილეობას არც ვაპირებდი, მაგრამ ბოლოს, გადაწყვეტილება შევცვალე. ვიფიქრე, — გამოცდილებას მაინც შევიძენ-მეთქი. არ მეგონა, წარმატებას თუ მივაღწევდი. მართალია, კონკურსზე გამარჯვებულის გვირგვინი არ დამადგეს, მაგრამ „პირველი ვიცე-მისი“ გავხდი და მგონი, ჩემი ასაკის მოდელისთვის ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატებაა (*იღიმის*). კონკურსზე მოდელების ჩაცმულობაზე დიზაინერმა თეო ოთარაშვილმა (რომელიც ჟიურის ერთ-ერთი წევრიც გახლდათ) იზრუნა. მე ულამაზესი კაბა მეცვა, რომელსაც უკან დიდი, ლურჯი ბაფთა ჰქონდა. როგორც ჟიურის წევრებმა აღნიშნეს, კაბა ძალიან მომიხდა და ასაკიც „მომიმატა“. არ ვიცი, მომავალში რა გამომივა, მაგრამ მინდა, დიდ წარმატებას მივაღწიო და ავადმყოფ ბავშვებს დავეხმარო.

— მოდელობა რატომ გადაწყვიტე?

— ეს პროფესია ყოველთვის მომწონდა. აღნაგობაც ხელს მიწყობს და ალბათ, ჩემი არჩევანი ამანაც განაპირობა. სამოდელო საქმიანობა 13 წლის ასაკში დავიწყე: „მის თბილისის“ კონკურსზე გავედი, სადაც „ვიცე-მის თბილისი“ გავხდი. მაშინაც თეოს შეკერილი, სვაროვსკის თვლებით გაფორმებული ძალიან ლამაზი კაბა მეცვა. მე და თეო წარმატების გზას ერთად მივუყვებით (*იცინის*).

— შენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოდელმა წარმატებას მიაღწიოს?

— უპირველეს ყოვლისა, წარმატების მიღწევის დიდი სურვილი და მონდომება. ცხადია, გარეგნობა მნიშვნელოვანია, შრომა — აუცილებელი.

— მოდელობა ძალიან შრომატევადი საქმეა.

— ჩემს ასაკში — კი: მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით სიარული ცოტათი მიჭირს (*იცინის*). მოდელობა სიამოვნებას მანიჭებს. ვეცდები, ამ საქმეში პროფესიონალი გავხდე.

— მოდელის პროფესიული საქმიანობა არც ისე ხანგრძლივია.

— ჰო, მაგრამ მინდა, მოდელად ყოფნის სიამოვნება გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც მივიღო და მაქსიმალურ წარმატებას მივაღწიო.

— მეორე პროფესიაც არჩეული გაქვს?

— კი, ჟურნალისტობა მინდა და უკვე ამაზეც ვმუშაობ: „მის თბილისის“ კონკურსზე კინოსტუდია „ქართული ფილმისგან“ მიწვევა მივიღე, სადაც სწავლების კურსს გავდივარ: ფოტოსესიები, ჩაწერები, მოკლემეტრაჟიანი ფილმებისთვის ვიდეოკოლაჟები...

— მსახიობის პროფესიასთანაც ახლოს ყოფილხარ.

— მსახიობობა უფრო ადრეულ ასაკში მინდოდა, ახლა — აღარ. რაღაცნაირად „გათავისებული“ მაქვს, რომ აუცილებლად მოდელი უნდა ვიყო — ეს ჩემი დიდი ოცნებაა!

— დასაწყისისთვის, ურიგო შედეგები ნამდვილად არა გაქვს.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს პატარა წარმატებაც კი უკვე პრობლემებს მიქმნის.

— რას გულისხმობ?

— არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ადამიანებმა, რომლებსაც მეგობრებად მივიჩნევდი, ჩემი შეშურდათ. რაც მთავარია, ბედნიერი ვარ, რომ მათი ნამდვილი სახე დროულად დავინახე. ერთადერთი დაქალი — ნათია სულაქველიძე მყავს, რომელსაც დად მივიჩნევ. ის ყოველთვის მხარში მიდგას და ყვე-

ლაფერში მეხმარება. მთელი გულით მინდა, რაღაცაში მეც დავეხმარო, მაგრამ დრო არ მრჩება: სკოლაში ვსწავლობ, სააგენტოში დავდივარ, მოდების ჩვენებებში, კასტინგებში ვმონაწილეობ... მიხარია, რომ ჩემი მასწავლებლები ჩემს წარმატებას იზიარებენ და მხარში მიდგანან.

— მარი, ფორმის შესანარჩუნებლად დიეტის დაცვა თუ გჭირდება?

— დიეტას ვერ ვიცავ, არ შემიძლია — ჭამა ძალიან მიყვარს!.. დიეტა წინათ მჭირდებოდა: საახალწლო დღესასწაულების პერიოდში წონაში საგრძნობლად მოვიმატე (*იცინის*). ძალიან ბევრს ვჭამ, მაგრამ ისეთი აღნაგობა მაქვს, არ მეტყობა. მიყვარს ხინკალი, აჭარული ხაჭაპური, გუფთა, ტკბილეულიდან — შოკოლადი, ტორტი... მგონი, მომშივდა (*იცინის*). დიეტა წამებად მიმაჩნია!..

— საინტერესოა, მშობლებს შენს პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით როგორი აზრი აქვთ? ხელს გიწყობენ?

— ჩემზე მეტად, დედას უნდა, რომ სამოდელო საქმიანობაში წარმატებას მივაღწიო. დედა ჩემთვის ვიზაჟისტია, მენეჯერიც, მასწავლებელიც (*იცინის*)...

— მამა?

— ის იმ ქართველ მამებს არ ჰგავს, რომლებსაც არ სურთ, მათი ქალიშვილი მოდელი იყოს, ღამის კლუბებში ჩვენებები ჰქონდეს. მამამ არ იცის, რომ პოდიუმზე საცურაო კოსტიუმითაც გავედი (*იცინის*).

— ამის წინააღმდეგია?

— კი, მაგრამ შვილის სურვილს პატივს სცემს. იცის, რომ ჩემს საქმეს მთელი გულით ვაკეთებ და ამისგან დიდ სიამოვნებას ვიღებ... გარდა ამისა, 24-ე საჯარო სკოლაში (სადაც ინგლისური ენის სწავლება გაძლიერებულად მიმდინარეობს) ვსწავლობ, პარალელურად — ინგლისურ სკოლაშიც ჩავაბარე და „კემბრიჯ-ცენტრის“ ოლიმპიადაში გავიმარჯვე. გაცნობიერებული მაქვს, რომ ინგლისური ენის კარგად შესწავლა მომავალში ძალიან გამომადგება.

— ვატყობ, სამოდელო საქმიანობის გაგრძელებას უცხოეთში აპირებ.

— კი, ასეა! საქართველოში, ძალიან ბევრ სფეროში, მიკერძოებასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული სილამაზის კონკურსების უმრავლესობაში ფულს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს („მის ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ არ ვგულისხმობ).

— ასე რატომ ფიქრობ?

— ასე კონკურსების გამარჯვებულების შემხედვარე ვფიქრობ ხოლმე...

— მარი, დედმამიშვილები გყავს?

სამეჯლისო-სპორტული ცეკვებიც მომწონს, მაგრამ მათი შესრულება არასოდეს მიცდია...

— უმცროსი ძმა მყავს — 10 წლისაა. მარალია, დის წარმატებას ჯერ ვერ აცნობიერებს, მაგრამ იმედია, როცა გაიზრდება, დამაფასებს (*იცინის*). ძმა ქართულ ცეკვებზე დადის. ქართული ცეკვა გენში გვაქვს: დედა, ბებია, ორივე ბაბუა — ყველანი კარგად ცეკვავდნენ. ცეკვა დედამ შემაყვარა: 5 წლის ასაკში ანსამბლ „გიორგობაში“ მიმიყვანა. ბევრ კონცერტში ვმონაწილეობდი და ამან ინტერესი უფრო გამიღვივა...

— მხოლოდ ქართული ცეკვები გაინტერესებს?

— კი. მართალია, სამეჯლისო-სპორტული ცეკვებიც მომწონს, მაგრამ მათი შესრულება არასოდეს მიცდია...

— მითხარი, რომ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით სიარული მიჭირსო. ყოველდღიურად როგორ ფეხსაცმელს იცვამ, როგორ იმოსები?

— უპირატესობას ბოტასს, კედს ვანიჭებ. ძალიან მიყვარს სპორტული სტილი, მაგრამ ვცდილობ, დედას არ ვაწყენინო და ზოგჯერ, კლასიკურადაც ვიცვამ. ყველა მეუბნება, რომ კაბა უფრო მიხდება, ვიდრე — შარვალი, მაგრამ ჩემთვის მთავარია, ტანისამოსში კომფორტულად ვიგრძნო თავი.

— აქსესუარები, სამკაულები თუ გიყვარს?

— მხოლოდ საყურე და ქამარი! მაქვს საყურე, რომელიც ამ ბოლო დროს ამოვიჩემე და თითქმის სულ მიკეთია, ის ჩემთვის თილისმასავითაა. მიმაჩნია, რომ ჩემი წარმატება მისი დამსახურებაცაა.

— ეს საყურე ვინმემ გაჩუქა?

— დედისგან ვიჩუქე (*იცინის*). დედის სამკაულების, ტანისამოსის მითვისება ჩემი ერთ-ერთი ჰობია. თითქმის ერთნაირი აღნაგობა, გემოვნება გვაქვს და ამიტომ ვცდილობ, რაღაცები წავართვა ხოლმე. საბოლოო ჯამში, შეთანხმებას ვაღწევთ და ყველაფერს საკუთარი სურვილით მჩუქნის (*იცინის*).

— ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავს...

— ჩემი თაყვანისმცემლების შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ. თუ რაიმე მნიშვნელოვანია, დაქალი მატყობინებს ხოლმე (*იცინის*). არ მიყვარს, როცა ბიჭები თავს მაბეზრებენ.

— შეყვარებული არ გყავს?

— დაწერეთ, რომ არ მყავს!

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს შეყვარებულთან იკამათე, მასზე გაბრაზებული ხარ.

— (*იცინის*) არა, უბრალოდ, ერთი ბიჭი მომწონს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მასზე შეყვარებული ვარ...

— მოდი, შენი სამომავლო გეგმებიც გაგვიმხილე.

— ოქტომბრის დასაწყისში „მის მსოფლიო თინეიჯერის“ კონკურსზე, ამერიკაში გავემგზავრები. იმედია, საკუთარ თავსაც ვასახელებ და საქართველოსაც.

— წარმატებას გისურვებ!

— გმადლობ! მიხარია, რომ პირველი ინტერვიუ „გზას“ მივეცი: „გზა“ არის გზა წარმატებისკენ!

კაბა უფრო მიხდება, ვიდრე — შარვალი

ცნობილი ალკოჰოლიკები

ალკოჰოლს ხშირად, შხამსაც ეძახიან, მაგრამ მას მრავალი ადამიანი ეტანება. თუ კონიაკის ბოთლს ამშვენებს წარწერა — „ნაპოლეონი“ — სასმლის ასაკი 12-30 წელია. 1811 წლამდე კონიაკს „კურვუაზე“ ერქვა. ერთხელ იმპერატორმა სასმლის საწყობი მოინახულა და პროდუქცია მოიწონა. მოგვიანებით, ამ სასმელს „კურვუაზე ნაპოლეონი“ ეწოდა და მას ხშირად გზავნიდნენ სამეფო სასახლეში. ამბობენ, — წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებისას, იმპერატორმა თან ორი კასრი „კურვუაზე ნაპოლეონი“ წაიღოო.

თურმე, სტალინი მხოლოდ ქართულ ღვინოებს — „ხვანჭკარასა“ და „ქინძმარაულს“ მიირთმევდა.

მავნე თვისებების მიუხედავად, უინსტონ ჩერჩილმა, რომელსაც 70 წლის ასაკში ექიმებმა დალევა და მოწევა აუკრძალეს, 90 წელი იცოცხლა. იგი შამპანურს, ვისკისა და კონიაკს მიირთმევდა. მას ცხოვრების ასეთი დევიზი ჰქონდა: „არასდროს გამოტოვოთ სადილობა, დალიეთ კონიაკი და გააბოლეთ სიგარა“. ჩერჩილის საყვარელი სასმელი 50-გრადუსიანი სომხური კონიაკი „დვინი“ იყო, რომელიც მას პირველად ერთ-ერთ კონფერენციაზე, სტალინმა გაასინჯა.

ჩინეთის ბელადი მაო ძედუნი მხოლოდ 58-გრადუსიან „მაოთაის“ მირთმევდა. მისი წყალობით, სასმელი მთელ ჩინეთში პოპულარული გახდა. ძველად, მას მხოლოდ სამი ღვინის მწარმოებელი კომპანია აყენებდა, დღეს კი იმდენ „მაოთაის“ ამზადებენ, რომ არა მარტო ჩინელებს, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობას ეყოფა.

მწერალ გოეთეს საყვარელი სასმელი ბავარიული ღვინო იყო. მწერალს ყოველწლიურად, 900 ფრანკის ღვინოს უგზავნიდნენ.

მხატვარი ვან გოგი სასმელებს შორის აბსენტს გამოარჩევდა, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი კი კოქტეილებს მიირთმევდა — სხვადასხვა ლიქიორს ერთმანეთში ურევდა და დაფქულ მუსკატის კაკალს უმატებდა. „სურათის შეფასებამდე, გემრიელი კოქტეილის მოზრდილი დოზა უნდა მიიღო“, — ხშირად იმეორებდა მხატვარი.

ერიხ მარია რემარკისა და მისი გმირების საყვარელი სასმელი ნორმანდიული ღვინის ბრენდი — კალვადისი იყო.

ჰემინგუეი უპირატესობას უშაქრო დაიკირის ანიჭებდა. ძველ ჰავანაში სტუმრობისას, იგი ერთ-ერთი ბარის ხშირი კლიენტი იყო, სადაც მას ძეგლიც კი დაუდგეს. ■

ქვეყანას მაფიოზები მართავენ

დღესდღეობით, მსოფლიოში რამდენიმე სერიოზული მაფიოზური დაჯგუფება მოქმედებს:

* იამაიკურ-ბრიტანული ბანდა ბრიტანეთში ემიგრირებული იამაიკელებისგან შედგება. მათი სფერო ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობა, ყაჩაღური თავდასხმებია.

* ალბანური ბანდა აშშ-სა და ევროპულ ქვეყნებში პროსტიტუციას, ნარკოტიკებით ვაჭრობას აკონტროლებს. საინტერესოა, რომ ღალატში ეჭვმიტანილებს სასტიკად სჯიან.

* სერბული მაფიის წევრები ევროპის რამდენიმე ქალაქში დათარეშობენ. ორგანიზაცია სამი ძირითადი ბანდისგან შედგება, რომელიც მცირე დაჯგუფებებს აკონტროლებს. მათი სფეროა შეკვეთილი მკვლელობა, აზარტული თამაშები, ქურდობა და რეკეტი.

* ისრაელის ბანდას მრავალ სახელმწიფოში, ძირითადად კი ამერიკაში აქვს გადგმული ფესვები. მათი სფერო პროსტიტუცია და ნარკოტიკებით ვაჭრობაა.

* მექსიკურ ბანდას მხოლოდ აშშ-ში 30 ათასი წევრი ჰყავს. ბანდის წევრები ერთნაირ სვირინგს — ცეცხლის თავზე გადაჯვარედინებულ ხმალსა და მათრახს — იკეთებენ.

* იაპონური „იაკუძა“ XVII საუკუნეში შეიქმნა. მისი წევრები, ერთმანეთისადმი ერთგულების ნიშნად, ნეკა თითს იჭრიან. ბანდის ზოგიერთი წევრი მთელ ტანს სვირინგით იჭრელებს.

* ჩინურ ბანდაში აზიის თითქმის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელია გაწევრებული. მათი სფერო ვალუტის გაყალბება, მეკობრეობა, შეკვეთილი მკვლელობა, ნარკოტიკით ვაჭრობა და გამომძალველობაა.

* სიცილიური „კოზა ნოსტრას“ სფერო რეკეტი, ნარკოტიკებით, იარაღით ვაჭრობა და სხვა არალეგალური საქმიანობაა. საკუთარი ერთგულების დასამტკიცებლად, ახალმა წევრმა ვიღაც უნდა მოკლას.

* რუსული ბანდა თითქმის ყველა კოტინენტზე მოქმედებს. კონტრაბანდა, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, შეკვეთილი მკვლელობები მათი ძირითადი საქმიანობაა. ■

მოამზადა რუსუდან გელაშვილმა

ბიჭუნა-საოცრება

ამ უცნაური ბიჭუნას ამბავს ჰყვებიან უფოლოგები, რომელთა თქმითაც, ცოლ-ქმარ ივანოვებს ორი ვაჟიშვილი — 7 წლის ვანია და მასზე ცოტა უფროსი იგორი ჰყავდათ. ვანიას მეტყველებისა და სმენის გარკვეული დარღვევები ჰქონდა და 1994 წლის გაზაფხულიდან თავის ოთახში დიდ შავ ძაღლს ხედავდა. ბიჭუნას თქმით, ძაღლს დიდი და თითქოს ადამიანის მსგავსი თავი ჰქონდა, რაც მას განსაკუთრებით აფრთხობდა. ძაღლი ოთახში ცოტა ხანს რჩებოდა და შემდეგ კედელში „გადიოდა“.

მოგვიანებით კიდევ უფრო გამაოგნებელი რამ მოხდა: ერთხელ ძაღლი ვანიას დედამ — ლიდამაც დაინახა. როგორც კი გაოცებული ქალი მის უკეთ შესათვალიერებლად დაიხარა, ძაღლი მაშინვე მისკენ გამოექანა. დამფრთხალმა ლიდამ დაყვირება ძლივს მოასწრო, რომ ფეხზე „რაღაც რბილისა და მძიმეს“ დაცემა იგრძნო.

გამოხდა ხანი და ძაღლს „თეთრი ბაბუაც“ მოჰყვა, რომელმაც ის (ძაღლი) გააგდო. ამის შემდეგ ოთხფეხას გამოჩენისთანავე „ბაბუაც“ ჩნდებოდა და ბიჭუნას იცავდა. ვანიას თქმით, „ბაბუა“ მთლად ჭაღარა იყო, გრძელი თმა და წვერი ჰქონდა, გრძელი თეთრი პერანგი კი წელზე უბრალო თოკით ჰქონდა შეკრული.

შემდგომ გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი მოქმედი პირი — ვინმე „ბიძია“, რომელსაც ქერა თმა მხრებამდე სცემდა და წელზე მჭიდროდ მომდგარი მბრწყინავი ტანსაცმელი ეცვა. ბიჭუნას თქმით, „ბიძია“ იმდენად მაღალი იყო, რომ თავს „ჭერს უხახუნებდა“. ერთ დილასაც ლიდამ დაინახა, ფანჯარასთან მდგარი ვანია მინას ხელს როგორ უტყაპუნებდა. „რას აკეთებ?“ — ჰკითხა დედამ შვილს. — „ბიძია“ იყო მოსული, ხელში ამიყვანა და მინის „გავლით“, „თვითმფრინავით“ წამიყვანაო. „როგორ შეიძლება მინაში გასვლა?“ — ჰკითხა ბავშვს გაოგნებულმა ლიდამ, რომელიც შვილის პასუხმა, — დედიკო, მინა ხომ წყალივით იყოო, — კიდევ უფრო დიდ საგონებელში ჩააგდო.

ვანია კი თხრობას განაგრძობდა. თურმე „ბიძია“ მას ძალიან კარგად მოექცა. ხელში ალერსიანად აიყვანა და, გარეთ გასვლის შემდეგ, ცაში, მრგვალი მანათობელი თვითმფრინავისკენ გააფრინა. თვითმფრინავში შესვლის შემდეგ ისინი აღმოჩნდნენ ოთახში, სადაც თეთრი მაგიდები იდგა, ჭერში კი უამრავი ნათურა ენთო. ვანია ერთ-ერთ მაგიდაზე დააწვინეს. მისი თქმით, მეზობელ მაგიდაზეც ბიჭუნა იწვა, რომელიც მასზე სულ ოდნავ უფროსი იქნებოდა. ამ მომენტიდან ვანიამ მხოლოდ იმის გახსენება შეძლო, რომ ის ისევ სახლში დააბრუნეს და საწოლზე ფრთხილად დააწვინეს.

იმავე დილით ლიდამ შვილს მარჯვენა ყურს უკან, კანქვეშ ცერცვის მარცლისოდენა ბურთულა აღმოუჩინა. შეშფოთებული ქალი უფოლოგებმა შვილისთვის გამოკვლევის ჩატარებაზე დაიყოლიეს. ლიდა მათ შეჰპირდა, რომ ვანიას მეორე დილასვე მათთან მიიყვანდა, მაგრამ მანამდე, მოულოდნელი რამ მოხდა: დილის 4 სააათზე ლიდა რაღაც ბიძგმა გააღვიძა და მაშინვე შვილის საწოლს ეცა. ბავშვი იქ აღარ დახვდა. ქალმა ქმარი გააღვიძა, შუქი აანთეს და შვილის ძებნა დაიწყეს. მათ ვანია შემოსასვლელი კარის წინ, საფენზე მწოლიარე აღმოაჩინეს. მოკუნტულ ბავშვს მკვდარივით ეძინა. როცა მშობლებს საწოლში გადაჰყავდათ, ვანიამ თვალები წამით გაახილა, მშობლებს არაფრისმთქმელი მზერა შეავლო და ისევ დაიძინა...

გაღვიძებულ ბავშვს აღარაფერი ახსოვდა. ლიდამ კი შვილს ყურს უკან „მუხუდის მარცვალი“ ვეღარ აღმოუჩინა.

თუმცა გამოკვლევები მაინც ჩაუტარა და ექიმებმა ბავშვს ყურს უკან, ძვლის ქვეშ ბუდის მსგავსი ნაჩვრეტი აღმოუჩინეს.

მალე ვანიას ახალი უცნაურობა — დროდადრო ტემპერატურის უმიზეზოდ აწევა მოეძალა. 1994 წლის 26 მარტის ღამეს კი მორიგი „მოგზაურობა“ შედგა და „ბიძიამ“ ბიჭუნა რომელიღაც „ხის პატარა სახლში“ წაიყვანა. დილით ბავშვს ტემპერატურამ მკვეთრად აუწია და 40 გრადუსს გადასცილდა. „სასწრაფო დახმარების“ ექიმმა ვანიას ფოლიკულური ანგინის დიაგნოზი დაუსვა. მაგრამ მომდევნო დილასვე ტემპერატურა 37 გრადუსამდე დაეცა და რამდენიმე დღეში ბიჭუნა სრულიად გამოჯანმრთელდა. ექიმები გაოცებას ვერ ფარავდნენ, ვანიამ კი დედას უთხრა, — ღამით ჩემთან „ბიძია“ იყო მოსული და მითხრა: გამაგრდი, ბიჭო! რაც მეტს გცემენ, მით მეტად განმტკიცდებიო...

ამის შემდეგ ბავშვი ძალიან აგრესიული გახდა. ნებისმიერ უკმაყოფილებას უხეშად გამოხატავდა, უცენზურო სიტყვებს იყენებდა და იმუქრებოდა. ერთხელაც ამის გამო მას მამა გაუჯავრდა. გაღიზიანებული ვანია კი დაემუქრა, — ნახავ, რა ცუდად გახდებიო!.. მამაკაცი შინიდან ნახევარი საათის გასულიც არ იყო, რომ სკამზე არხეინად წამოსკუპებულმა ვანიამ გააბა: „მამიკომ ფეხები მოიტეხა!.. მამიკომ ფეხები მოიტეხა!..“ მალე ლიდას მართლაც შეატყობინეს, რომ მისი ქმარი, ორივე ფეხისა და მარცხენა ხელის მოტეხილობებით, რეანიმაციაში იწვა. იგივე დაემართა ვანიას იმ ორ მასწავლებელსაც, რომელმაც ბავშვი გაკვეთილების უცოდინარობისთვის დატუქსა.

ლიდამ ამ რთული სიტუაციიდან გამოსავლის ძებნა დაიწყო, რაშიც მას ვანიაც დაეხმარა. მან დედას უთხრა, — „თეთრი ბაბუა“ ჩემს მონათვლას გირჩევსო. ნათლობის შემდეგ, მღვდელმა ვანიას მშობლებს აუწყა, — ბიჭუნა ღმერთის რჩეულია და ამიტომაც, ძალიან უნდა გაუფრთხილდეთ და ეკლესიაშიც ხშირად ატაროთო.

ამ დაუჯერებელი ამბის შემდგომ ეტაპზე „ბიძია“ თავად ლიდას გამოეცხადა და ლითონივით ხმით უთხრა, — ვანია მხოლოდ ბიოლოგიურადაა თქვენი, ენერგეტიკულად კი ჩვენ გვეკუთვნის, ბიჭუნაში დაშიფრული ინფორმაციაა ჩადებული; მოვა დრო, მისი ტვინი „გაიხსნება“ და ისიც თავის დანიშნულებას შეასრულებს, თქვენ კი ჯერჯერობით წყნარად იყავით და ნუ ცდილობთ მის გამოკვლევას, თორემ მიწიერი გეგმიდან მისი „ამოღება“ მოგვიწევსო.

ასეთი ავისმომასწავებელი გაფრთხილების შემდეგ, უფოლოგებს ვანიას ოჯახთან კონტაქტი ძალიან გაუჭირდათ. თუმცა იმის გაგება მაინც მოახერხეს, რომ ბავშვს მისი ასაკი-

სთვის შეუფერებლად ძლიერი მკურნალობის უნარი აღმოაჩნდა და ცხოვრებით დაბრძენებული ფილოსოფოსის აზრების ფრქვევაც დაიწყო. მაგალითად, დედის სიტყვებზე, — საკუთარი შვილებისთვის სიცოცხლესაც კი არ დავიშურებო, — ვანიამ მშვიდად განაცხადა, — სიცოცხლე ღმერთისგან გვეძლევა და ამიტომაც, ვერავინ შეძლებს იმის გაღებას, რაც მას არ ეკუთვნისო. უკვდავების თაობაზე კი ასეთი რამ თქვა: „უკვდავების კანონი წყლის ფორმულაშია. წყალი კი დროის მიღმა არსებობს. ამიტომ მას არც წარსული აქვს და არც მომავალი, ის უკვდავია!“

სამწუხაროდ, ვანიას ოჯახთან უფროლოგებს ძალიან იშვიათი კონტაქტი აქვთ. არადა, მისი დახმარებით შეიძლებოდა, დედამიწელებთან უცხოპლანეტელთა იდუმალ ურთიერთობას მცირე ნათელი მაინც მოჰფენოდა, გაგვეგო, თუ ვინ არიან ისინი და რა უნდათ ჩვენგან... იქნებ, ვანიამ ეს ყველაფერი მას შემდეგ მაინც აგვიხსნას, როცა მისი ტვინი, ბოლოს და ბოლოს, „გაიხსნება“...

იდუმალი ორმოები

1984 წლის ოქტომბერში, გრენდ-კულის (ამერიკის ვაშინგტონის შტატი) მახლობლად საკუთარი ფერმის შემოვლისას, ძმები პიტერ და რიკ ტიმები ხორბლის ყანის გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთში 10 ფუტი (1 ფუტი 30,48 სმ-ს უდრის) სიგრძის, 7 ფუტი სიგანისა და 10 ფუტის სიღრმის უსწორმასწორო ღრმულს წააწყდნენ. ძმებმა ამ ნაკვეთში მოსავალი წინა თვეში აიღეს და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მაშინ იქ მსგავსი არაფერი ყოფილა. ტიმებს ცნობისმოყვარეობა უფრო მეტად მას შემდეგ გაუძლიერდათ, რაც სამოცდათხუთმეტი ფუტის მოშორებით ღრმულიდან ამოღებული მიწის გროვაც აღმოაჩინეს. ღრმულისა და მიწის გროვის ერთმანეთთან დამაკავშირებელი, ფრჩხილისოდენა მიწის ნაფხვენების რკალი რომ არა, უზარმაზარი (სამ ტონამდე) მიწის გროვა იმდენად ფაქიზად იყო გადატანილი, თითქოს ჰაერში გადააადგილესო.

საგონებელში ჩავარდნილმა ფერმერებმა დახმარებისთვის, მათი ფერმის მეზობლად მდებარე შახტის დირექტორ დონ აუბერტინოს მიმართეს. თავიდან აუბერტინომ იფიქრა, რომ ღრმული მეტეორიტის ჩამოვარდნის შედეგად იყო გაჩენილი. მაგრამ ის მალევე გადაარწმუნა მეგობარმა, პროფესიით გეოლოგმა ბილ უტერბახმა, რომელმაც აუხსნა, რომ ღრმულის ვერტიკალური კედლები და ბრტყელი ფსკერი რაიმე მძიმე საგნის დაცემის კი არა, არამედ მხოლოდ მიწის დიდი ფენის ამოღების შედეგი უნდა ყოფილიყო. თუმცა ამ შემთხვევაში სრულიად გაურკვეველი იყო, რატომ არ დაზიანდა კორდი. ერთმანეთში ჩახლართული ფესვები ხომ, როგორც ღრმულის კედლებზე, ისე, რაღაც მანქანებით გადაადგილებულ მიწის გროვაში სრულიად ხელუხლებელი იყო. ამ დეტალმა მკვლევრები კიდევ უფრო შეაცბუნა. მათ ვერაფრით აეხსნათ, თუ რამ შექმნა ასეთი ეფექტი. მათი თქმით, ალბათ მხოლოდ გრიგალს თუ შეეძლო მიწის ამხელა მასის გაადგილება, მაგრამ ამას უთუოდ, სერიოზული ნგრევაც უნდა გამოეწვია. ირგვლივ კი, ფაქიზად გადაადგილებული მიწის უზარმაზარი გროვის გაჩენის გარდა, პრაქტიკულად, არაფერი შეცვლილიყო.

გრენდ-კულის ფენომენი ბოლომდე გამოცანად დარჩა. თუმცა ეს მართლაც ექსტრაორდინარული შემთხვევა ერთადერთი მაინც არ ყოფილა. 1954 წლის ოქტომბერში ფრანგული გაზეთები წერდნენ კვერცხის ფორმის უცნაურ ორმოზე, რომელიც ერთი ღამის განმავლობაში გაჩნდა პონსისიურ-ლინიონის მახლობლად მდებარე მინდორში. ადგილზე მისული ექსპერტ-გეოლოგები გაოგნებული ჩანდნენ, ორმოს ფირზე გადამღები რეპორტიორების თქმით კი იმ ადგილზე მიწა თითქოს გიგანტური მტვერსასრუტით იყო „ამოსრუტული“...

1979 წლის თებერვალში ამერიკის იუტის შტატის გეოლოგიისა და მინერალოგიის სფეროში მომუშავე მკვლევართა ჯგუფმა დაახლოებით 14 ფუტის დიამეტრის მქონე, ჯვრის ფორმის ორმო აღმოაჩინა. მას ძალიან ჰგავდა ის ორმოც, რომელიც 5 წლის შემდეგ ვაშინგტონში გაჩნდა. ამ აღმოჩენასთან დაკავშირებულ ანგარიშში „ორმოს წყაროს“ გასწვრივ ერთადერთი სიტყვა — „უცნობია“ — ეწერა.

მაგრამ ყველაზე გამაოგნებელი ალბათ მაინც, ვენაის-სანტერში (ნიუ-იორკი) მდებარე მინდორში პრაქტიკულად ერთსა და იმავე ადგილზე, ერთსა და იმავე დღეს (12 ნოემბერს), ოღონდ თითო-თითო წლის შუალედით (1966, 1967 და 1968 წლებში) 18 ფუტი სიგანისა და 5 ფუტი სიღრმის სამი იდენტური კრატერის გაჩენა იყო. ორმოები ჩნდებოდა აფეთქების შემდეგ, რომლის ხმაც რამდენიმე მილზე ისმოდა. თუმცა სამივე შემთხვევაში, ვერც აფეთქების წყარო და ვერც მისი გამომწვევი რაიმე მიზეზი ვერავინ აღმოაჩინა. ერთმა მწერალმა კი მოსწრებულად შენიშნა, — გავა ძალიან ბევრი დრო, სანამ ჩვენ ამ „ორმოებიან“ ისტორიას ამოვხსნითო...

მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

11 წლის ასაკში წაკითხული 450 წიგნი და პატარა მწყემსთან დამეგობრებული პატარა ერუდიტი

„ყველაზე ჭკვიანის“ ფინალისტს — დემე ქარდავას წერა-კითხვა 3 წლის ასაკში უსწავლია. სანამ სკოლაში შევიდოდა, წიგნებს მხოლოდ მშობლიურ ენაზე კითხულობდა, თუმცა კითხვა რუსულ ენაზეც შეეძლო. როცა მისი უფროსი ძმები სახლიდან ჩანთებით ხელში გადიოდნენ, ტიროდა, სკოლაში მეც მინდაო. ახლა VI კლასში სწავლობს, 11 წლის არის. საგნებიდან ყველაზე მეტად გეოგრაფია იზიდავს. ხშირად კი საბუნებისმეტყველო წიგნებს კითხულობს. მომავალი პროფესია ჯერ არ აურჩევია. კინორეჟისორობა მოსწონს, თან ამბობს, რომ მეცნიერული კვლევებიც იზიდავს...

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— დემე, უცხო ენები იცი?

— ფრანგულ, გერმანულ, რუსულ და ინგლისურ ენებს ვსწავლობ.

— ამდენი უცხო ენის ერთდროულად შესწავლა რთული არ არის?

— არა. ყველაზე კარგად რუსული და ინგლისური ვიცი.

— ბევრი წიგნი გაქვს წაკითხული...

— (*მაწყვეტინებს*) დიახ. იმ წიგნებს, რომლებსაც ვკითხულობ, დედა ინიშნავს ხოლმე. ასე რომ, უკვე 450 წიგნამდე ავედი.

— ამ 450 წიგნიდან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რომელმა მოახდინა?

— ბევრმა. უცხოელი ავტორებიდან ყველაზე მეტად კიპლინგი მომწონს. ქართველებიდან — ვაჟა-ფშაველა (*ფიქრობს*). ილია ჭავჭავაძეს კი უფრო დიდ საზოგადო მოღვაწედ მივიჩნევ...

— მითხარი, რომ შეიძლება, რეჟისორი გამოვიდეო. წაკითხული ნაწარმოებებიდან რომელიმეზე ფილმის გადაღება ხომ არ გიფიქრია?

— ფილმს თუ გადავიღებ, ალბათ სცენარსაც თავად დავწერ.

— წერაც შეგიძლია?

— ახლა სქელტანიან ფანტასტიკურ მოთხრობას ვწერ, ჯერ არ ვიცი, რას დავარქმევ.

— დემე, რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდი?

— ისეთთან, რომელიც მე შემეწყობოდა. ვაჟას გმირებიდან ავარჩევ... (*პაუზის შემდეგ*) შვლის ნუკრს და მთის წყაროს ვერ ვიტყვი, არჩევანს პატარა მწყემსზე შევაჩერებ.

— შენთან მეგობრობა ადვილია? საკუთარ თავს როგორ დაახასიათებ?

— ჩემ გვერდით თავს კომფორტულად ყველა ვერ იგრძნობს. უწიგნურ პიროვნებასთან საერთო ენას ვერასდროს გამოვნახავ. ადამიანს ინტელექტი აუცილებლად უნდა ჰქონდეს. ამ მხრივ პრეტენზიული ვარ, ცოტა — ბუზღუნაც. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, ყველაფერზე ვბუზღუნებ.

— თავისუფალ დროს წიგნის კითხვის გარდა კიდევ რით ერთობი?

— ცურვა მიყვარს. ეს ჯანმრთელობისთვისაც კარგია. კალათბურთიც მიტაცებს, მაგრამ დრო არ მაქვს, რომ ვიარო. ჩემთვის წიგნი გართობის საუკეთესო საშუალებაა. როცა ვკითხულობ, სიწყნარე უნდა იყოს, შინაარსში კარგად უნდა გავერკვე, ჩავუღრმავდე, ისე წიგნში ვერ „ვიმოგზაურებ“, კითხვით ვერ ვისიამოვნებ.

— დემე, დროა, შენთვის მომზადებულ კითხვარზე გადავიდეთ.

— მზად ვარ. ინტელექტუალური თამაშები ძალიან მომწონს.

— ვინ იყო მეფე მირდატის და დედოფალ საგდუხტის ვაჟი?

— ვახტანგ გორგასალი.

— იტალიის რომელ ქალაქში ცხოვრობდნენ ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ბოტიჩელი?

— ფლორენციაში.

— რა ეწოდება წრიულად განლაგებულ ვარსკვლავთა ჯგუფს, რომელსაც ცხოველების სახელები აქვს შერჩეული?

— თანავარსკვლავედი.

— პასუხის გაცემა იჩქარე, ზოდიაქო უნდა გეთქვა. შენი ნიშანი რომელია?

— ვეფხვის წელში დაბადებული ტყუპი ვარ. ასტროლოგიის დიდად არ მჯერა.

— მითხარი, რომ გეოგრაფია ძალიან გიყვარს. იმედია, შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემა არ გაგიჭირდება: არგენტინა, ბრაზილია, კოლუმბია, პერუ, ჩილე, ალჟირი — ამათგან რომელი არ მდებარეობს ლათინური ამერიკის ტერიტორიაზე?

— ალჟირი.

— მწვანე, ყვითელი, ცისფერი, წითელი — რომელი ფერი არ არის ბელგიის დროშაზე?

— ბელგიის დროშაზე 3 ფერია (*პაუზის შემდეგ*) ჩამოთვლილთაგან მწვანე არ მახსოვს, ასეა?

— რა თქმა უნდა. რომელი წყალი უფრო ხისტია — მდინარის თუ წვიმის?

— ზუსტად არ ვიცი, ალბათ მდინარის.

— პასუხი ამ კითხვაზეც ჩაგეთვალა. რომელ სპორტსმენს უწოდებდნენ „კლდის ვეფხვს“, „მთის ლეგენდას“, „მთის რაინდს“? მისი სახელი ერთ-ერთ მწვერვალსაც ეწოდა.

— მიხეილ ხერგიანს.

— ვინ ჩამოიტანა ქრისტეს კვართი საქართველოში?

— ელიოზ მცხეთელმა და ლონგინოზ კარსნელმა.

— როგორ მოიხსენიებენ საქართველოს მეფეს — ფარსმან II-ს?

— ფარსმან ქველი.

— ისააკ ნიუტონის 300 წლისთავის აღსანიშნავად დიდ ბრიტანეთში გამოუშვეს საფოსტო მარკა, რა იყო მასზე გამოსახული?

— ალბათ ვაშლი გამოსახეს. ეს ჩემი სავარაუდო პასუხია.

— გამოიცანი. წითელი ვაშლი იყო გამოსახული. დავითის ბრძანებით, სად გადამალა იოსებმა ყრმა იესო და ღვთისმშობელი მარიამი?

— ეგვიპტეში.

— ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე მოცულობის რომელი ერთეულია ხმარებაში ფასთან მიმართებაში?

— ბარელი.

— რამდენ ლიტრს შეიცავს ერთი ბარელი?

— არ ვიცი.

— 159 ლიტრს. გოგონა სარკესთან მივიდა, დაინახა თავისი გამოსახულება და შუბლზე აკოცა. შეიძლება, თუ არა, რომ ასე მოხდეს?

— არა, როგორ შეიძლება? სარკეში საკუთარ გამოსახულებას შუბლზე ვერ აკოცებ.

— ამ ქართველ მწერალს სიკვდილმისჯილთა საკანში 75 დღე აქვს გატარებული. დაასახელე იგი.

— ვერ გიპასუხებთ. ნოდარ დუმბაძეს ხომ არ გულისხმობთ?

— დემე, დაფიქრდი, რთული კითხვა არ არის.

— ვერა, ვერ გიპასუხებთ.

— ჭაბუა ამირეჯიბი.

— „დათა თუთაშხიას“ კითხვა ახლა დავიწყე.

— კარგია, ეს ნაწარმოები აუცილებლად მოგეწონება. ეს ინგლისელი პოეტი 1824 წელს სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. იგი სიცოცხლის ბოლო წლებში საბერძნეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა. მან სიკვდილის წინ ბოდვისას წარმოთქვა — „საბრალო საბერძნეთი“. დაასახელე ეს პოეტი.

— ჯორჯ ბაირონი. მისი ნამდვილი სახელი ჯორჯ ნოელ გორდონია.

— შუა საუკუნეების ერთ-ერთი ტრუბადურის აზრით, ერთი მათგანი მეორის გარეშე იგივეა, რაც წისქვილი წყლის გარეშე. რა არის ეს ერთი და რა — მეორე?

— არ ვიცი.

— ლექსი და მუსიკა. საქართველოს რომელ მხარეს ეწოდება ეგრისი ანუ ლაზეთი?

— დასავლეთ საქართველოს.

— VII საუკუნეში რომელი დამპყრობელი შემოესია საქართველოს?

— არაბები შემოესივნენ.

— ვინ მეთაურობდა მათ ლაშქარს?

— მურვან ყრუ.

— რა ერქვათ წმინდა ნინოს მშობლებს?

— ზაბულონი და სუსანა.

— ამ დამპყრობელმა ქვათახევის მონასტერში 600 ბერმონაზონი შეყარა და მონასტერს ცეცხლი წაუკიდა. დაასახელე ეს დამპყრობელი.

— შაჰ-აბასი.

— ცდები, ასე თემურ ლენგი მოიქცა. რომელია მსოფლიოში ერთადერთი ძუძუმწოვარი, რომელიც კვერცხს დებს?

— იხვნისკარტა.

— ავსტრალიური იხვნისკარტა, მას ექიდნას ეძახიან. რომელი იმპერატორის დროს დაერქვა ძველ ბერძნულ ქალაქ ბიზანტიონს კონსტანტინოპოლი და გამოცხადდა რომის იმპერიის დედაქალაქად?

— იმპერატორ კონსტანტინეს დროს.

— კიევის რუსეთში ვინ მოინათლა პირველად ქრისტიანულად?

— მთავარი ვლადიმირი.

— დიახ, ეს 988 წელს მოხდა. რატომ უწოდებენ ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე გადაჭიმულ მთათა სარტყელს ცეცხლოვანს?

— როგორც ვიცი, იქ ბევრი აქტიური ვულკანია თავმოყრილი.

— მაგალითად?

— ვეზუვი, ეტნა... ალბათ „ცეცხლოვანს“ ამიტომ უწოდებენ.

— გამოიცანი. რომელია ყველაზე გრძელი არხი მსოფლიოში?

— ჩინეთის დიდი არხი. იგი ერთმანეთთან იანძის და ხუანხეს აკავშირებს.

— რომელ ტაძარში გადმოდის აღდგომის ღვთიური ცეცხლი მსოფლიოს მართლმადიდებელი პატრიარქის სანთელზე?

— იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

— ლაშქრობაში მიმავალი ჯვაროსნები მკერდზე წითელი ნაჭრის ჯვარს იკერებდნენ. უკან მობრუნებული კი...

— ვერ გიპასუხებთ.

— წითელ ჯვარს ზურგზე იკერებდნენ.

— ვფიქრობდი, მაგრამ პასუხის სიზუსტეში დარწმუნებული არ ვიყავი, ამიტომ არ გითხარით.

— რეპი, ჯაზი, როკი, სოული — ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე ძველი?

— ჯაზი.

— რა წარწერა იყო ამოტვიფრული სოლომონ ბრძენის ბეჭედზე?

— ორი სიტყვაა (*ფიქრობს*) „ესეც გაივლის“.

— სადაურია ცნობილი ფეხბურთელი სამუელ ეტოო?

— ზუსტად არ მახსოვს.

— კამერუნელი. რომელი ნივთიერება სწევს თოვლის ტემპერატურას 0 გრადუსზე ზემოთ?

— არ ვიცი.

— მარილი.

— ვაა! ამაზე როგორ ვერ გიპასუხეთ.

— რომელ ნაწარმოებზე მუშაობდა ილია ჭავჭავაძე, როცა დავით ერისთავს მისწერა: „ეს ოხერი ჩვენი ისტორია მარტო მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს. მე მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არ ჩანს“.

— „გლახის ნაამბობზე“ მუშაობდა.

— ცდები.

— აბა, „ოთარაანთ ქვრივზე“?

— იმ დროს ილია „აჩრდილზე“ მუშაობდა. თავის ხელქვეითებს რომელმა დამპყრობელმა დაადგმევინა სიონის გუმბათზე ტახტი, საიდანაც 100000 ქართველის ხოცვა-ულეტას თვალს ადევნებდა?

— ჯალალ ედ დინმა.

— რას ნიშნავს ლათინურად „ავე მარია!“?

— არ ვიცი.

— „იცოცხლე, მარია!“ რა ჰქვია რემბრანდტის ტილოს, რომელზეც გამოსახულია — წმინდა მარიამი, პატარა ქრისტე და ოსები?

— მხატვრობაში ცუდად არ ვერკვევი, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი არა მაქვს.

— ტილოს „წმინდა ოჯახი“ ჰქვია. რა ჰქვია პერსონაჟის საუბარს საკუთარ თავთან?

— მონოლოგი.

— საქართველოში რომელია ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ქალაქი?

— ქალაქი არ ვიცი, მაგრამ უშგული რომ ზღვის დონიდან ყველაზე მაღალი დასახლებული სოფელია, ვიცი.

— უშგული ევროპის მასშტაბით ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტია. იგი 2200 მეტრზე მდებარეობს, ხოლო საქართველოში ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ქალაქი ახალქალაქია (1700 მეტრი). რა ერქვა ზედაზენზე მოღვაწე ასურელ მამას?

— იოანე.

— დემე, კითხვარი დასრულდა, საკუთარ თავს როგორ შეაფასებ?

— მგონი, ცუდი რესპონდენტი არ ვიყავი, იყო რამდენიმე კითხვა, რომელზეც პასუხი უნდა გამეცა, მაგრამ ავჩქარდი და არასწორად გიპასუხეთ.

— ამ რუბრიკის შემდეგ სტუმარს რა შეკითხვას დაუტოვებ?

— (*ფიქრობს*) რას ნიშნავს სიტყვა „ავსტრალიოპიქეთი“?

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. როგორ მფრინავებს არ იღებდნენ კამიკაძეთა რიგებში, მიუხედავად მათი სურვილისა?

2. ვის ეკუთვნის სიტყვები: „საარჩევნო ბიულეტენი ტყვიაზე უფრო ძლიერია“?

3. როგორ აღნიშნავდნენ ძველად ციმბირში ყოველი ფუთი ოქროს მოპოვებას?

4. „კრატკოსტ სესტრა ტალანტა“, — ამბობდა ჩეხოვი. დაასახელეთ სამი სიტყვა, რომელიც ალექსანდრ სვობოდინმა ამ გამონათქვამს დაუმატა.

5. დაასახელეთ ხარისხიანი პარიკის მაქსიმალური წონა.

6. ვინ იყვნენ გიმნეტები?

7. თუ საავტომობილო ფირმა „ფორდი“ ვინმესთვის საკუთარი წარმოების ავტომობილის ჩუქებას გადაწყვეტს, ეს ავტომობილი აუცილებლად სამშაბათს, ოთხშაბათს ან ხუთშაბათს იქნება აწყობილი. რატომ?

8. საკუთარ მახვილგონივრულ გამონათქვამებს მიხაილ ზადორნოვი „ზადორინკებს“ ეძახის. რას ეძახის მსგავს გამონათქვამებს ევგენი პეტროსიანი?

9. რა არის „ჭირხლი“?

10. როგორი მსახიობების შესახებ ამბობდა გეილ გოდვინი: „ისინი იმ მოჩვენებებს ჰგვანან, რომლებიც სხეულს ჩასასახლებლად ეძებენ“?

11. რა არის „შალანდა“?

12. რა არის „ავქაში“?

* * *

ნარკუშა ფოტოგალერეაში:
— ვაა, რა მთებია!
— თქვენ ალპინისტი ხართ?
— არა, მე მორფინისტი ვარ, მაგრამ მაინც, მაგარი მთებია!

* * *

სამამულო ომი დამთავრდა. შინ მიმავალმა ჯარისკაცმა დაინახა, ორი ფეხმძიმე ქალი ერთმანეთს კეტს ურტყამს, მუცელში.
— თქვენ რა, გაგიჟდით?!. ომი დამთავრდა, ზეიმია, რა გაჩხუბებთ?!.
— შემორჩენილ გერმანელებს ვხოცავთ!

* * *

პატარა ხბო ხეზე ასვლას ცდილობს. მას ხის ტოტზე შემომსხდარი, ორი ყვავი ყურადღებით ადევნებს თვალყურს. ცოტა ხანში ერთი მეორეს ეუბნება:
— ძვირფასო, მგონი, დროა, ვუთხრათ, რომ ოდესღაც ვიშვილეთ...

* * *

პატარა ბიჭი თავის სასქესო ორგანოს ათვალიერებს და დედას ეკითხება:
— დედიკო, ეს ჩემი ტვინია?
— არა, შვილო, ჯერ — არა.

* * *

კაცი ექიმთან მიდის:
— ექიმო, მიშველეთ, ნახევრად ყრუ ვარ!
— ეგეთი რამ არ არსებობს ან ყრუ უნდა იყოთ, ან — არა.
— ექიმო, შეგიძლიათ, შემამოწმოთ.
ექიმმა დაიჩურჩულა: „ორმოცდაოთხი“.
— აბა, რა ვთქვი?
— 22!

* * *

ნარკუშა ტაქსიში ჩაჯდა და მძღოლს ეუბნება:
— „რუსთაველზე“ გამიყვანე, რა.
— „რუსთაველზე“ ვართ, — უთხრა მძღოლმა.
— ვაააა!.. აჰა, შენ, ათი ლარი და ნელა იარე, თუ ძმა ხარ!

* * *

„პლანაქეშმა“ ოქროს თევზი დაიჭირა.
— გამიშვი და სამ სურვილს შეგისრულებ, — უთხრა თევზმა.
— 1000 ზვინი პლანი მინდა! — ინატრა „პლანაქეშმა“. თევზმა სურვილი აუსრულა.
— რაც კი ქვეყნად მცენარეა, სულ პლანად აქციე! — თევზმა ესეც შეუსრულა.
დიდხანს ფიქრობდა „ქეში“, კიდევ რა ვინატროო და ბოლოს, ხელი ჩაიქნია:
— ორი „მასტერკაც“ დაამატე და თავისუფალი ხარ.

* * *

— როცა ახალდაქორწინებულები ვიყავით, ყოველ დილით ქმარს კოცნით ვაღვიძებდი.
— ახლა?
— ახლა მაღვიძარა იყიდა.

* * *

მუცლადმყოფი ტყუპისცალი ძმას ეკითხება:
— შენ გჯერა, რომ დაბადების შემდეგ სიცოცხლე არსებობს?
— არსებობს!..
— საიდან იცი, ჯერ ხომ უკან არავინ დაბრუნებულა?!

* * *

— გაიგე, რაჟდენას ცოლი გაექცა!
— მერე, როგორაა საწყალი?
— ახლა ცოტათი დაწყნარდა, მაგრამ თავიდან კინაღამ გაგიჟდა სიხარულით.

* * *

ცოლი პაემანზეა პატიმარ ქმართან.
— ბავშვი თუ მგავს? — ეკითხება ქმარი.
— ძალიან. სახლი მეზობელი ბავშვების სათამაშოებით არის სავსე.

* * *

თვითმფრინავი უკაცრიელ კუნძულზე ჩამოვარდა. გადარჩნენ პილოტი, შტურმანი და სტიუარდესა. გადის ერთი თვე.
— გვეყო ამდენი გარყვნილობა! — წამოიძახა ერთ დღეს პილოტმა. აიღეს და მოკლეს სტიუარდესა. გავიდა კიდევ ერთი თვე.
— გვეყო ამდენი გარყვნილობა! — წამოიძახა პილოტმა და დამარხეს სტიუარდესა. გავიდა კიდევ ერთი თვე.
— გვეყო ამდენი გარყვნილობა! — წამოიძახა პილოტმა და სტიუარდესა ისევ ამოთხარეს.

* * *

კომუნისტების დროა. მოშე უშიშროებაში რეკავს:
— ალო, უშიშროებაა? ჩემი მეზობელი ისაკა შეშაში ბრილიანტებს ინახავს.
მიცვივდნენ ისაკასთან და მთელი შეშა გადაჩეხეს. ვერაფერი იპოვეს. წავიდნენ ქანცგაწყვეტილები. ცოტა ხანში მოშე ისაკასთან რეკავს:
— ალო, ისაკ, უშიშროებიდან თუ იყვნენ, დაგენაცვლე?
— კი, მოშე, იყვნენ.
— შეშა ხომ დაგიჩეხეს, დაგენაცვლე, შეშა?
— კი, დაჩეხეს.
— ჰოდა, დაგენაცვლე, ახლა შენ დარეკე, ბოსტანი მაქვს დასაბარი.

* * *

— რისგან შეიქმნა პირველი ქალი?
— პირველი ქალიშვილისგან.

* * *

— გახსოვს ლევანა?
— რომელი ლევანა?
— ციხის წინ რომ ცხოვრობდა!
— ჰო, მერე?
— ახლა თავისი სახლის წინ ცხოვრობს!

* * *

კადრების უფროსი ქუჩაში თანამშრომელს ხვდება:
— რას ჰგავს ეს? თქვენმა ძმამ ახლახან დამირეკა და მითხრა, რომ საავადმყოფოში დაგაწვინეს.
— იდიოტი, ხვალ უნდა დაერეკა!..

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. დედისერთებს.
2. აბრაამ ლინკოლნს.
3. ზარბაზნის ზალპით.
4. „...ნო მაჩეხა გონორარა“.
5. 150 გრამი.
6. მსუბუქად შეიარაღებული მებრძოლები ძველ საბერძნეთში.
7. ქარხნის მესვეურებმა იციან, რომ პარასკევსა და ორშაბათს ანუ შაბათ-კვირის წინა და შემდგომ დღეს წუნის გამოშვების ალბათობა მეტია და საკუთარ პრესტიჟს უფრთხილდებიან.
8. „პეტროსმეშკებს“.
9. მცენარეებსა და სხვა საგნებზე წიწვივით შეყინული ორთქლი.
10. უმუშევარი მსახიობების შესახებ.
11. პატარა ბრტყელძირიანი გემი.
12. ქათმის მკერდის ორტოტა ძვალი, მეორენაირად მას „საწინწკარა“ ჰქვია.

ჩვენი ფოტო მაღვრეა

ჰოროსკოპი

11-17 მარტი

ვაზარი:
საკუთარ თავთან მარტო დარჩენა საშუალებას მოგცემთ, გააანალიზოთ წარსული და დაგეგმოთ მომავალი. დასვენების დღეები ბუნებაში გაატარეთ.

კუჩი:
ფინანსური მდგომარეობა საშუალებას მოგცემთ, ბინის პრობლემა მოაგვაროთ. საკუთარ იდეებს სხვებს ნუ გაანდობთ. დასვენების დღეები ქალაქგარეთ გაატარეთ.

ტყუპი:
შემოქმედებითი საქმიანობისთვის ხელსაყრელი პერიოდია. რომანტიკული ურთიერთობა შესაძლოა, ქორწინებით დაგვირგვინდეს. მოერიდეთ კრიმინალებთან ურთიერთობას.

კიბიჩხიტი:
შესაძლოა, ახალგაზრდა თაობისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება მოგიხდეთ. მოერიდეთ გადამეტებულ ეჭვიანობას, განახორციელეთ იდეები.

დიმი:
თუ გარისკავთ, წარმატებასაც მიაღწევთ. კარგი პერიოდია მოგზაურობისა და უცხოელებთან ურთიერთობისთვის. დასვენების დღეები მშობლებთან ერთად გაატარეთ.

ქაფდწუდი:
ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით, მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს. კარგია, თუ დასვენების დღეებში სამოგზაუროდ წახვალთ.

სასწორი:
ამ კვირაში მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება გელით. საყვარელ ადამიანს გააბედნიერებთ, თუ მის მიმართ სითბოსა და მზრუნველობას გამოიჩენთ.

ბოჩიბედი:
მთელი კვირა მხიარულებასა და გართობაში ჩაივლის. დასვენების დღეებში რომანტიკული შეხვედრები და თავგადასავლები გელით. მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობას.

ფუვიდდოსაფი:
ინტუიციაზე დაყრდნობით იმოქმედეთ და ბავშვები საჩუქრებით გაანებივრეთ. თუ არ გსურთ, საუკეთესო მეგობარი დაკარგოთ, დრო მისთვისაც გამონახეთ.

ოხის რეჟა:
საქმიანი შეხვედრებით დატვირთული კვირა გელით. მოსალოდნელია ხანმოკლე მოგზაურობა. თავისუფალი დრო ქალაქგარეთ, სუფთა ჰაერზე გაატარეთ.

ბაჩწუუდი:
კვირის დასაწყისში თქვენი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება, რაც სურვილების ასრულების საშუალებას მოგცემთ. მოგზაურობა მომავლისთვის გადადეთ.

ოდვზიტი:
კარგი პერიოდია ინტელექტის ასამაღლებლად. მოერიდეთ მეგობრებთან წუწუნსა და ჭორაობას. ნუ ეცდებით, საყვარელი ადამიანი დანაშაულში გამოიჭიროთ.

პატარები მენიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

პატარა სანდროს ეფერებიან და ეუბნებიან:
— ჩვენც გვყავს პატარა ბაია, მაგრამ შენსავით კარგად ვერ ლაპარაკობს.
— რატომ, უვიცია?

პატარა თაკო კერესელიძემ მამას ჰკითხა:
— რუსულად 200 როგორ იქნება?
— „დვესტი“, — უპასუხა მამამ.
— მაშინ, 300 ტრესტი იქნება, არა? — „მიხვდა“ თაკო.

4 წლის თამუნა ხვედელიძე ფეხბურთს უყურებს და დედას ეკითხება:
— დედიკო, ბურთს ფეხს რომ ურტყამენ, ხომ იმიტომ ჰქვია ფეხბურთი?
— კი, — პასუხობს დედა.
— ხელი რომ დაარტყან, ხომ ხელბურთი ერქმევა?
— კი.
— ტაკუნა რომ დაარტყან, მაშინ?

პატარა თეონა თაფლს მიირთმევს და ბებოს ეკითხება:
— ბებო, ფუტკრები იმ ფულს, რომელსაც თაფლში ვუხდით, რას უშვრებიან?

3 წლის ვასიკო ლიპარტელიანს დედა ძალით აჭმევს. ვასიკო მაგიდის გარშემო დარბის და თან, ყვირის:
— დედიკო, ნუ მაჭმევ, თორემ, გადამეყლაპებაააა.

3 წლის დაჩი წილოსანი ბაბუას ეუბნება:
— ბაბუ, გეხვეწები, წააქციე კიბე, თორემ ჩიტებმა სულ შეგვიჭამეს ბალი.

5 წლის ლევან ცუცქირიძემ დიდხანს უყურა მამის ფოტოსურათებს (3X4, 10 ცალი) და გახარებულმა დედას უთხრა:
— დედიკო, რა კარგი იქნებოდა, ამდენი მამიკო რომ მყავდეს.



ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ 1. მაჭანკალი; 2. ჭიგო; 3. ანანასი; 4. კადრი; 5. ფლორენცია; 6. რაგინდარა; 7. ტოგა; 8. ბარბაროსი; 9. სიონი; 10. ბაბუინი; 11. რინგი; 12. რიგა; 13. სატირა; 14. პროზა; 15. მილორავა; 16. ბინოკლი; 17. პუმა; 18. ეპილაცია; 19. ფიტი; 20. ლაბა; 21. წირი; 22. რუ; 23. კიკო; 24. წალკოტი; 25. ტიიდა; 26. ბაიადერი; 27. იოაკიმუ; 28. დოლარი; 29. ბუზი; 30. ვაზარი; 31. წიწმატი; 32. წერტილი; 33. ეროტი; 34. ლარნაკა; 35. დოკი; 36. რიველინო; 37. ირისი; 38. რომბი; 39. ემუ.
სურათებზე: 1. მერაია კერი; 2. დევიდ კრეიგი.

საფერმო კროსვორდი

ჩ	ვ	ე	ნ	ს	ჟ	უ	რ	ნ	ა	ლ	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	დ	ა	რ	მ	ო	ი	წ	ყ	ე	ნ	თ
უ	ნ	ზ	ს	უ	კ		ა	ბ	ე	ო	ა	ა	ზ	ი	პ	ი		ი	ი	ა	ი	ი	ზ	ე	ი		ა	ა

შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

ჩ. ქართული ხალხური სიმღერა, რომელიც კოსმოსში გაგზავნეს; **ვ**. ბანქოს თამაშის დროს მთელი ბანკის მოთხოვნა; **ე**. რა ერქვა მხატვრულ ფილმ „ნატვრის ხის“ პერსონაჟს, ღარიბ გლეხს, რომელიც მთელი ცხოვრება ოქროს თევზს, ნატვრისთვალსა და ნატვრის ხეს ეძებდა; **ნ**. მდინარე ეგვიპტეში; **ს**. რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **ჟ**. რა გვარი იყო კარდინალ რიშელიეს გვარდიის ოფიცერი, რომელიც დ'არტანიანმა პარიზში ჩასვლის მეორე დღეს ორთაბრძოლაში დაჭრა; **უ**. არამორჩილი; **რ**. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **ნ**. მიწის სათხრელი იარაღი; **ა*. მღვდელმთავარი; **ლ*. პოტომაკი — ვაშინგტონი, ვლტავა — პრაღა, შპრეე — ბერლინი, ტემზა — ?; **თ*. ირანის დედაქალაქი; **ა*. დაავადება, რომლის შეტევებსაც სულის ხუთვა ახასიათებს; **ნ*. მუსლიმანური ლოცვა; **ე*. განსწავლული ადამიანი; **რ*. აფთიაქში წარსადგენად ექიმის მიერ შედგენილი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია წამლის შემადგენლობა და ავადმყოფის მიერ მისი მიღების წესი; **თ*. თავის ქალას ზედა ნაწილი; **ა*. სოფლის სახელწოდება ჩრდილოეთ კავკასიასა და შუააზიის ზოგიერთ ქვეყანაში; **დ*. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; **ა*. ვესტგოთების ბელადი, რომელმაც რომი აიღო; **რ*. სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; **მ*. ანდამატი; **ო*. რა გვარი იყო ჟაკლინ კენედის მეორე მეუღლე; **ი*. იტალიელი ფეხბურთელი; **წ*. კურორტი ბაკურიანის მახლობლად; **ყ*. მონღოლთა ურდოს მბრძანებელი; **ე*. კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონი; **ნ*. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **თ*. ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ*. გუთანი; **ზ*. ზახრუმა; **ა*. ალაფი; **ვ*. ვესპუჩი; **ი*. ისთვუდი; **ს*. სოხაძე; **თ*. თხა; **ვ*. ვაუჩერი; **ი*. იორდანე; **ს*. საჩმო; **ა*. ამერიკა; **ო*. ოსვალდი; **დ*. დანია; **ა*. აკიმი; **მ*. მზაღო; **კ*. კვაშალი; **ი*. იშთარი; **თ*. თიანეთი; **ხ*. ხასა; **ვ*. ვისოცკი; **ე*. ერუდიტი; **ლ*. ლილეო; **ი*. ინცესტი; **ს*. სოხუმი; **თ*. თავადი; **ვ*. ვიაგრა; **ი*. იურთა; **ს*. სესია; **ა*. ამანათი; **ო*. ოლოლო.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

თხას თხა ურჩევნია ათას სულ ცხვარსაო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

3	9	5	2	1	6	8	7	4
7	2	4	8	5	9	3	6	1
6	1	8	4	3	7	2	9	5
5	6	9	3	8	2	4	1	7
8	7	3	1	9	4	5	2	6
1	4	2	7	6	5	9	8	3
4	3	1	6	2	8	7	5	9
9	8	6	5	7	3	1	4	2
2	5	7	9	4	1	6	3	8

5	9	8	1	7	4	2	3	6
3	7	1	2	8	6	4	9	5
6	2	4	5	3	9	1	7	8
7	4	9	8	1	2	6	5	3
1	8	5	9	6	3	7	4	2
2	6	3	4	5	7	9	8	1
4	1	2	3	9	8	5	6	7
8	5	6	7	4	1	3	2	9
9	3	7	6	2	5	8	1	4

9	6	7	8	1	5	3	4	2
4	8	2	7	3	6	1	5	9
1	5	3	4	9	2	8	7	6
6	7	1	3	5	8	2	9	4
3	2	8	9	6	4	5	1	7
5	4	9	2	7	1	6	8	3
7	1	6	5	2	9	4	3	8
8	9	5	6	4	3	7	2	1
2	3	4	1	8	7	9	6	5

* მარტივი

		2		8			7	
5					3			9
8					2	3		5
	4			1	8		3	
7					6			4
	5				4		2	
2		9	5					6
4			6					3
	7			3		9		

** საშუალო

		5		1		4		
		4			6	8		
					7		3	
		9			3			1
1				7	2			6
4					1	2		
	5		2					
		8	7			9		
		2		8		3		

*** რთული

	3			2				8
				5				4
		4	3			6		
	6			7			2	
		8	9			3		
	5		6	3			4	
		5			1	7		
4				8				
2				6			9	

ფოტოკუჩიოზები







„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

წიგნი V

და ვინჩი

15-დან 22მარტამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!









ყურადღება: I, II, III და IV წიგნი – ვანგოგი, გოგენი, მონე და კლიმტი წიგნის მაღაზიებში გაყიდვაშია!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ